

91



ბიოგრაფია ჭიჭინაძე



**სერგო ბაგდადიანი
/„სერგო ბუჩუქი“/
და მისი
ირანული დიპლომატი**

„მეცნიერება“

1570 1318



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
აკად. ბ. ჯერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

~~6748~~

ბიოგრაფიული

~~57119~~

სერგო გამდლიშვილი
(«სერგო გურჯი»)
და მისი ირანული დღიურები



განმცემლობა „მეცნიერება“
თბილისი
1983

ნაშრომში დასაბუთებულია, რომ „სერგო გურჯის“ დღიურები ექუთენის ირანის პირველი რევოლუციის აქტიურ და უშუალო მონაწილეს — სერგო გამდლიშვილს. სხვა ისტორიული წყაროების დღიურებთან შეჯერების საფუძველზე ავტორი თანამიმდევრულად განიხილავს 1909 წლის პირველი ნახევრის ირანის რევოლუციურ მოვლენებს, რომლებიც რეშთი — ყაზვინი — თეირანის ისტორიულ ლაშქრობას ეხება. წარმოჩენილია სხვადასხვა ერის წარმომადგენლების, მათ შორის ქართველების, ირანის რევოლუციაში მონაწილეობის ფაქტები.

რედაქტორი ოთარ გიგინეიშვილი

წინათქმას

1910 წლის გვიანი შემოდგომა იდგა. ავღრის ტყვიისფერი ღრუბელი ჩამოსწოლოდა ყუბანს. გაავებული ჩრდილოეთის ქარი ადამიანებს სახეს უსუსხავდა, ძვალსა და რბილში ატანდა. წვიმდა. თოვლის ფანტელებს ურევდა.

თვითმპყრობელი მეფის შავრაზმული რეაქცია თავისი არსებობის უკანასკნელ დღეებს ითვლიდა. ოხრანკის მეძებრები შემოდგომის ბუზებივით მწარედ იკბინებოდნენ, დაეხეტებოდნენ, საკბილოს დაეძებდნენ.

ეკატერინოდარის (ახლანდელი კრასნოდარი) საგუბერნიო ციხე ტუსადებს ვერ იტევდა. სულ ახალ-ახალი პატიმრები მოჰყავდათ.

რეაქცია ზეიმობდა. მიქინეარებდა თვითმპყრობელი მეფის საველე სასამართლოები. ისინი ციხეების „განტვირთვაზე“ მუშაობდნენ.

სიკვდილმისჯილი პატიმრები ცალკე საკნებში მოეთავსებინათ. მათ შორის სამი ქართველი ვაჟკაციც იყო. 18 ნოემბერს, ნაშუალამევს ჯალათებმა მათ კარები გაუღეს, ხელ-ფეხ შებორკილები სიბნელეში გაიყვანეს მალულად და ზრამის პირას აღმართულ ეშაფოტზე ჩამოახრჩვეს.

თვითმპყრობელობამ კიდევ ერთი მძიმე დანაშაული მიუმატა თავის სათვალავდაუღეველ ბოროტებებს.

ვინ იყვნენ ეს უშიშარი მებრძოლები, რომლებიც თავის კლანჭებში ჩაიგდო და მორიგ მსხვერპლად შეიწირა მეფის შავმა რეაქციამ? რა იყო მათი დანაშაული?

ესენი იყვნენ: სერგო გიორგის ძე გამდლიშვილი — ხაშურის მახლობლად მდებარე სოფელ ავლევიდან და მისი მებრძოლი ამხანაგები — თბილისის წყალსადენის მუშა, ხარატი კაკო კორინთელი და თბილისის მიმდებარე სოფელ ოქროყანაში მცხოვრები სედრაკ ზარიძე. ისინი ინტერნაციონალისტ მეომართა იმ დიად პლეადას ეკუთვნოდნენ, რომლებმაც ამ საუკუნის გარიყრაჟზე თავი დასდეს მეზობელი ირანელი ხალხის სამმო ბრძოლაში რუს, აზერბაიჯანელ, სომეხ, სპარსელ და სხვა ეროვნების მებრძოლთა მხარდამხარ, კოლო-

ნილიზმისა და სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ. მათი ერთად-
ერთი „დანაშაული“ სიკეთისათვის, ადამიანების თავისუფლებისა და
ბედნიერი მომავლისათვის ქედუხრელი ბრძოლა იყო.

სამწუხაროდ, როგორც ზოგჯერ ხდება ხოლმე ცხოვრებაში, ამ
სახალხო გმირების ხანმოკლე, მაგრამ მეტად შინაარსიანი ცხოვრე-
ბისა და ბრძოლის განვლილი გზა ბოლო ხანებამდე ბურჟუსით იყო
მოცული და მათს შესახებ ბევრი რამ არაფერი ვიცოდით. ჩვენმა
მომავალმა თაობამ, რომელიც მოწოდებულია განაგრძოს და სრულ-
ყოს სახელოვან წინაპართა რევოლუციური ტრადიციები, საჭიროა
რაც შეიძლება მეტი სიმართლე იცოდეს გარდასულ დროთა შესახებ.
ამჯერად წინამდებარე ნაშრომში სერგო გიორგის ძე გამდლიშვილის
საბრძოლო ცხოვრების ზოგიერთ მომენტზე და მასთან დაკავშირე-
ბულ ისტორიულ ამბებზე გვინდა შევაჩეროთ მკითხველის ყურა-
დღება.

რუსეთის პირველი რევოლუცია და ირანი

ჩვენი საუკუნის დამდეგს რუსეთის მთელი იმპერია საერთო-სახალხო განმათავისუფლებელი მოძრაობის ალმა მოიცვა. იგი მიმართული იყო მემამულურ-კაპიტალისტური რეჟიმისა და მისი პოლიტიკური მფარველის—მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. მიუხედავად იმისა, რომ ეს დიდი რევოლუციური მოძრაობა ძირითადად ბურჟუაზიულ მიზნებს ისახავდა, მან პრაქტიკულად ფართო სახალხო-დემოკრატიული ხასიათი მიიღო. მისი ძირითადი მამოძრავებელი ძალები იყვნენ საზოგადოების დაბალი, დაჩაგრული ფენები, რომლებსაც ყველაზე თანამიმდევარი რევოლუციური კლასი—რუსეთის პროლეტარიატი ჩაუდგა სათავეში. როგორც ცნობილია, ამ მოძრაობის უმაღლესი წერტილი მოსკოვის პროლეტარიატის შეიარაღებული აჯანყება იყო 1905 წლის დეკემბერში. მან ძირფესვიანად შეარყია მეფის ძირგამომპალი რეჟიმი.

რუსეთის იმპერიის ამ დიდი განმათავისუფლებელი ბრძოლის იდეები ანდამატური ძალით იზიდავდა დაჩაგრულ ხალხებს, მოძრაობაში მოჰყავდა ამ ხალხების ყველაზე დაბალი და დაბეჩავებული სოციალური ფენები. მისი ექო ფართოდ მოედო ყველა კონტინენტსა და ქვეყანას. მან გამოაღვიძა და განსაკუთრებული ძალით აამოძრავა იმპერიალიზმის კოლონიური ჩაგვრით გაძარცვული და დაბეჩავებული აღმოსავლეთის ხალხები. განმათავისუფლებელი მოძრაობის ხანძარი პირველად მეზობელ ირანს წვდა. ამ დროს ირანელი ხალხი ადგილობრივი რეაქციონერი ფეოდალ-ხანებისა და ინგლისელი, რუსი და სხვა კოლონიზატორების აღვირახსნილ ჩაგვრასა და შევიწროებას განიცდიდა¹.

ირანი მაშინ, ისევე როგორც უკანასკნელ ხანებამდე, აზიის ტიპური, ჩამორჩენილ ქვეყანას წარმოადგენდა. მის საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ყოფაში შუასაუკუნეობრივობის ტრადიციებს თვალსაჩინო ადგილი ეკავა. სოფლის მეურნეობაში, რომელიც ქვეყნის ეკო-

¹ ინგლისელი, რუსი და სხვა იმპერიალისტური ქვეყნების ინტერესები ირანში გასული საუკუნის მეორე ნახევარში და, განსაკუთრებით, XIX—XX საუკუნეთა მიჯნაზე ძლიერდება. უცხოელებმა ხელში ჩაიგდეს ქვეყნის ეკონომიკის ძირითადი დარგები 1907 წლის 31 აგვისტოს პეტერბურგში დადებული ხელშეკრულებით ინგლისმა და რუსეთმა ირანის ტერიტორია თავიანთი გავლენის სფეროებად გაინაწილეს.

ნომიკის უმთავრესი დარგი იყო. კვლავინდებურად ნახევრადფეოდალური, მომთაბარე და ნახევრად მომთაბარე ჩამორჩენილი მეტყუნება ბატონობდა². ტრადიციული წვრილი ხელოსნური და მანუფაქტურული საფეიქრო საწარმოები მოძალბებული უცხოური იაფი საფაბრიკო ნაწარმის მეტოქეობას ვერ უძლებდა და ნადგურდებოდა. სოფლისა და ქალაქის უშუალო მწარმოებლებისათვის შექმნილი იყო ცხოვრების მეტად მძიმე პირობები. ეს აიძულებდა ბევრ მათგანს ხანგრძლივი დროით დაეტოვებინათ სახლ-კარი და საშოვარზე სამშობლოს გარეთ წასულიყვნენ. ტერიტორიული სიახლოვის გამო, ისინი მეტწილად მეზობელ ამიერკავკასიასა და შუა აზიაში გამოდიოდნენ. ირანელ ლუკმა-პურის მაძიებლებს მაშინ ნახავდით აგრეთვე პეტროვკაში (მახაჩყალა), ასტრახანში, ვოლგისპირეთში, დონზე და რუსეთის იმპერიის ბევრ სხვა ქალაქსა და სოფელში. რუსეთის პირველი რევოლუციის წინ და რევოლუციის დროს მარტო ამიერკავკასიის ქალაქებსა და სოფლებში ასეული ათასობით ირანელი ლტოლვილი ეძებდა არსებობის წყაროს³. რუსეთის დიპლომატიური წარმომადგენლების ცნობით, გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული ირანიდან ამიერკავკასიაში საშოვარზე წამოსულთა რიცხვი ყოველწლიურად იზრდებოდა⁴. მათი თავმოყრის მთავარი ცენტრი მაინც ბაქოს ნავთის სარეწები იყო. ისინი მუშაობდნენ აგრეთვე თბილისისა და ერევნის გუბერნიებში. გარდა ლუკმა-პურისა, გადმოხვეწილი ირანელი მუშები აქ ეზიარებოდნენ განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეებს და რევოლუციური ბრძოლის პრაქტიკულ გამოცდილებას იძენდნენ. უკვე ამ დროისათვის ირანიდან გადმოსულ მუშათა შორის ფართო საგანმანათლებლო, პოლიტიკურ და ორგანიზაციულ მუშაობას ეწეოდა „ჰემმათის“ („ენერგია“) პარტიული ორგანიზაცია და „ეჯთიმათუნ-ე ამიიუნის“ (სოციალ-დემოკრატი) პარტიის ჯგუფები⁵.

² ირანის ექს შაჰის მოჰამედ რეზა ფეჰლევის აღიარებით, თვით ამ ოციოდე წლის წინათაც კი ხან-ხანები (ფეოდალები) მხეცურ ექსპლოატაციას უწევდნენ რაიებს (გლეხებს). ისინი მათ უკანასკნელ ლუკმას ართმევდნენ, ცემდნენ, ჰაში ფეხებით ჰკიდებდნენ, განუკითხავად სიკვდილით სჯიდნენ. იხ. მოჰამედ რეზა ფეჰლევი, თეთრი რევოლუცია, თეირანი, 1967, გვ. 40 (სპარსულ ენაზე).

³ ნ ა ზ ე მ - ო ლ - ი ს ლ ა მ ქ ე რ მ ა ნ ი, ირანელთა გამოღვიძების ისტორია, თეირანი, 1952 წ., გვ. 62 (სპარსულ ენაზე). ამ ავტორის ცნობით, იმ დროს რუსეთის იმპერიაში გადმოსული იყო და მუშაობდა ნახევარ მილიონამდე ირანელი.

⁴ В. Минорский, Движение персидских рабочих на промыслы в Закавказье. «Сборник консульских донесений Министерства иностранных дел». Вып. 3, СПб., 1905, с. 205—206.

⁵ ამის შესახებ დაწვრილებით იხ. Н. К. Белова, К вопросу о т. н. социал-демократической партии Ирана. В сб.: «Вопросы истории и литературы стран Зарубежного Востока». М., 1960; М. С. Иванов. Новые материалы о социал-демократической группе в Тавризе 1908 г. «Проблемы Востоковедения», 1959, № 5.



„ეკთიმაიუნ-ე ამმიუნის“ ერთ-ერთი პირველი ორგანიზატორი ცნობილი ირანელი მარქსისტ-ლენინელი ჰაიდარ-ხან ამუ ოლღა ლავერდიევი, რომელიც ხანგრძლივად ცხოვრობდა და მოღვაწეობდა თბილისში. აქვე მიიღო მან პირველი სერიოზული განათლება⁶. „ეკთიმაიუნ-ე ამმიუნის“ პარტიული ორგანიზაციები მუშაობდა ბაქოსა და თბილისში. მას თავისი ფილიალები ჰქონდა თეირანში, თავრიზში, მუშქედში და ჩრდილოეთი ირანის ბევრ სხვა ქალაქში⁷.

ჯერ კიდევ ჩვენი საუკუნის დამდეგს საკუთრივ ირანში განმათავისუფლებელი მოძრაობის გავრცელებას დიდად შეუწყობ ხელი კონსპირაციული მიზნით ლენინური „ისკრის“ შემოტანამ ირანის ტერიტორიაზე გამოვლით — ევროპიდან თავრიზის გზით ბაქოში, საიდანაც იგი ამიერკავკასიასა და ცენტრალური რუსეთის სხვადასხვა კუთხეში ვრცელდებოდა⁸.

მაგრამ ამ დროს ეროვნული საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის და ტრანსპორტის სუსტად განვითარების გამო, ირანის მუშათა კლასი მეტად მცირერიცხოვანი და დაქსაქსული იყო. მას ჯერ კიდევ არ შეეძლო პოლიტიკური ხელმძღვანელისა და ორგანიზატორის როლი შეესრულებინა ხალხის მასების რევოლუციურ მოძრაობაში, რამაც უკვე 1905 წლის დამლევიდან საკმაოდ ფართო გაქანებას მიადწია. ეს მოძრაობა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ ხასიათს ატარებდა. იგი მიმართული იყო ფეოდალური რეჟიმისა და უცხოელი იმპერიალისტი კოლონიზატორების მხრივ ჩაგვრის წინააღმდეგ. ირანელი ხალხის განმათავისუფლებელი მოძრაობა უმაღლეს მწვერვალზე ავიდა იმ დიდი სახალხო აჯანყების დროს, რომელიც ახალი ძალით გაიშალა ირანის აზერბაიჯანის მთავარ ქალაქ თავრიზში 1908 წლის შუახანებიდან. ეს აჯანყება თითქოს პასუხი იყო კონტრრევოლუციური გადატრიალებისა, რაც რეაქციულმა ძალებმა პოლკოვნიკ ლიახოვის მეთაურობით მოახდინეს 1908 წლის 23 ივნისს მეჯლისის (პარლამენტი) შენობის ბარბაროსული დაბომბვის შედეგად⁹. თავრიზის აჯანყებას, რაც თითქმის ათი თვე გრძელდებოდა, სათავეში ედგა ირანის აზერბაიჯანის სახალხო გმირი, ლეგენდარული სათარ-ხანი, რომელსაც რევოლუციის დაწყებამდე სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ

⁶ ვახუთი „მარდომ“ („ხალხი“), 1967 წლის სექტემბერი (სპარსულ ენაზე).
⁷ Н. К. Белова, указ. труд, с. 115.
⁸ Ленинский сборник, т. 8, с. 130, 145, 154.
⁹ ირანის რევოლუციის მთავარი მონაპოვარი კონსტიტუციის შემოღება და მეჯლისის დაარსება იყო, რაც რევოლუციის პირველ ეტაპზე — 1906 წლის აგვისტო-ოქტომბერში — იქნა მიღწეული. მაგრამ 1908 წლის 23 ივნისს რეაქციონერი მოჰამედ ალი შაჰის განკარგულებით რუსმა პოლკოვნიკმა ლიახოვმა დაბოძა მეჯლისის შენობა, გარეკა პირველი მოწვევის მეჯლისის დეპუტატები.

ბრძოლის საკმაოდ კარგი სკოლა ჰქონდა გავლილი¹⁰. რევოლუციური თავრიზის წინააღმდეგ მაშინ ამხედრდა და დაირაზმა ირანის რეაქციის ყველაზე ბნელი ძალები, რომელთა ზურგს უკან ინგლისელი და რუსი კოლონიზატორები იდგნენ. მთავრობის ჯარების ახალ-ახალი ნაკადები მოედინებოდა ირანის რეაქციის ციტადელ დედაქალაქ თეირანიდან. ისინი ყაზვინის გამოვლით თავრიზისაკენ მოემართებოდნენ, რათა ალყის და ბლოკადის მარწუხებში მოექციათ და შემდეგ სისხლში ჩაეხშოთ მებრძოლი თავრიზის თავდაცვა. იმ დროს მთელ მსოფლიოს ანცვიფრებდა შეუდრეკელი ბრძოლა თავრიზელი აჯანყებულებისა, რომლებიც გამირულად იგერიებდნენ რეაქციონერთა ძალების განუწყვეტელ იერიშებს.

ძმური მხარდაჭერა და დახმარება

ამ კრიტიკულ მომენტში თავისუფლებისათვის მებრძოლმა ირანელებმა მოუხმეს თავიანთ კლასობრივ თანამომხეებს — ამიერკავკასიელ სოციალ-დემოკრატებს, რათა დახმარების ხელი გაეწოდებინათ თავრიზელებისათვის. მალე რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ბაქოს, თბილისის და ბათუმის კომიტეტებთან შეიქმნა სპარსელი რევოლუციონერების დამხმარე ინტერნაციონალური ჯგუფები. კონსპირაციის ყველა საშუალების გამოყენებით, ისინი იარაღებსა და საბრძოლო მასალებს აწვდიდნენ თავისუფლებისათვის მებრძოლ თავრიზს. ეს ინტერნაციონალური ჯგუფები ეწეოდნენ აგრეთვე მოხალისე მებრძოლების შეგროვებასა და გაგზავნას თავრი-

¹⁰ ირანის რევოლუციის მკვლევარი გ. ს. არუთინიანი წერს, რომ სათარ-ხანი „მრავალი წლის მანძილზე მუშაობდა ამიერკავკასიის სამრეწველო ცენტრებში სამთო მუშად, ერევნის რკინიგზის მშენებლობაზე, ოსტატად აგურის ქარხანაში და აგრეთვე ბაქოს ნავთის სარეწებზე. მონაწილეობდა ამიერკავკასიის მუშათა მოძრაობაში, იყო „ჰემმათის“ სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის წევრი. იხ. Г. С. А р у т ю н я н, Иранская революция 1905—1911 гг. и большевики Закавказья, Ереван, 1956. с. 88.

სათარ-ხანის ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობის შესახებ დაწვრილებით იხ. ისმაილ ამირხიზი, აზერბაიჯანის აჯანყება და სათარ-ხანი. თეირანი, 1960 (სპარსულ ენაზე). არც ეს ავტორი, რომელიც სათარ-ხანის თანამედროვე და მისი პირადი მდივანი იყო, აგრეთვე არც სხვა წყაროები არ მიუთითებენ სათარ-ხანის ამიერკავკასიაში ცხოვრებისა და მოღვაწეობის ფაქტზე. ამის შესახებ არაფერია მოხსენიებული არც ქართულ პრესაში, რომელიც სისტემატურად აქვეყნებდა ცნობებს სათარ-ხანის ბიოგრაფიიდან. ეს გვაფიქრებინებს, რომ ვერსია სათარ-ხანის ამიერკავკასიაში მოღვაწეობის შესახებ სინამდვილეს არ უნდა შეეფერებოდეს (იხ. გ. ჭიკაშვილი, თავრიზის 1908—1909 წწ. აჯანყება და ქართული პრესა, თბ., 1979, გვ. 17—18).



ზსა და რემთში. იმდროინდელი სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიტერატურა ფართოდ აშუქებდა ფაქტებს ამიერკავკასიელი და სხვა მოძმე ხალხების წარმომადგენელთა მაღალი რევოლუციური შეგნებულების შესახებ, წერდა მათ თავდადებაზე, გამირობისა და ვაჟკაცობაზე ამ სამომ ბრძოლაში¹¹. ირანის რევოლუციური ამბების ამსახველ წყაროებში განსაკუთრებული ადგილი დაიმკვიდრეს ქართველი ხალხის გულადმა შვილებმა, რომლებმაც სახელი გაითქვეს, როგორც უშიშარმა მებრძოლებმა, ყუმბარის კეთებისა და ტყორცნის უბაღლო ოსტატებმა. ცნობილია არა ერთი და ორი მაგალითი, როცა თავრიზელ აჯანყებულთა ბელადი სათარ-ხანი ქართველ მეომრებს რეაქციონერთა ჯარებთან ბრძოლის ყველაზე კრიტიკულ და ძნელ უბნებზე იყენებდა. გამბედავმა და მამაცმა ქართველმა მებრძოლებმა, სხვა მოძმე ხალხების წარმომადგენლებთან ერთად, არაერთი ბრწყინვალე ფურცელი ჩასწერეს თავრიზის ლეგენდარული ბრძოლების გამირულ მატთანში. საყურადღებოა, რომ ამ რევოლუციური ამბების ისტორიის ირანელი ავტორი აჰმად ქასრაჯი თავრიზელი, რომელიც ცნობილია ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების რეალისტური თვალთახედვით და თავრიზის აჯანყების თანამედროვე-თვითმხილველიც იყო¹², მაღალ შეფასებას აძლევდა ქართველი მოხალისე ინტერნაციონალისტი მეომრების მონაწილეობას სათარ-ხანის მიერ გამართულ დიდ ბრძოლებში. ა. ქასრაჯის ცნობით, 1908 წლის ივლისის ბოლოს თავრიზელ აჯანყებულთათვის რეაქციის ძალებთან დახმარების გასაწევად... „თბილისის კომიტეტმა დაახლოებით 100 ქართველი მოამზადა და გაგზავნა. ისინი ირანის საზღვრამდე რკინიგზით მივიდნენ, არაქსი მალულად გადალახეს და ირანის ტერიტორიაზე გადავიდნენ. ვინაიდან აქედან თავრიზამდე 18 ფარსანგი¹³ გზა არის, და ეს გზა მთავრობის მომხმარებებს ეკავათ, ისინი იძულებული იყვნენ ფეხით გაეკლოთ უგზო ადგილები და, საბედნიეროდ, რაიმე დაბრკოლების გარეშე მიაღწიეს თავრიზს. ამ ასი ქართველიდან ყველა გულადი მეომარი იყო. ისინი კარგად იყვნენ დაუფლებულნი ბრძოლის

¹¹ ამიერკავკასიელი და, მათ შორის, ქართველი მოხალისე მებრძოლების ირანის კონსტიტუციურ მოძრაობაში — როგორც ამ რევოლუციის უწოდებენ — მონაწილეობის შესახებ საინტერესო მასალებს ვხვდებით იმდროინდელ ქართულ გაზეთებში („ალი“, „ხომლი“, „ეალი“, „იმედი“, „ამირანი“, „ჩვენი ვაზეთი“, „ახალი სხივი“, „მომავალი“ და სხვ.). ამის თაობაზე წერდა მაშინ აგრეთვე „ბაკინსკი რაბოჩი“ (6. 9. 1908 წ.) „ბაკინსკი პროლეტარი“ (20. 7. 1908 წ.), „სოციალ-დემოკრატი“ (6. 5. 1909 წ.), „რაბოჩაია გაზეტა“ (12. 11. 1910 წ.) და სხვები.

¹² ა., ქასრაჯი დაიბადა 1893 წელს. ცხოვრობდა თავრიზში. ასე, რომ თავრიზის თავდაცვის დროისათვის (1908—1909 წწ.) იგი 15—16 წლის ყმაწვილი იყო.

¹³ ფარსანგი — დაახლოებით 7 კმ.



ხერხებსა და მეთოდებს. ყოველივე ამას გარდა, ქართველებს ხელუპყრონ და ჰქონდათ ხელყუმბარების დამამზადებელი ლაბორატორია და, როგორც ვთქვით¹⁴, ხელყუმბარებს ამ ბრძოლებში ძალიან ფართოდ იყენებდნენ. საერთოდ კი, ამ გულადი ვაჟკაცების თავრიზში მოსვლამ მოჰაჰიდებს¹⁵ შორის დიდი აღფრთოვანება გამოიწვია¹⁶.

ა. ქასრავის ნაშრომში აღნიშნულია ქართველი ინტერნაციონალისტი მეომრების საგმირო საქმეების შესახებ არა მარტო თავრიზის ქუჩებში, არამედ ალვარის, ხალმასის, ხოის მიმართულებით, ჯულფის გზის განთავისუფლებისათვის და სხვა მრავალ ბრძოლაში რაჰიმ-ხანის, სამად-ხანის, შუჯა ნეზამის და სხვა რეაქციონერთა ბანდების წინააღმდეგ რომ წარმოებდა. იგი აღფრთოვანებით წერს, რომ ამ ბრძოლაში განსაკუთრებით გამოვლინდა „მოჰაჰიდების რაზმების წესრიგი და მომზადება. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ირანელებისა და კავკასიელების, ქართველებისა და სომხების ქალაქელებისა და სოფლელების წარმომადგენლებისაგან შედგებოდნენ, ერთმანეთს ძმურად და პატივისცემით ეპყრობოდნენ“¹⁷.

ქართველი რევოლუციონერების მაღალი შეგნების, ირანელი თანამომხმეებისადმი მათი თანაგრძნობის და ღრმა სიმპათიის შესახებ მოგვითხრობს თანამედროვე ირანელი ისტორიკოსი დოქტორი სალამულა ჯავიდი თავის წიგნში „ირანის კონსტიტუციური მოძრაობა და განმათავისუფლებელთა როლი“, რომელიც 1968 წელს გამოიცა თეირანში. აქ მოტანილია თავრიზის გაზეთ „მოსავათი“-დან („თანასწორო-

¹⁴ ავტორი სხვა ადგილას წერს: „ისინი (ქართველები — გ. ჯ.) ზოგჯერ ხელყუმბარას იყენებდნენ და ვინაიდან მთავრობის ჯარისკაცებს დღემდე ხელყუმბარა არ ენახათ, ძალიან ეშინოდათ მისი“. ა. ქასრავი. ირანის კონსტიტუციური მოძრაობის ისტორია, თეირანი, 1939 ტ. 3, გვ. 179 (სპარსულ ენაზე).

¹⁵ მოჰაჰიდი რწმენისათვის მებრძოლს, თავშეწირულს ნიშნავს. რევოლუციის დროს მოჰაჰიდებს რევოლუციონერებს უწოდებდნენ.

¹⁶ ა ქასრავი, დასახ. ნაშრ., გვ. 199—200.

¹⁷ ა. ქასრავი დასახ. ნაშრ., გვ. 251.

ირანელი ისტორიკოსი იზრაიმ ფახრაი წერს, რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მიერ ირანში წარგზავნილი მებრძოლები რჩეული ვაჟკაცები იყვნენ. ისინი ბომბების კეთებასა და საარტილერიო საქმეში იყვნენ დიდად დახელოვნებული. კავკასიელ მებრძოლთა შორის ის პირველ რიგში ასახელებს მიშა (აბოლონ) ჭადარიძეს და ახასიათებს მას, როგორც ბომბის კეთებისა და ტყორცის უბადლო ოსტატს. ბრადიავა (თბილისელი არტემა) ხელყუმბარებს ამზადებდა. კავკასიელ რევოლუციონერთა შორის გამოირჩეოდნენ აგრეთვე ბორდიანი (بردیان), ალექსანდრე ჩიქიფაძე (چیکیفادزه), ვალიკო ივანიძე, შალიკო დუმბაძე, ვარდანი (ვარდენი), გრიშა, მიშა გორელი (گوریلی), თირე (პეტრე ოქროყანელი), ალექსანდრე მერკვილაძე, გიგო გორელი (گوریلی), მიშა კავკასიელი და სხვები, სულ 35 კაცი. იხ. ი. ფახრაი, გილანი კონსტიტუციურ მოძრაობაში, თეირანი, 1977, გვ. 116 (სპარსულ ენაზე).



ბა“) ამოღებული საინტერესო წერილი, რომელიც პირველად ამირ ხიზმა გამოაქვეყნა თავის წიგნში „აზერბაიჯანის აჯანყება და სათარხანი“ (თეირანი, 1960 წ.). წერილის ავტორი წერს, რომ 1809 წლის ივნისში, მეჯლისის შენობის დაბომბვის შემდეგ, „როგორც იქნა მთავრობის მოხელეების დევნას თავი დავაღწიე და ემიგრაციაში წავიქცედი რუსეთის სახელმწიფოს ტერიტორიაზე. ერთ დღეს თბილისის ერთ-ერთ სასტუმროში ჩემს ნომერში ვიჯექი დანადვლიანებული. საკუთარი წარსულისა და მომავლის ფიქრებმა გამიტაცა... მოულოდნელად გაიღო კარი და ჩემთან სამი კაცი შემოვიდა. თითქოს რაღაც დაკარგული ნახაო, ერთმა მათგანმა პირდაპირ მე მომმართა და მკითხა: „რა იცით ირანის თავისუფალი პარლამენტის შესახებ?“ მე ვუთხარი, თქვენ რა საქმე გაქვთ მეთქი ირანის თავისუფლებასთან. მას გაუკვირდა და მითხრა: „ნუთუ მე ადამიანის მოდგმისა არა ვარ. დაჩაგრულის დაცვა - ხომ ყველა ადამიანის მოვალეობაა. გთხოვთ, რაც კი იცით ირანისა და ირანელების ამბავი დაწვრილებით გვიამბეთო. სინდისი არ გვაძლევს ნებას, რომ ჩვენნი ირანელები ტირანისა და თვითმპყრობელობის წამება-ტყვეობაში იმყოფებოდნენ, ჩვენ კი მშვიდად ვიჯდეთო.“

მე ვუთამბე მომხდარი ამბების შესახებ. ამან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და აღაშფოთა ისინი.

ამ დროს რაღაც მწუხარე ხმა შემომესმა. კარი გაიღო და ჩვენთან შემოვიდა ქალი, რომლის გარეგნობა მის კეთილშობილებაზე მეტყველებდა. ეს ქალი ჩემი თანამოსაუბრეთაგან ერთ-ერთის მეუღლე აღმოჩნდა. შევნიშნე, რომ მას თვალეში ცრემლები მოწოლოდა. მან თავის მეუღლესა და მე თხოვნა-მუდარა დაგვიწყო, რათა ნება მიგვეცა, რომ ისიც ირანში წასულიყო და სიცოცხლე გაეწირა თავისუფლებისათვის ბრძოლის წმინდა მიზნის მიღწევის გზაზე. ქმარი თანახმა იყო. მაგრამ მე მისი ირანში წაყვანა მიზანშეწონილად არ მიმაჩნდა. დიდი დრო დამჭირდა იმისათვის, რათა უარი მეთქმე-ვინებინა მისთვის ირანში წასვლის განზრახვაზე.

მე მაშინ ჩემთვის გულში ვთქვი: ღმერთო ჩემო, ო, რა კარგი იქნებოდა, რომ ჩვენებიც ასეთსავე საკაცობრიო სიყვარულისა და შეგობრობის იდეალებს შეიძენდნენ მეთქი“¹⁸.

ამიერკავკასიელ და, მათ შორის, ქართველ მოხალისე მეომართა ირანის რევოლუციაში მონაწილეობის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდიან აგრეთვე სხვა ირანელი ავტორები: ი. ამირხიზი, მ. ვიჯუიე,

¹⁸ სალამულა ჯაფიდი, ირანის კონსტიტუციური მოძრაობა და განმათავისუფლებელთა როლი, თეირანი, 1968, გვ. 80—81 (სპარსულ ენაზე).



ი. საფაი, ქ. თაჰერზადე ბეჰზადი, მ. ჰარაეი და სხვები¹⁹ მათი თავისი დადებისა და გამბედაობას აღიარებდნენ მაშინ რუსეთის დიპლომატიური წარმომადგენლები და ინგლისელი მეთვალყურე-დამკვირვებლები ინგლისელთა ცნობილ „ცისფერ“ და „თეთრ წიგნებში“ გამოქვეყნებულ მასალებში²⁰.

ჩვენმა სახელოვანმა თანამემამულეებმა არანაკლები როლი შეასრულეს გილანის პროვინციაში გამართულ რევოლუციურ ბრძოლებში, რეშთის აჯანყების დროს, მენჯილში, ამბოში და სხვა პუნქტებში რეაქციონერთა ძალების დამარცხებაში, ყაზვინის აღებასა და თეირანზე ლაშქრობაში, რაც 1908 წლის ბოლოდან 1909 წლის შუა ზაფხულამდე გრძელდებოდა.

1908 წლის ოქტომბრის დამდეგს თბილისიდან და ბაქოდან გილანის პროვინციის მთავარ ქალაქ რეშთში გაიგზავნა ამიერკავკასიელ მებრძოლთა ჯგუფი, რომელშიც უმრავლესობას ქართველები შეადგენდნენ²¹. ინტერნაციონალისტ მებრძოლთა ამ ჯგუფის წინაშე იდგა ამოცანა—აეღოთ რეშთი და რეაქციონერთა ძალებისაგან გაერთავისუფლებინათ გილანის პროვინცია, აქედან გაელაშქრათ ყაზვინზე და ამ ქალაქის ალებით გზა მოეპრათ შაჰის მთავრობის ჯარებისათვის, რომლებიც თავრიზელ აჯანყებულთა წინააღმდეგ მოეშურებოდნენ. აჯანყებულ თავრიზზე რეშთის მხრიდან დახმარების აუცილებლობა იმითაც იყო ნაკარნახევი, რომ მეფის რუსეთის შავრაზმული მთავრობა ირანის აზერბაიჯანში ჯარების შესაყვანად ემზადებოდა, რათა მხარი დაეჭირა შაჰის შეფერთხილი ძალებისათვის და საერთო ძალით დაემარცხებინათ თავრიზელები.

¹⁹ ი. ა მ ი რ ხ ი ზ ი, აზერბაიჯანის აჯანყება და სათარ-ხანი, თავრიზი, 1960 (სპარსულ ენაზე); ი. საფაი, კონსტიტუციური მოძრაობის ბელადები, თეირანი 1965, (სპარსულ ენაზე); ქ. თაჰერზადე ბეჰზადი, აზერბაიჯანის აჯანყება და ირანის კონსტიტუციური მოძრაობა, თეირანი, 1964 (სპარსულ ენაზე); მ. ჰარაეი, კონსტიტუციური მოძრაობის წარმოშობა ირანში, მეშველი, 1952 (სპარსულ ენაზე).

²⁰ White book, Persia 1908—1909; Blue book, Persia, 1908—1912.

²¹ С. М. Алиев, К вопросу о связях бакинского и тифлисского комитетов РСДРП с иранскими революционерами в 1903—1905 гг. В кн.: «Славные традиции борьбы и победы», Баку, 1965, с. 206.

ირანელი ავტორი ქარიმ ქეშავარზი მალალ შეფასებას აძლევს რუსი და ამიერკავკასიელი სოციალ-დემოკრატების მონაწილეობას ირანის რევოლუციაში. იგი წერს: „რუსეთისა და კავკასიელთა რევოლუციონერებმა 1905 წელს მძიმე მარცხი აგემეს ცარიზმის მტლავრ ძალებს, რომელიც იმ დროს საერთაშორისო ყანდარმის როლს ასრულებდა. მათ ირანის თვითმპყრობელობის საწინააღმდეგო მოძრაობაში მონაწილეობა მიიღეს, ვინაიდან მოჰამედ ალი შაჰი (მირზა) ყაჯარი მათი მტრის — მეფის რუსეთის მეგობარი იყო. ისინი მის (შაჰის) დასუსტებას მეფის წინააღმდეგ საკუთარი ბრძოლის ძირითად შემადგენელ ნაწილად მიიჩნევდნენ“.

იხ. ქ. ქ ა შ ა ვ ა რ ზ ი, გილანი, თეირანი, 1977, გვ. 54 (სპარსულ ენაზე).



ორი ქვეყნის გაბატონებული, ექსპლუატატორული კლასების რეპრეზენტაციულ ბლოკს მკვეთრად დაუპირისპირდა ამ ქვეყნების დაჩაგრული საზოგადოებრივი ფენების რევოლუციური, ინტერნაციონალური ძმობა და სოლიდარობა. „მოსალოდნელია სპარსელი რევოლუციონერების ახალი ხოცვა-ჟლეტა ნიკოლოზ პირსისხლიანის ჯარების მიერ. — წერდა მაშინ ვ. ი. ლენინი — არათეციკალურ ლიანოვს მოსდევს აზერბაიჯანის ოფიციალური ოკუპაცია და იმის განმეორება აზიაში, რაც მოიმოქმედა რუსეთმა ევროპაში 1849 წელს, როდესაც ნიკოლოზ I ჯარებს გზავნიდა უნგრეთის რევოლუციის წინააღმდეგ... გვირგვინოსანი ავჯაკების და საერთაშორისო კაპიტალის ამ გაერთიანებული ძალის დამხობა მხოლოდ პროლეტარიატის მსოფლიო რევოლუციას შეუძლია“²². — დასკვნითა იგი.

ადგილობრივი რევოლუციონერებისა და ამიერკავკასიელი მოხალისე ინტერნაციონალისტი მეომრების მონაწილეობით რეშთიყაზვინი-თეირანის თითქმის ორასდღიანი ისტორიული ლაშქრობის ცალკეული მომენტების დახასიათება-აღწერა გაბნეულია სპარსულენოვან და სხვა ისტორიულ წყაროებსა და ლიტერატურაში. ამის შესახებ სათანადო ცნობებია დაცული აგრეთვე მეფის რუსეთის დროინდელი საგარეო პოლიტიკის ამსახველ საარქივო და პრესის მასალებში. მაგრამ, დაბეჭდვებით შეიძლება ითქვას, რომ უშუალო მონაწილისა და თვითმხილველის მიერ შედგენილი გაბმული თხრობა ამ ამბების შესახებ არც სპარსულ და არც უცხოურ მატია-ნებში დღემდე არ მოიძებნება²³. ამ რიგის უცხოურ ლიტერატურაში უმეტესად ცალკეულ, ზოგჯერ არაარსებით ამბებზე არის გამახვილებული ყურადღება, ფაქტები და მოვლენები ხშირად განხილულია ტენდენციურად და ამდენად ობიექტურობას არის მოკლებული²⁴.

²² ვ. ი. ლენინი, თხზ., მე-4 გამოც., ტ. 15, გვ. 269—270.

²³ ამასვე ადასტურებს თანამედროვე ირანელი ავტორი იბრაჰიმ ფახრაიცი, რომელიც საჯანგებოდ ეხება ამ ფაქტს. იგი წერს, რომ რეშთის აჯანყებისა და გილანის პროვინციის შაჰის მომხრე რეაქციონერებისაგან განთავისუფლების ისტორია დღემდე სათანადოდ არ არის შესწავლილი. ი. ფახრაის თქმით, „ამ ისტორიული მოძრაობის ბევრი ჭეშმარიტება ჯერჯერობით ფარდის იქით არის მიჩქმალული და ჩვენი დროის ადამიანებმა მათ შესახებ არსებითად არაფერი იციან. დროდარბო თუმცა გამოჩნდება ხოლმე საიმედო ისტორიული დოკუმენტები და წერილები, რომლებიც რამდენადმე ნათელს ჰფენს ქვეყნის წარსულის ამა თუ იმ ამბავსა და მოვლენას, მაგრამ მათში კონსტიტუციური რევოლუციის წინსვლაში გილანის როლის შესახებ ან არაფერია ნათქვამი, ანდა ზოგი რამ მხოლოდ მოკლედ არის აღნიშნული“. ი. ფ ა ხ რ ა ი, გილანი კონსტიტუციურ მოძრაობაში, თეირანი, 1977, გვ. 8 (სპარსულ ენაზე).

²⁴ ეს ამბები, სხვადასხვა წყაროების დამოწმებით, შესწავლილი აქვს ა. ქასრაგის წიგნში „აზერბაიჯანის თვრამეტწლიანი ისტორია“, რომელიც 1967 წელს მეოთხედ გა-

მით უფრო საინტერესოა და ყურადღებას იპყრობს ქართულ ლეგალურ სოციალურ-დემოკრატიული მიმართულების გაზეთ „ახალი სხივის“ 1910 წლის თებერვლისა და მარტის 10 ნომერში გამოქვეყნებული ირანის რევოლუციის აქტიური მონაწილის საბრძოლო დღიურები „სპარსეთის მოძრაობის ისტორიიდან“, რომელსაც კონსპირაციის მიზნით ავტორი „გურჯი სერგოს“ სახელით აწერდა ხელს²⁵. დღიურების ტექსტი საკმაოდ ვრცელია. იგი იბეჭდებოდა გაგრძელებების სახით და დაახლოებით 19 საგაზეთო ქვედურას მოიცავს. ისტორიული ამბების განვითარების ქრონოლოგიური თანამიმდევრობის ზუსტად დაცვითა და დღიურების სახით შედგენილ, განმათავისუფლებელი საბრძოლო ცხოვრების ამსახველ ამ მატრიანში დაწვრილებით არის აღწერილი და გადმოცემული ამიერკავკასიიდან გადასული სხვადასხვა ერის წარმომადგენელი (მათ შორის ბევრი ქართველი) რევოლუციონერის მიერ გადახდილი ბრძოლების ხანგრძლივი, ძნელი და გრძელი გზა რეშიტიდან დედაქალაქ თეირანამდე, რაც 1908 წლის ნოემბრიდან 1909 წლის შუა ივლისამდე გრძელდებოდა. დღიურების დიდი შემეცნებითი და პრაქტიკული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ავტორმა სხვა რუს, ქართველ, აზერბაიჯანელ, ებრაელ, სომეხ, გერმანელ და სპარსელ მებრძოლ მეგობრებთან ერთად საკუთარი მხრებით ზიდა ამ ისტორიული ლაშქრობის რთულ გზაზე გადახდილი ბრძოლების ყველა სიმძიმე, განიცადა მებრძოლი ამხანაგების მტერთან უთანასწორო შერკინებაში დაღუპვით გამოწვეული დიდი მწუხარება, თუ რეაქციონერთა ძალებზე გამარჯვების შედეგად მიღებული კმაყოფილება და სიხარული. ამ დღიურებს თანამად შეიძლება მიენიჭოს მოძმე ირანელი ხალხის ანტიიმპერიალისტური და კანტიფეოდალური განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პერიოდის მატრიანისა და პირველწყაროს მნიშვნელობა. სამწუხაროდ, ეს დოკუმენტი სპეციალისტების

შიცა თეირანში. ავტორი ამ ამბების თვითმხილველთაგან ასახელებს ერთ ინგლისელ კორესპონდენტს (შესაძლებელია ავტორს ფრეზერი ყავს მხედველობაში), რომელიც, როგორც მის ყურნალისტურ სტილს შეეფერება, ბუნდოვანი წინადადებით აგებს თხრობასო (იხ. ა. ქასრავეი, დასახ. ნაშრ., გვ. 22). ამის შესახებ მოვონებები ჰქონია ჰასან ფირინიას (მირზა ჰოსეინ ჰაით ფიშინი), რომელიც 40-იანი წლებში თეირანში ცხოვრობდა (იქვე, გვ. 24). აქვეა მოხსენებული აგრეთვე ეფრემ-ხანის ერთი თანამგზავრი, რომელსაც აგრეთვე მოვონებები დაუწერია, მაგრამ ა. ქასრავეი მას საიშედოდ არ მიიჩნევს და არ ენდობა (იქვე).

²⁵ იხ. გაზეთი „ახალი სხივი“, 1910 წლის №№ 3, 6, 8, 9, 11, 14, 17, 24, 28, 35.

მიერ დღემდე სათანადოდ არ არის შესწავლილი და გამომზეურებული არა თუ საბჭოურ, საერთოდ, არამედ თვით ქართულ საბჭოთა ნისტიკაშიც კი.

რაოდენ დასანანია, რომ დიდხანს დაუდგენელი რჩებოდა ამ დღიურების ნამდვილი ავტორის — „გურჯი სერგოს“ თვით ვინაობაც. საბჭოთა ისტორიკოს მკვლევარების და ჟურნალისტების ერთ ნაწილს, რომლებიც ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწის გრიგოლ (სერგო) კონსტანტინეს ძე ორჯონიკიძის ბიოგრაფიით და, კერძოდ, მისი ირანში ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობის საკითხებით იყვნენ დაინტერესებული, საეჭვოდაც არ მიაჩნდა, რომ ამ დღიურების ავტორი სერგო ორჯონიკიძე იყო. ისინი, ეტყობა, შეცდომაში შეყავდა იმას, რომ, ჯერ ერთი, ირანის რევოლუციის პერიოდში, მართლაც, სერგო ორჯონიკიძე თითქმის ერთ წელიწადს ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ირანში, უპირატესად გილანის პროვინციის მთავარ ქალაქ რეშთში. მეორე, სერგო ორჯონიკიძე ირანში რევოლუციურ, საგანმანათლებლო და პოლიტიკურ მოღვაწეობასთან ერთად ჟურნალისტურ საქმიანობასაც ეწეოდა — თანამშრომლობდა იმდროინდელ ქართულ სოციალ-დემოკრატიულ პრესაში, როგორც საკუთარი კორესპონდენტი. მესამეც, იგი ატარებდა „სერგოს“ პარტიულ მეტსახელს და ყველა მის წერილსა და კორესპონდენციას „სერგოს“ სახელით აქვეყნებდა. მაგრამ ეს ავტორები სერგო ორჯონიკიძის ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობის საკითხებს რომ სწავლობდნენ, სამწუხაროდ, მხედველობის გარეშე სტოვებდნენ მთავარ და ძირითად მომენტს: ქრონოლოგიურად, დროის მიხედვით, ემთხვევა თუ არა სერგო ორჯონიკიძის ირანში მოღვაწეობის პერიოდი იმ ისტორიულ ამბებს, რაც ზემოდასახელებულ დღიურებში არის აღწერილი და გადმოცემული. წერილში „ვინ იყო გურჯი სერგო“, რომელიც 1969 წლის ოქტომბერში ქართულ პოპულარულ ჟურნალ „დროშაში“ დაისტამბა, ჩვენ შევეცადეთ, რათა სათანადო დამაჯერებელი არგუმენტაციის მოშველიებით გვეჩვენებინა, რომ სერგო ორჯონიკიძე არ შეიძლებოდა ყოფილიყო ამ დღიურების ავტორი იმ უბრალო და იოლად გასაგები გარემოებისა გამო, რომ მას დღიურებში აღწერილ ამბებში არ მიუღია მონაწილეობა. იგი ირანში ჩავიდა გვიან, როცა აღნიშნული ამბები უკვე დიდი ხნის მომხდარი და ჩავლილი იყო²⁶.

ჩვენ საჭიროდ მივიჩინეთ კვლავ დაეუბრუნდეთ ამ საკითხს და პატივცემულ მკითხველს უფრო დაწვრილებით ვაუწყებთ საქმის

²⁶ ი. ხ. გ. ჭიბაშვილი, ვინ იყო „გურჯი სერგო“, ჟურნალი „დროშა“, 1969, № 10, გვ. 4—6.

ნამდვილ გარემოებას, რათა მეტი გარკვეულობა და სინათლე შეე-
ტანოთ მასში, ვინაიდან სპეციალურ ლიტერატურაში კვლავ უსაყდნოდ
მიიჩნეეს ეს უდაო ჭეშმარიტება. დავიწყებთ იმით, რომ ჯერ კიდევ
1966 წელს გამოქვეყნდა პატივცემულ ა. კელენჯერიძის ნაშრომი
„სერგო ორჯონიკიძე — ჟერნალისტი“. როგორც სათაურიდან ჩანს,
ავტორს დაუსახავს ფრიად საპატიო ამოცანა — გამოეკვლია სერგო
ორჯონიკიძის მოღვაწეობის ადრეული, ჩვენს ლიტერატურაში ჯერ
კიდევ არასაკმაოდ შესწავლილი ჟურნალისტური და ინტერნაციონა-
ლური მოღვაწეობის პერიოდი²⁷. თავისი შრომის დასაწყისში პატივ-
ცემული ავტორი განიხილავს სერგო ორჯონიკიძის წერილებისა და
კორესპონდენციების ნიმუშებს, რომლებიც გამოქვეყნებული იყო
ქართულ რევოლუციურ პრესაში (გაზეთებში: „ლამპარი“ და „ტალ-
ლა“), სადაც ჯერ კიდევ ახალგაზრდა მარქსისტ-ლენინელი დამწყე-
ბი პუბლიცისტი რევოლუციონერის კალმით დაუზოგავად ამხელს
ადგილობრივ ლიბერალ მოხელეებს, რომლებიც ძალ-ღონეს არ
იშურებდნენ იმისათვის, რათა შეცდომაში შეეყვანათ ხალხის რევო-
ლუციური მასები 1905 წლის 17 ოქტომბერს მეფის მიერ გამოცე-
მულ მანიფესტის ვითომდა ჰუმანურობის ქადაგებით და შემდეგ
გადასულიყვნენ შეტევაზე მათ წინააღმდეგ. ერთ-ერთ წერილში ლა-
პარაკია სერგო ორჯონიკიძის მშობლიურ სოფელ ღორეშაში „მოთა-
რეშე მოსახლეობის ადგილობრივ მძარცველთა“ შესახებ. მასში
სერგო იტყობინება, რომ საყოველთაო განუკითხაობის პირობებში
ისინი იტაცებდნენ სოფელში ყველაფერს, რისი წაღებაც კი შეე-
ძლოთ.

პატივცემულ ა. კელენჯერიძის ნაშრომის ნაწილი მიძღვნილია
სერგო ორჯონიკიძის ჟურნალისტური მოღვაწეობისადმი ირანში,
სადაც, როგორც ცნობილია, იგი მჩქეფარე რევოლუციურ მოღვა-
წეობას ეწეოდა 1909 წლის შემოდგომიდან 1910 წლის შემოდგომამ-
დე, ე. ი. დაახლოებით ერთი წელი²⁸. სერგო ორჯონიკიძის ირანში
ყოფნის დროს, 1910 წელს სოციალ-დემოკრატიული მიმართულების
ქართულ ლეგარულ პრესაში — „სხივში“, „ახალ სხივში“, „ჩვენს
გაზეთში“, „მომავალში“ და სხვა ხშირად ქვეყნდებოდა მისი შინაარ-
სიანი წერილები და კორესპონდენციები „სერგო კლდისძირელისა“
და „სერგო კლდისპირელის“²⁹ ფსევდონიმით. ეს წერილები და

²⁷ ა. კელენჯერიძე, სერგო ორჯონიკიძე — ჟურნალისტი, თბ., 1966.

²⁸ В. С. Кириллов и А. Я. Свердлов. Г. К. Орджоникидзе, Биография, М., 1962, с. 40.

²⁹ „კლდისძირი“ და „კლდისპირი“ ეწოდება იმ ადგილებს სოფელ ღორეშაში, რომელთა მახლობლად დაიბადა და ბავშვობის ადრეული წლები გაატარა სერგო ორჯონიკიძემ.

სტატიები იბეჭდებოდა „ჩვენი საკუთარი კორესპონდენტის“ სახელით რუბრიკის ქვეშ: „წერილი რეშიდან“ ან „წერილი სპარსეთიდან“. მათი ანალიზი მოწმობს, რომ ისინი წარმოადგენს ღრმად გააზრებულ მგზნებარე პოლიტიკურ პამფლეტებს. მათში განხილულია იმდროინდელი ირანის ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური მდგომარეობა. გამომწიურებულია ირანის მიმართ იმპერიალისტური ქვეყნების მძარცველური, კოლონიური პოლიტიკა, ლაპარაკია იმის შესახებ, რომ ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრის მთავარი წყაროები და თვით მთელი საბაჟოებიც კი უცხოელი კაპიტალისტების ხელთაა. ქვეყანაში არსებული წვრილი და კუსტარული სახელოსნოები და სამრეწველო საწარმოები დაცემის პირას იდგა და ერთი-მეორეზე ნადგურდებოდა. სახელმწიფო, რომელიც მწვავედ განიცდიდა მატერიალურ ფინანსურ სიძნელეებს, უცხოური სესხების მარწმუნებში იყო მოქცეული. აღწერილია ხალხის მასების უკიდურესი სიღატაკე და უმეცრება. ლაპარაკია სკოლებისა და სამედიცინო დაწესებულებების შესახებ, რომლებიც მინიმალურადაც ვერ უზრუნველყოფდა მოსახლეობის მოთხოვნილებას. მოცემულია ახალგაზრდა ბურჟუაზიული პარტიებისა და მეკლისის (პარლამენტი) საქმიანობის დახასიათება და სხვა.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სერგო ორჯონიკიძის ირანიდან გამოგზავნილ წერილებში (ეტყობა კონსპირაციის მიზნით) არ მოიპოვება ცნობები ამიერკავკასიელი (ქართველი) ინტერნაციონალისტი რევოლუციონერებისა და რევოლუციურ ბრძოლებში მათი მონაწილეობის შესახებ.

ამ წერილების განხილვისას, რომლებიც უდაოდ და უეჭველად გრიგოლ (სერგო) კონსტანტინეს ძე ორჯონიკიძის კალამს ეკუთვნის, სამწუხაროდ პატივცემული ანტონ კელენჯერიძე თავის ხსენებულ ნაშრომში უშვებს სერგოს რევოლუციურ და ჟურნალისტურ მოღვაწეობასთან დაკავშირებული ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების დამახინჯებებს. ამასთან, ხელაღებითა და უსაფუძვლოდ მიაწერს მას გაზეთ „ახალ სხივში“ გამოქვეყნებულ „გურჯი სერგოს“ ზემოდასახელებულ დღიურებს „სპარსეთის მოძრაობის ისტორიიდან“. ა. კელენჯერიძის ნაშრომში განხილულია ამ დღიურების შინაარსი, რასაც მოსდევს მტკიცება იმის შესახებ, რომ თითქოს იგი სერგო ორჯონიკიძის კალამს ეკუთვნოდეს³⁰. ა. კელენჯერიძის ნაშრომის რუსულ გამოცემას დართული აქვს ამ დღიურების ტექსტი მცირეოდენი შემოკლებით. იგი მიჩნეულია, როგორც სერგო ორჯონიკიძის ჟურნალისტური მოღვაწეობის ნიმუში(?)³¹.

³⁰ ა. კელენჯერიძე, დასახ. ნაშრომ., გვ. 5, 47—75.

³¹ А. Келенджеридзе, Серго Орджоникидзе — журналист, Тбилиси, 1969.

ზემოთ უკვე ითქვა, რომ სერგო ორჯონიკიძის არ შეეძლო ამ დღიურების დაწერა, ვინაიდან მათში აღწერილი საბრძოლო მსვლელობის დროს იგი ირანში საერთოდ არ იმყოფებოდა. ამ დროს იგი მეფის ოხრანკამ დააპატიმრა და ჯერ იჯდა ბაქოს, ბათუმის, სოხუმის, ქუთაისის ციხეებში, ხოლო შემდეგ გადასახლეს შორეულ ციმბირში — ანგარაზე. იყო სოფლებში პატოსკუესა და მოტიგინოში, ხოლო იქიდან გამოქცევის შემდეგ, 1909 წლის აგვისტოს ბოლოს ბაქოში ჩამოვიდა. ბაქოდან იგი ირანში მიემგზავრება ამავე წლის შემოდგომაზე³². ბუნებრივია, რომ დასახლებული ნაშრომი არაფრით არ შეიძლება ყოფილიყო სერგო ორჯონიკიძის ირანში მოღვაწეობის ამსახველი დღიურები. აქ, როგორც პატივცემული ანტონი გვათავაზობს აზრს, შეიძლება დაგვეშვა სხვა გარემოება და გვეფიქრა, რომ სერგო ორჯონიკიძის დაწერა არა დღიურები, არამედ ნარკვევი მეორე პირის (ამ ამბების უშუალო მონაწილის) მონათხრობის მიხედვით. მაგრამ ამ შემთხვევაშიც კი, ჯერ ერთი, მისთვის არ შეიძლებოდა გვეწოდებინა აღწერილი საბრძოლო ეპიზოდების უშუალო მონაწილის დღიურები, რაზეც ხაზგასმით მიუთითებდა გაზეთ „ახალი სხივის“ რედაქცია³³ და, მეორეც, თუ კი მაინც ეს ასე იქნებოდა, მაშინ ავტორს თხრობა უნდა გაემართა არა პირველი, არამედ მესამე პირით. დღიურებში კი, ცალკეულ შემთხვევებში თხრობა პირველი პირით წარმოებს. მაგალითად, რეშ-

³² სერგო ორჯონიკიძის ბიოგრაფიაში ვკითხულობთ, რომ იგი დააპატიმრეს ბაქოში 1907 წლის 3 ნოემბერს, გასამართლეს 1908 წლის 27 მარტს და მიუსაჯეს მუდმივი გადასახლება. 1908 წლის 12 ივლისს ეტაპით გადაიყვანეს ბათუმში, ხოლო აქედან სოხუმში, სადაც კვლავ გასამართლეს 1908 წლის ოქტომბერში. დამატებით მიუსაჯეს 8 თვის ციხე. იჯდა ქუთაისის ციხეში 1909 წლის თებერვლამდე. აქედან იგი მუდმივ გადასახლების ადგილზე იქნა გაგზავნილი. 1909 წლის მაისის ბოლოს სერგო ანგარის პირას, სოფელ პატოსკუესა. ცოტა ხნის შემდეგ გადადის სოფელ მოტიგინოში, ქ. რიბნოდან 12 კმ-ზე. 1909 წლის აგვისტოს ბოლოს სერგო გადასახლებიდან გამოიქცა. ჩამოდის ბაქოში. ამავე წლის შემოდგომაზე ამიერკავკასიელ რევოლუციონერთა ჯგუფთან ერთად იგი ირანში მიემგზავრება, იხ. В. С. Кириллов и А. Я. Свердлов, Указ. труд, с. 31, 33, 35, 38, 40.

³³ გაზეთ „ახალი სხივის“ რედაქცია 1910 წლის 6 თებერვლის ნომერში, როცა „გურჯი სერგოს“ დღიურების გამოქვეყნებას შეუდგა, თავის შენიშვნაში შემდეგს წერდა: „ვებმდავთ ამ წერილებს უცვლელად. მისი ავტორი — გურჯი სერგო — ერთი აქტიური მონაწილე თავანია სპარსეთის რევოლუციისა. თვით წერილებს, როგორც მკითხველი დანახავს, მებრძოლის დღიურის ხასიათი აქვს: აღწერილია თითქმის ყველა ის ამბავი, რაც თვითონ ავტორს უნახავს ან მათში მონაწილეობა მიუღია“. (ხაზი ჩვენია — გ. ქ.). მკითხველი ადვილად მიხვდება, რომ სერგო ორჯონიკიძის არ შეეძლო თვითონ „ენახა“ ეს ამბავი ან „მათში მონაწილეობა მიეღო“ იმის გამო, რომ იგი ამ დროს ირანში, როგორც ითქვა, საერთოდ არ იმყოფებოდა.

თის აჯანყების შემდეგ, 1909 წლის თებერვალში რევოლუციონერები პირველად შეხვდნენ შაჰის მთავრობის ოპოზიციაში მყოფ ვილანელ ფეოდალ სეფაჰდარს, რომელიც თონეჩაბუნიდან რეშთში მოიწვიეს აჯანყებულებისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად. ამასთან დაკავშირებით დღიურებში ვკითხულობთ:

„ორი კარგად შეიარაღებული და გამოწყობილი ქართველი წარუდგინეს სეფაჰდარს...

შემდეგ მე და კიდევ ერთი ქართველი მიგვიწვიეს მდიდრულად მორთულ სასახლეში. ხუთი-ექვსი მოლაც სეფაჰდარს ელოდებოდა და, როდესაც მათ ჩვენი თავისუფალი ქცევა დაინახეს, მეტადრე მაშინ, როდესაც ჩვენ, ორივემ ნება დაურთველად მოვიკალათეთ ძვირფას სანდლებზე, მათ სიცილი აუტყდათ და გაკვირვებით დაგვიწყეს ცქერა.

არ გასულა სულ ათი წუთი, რომ გაიღო დარბაზის კარები და ჩვენსკენ წელი ნაბიჯით გამოსწია 60—65 წლის მოხუცმა, მის გამოსვლაზე ყველა ფეხზე წამოხტა და ჩვენც ასე მოვიქცეთ. მოლებმა გულხელი დაიკრიფეს და თავები დახარეს. მოლებს მიჰბაძეს სეფაჰდარის იქვე მდგომმა შეიარაღებულმა მცველებმა და რალაცა წაიბუტბუტეს. ეს მოხუცი სეფაჰდარი იყო. სეფაჰდარი მოგვიახლოვდა და თავჩაქიდული, თითქოს გამწყრალიაო, სალამი მოგვცა. მისალმების შემდეგ შეგვეკითხათათრული ან ფარსული ხომ არ იცითო და როდესაც გაიგო, რომ ჩვენ ქართული და რუსული ენების მეტი არაფერი ვიცოდით, თავი გადაიქნია და გვერდშექცეულმა გვითხრა „ხუბ ნისთ“ („კარგი არ არისო“). ჩვენ მალე დავბრუნდით“³⁴.

შემდეგ, სეფაჰდართან შეხვედრაზე მიღებულ შთაბეჭდილებას რომ გადმოსცემს, დღიურების ავტორი დასძენს:

„სეფაჰდარის შეხედულება არცერთს არ მოგვეწონა. შუა ტანისა, ცოტა წელში მოხრილი, მოთეთრო ხელები, ხანური მდიდური მიხვრა-მოხვრა — რალაც სიძულვილს იწვევდა ჩვენში და როდესაც კარში გამოვედით, ჩემმა ამხანაგმა გულნატკენი ხმით მითხრა: „არა ძმაო, ეგ კაი კაცი არ უნდა იყოს. მაგის შეხედულება იოანე მრისხანეს მაგონებსო“³⁵.

აი, კიდევ სხვა მაგალითი.

დღიურებში მოთხრობილია ვილანელთა რაზმებისა და ამიერკავკასიელი რევოლუციონერების თეირანის მისადგომებზე ბახთიართა მხედრებთან პირველი შეხვედრების შესახებ 1909 წლის ივნისის ბოლოს. ერთი ასეთი შეხვედრის თაობაზე ავტორი წერს:

³⁴ „ახალი სხივი“, № 8, 1910 წლის 12 თებერვალი.
³⁵ იქვე.



„სტეფანდარმაც გვიჩოცა ყველანი შევეერთებეთ ყავით და შუაქაცობა გვანდეს მე და მამედ-ალის (ყარაბაღელია). ის იყო გავცდით სოფელს, რომ სოფელ ბაღამეჭიდან, რომელიც მხოლოდ ერთი ვერსით არის დაშორებული დემოვიზზე, იქუხა მტრის ზარბაზანმა“³⁶ ხაზი აქ და ყველგან ჩვენია — გ. ჭ.).

ასეთი მაგალითების მოტანა ბევრი სხვაც შეიძლება. ამრიგად, ჩვენი ღრმა რწმენით, „გურჯი სერგოს“ დღიურებიდან ცალკეული ადგილების დამოწმების საფუძველზე, აგრეთვე სხვა შემომინიშნებული ფაქტებით, ნათელი ხდება, რომ მისი ავტორი აუცილებლად უნდა ყოფილიყო მხოლოდ ყველა მოხსენებული ისტორიული ფაქტისა და მოვლენის თვითმხილველი, მათი უშუალო და აქტიური მონაწილე, და რომ გრიგოლ (სერგო) კონსტანტინეს ძე ორჯონიკიძეს, რომელიც იმ დროს ირანში არ იმყოფებოდა და პირადად არ მიუღია მონაწილეობა დღიურებში აღწერილ მოვლენებში, არ შეეძლო მოცემული ნაშრომის ავტორი ყოფილიყო.

მაგრამ, სამწუხაროდ, გაოცებას იწვევს ის გარემოება, რომ პატივცემული ა. კელენჯერიძე თავის ნაშრომში რეალური ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების გვერდის ავლით და ზოგჯერ დამახინჯებით ცდილობს არარსებული სინამდვილედ წარმოსახოს და სერგო კონსტანტინეს ძე ორჯონიკიძე გამოაცხადოს იმ ისტორიული ამბების უშუალო და პირად მონაწილედ, რომლებიც, როგორც აღნიშნული იყო, მიმდინარეობდა ირანში მის ჩასვლამდე.

ასე, მაგალითად, ის წერს:

„მაშინ, როცა მეფის ჯარები აზერბაიჯანში იბრძოდნენ, აჯანყებამ გილანში იფეთქა. გილანელმა რევოლუციონერებმა 1909 წლის 8 თებერვალს აიღეს ქალაქი რეშითი. ამ ბრძოლაში გილანელ რევოლუციონერებს დიდი დახმარება გაუწია ამიერკავკასიის ბოლშევიკთა ჯგუფმა სერგო ორჯონიკიძის მეთაურობით, რომელიც ამ დროს უკვე იქ იმყოფებოდა“³⁷.

აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ იმის შესახებ, რომ რუსეთის მეფის ჯარები გენერალ სნარსკის მეთაურობით ირანის აზერბაიჯანში

³⁶ „ახალი სხივი“, № 35, 1910 წლის 17 მარტი.

³⁷ ა. კელენჯერიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 8—9.

ამასთან ერთად საჭიროდ მივაჩნია აღვნიშნოთ, რომ ანალოგიურ შეცდომას უშვებს ირანელი ავტორი იბრაჰიმ ფახრაი თავის წიგნში „გილანი კონსტიტუციონალურ მოძრაობაში“. რომელიც გამოქვეყნდა თეირანში 1977 წელს. იგი წერს, რომ, თითქოს, სერგო ორჯონიკიძე „ყაზვინის აღებამდე და თეირანის დაკავებამდე მოჰაჰიდბთან ერთად იყო და ქმედით დახმარებას უწყევდა მათ“. იხ. ი. ფახრაი, გილანი კონსტიტუციონერ მოძრაობაში, თეირანი, 1977, გვ. 116 (სპარსულ ენაზე).

შეიჭრნენ და თავრიზელ აჯანყებულებს უსწორდებოდნენ არა „მაშინ“, ე. ი. 1909 წლის თებერვლის დამდეგს, როცა გილანელმა რევოლუციონერებმა ქალაქი რეშთი აიღეს, როგორც ამის შესახებ მიუთითებს ა. კელენჯერიძე, არამედ რამდენადმე გვიან — ამავე წლის აპრილის ბოლოს³⁸. აქ განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს სხვა გარემოება, კერძოდ ის, რომ სერგო ორჯონიკიძეს, რომელიც ამიერკავკასიელ რევოლუციონერთა ჯგუფთან ერთად ბაქოდან ირანში პირველად 1909 წლის შემოდგომაზე გაემგზავრა, არ შეეძლო ყოფილიყო ირანში უკვე იმავე წლას დამდეგს გილანელი რევოლუციონერების მიერ რეშთის აღების დროს და „ამ ბრძოლაში დიდი დახმარება გაეწია გილანელი რევოლუციონერებისათვის“. რა თქმა უნდა, ასეთი „მტკიცების“ დაჭერება არ შეიძლება.

არ შეიძლება დავეთანხმოთ პატივცემულ ა. კელენჯერიძის არც იმ „მტკიცებას“, რომ, თითქოს, „რეშთის შემდეგ რევოლუციონერებმა (ავტორს მხედველობაში ჰყავს ამიერკავკასიელი და გილანელი რევოლუციონერები, რომლებიც რეშთის განთავისუფლებაში მონაწილეობდნენ — გ. ჭ.) დაიკავეს თავრიზი, ხოლო შემდეგ ირანის დედაქალაქი თეირანიც“³⁹. სინამდვილეში კი საქმე ბევრად სხვაგვარად იყო. ირანელი ისტორიკოსი დემოკრატის, ირანის 1905—1911 წლების ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის დროს მომხდარი მრავალი რევოლუციური ამბის თვითმხილველის ა. ქასრავის ცნობით, რეშთის განთავისუფლების შემდეგ, იმისათვის, რათა გზა მოეჭრათ რევოლუციური თავრიზის წინააღმდეგ გაგზავნილი შაჰის ჯარებისათვის, გილანელების და ამიერკავკასიელი რევოლუციონერი მებრძოლების რაზმები ყაზვინისაკენ დაიძრნენ. რეშთი-ყაზვინის გზაზე ხანგრძლივი (თითქმის ორთვენახევრიანი) და მედგარი ბრძოლების შემდეგ, 1909 წლის 4 მაისს, მათ დაიკავეს ქალაქი ყაზვინი⁴⁰ და არა თავრიზი, როგორც ა. კელენჯერიძე წერს. ა. ქასრავი შემდეგ მიუთითებს (ამის შესახებ დაწვრილებით არის აგრეთვე ლაპარაკი „გურჯი სერგოს“ დღიურებშიც), რომ ყაზვინის აღების შემდეგ გილან-ყარაბაღელებისა და კავკასიელი რევოლუციონერების გაერთიანებული ძალები ჩრდილოეთიდან და ბახთიართა რაზმები სამხრეთიდან (მათ ჯერ კიდევ 1908 წლის დამლევეს ისფაჰანი დაიკავეს) თეირანისაკენ გაემართნენ. ისინი დედაქალაქის ჩრდილოეთით შეუერთდნენ ერთმანეთს და საბოლოოდ აიღეს იგი

³⁸ М. С. Иванов, иранская революция 1905—1911 гг., М., 1957, с. 369.

³⁹ ა. კელენჯერიძე, დასახ. ნაშრ., რუსული გამოცემა, 1969, გვ. 10.

⁴⁰ ა. ქასრავი, აზერბაიჯანის თვრამეტწლიანი ისტორია, ირანის კონსტიტუციური მოძრაობის ისტორიის მეორე ტომი, მე-4 გამოცემა, თეირანი, 1967, გვ. 25 (სპარსულ ენაზე).

1909 წლის 16 ივლისს გაფართოებული ბრძოლების შემდეგ, როცა ექვსი დღეს გაგრძელდა⁴¹.

შემდეგ, განაგრძობს რა მსჯელობას, ა. კელენჯერიძე იმროსში გ. კ. ორჯონიკიძის ბიოგრაფიულ ნარკვევებს და, ყოველგვარი შენიშვნის გარეშე, იმეორებს ზოგიერთი ავტორის მიერ გავრცელებულ უსაფუძვლო ვერსიას იმის თაობაზე, რომ, თითქოს, სერგო ორჯონიკიძეს მონაწილეობა მიეღოს თეირანის ლაშქრობაშიც, რომელიც 1909 წლის შუა ზაფხულში განხორციელდა. ის წერს, რომ „სერგომ მიიღო აგრეთვე მონაწილეობა იმ დროს თავრიზისა და გილანის რევოლუციური მასების მეთაურის სათარ-ხანის წინამძღოლობით რევოლუციური რაზმების თეირანზე ლაშქრობაში“⁴².

როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში საქმე არა მარტო იმაშია, რომ კვლავ ვაწყდებით ბუნების საწინააღმდეგო მსჯელობას სერგო ორჯონიკიძის უშუალო მონაწილეობის შესახებ იმ ამბებში, რომლებში მონაწილეობის მიღების საშუალება მას არ ჰქონდა ზემომინიშნებულ მიზეზთა გამო, არამედ იმაშიც, რომ „იმ დროს თავრიზის რევოლუციური მასების მეთაური“ ლეგენდარული სათარ-ხანი გამოცხადებულია 1909 წლის შუა ზაფხულში თეირანის მიმართულებით მოლაშქრე რევოლუციური რაზმების ხელმძღვანელად. თუ სინამდვილეს, ობიექტურ ისტორიულ ამბებს მივმართავთ, დავინახავთ, რომ გილანის „რევოლუციურ რაზმებს თეირანზე ლაშქრობაში“ ხელმძღვანელობდნენ სეფაჰდარი და ეფრემ-ხანი და არა სათარ-ხანი, რომელიც „იმ დროს“ რუსეთის მეფის ჯარების მიერ ოკუპირებულ თავრიზში იმყოფებოდა და გვიანობამდე იქიდან არ გამოსულა⁴³. ამას გარდა, პატივცემული ა. კელენჯერიძე სათარ-ხანს მიაწერს აგრეთვე გილანის რევოლუციური მასების ხელმძღვანელობას მაშინ, როდესაც სინამდვილეში ასეთი რამ არასოდეს მომხდარა.

ცხადია, ასეთი რამ სერგო ორჯონიკიძეს არ ესაჭიროება და არც არაფერს მატებს მას⁴⁴.

აქ საჭიროდ არ მიგვაჩნია ვილაპარაკოთ იმაზე, რომ

⁴¹ ა. ქასრაევი, დასახ. ნაშრ., გვ. 57—59, იხ. აგრეთვე, Сборник дипломатических документов, касающихся событий в Персии, Вып. 2, СПб., 1911, с. 157—162.

⁴² ა. კელენჯერიძე, დასახ. ნაშრ., რუსული გამოცემა, 1969, გვ. 12.

⁴³ М. С. Иванов, указ. труд, с. 369—373.

⁴⁴ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ს. ალიევი ჯერ კიდევ 1965 წელს სრულიად სამართლიანად მიუთითებდა ზემოაღნიშნულის მსგავს შეცდომებზე, რომლებიც დაშვებულია ვ. კირილოვისა და ა. სვერდლოვის, ტ. იბრაჰიმოვის, გ. არუთინიანის, ი. დუბინსკი-მუხაძის და სხვ. შრომებში (იხ. С. М. Алиев, указ. труд, с. 207—208.) სამწუხაროდ, ა. კელენჯერიძემ გვერდი აუარა მას და საჭიროდ არ მიიჩნია ამ სამართლიანი კრიტიკული შენიშვნების გათვალისწინება.



„გურჯი სერგოს“ დღიურებში ისტორიული მოვლენების შეფასება თავისი იდეური შინაარსით ზოგჯერ მკვეთრად განსხვავდება დან გამოგზავნილ და იმდროინდელ ქართულ პრესაში გამოქვეყნებულ სერგო ორჯონიკიძის კორესპონდენციებისაგან (კერძოდ, ჩვენ მხედველობაში გვაქვს დღიურებში მოცემული, მარქსისტული გაგებით არასავსებით გამართლებული, გილანელი ხალხის ხასიათის თავისებურებათა შეფასება, ბახთიარი მხედრების და მათი მეთაურების საბრძოლო და სხვა ღირსებათა გადაჭარბებით წარმოსახვა და სხვა⁴⁵. ამის შესახებ თავის ადგილზე ცალკე იქნება აღნიშნული).

მაშასადამე, გამოორიცხულია ყველა შესაძლებლობა, რომ გრიგოლ (სერგო) კონსტანტინეს ძე ორჯონიკიძე ყოფილიყო „გურჯი სერგოს“ დღიურების „სპარსეთის მოძრაობის ისტორიიდან“ ავტორი.

ასეთ გარემოებაში, ბუნებრივია, ისმის კითხვა: სინამდვილეში ვინ უნდა ყოფილიყო დასახელებული დღიურების ავტორი? ვინ იყო „გურჯი სერგო“?

ამ კითხვაზეც, ისევე როგორც პირველ კითხვაზე, აფიქრობთ, დამაჯერებელი პასუხი იყო გაცემული ჟურნალ „დროშაში“ 1969 წელს გამოქვეყნებულ ჩვენს წერილში. აქ დადასტურებულია, რომ ის იყო ირანის რევოლუციის და, კერძოდ, დღიურებში გადმოცემული ყველა საბრძოლო ეპიზოდის თვითმხილველი, უშუალო და აქტიური მონაწილე სერგო გიორგის ძე გამდლიშვილი, მტკიცე ინტერნაციონალისტი-რევოლუციონერი, რომელიც მეფის თვითმპყრობელობამ სიკვდილით დასაჯა შემოქმედებითი ენერჯის გაფურჩქნის ასაკში, სიცოცხლის 28-ე წელს, 1910 წლის 18 ნოემბერს, ე. ი. აღნიშნული დღიურების გამოქვეყნებიდან სულ რამდენიმე თვის გასვლის შემდეგ⁴⁶. ამ საბედისწერო შემთხვევამ ბურუსში გაახვია და ბოლო დრომდე გამოუცნობი გახადა დღიურების ნამდვილი ავტორის სახელი.

რა საბუთები არსებობს იმის დასამტკიცებლად, რომ სერგო გიორგის ძე გამდლიშვილი მართლაც იყო აღნიშნული დღიურების ავტორი?

ცოცხალი მემკვიდრე, სერგო გიორგის ძე გამდლიშვილის მებრძოლი მეგობარი, მასთან და სხვა ინტერნაციონალისტ-მეომრებთან ერთად 1908 წლის ნოემბრიდან 1909 წლის მაისამდე რეშთიდან

⁴⁵ იხ. „ახალი სხივი“, № 3 და 35, 1910 წლის 6 თებერვალი და 17 მარტი.

⁴⁶ სერგო გამდლიშვილის სიკვდილით დასჯის შესახებ იგონებს ძველი ბოლშევიკი თედორე (თედო) შაიშვილი, რომელიც იმ დროს ეკატერინოლარის ციხეში იყოფებოდა. იგი ცხოვრობდა თბილისში, სარაჯიშვილის მე-3 ჩიხი, სახლი № 7, გარდაიცვალა 1979 წელს.



ყაზვინამდე გადახდილი ყველა რევოლუციური ბრძოლის მონაწილე, ძველი ბოლშევიკი, პარტიის წევრი 1905 წლიდან (პატარა მიშა) გლახოს ძე ჯაფარიძე⁴⁷ თავის ირანულ საბრძოლო მოგონებებში წერს:

„თბილისის კომიტეტმა ბაქოს კომიტეტის განკარგულებაში თავდაპირველად სამი კაცი მიგვავლინა: მე (ვატარებდი ბაიაშეთელი მიხეილ ტრატიანცის ყალბ სომხურ გვარს), სედრაკ ზარიძე (სოფელ ოქროყანიდან) და წყალსადენის მუშა, ხარატი კაკო კორინთელი. ორი დღის შემდეგ ბაქოს კომიტეტმა გემ „ლენქორანით“ რეშთში ვაგვავაზვნა. თან გვექონდა ყალბი დოკუმენტები, ვითომ ნობელის მუშები ვიყავით და მივდიოდით იმ დროს რეშთში მყოფ მამედ ბალირთან, რომელიც ნობელის კანტორაში მოანგარიშედ მუშაობდა. მამედ ბალირმა ჩვენ მივვილო, როგორც მათი კანტორის მუშები, ჩაიბარა ყოველივე რაც გემით ჩამოვიტანეთ, მათ შორის იარაღები, და ჩვენ საერთო საცხოვრებელში მოგვაწყო. მე, მამედ ბალირთან ერთად, მოვაწყვე იატაქეშა სათავსო ბომბებისა და იარაღის დამამალავად⁴⁸.

რეშთში ჩასვლიდან რამდენიმე დღის შემდეგ კაკო და სედრაკა ბაქოში დაბრუნდნენ საორგანიზაციო საკითხის მოსაგვარებლად. მაგრამ ისინი შემდეგ სპარსეთში აღარ ჩასულან. ამის შემდეგ გემ „ლენქორანს“ ყოველ რეისზე ჩვენთან ჩამოყავდა სამი—ხუთი კაცი. პირველ რეისზე ჩამოვიდნენ გემ „პოტიომკინის“ მატროსი რუსი ალიოშა — მსუქანი, მხიარული ახალგაზრდა, გერმანელი ფეოდორი — არტილერისტი, მაღალ-მაღალი; მესამე მეტსახელად „დიაგონალი“ — რუსი. მათ ჩამოჰყვა ბაქოს კავშირგაბმულობის კანტორის მოხელე, ქართველი სერგო გამდლიშვილი — ხაშურელი, რომელსაც ჩამოსვლისთანავე „გურჯი სერგო“ დაერქვა (ყველა ჩვენს ამხანაგს, ზოგჯერ არა ქართველებსაც კი, ბოლომდე გურჯებს გვეძახდნენ). ჩამოვიდნენ აგრეთვე ლუკა ქოიავა, აპოლონ კუჭავა (აპოლონს მარჯვენა ხელზე შუა თითი გაშეშებული ჰქონდა და ვერ

⁴⁷ ა. ე. ჯაფარიძე დაიბადა 1988 წ. ცხოვრობს თბილისში, სანაპიროს ქ. № 2. ა. (მიშა) ჯაფარიძისა და ირანში მისი რევოლუციური და საბრძოლო მოღვაწეობის შესახებ ლაპარაკია თვით „გურჯი სერგოს“ დღიურებში, აგრეთვე ს. ალიევის შემოხსენებულ ნაშრომში (იხ. გვ. 206) და თანამედროვე ირანელი ისტორიკოსის ს. ჯავიდის დასახელებულ ნაშრომში (იხ. გვ. 83).

⁴⁸ ს. ალიევი, იმოწმებს რა ცენტრალური პარტიული არქივიდან აღებულ ცნობას, აღნიშნავს, რომ ბაქოდან რეშთში მოხალისეთა ჩამოსვლა დაიწყო 1908 წლის ოქტომბერში. „პირველად ენზელში ჩავიდა 20 წლის ქართველი მიშა ჯაფარიძე, რომელიც „პემბათის“ წევრ; ენზე რაშიდთან დაბინავდა“. С. М. Алиев, указ. труд, с. 206.

დრიკავდა), ერთი ბაქოელი სტუდენტი სახელად ფაშა-ხანი და კიდევ
ორი აზერბაიჯანელი, ბაქოელი მუსლიმანი⁴⁹.

ქართული
ენის
სწავლის
ინსტიტუტი

აქედან კარგად ჩანს, რომ სერგო გიორგის ძე გამდლიშვილი, რომელიც სხვა მოხალისე ინტერნაციონალისტ-რევოლუციონერებთან ერთად ბაქოდან ჩავიდა რეშთში 1908 წლის ნოემბერში, ირანში ცნობილი იყო „გურჯი სერგოს“ სახელით. ა. გ. ჯაფარიძე თავის მოგონებაში შემდეგ წერს, რომ „გურჯი სერგო“ (სერგო გამდლიშვილი) მათთან ერთად იყო და აქტიურ მონაწილეობას იღებდა რეშთის აჯანყებისა და რეაქციონერებისაგან გილანის პროვინციის განთავისუფლებაში, მენჯილის, ამბოს, იუზბაშაის, რუდბარის, ყაზვინისათვის გამართულ ხანგრძლივ და მძიმე ბრძოლებში. ყაზვინში აპოლონ ჯაფარიძე მძიმედ დაიჭრა 1909 წლის მაისის დამდეგს. ამის გამო იგი იძულებული გახდა დროებით დაეტოვებინა ირანში მებრძოლი ამხანაგები. აქედან იგი ხარკოვში გადაიყვანეს სამკურნალოდ და სერგო გამდლიშვილს ამის მეტად ირანში აღარ შეხვედრია⁵⁰. სერგო გამდლიშვილი კი კვლავაც ირანში დარჩა. მან და მისმა რამდენიმე ქართველმა ამხანაგებმა მონაწილეობა მიიღო გილან-ყარაბაღელთა და ბახთიართა შეერთებულ ლაშქრობაში დედაქალაქ თეირანზე. იგი მონაწილეობდა თეირანის აღებისა და რეაქციონერ შაჰ მოჰამედ ალის ტახტიდან ჩამოგდებისათვის ბრძოლაში.

განკურნების შემდეგ, 1909 წლის შემოდგომაზე აპოლონ ჯაფარიძე კვლავ დაბრუნდა ირანში. იგი რეშთში ჩავიდა. იქ აპოლონი შეხვდა ირანში ახლადჩამოსულ გრიგოლ (სერგო) ორჯონიკიძეს. ისინი ერთად ცხოვრობდნენ ერთი იქაური სომხის ბინაში 1910 წლის იანვრამდე.

ირანის რევოლუციის მონაწილე ორი ქართველი (გურჯი) რევოლუციონერი სერგოს შესახებ აპოლონ ჯაფარიძე შემდეგს წერს: „ირანის რევოლუციის მონაწილეთა შორის ჩვენ გვყავდა ორი სერგო გურჯი. ერთი სერგო გამდლიშვილი, 1908 წლის დამლევდიდან 1909 წლის შემოდგომამდე მომხდარი რევოლუციური ბრძოლების აქტიური მონაწილე (პატარა სერგო) და, მეორე — მასთან შედარებით ზედმიწევნით პოლიტიკური სახის კაცი — სერგო ორჯონიკიძე, რომელიც ირანში 1909 წლის მიწურულში ჩამოვიდა. რა თქმა უნდა,

⁴⁹ ა. ჯაფარიძის ირანული მოგონებები დაბეჭდილია გ. ჭიპაშვილის ნაშრომში „გ. ო. ლენინი და ირანელი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლა“, თბ., „მეცნიერება“, 1970, გვ. 90—98.

⁵⁰ უკანასკნელად აპოლონ ჯაფარიძე სერგო გამდლიშვილს, კაკო კორინთელს და სედრაქ ზარიძეს შეხვდა ბაქოში დაპატიმრებამდე, 1910 წლის იელისში. იხ. გ. ჭიპაშვილის დასახ. ნაშრ., გვ. 98.



სერგო ორჯონიკიძე ვერ იქნებოდა მის ირანში ჩასვლამდე მომხრე იმ ამბების მონაწილე, რომელიც სერგო გამდლიშვილს აქვს მოთხრობილი თავის ნაწერებში⁵¹.

იმის შემდეგ, რაც დადგენილია, რომ, ჯერ ერთი, სერგო გიორგის ძე გამდლიშვილი ირანში, რეშთში ჩავიდა 1908 წლის ნოემბერში და სხვა ქართველ და ამიერკავკასიელ მებრძოლებთან ერთად უშუალოდ მონაწილეობდა რეშთი-ყაზვინი-თეირანისათვის გამართულ ბრძოლებში, ე. ი. იმ ბრძოლებში, რაც „გურჯი სერგოს“ დღიურებშია აღწერილი, და, მეორეც, იგი კონსპირაციის მიზნით ატარებდა სწორედ „გურჯი სერგოს“ მეტსახელს, ბუნებრივად, მივდივართ სხვა საკითხთან: ჰქონდა თუ არა საჭირო განათლება და ჟურნალისტური პრაქტიკა სერგო გიორგის ძე გამდლიშვილს იმისათვის, რომ დაეწარა ზემოაღნიშნული ნაშრომი? ამ კითხვაზე თამამად შეიძლება გავცეთ დადებითი პასუხი. დიალ, ჰქონდა. მისი ბიოგრაფიიდან ირკვევა, რომ დაამთავრა გორის სამოქალაქო სასწავლებელი და თბილისის კავშირგაბმულობის ტექნიკუმი. ამას გარდა, ახლობლების გადმოცემით, ყოველდღიურად ეწაფებოდა თვითგანვითარებას, ინტერესით კითხულობდა პოლიტიკურ ლიტერატურას, მიღებული ჰქონდა საკმაოდ კარგი მარქსისტული განათლება. რაც შეეხება სერგო გამდლიშვილის ჟურნალისტური საქმიანობის ფაქტს, ამის შესახებ ლაპარაკია თვით პატივცემული ა. კელენჯერიძის დასახელებულ ნაშრომშიც. იმოწმებს რა ა. ჯაფარიძის ირანულ მოგონებებს, ა. კელენჯერიძე წერს: „ამხ. აბ. ჯაფარიძე ასახელებს კიდევ ერთ ქართველ რევოლუციონერს, რომელსაც „სერგო გურჯის“ ეძახდნენ. ეს „გურჯი სერგო“ კი, როგორც გამოვარკვიეთ ყოფილა ხაშურის რაიონის სოფელ ავლევის მცხოვრები. მისი ნამდვილი სახელია სერგო გიორგის ძე გამდლიშვილი (ხაზი ჩვენია (გ. ჯ.), რომელიც ადრე ჩაბმულა რევოლუციურ მოძრაობაში და გადაუსახლებიათ ოლონეცკის გუბერნიამი, საიდანაც გამოქცეულა, ჩასულა ბაქოში და სამუშაოდ ფოსტაში მოწყობილა. იქიდან გაუგზავნიათ ირანს სხვა კავკასიელ მოხალისე რევოლუციონერებთან ერთად. როგორც აბ. ჯაფარიძემ გადმოგვცა, „სერგო გურჯი“ დროდადრო ათავსებდა კორესპონდენციებს ვაზეთ — რუსსკოე სლოვოში“. (ხაზი ჩვენია — გ. ჯ.). ირანიდან დაბრუნებულ სერგო გამდლიშვილს საზღვარგარეთ გაპარვა განუზრახავს, მაგრამ შეუუპყრიათ, გაუსამართლებიათ ეკატერინოღარში (ახლანდელი კრასნოდარი) და 29 წლის ვაჟაკი სიკვდილით დაუსჯიათ 1910 წელს⁵².

⁵¹ იქვე (შემდეგში: ა. ჯაფარიძე).

⁵² ა. კელენჯერიძე, დასახ., ნაშრ., გვ. 20—21.

სერგო გამდლიშვილის გაზეთ „რუსსკოე სლოვოსთან“ ახლო
კავშირისა და თანამშრომლობის შესახებ მოწმობს ის ფაქტიც, რომ
დღიურებში „სპარსეთის მოძრაობის ისტორიიდან“ მისი ავტორი
გურჯი სერგო“ რამდენიმე ადგილას იხსენიებს „რუსსკოე სლოვოს“
და მის კორესპონდენტებს აიკ ტერ-ოვანიანს და კრინსკის⁵³.

სერგო გამდლიშვილის ძმა, აწ გარდაცვლილი იასონ გიორგის
ძე გამდლიშვილი⁵⁴ (იასონი ცხოვრობდა ქალაქ ხაშურში. ის გარ-
დაიცვალა 83 წლის ასაკში, 1971 წლის იანვარს), თავის 1969 წლის
14 აპრილით დათარიღებულ წერილში გვწერდა, რომ ირანიდან და-
ბრუნების შემდეგ სერგო გამდლიშვილი რამდენიმე თვეს ცხოვრო-
ბდა თბილისში ახლო ნათესავ მეგრელიშვილების ოჯახში, სადაც
მეფის უნდარმერის ემალეობდა. თავისი ირანული ჩანაწერების
საფუძველზე მან იქ დაწერა და გაზეთ „ახალ სხივში“ გამოაქვეყნა
დღიურები „სპარსეთის მოძრაობის ისტორიიდან“. „მაქვეს აუა-
რებელი მიმოწერა... ანტონ ქელენჯერიძესთან
— დასძენდა იასონი. — ჩვენს შორის სადაო სა-
კითხს წარმოადგენს ირანში ორი „გურჯი სერ-
გოს“ მოღვაწეობის ფაქტი და ის, თუ რომელს
ეკუთვნის გაზეთ „ახალ სხივში“ გამოქვეყნებუ-
ლი სპარსეთის რევოლუციური მოძრაობის მასა-
ლები — სერგო ორჯონიკიძეს, თუ სერგო გამ-
დლიშვილს... ჩემის აზრით, — განაგრძობდა იასონი — სუყვე-
ლას ის სჯობია ამოვიღოთ გაზეთ „ახალ სხივში“ დაბეჭდილი დღი-
ურები და გამოვცეთ ცალკე ბროშურად. მაშინ ნათელი გახდება, თუ
სინამდვილეში ვის ეკუთვნის ფსევდონიმი „გურჯი სერგოსი“ და ამა-
ვე დროს ნარკვევების ჩანაწერები“⁵⁵.

სერგო გამდლიშვილის ნახევარი ძმის შვილი ელენე ამბოკაძე
მოგვითხრობს, რომ იგი ჯერ კიდევ თერთმეტი წლის გოგონა იყო,
როდესაც სერგო გამდლიშვილი ირანიდან თბილისში დაბრუნდა.
სერგო ცხოვრობდა და პოლიციას ემალეობდა მეგრელიშვილების

⁵³ იხ. გაზეთი „ახალი სხივი“, №17, 35 1910 წლის 23 თებერვალი და 17 მარტი.

⁵⁴ იასონ გიორგის ძე გამდლიშვილი აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა რევოლუ-
ციურ მოძრაობაში ბაქოში 1905—1907 წლებში. იგი დააპატიმრეს და ციხეში იჯდა 1907
წლიდან 1912 წლამდე. თავის მოგონებებში იგი რევოლუციური მოძრაობის კიდევ რამ-
დენიმე მონაწილის სახელს იხსენიებს.

⁵⁵ იასონ გიორგის ძე გამდლიშვილის ხსენებული წერილი ამ სტრუქტურების ავტორ-
თან ინახება. რაოდენ დასაწინაა, რომ სხვადასხვა გაუმართლებელი მიზეზების გამო, დღე-
მდე არ მოხერხდა ამ დღიურების ნამდვილი ავტორის სახელით გამოცემა, რაზეც ასე
ოცნებობდა სერგოს ძმა იასონი.

ოჯახში ახლანდელი ოცდახუთი თებერვლის ქუჩაზე. მას კარგად ახსოვს, რომ სერგო სისტემატურად იჯდა ოთახში და რაღაცს თვალყურს უდევდა. მისი დაღუპვის შემდეგ სკივრი, რომელიც სავესე იყო სერგოს მიერ ნაწერი რვეულებითა და მისი პირადი ნივთებით, დიდხანს დარჩა მეგრელიშვილებთან და შემდეგ აღარ ახსოვს საბოლოოდ რა ბედი ეწია მათ⁵⁶.

ბოლოს, ერთი დეტალი დღიურებიდან, რაც კიდევ ერთ დამაჯერებელ საბუთს იძლევა იმისას, რომ მისი ავტორი „გურჯი სერგო“ სერგო გიორგის ძე გამდლიშვილი იყო და არა სხვა ვინმე.

1909 წლის თებერვალში, რევოლუციონერების მიერ გილანის პროვინციის განთავისუფლების შემდეგ ამიერკავკასიელი და ადგილობრივი რევოლუციონერების რაზმი რეშიტიდან გამოვიდა და ყაზვინის მხარეს აიღო გეზი. რაზმელებმა სოფელ რუდბარში (82 ვერსზე რეშიტიდან) ბანაკი მოაწყვეს. ამასთან დაკავშირებით დღიურებში აღნიშნულია, რომ როცა იქაური ადგილობდებარეობა გულდასმით იქნა შემოწმებული, მეორე დღეს, სოფლიდან ნახევარი ვერსის დაშორებით, რევოლუციონერები საფრების მომზადებას შეუდგნენ.

„საფრების მომზადებას ხელმძღვანელობდნენ გამოცდილი რევოლუციონერები: 1) გ. ს. (ე. ი. „გურჯი სერგო“ — დღიურების ავტორი — გ. ქ.) მესანგრე, რუსეთ-იაპონიის ომში ნამყოფი, 2) „პოტიომკინის აჯანყების მონაწილე მატროსი ალიოშა და 3) ქვეით ჯარში ჯარისკაცად ნამყოფი პეტრე. ორი დღის განმავლობაში ცხრა საფარი მზად იყო. ასე, რომ თითო საფარში 6—8 კაცი ჩასხდებოდა, რაზმი ყოველ საათში მტრის მოლოდინში იყო“⁵⁷.

აქედან ნათელი ხდება, რომ იმ სამ რევოლუციონერ რაზმელს შორის, რომლებსაც სოფელ რუდბარში საფრების მომზადების ხელმძღვანელობა მიენდო, ერთ-ერთი „გ. ს.“ („გურჯი სერგო“) ე. ი. ამ დღიურების ავტორი იყო. აქვე მითითებულია, რომ იგი იყო „მესანგრე, რუსეთ-იაპონიის ომში ნამყოფი“. ეს მომენტიც სრულად ემთხვევა სერგო გამდლიშვილის ბიოგრაფიულ ცნობას იმის შესახებ, რომ იგი მსახურობდა საინჟინერო ნაწილში და მონაწილეობა მიიღო რუსეთ-იაპონიის ომში მანჯურიის ფრონტზე⁵⁸.

მაშასადამე, ყველა ზემომოთანილი ფაქტი იმაზე მიგვანიშნებს, რომ მებრძოლის დღიურების სახით შედგენილი ისტორიული დღიურების „სპარსეთის მოძრაობის ისტორიიდან“ ავტორი იყო მასში

⁵⁶ ელენე ამბოკაძე ცხოვრობს თბილისში, ილია ჭავჭავაძის პროსპექტზე, სახლი № 10.

⁵⁷ „ახალი სხივი“, № 9, 1910 წლის 13 თებერვალი.

⁵⁸ იხ. წინამდებარე ნაშრ., გვ. 29—32.

აღწერილი ყველა საბრძოლო ეპიზოდის პირადი მონაწილე სერგო გიორგის ძე გამდლიშვილი.

ყოველივე ამის შემდეგ, ჩვენი აზრით, ალბათ, საჭირო იქნება, რომ დაზუსტდეს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწის გრიგოლ (სერგო) კონსტანტინეს ძე ორჯონიკიძის რევოლუციურ მოღვაწეობასთან დაკავშირებული ბიოგრაფიული ნარკვევები და სხვა შრომები, რომლებიც ეხება ირანში მის რევოლუციურ და ჟურნალისტურ საქმიანობას. ამასთან ერთად, ალბათ, საჭირო იქნება აგრეთვე გასწორდეს დღემდე გავრცელებული უსაფუძვლო ვერსია იმის შესახებ, რომ, თითქოს, სერგო ორჯონიკიძეს მონაწილეობა მიეღო 1908 წლის ბოლოდან 1909 წლის შუა-ხანებამდე ირანში მომხდარ რევოლუციურ ამბებში: რეშთის აჯანყებაში, ყაზვინის აღებაში და თეირანზე ისტორიულ ლაშქრობაში, რასაც შედეგად მოჰყვა რეაქციონერ შაჰ მოჰამედ ალის ტახტიდან ჩამოგდება.

ეს უპრეცედენტო ფაქტი იყო ირანის ახალ ისტორიაში. ამის შემდეგ ირანის რევოლუცია თვისებრივად ახალ ეტაპში შევიდა. ამ ისტორიული ამბის უშუალო მონაწილე ხომ, სხვა რევოლუციურ სოციალ-დემოკრატებთან ერთად ჩვენი თანამემამულე სერგო გამდლიშვილი იყო.

სერგო გიორგის ძე გამდლიშვილი

მოკლე ცნობები სერგო გიორგის ძე გამდლიშვილის ცხოვრების შესახებ ჩვენ ერთხელ უკვე მივაწოდეთ ჟურნალ „დროშას“ მკითხველებს. ახლა კი, მისი ნაშრომის განხილვასთან დაკავშირებით მკითხველს მოვაგონებთ მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ზოგიერთ მომენტს⁵⁹.

ს. გამდლიშვილი დაიბადა 1882 წელს თბილისის გუბერნიის სოფელ ავლევიში (ახლანდელი ქარელის რაიონი), გლეხის — გიორგი ქაიხოსროს ძე გამდლიშვილის ოჯახში. გიორგის ექვსი ვაჟიშვილიდან ოთხი ბავშვობის ასაკში გარდაიცვალა. შერჩა ორი — სერგო და აასონი.

სერგო სწავლობდა გორის საქალაქო სასწავლებელში, რომელიც 1899 წელს დაასრულა. შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის კავშირგაბმულობის ტექნიკუმში. ტექნიკუმის კურსი დაამთავრა 1901 წელს.

⁵⁹ ს. გამდლიშვილის ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობის შესახებ დაწერილებითი ცნობები მისმა ძმამ ი. გამდლიშვილმა მოგვაწოდა.



ამის შემდეგ სერგოს გზავნიან ქალაქ სიღნაღში კავშირგაბმულობის კანტორაში სამუშაოდ. აქედან მას მეფის არმიაში იწვევენ. მსახურობდა ჯერ ოდესსაში, ხოლო შემდეგ რიაზანის გუბერნიის ქალაქ ზარაისკში. მეფის არმიაში სამსახურის დროს სერგო გამდლიშვილი ეცნობა რევოლუციური სულისკვეთებით განწყობილ ჯარისკაცებს და მათთან ერთად იღებს პირველ რევოლუციურ ნათლობას. 1904 წელს, როცა რუსეთსა და იაპონიას შორის ომი დაიწყო, სამხედრო ნაწილი, რომელშიც ს. გამდლიშვილი მსახურობდა, ფრონტზე გაიგზავნა. სერგომ მონაწილეობა მიიღო მანჯურიის ფრონტზე მესანგრეთა ნაწილის შემადგენლობაში. ამ ომში რუსეთის დამარცხებამ მას თვალწინ გადაუშალა მეფის თვითმპყრობელობის მთელი სიღამპლე. მალე რუსეთის იმპერია ფართო რევოლუციურმა მოძრაობამ მოიცვა. ფრონტიდან დემობილიზებული სერგო გამდლიშვილი მოსკოვში ჩამოდის. აქ იგი ხვდება სურენ სპანდარიანს და მასთან ერთად აქტიურ რევოლუციურ საქმიანობაში ებმება. მან უშუალო მონაწილეობა მიიღო მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მოსკოვის პროლეტარიატის ბრძოლაში 1905 წლის დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების დროს.

მოსკოვის შეიარაღებული აჯანყების დამარცხების შემდეგ, 1906 წლის იანვარში, სერგო გამდლიშვილი საქართველოში დაბრუნდა. იგი ჩამოდის მშობლიურ სოფელ ავლევეში და ნიშნად აჯანყებაში მონაწილეობისა თან ჩამოაქვს მოსკოვში ბარიკადებზე ბრძოლის დროს ტყვიით გახვრტილი ქული.

მეფის არმიაში სამსახურმა და მოსკოვის შეიარაღებულ აჯანყებაში მონაწილეობამ სერგოს ბევრი რამ დაანახა და გააგებინა მეფის რეჟიმის უკუღმართობის შესახებ. იგი ფართო ახსნა-განმარტებას ეწეოდა გლეხებს შორის რუსეთის 1905 წლის რევოლუციური ამბებისა და მეფის მიერ იძულებით გამოცემული ოქტომბრის მანიფესტის შესახებ. სერგოს ავლეველ გლეხობაში მჩაგვრელებისადმი სიძულვილი და რევოლუციური სულისკვეთება შეჰქონდა. ამიტომ იყო, რომ გლეხობა დიდ წინააღმდეგობას უწევდა თავდაზნაურობას და ადგილობრივ მმართველებს. მაგრამ მალე გაჩნდნენ გამცემლები. ავლევეში, ცერონისაში, თამარაშენში და სხვა მომიჯნავე სოფლებში შავრაზმელთა მეთაურის ზურაბ აბდუშელიშვილის მოწვევით ჩადგა კახაკების რაზმები, რომლებიც მდინარე ფრონეს ხეობის თავად-აზნაურთა ოჯახებს წითელ პარტიზანთა თავდასხმისაგან იცავდნენ.

ერთხელ, როდესაც სერგო გამდლიშვილი სოფლის ერთ პატარა ფარდულში გლეხების კრებას ატარებდა, მას მოულოდნელად ორი კახაკი წაადგა თავს. მათ სერგოს შეპყრობა მოინდომეს. სერგოსა და კახაკებს შორის ხელჩართული ბრძოლა გაიმართა. ბრძოლას



შეუერთდნენ იქ დამსწრე გლეხები: დათა, გიგა, არჩილ, მამია და დარო ჯახველაძეები. სერგო კარგად იყო გაწაფული კრივში, რაც ამ შემთხვევაში მოხერხებულად გამოიყენა. ორივე კაზაკი მაგრად ცემა, იარაღი აყარა და თავს უშველა. ამ შემთხვევის გამო იგი იძულებული გახდა მშობლიური სოფელი მიეტოვებინა და თბილისში შეეფარებინა თავი.

იმხანად თბილისის ცენტრალური საგუბერნიო ფოსტა-ტელეგრაფის უფროსად მუშაობდა რუსი რეაქციონერი მოხელე ჩიყიკი, რომელიც გამოირჩეოდა თავისი ერთგულებით მეფის თვითმპყრობელობისადმი და სიძულვილით რევოლუციურად განწყობილი მასებისადმი. ჩიყიკი შავრაზმელთა სამსახურში იდგა (იგი შემდეგ ტერორისტმა გორდუზიანმა მოკლა). ჩიყიკმა ექვის თვალით შეხედა სერგოს. მან არ მოისურვა მისი თბილისის საფოსტო განყოფილებაში დაწვება სამუშაოდ. მაგრამ იძულებული იყო, რომ, როგორც ომის მონაწილისათვის, არ ეთქვა უარი სამუშაოს მიცემაზე და ბაქოში განაწესა სამუშაოდ კავშირგაბმულობის ხაზით.

ბაქოში ჩასვლისთანავე სერგო დაუყონებლივ ჩაება ფართო რევოლუციურ საქმიანობაში. აქ მას შეხვდნენ მისი თანამოაზრენი: ტატო დიდებულიძე სოფელ ატოციდან, საშა მიქაძე ქალაქ გორიდან, სიმონ ლაბაძე ქალაქ ხაშურიდან და სხვები. იგი არალეგალურ პოლიტიკურ მუშაობას ეწევა ბალახანა-საბუნჩის მენავთობე მუშებთან. აქ მუშაობდნენ საქართველოდან, აგარის ხეობის სოფლებიდან ჩამოსული გლეხები: სოლომონ ინაკავაძე, მაისურაძეები და სხვები. მათთან ერთად იყო აგრეთვე მუშა სოსო ოსიტაშვილი.

სერგო გამდლიშვილის აქტიური რევოლუციური საქმიანობის შესახებ მალე ცნობილი გახდა ბაქოს ყანდარმთა სამმართველოსათვის. მუშათა მოძრაობაში აქტიური მონაწილეობისა და პოლიტიკური აგიტაციისათვის იგი 1908 წლის თებერვალში დააპატიმრეს და შორეულ ჩრდილოეთში, ოლენეცკის გუბერნიაში გადასახლეს. მალე იგი გადასახლების ადგილიდან გამოიქცა. ამავე წლის ივნისში გადასახლებიდან გამოქცეული სერგო ბაქოში ჩამოდის, მაგრამ ამჯერად მისი ბაქოში დიდხანს დარჩენა შეუძლებელი იყო. რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ბაქოს კომიტეტი მას ირანში, რეშთში, აგზავნის, როგორც ნობელის კანტორის მუშას.

როგორც ლეგარული სოციალ-დემოკრატიული მიმართულების გაზეთ „ახალ სხეივში“ გამოქვეყნებული წერილების შინაარსიდან ირკვევა, ირანში, გილანის პროვინციაში, ჩასვლისას ქართველმა მოხალისე-რევოლუციონერებმა დიდი გაჭირვება განიცადეს. ისინი თავდაპირველად მალულად ცხოვრობდნენ ქალაქ რეშთში, შაჰის მთავრობისადმი თხოვნით ირანში მყოფ მოაზ-ოს სულთანისა და მისი



ძმების ბინაში. 1909 წლის 28 თებერვალს რამდენიმე რევოლუციონერი წერმა, რომელთა შორის ბათუმელი ვალიკო და სერგო გამდლიშვილი იყო, თავდასხმა მოაწყვეს გილანის გუბერნატორის სასახლეზე. მოკლულ იქნა გილანის გუბერნატორი და მისი რამდენიმე მოხელე. ეს გახდა სიგნალი აჯანყებისა შაჰის მთავრობის წინააღმდეგ. რევოლუციონერებმა ხელში აიღეს ძალაუფლება ქალაქ რეშთში და მთელი გილანის პროვინცია გაანთავისუფლეს. სერგო გამდლიშვილმა აქტიური მონაწილეობა მიიღო ყველა ბრძოლაში რეშთიდან თეირანამდე. განსაკუთრებული მამაცობა გამოიჩინა მან კონტრრევოლუციონერ უაისი ნიზამისა და მისი შვილების რაზმების დამარცხებაში ყაზვინისაკენ მიმავალ გზაზე.

მენჯილის ახლოს, სოფელ ამბოსთან, საჭირო გახდა მდინარის გადალახვა. სერგო გამდლიშვილმა აქაც მოსაზრებულობა გამოიჩინა. მისი ინიციატივით სახელდახელოდ ნავტიკები მოაწყვეს მდინარეზე გადასასვლელად. რევოლუციურ ბრძოლებში იგი მოხერხებულად იყენებდა მეფის არმიაში სამსახურის დროს მიღებულ მესანგრის პროფესიას. მისთვის არაერთხელ მიუხდევიათ რევოლუციონერებს თავკაცობა მნიშვნელოვანი საბრძოლო საქმეების მოსაგვარებლად თუ რევოლუციონერთა რაზმებს შორის საიმედო კავშირის დასამყარებლად.

1909 წლის შემოდგომაზე სერგო გამდლიშვილი სხვა ბრძოლა-გადახდილ ქართველ რევოლუციონერებთან ერთად ირანიდან ბაქოში ბრუნდება. იქიდან მალე თბილისში მოდის და აქ თავისი ირანული ყოველდღიური საბრძოლო ჩანაწერების მიხედვით წერს და ვაზეთ „ახალ სხივში“ აქვეყნებს ისტორიული დღიურებს. „სპარსეთის მოძრაობის ისტორიიდან“.

თბილისიდან სერგო გამდლიშვილი, სედრაქ ზარიძე და კაკო კორინთელი რუსეთს გაემგზავრნენ. ისინი გზაში ოზრანკამ დაპატიმრა, სამხილი წარუდგინეს და ჩამოახრჩვეს ეკატერინოდარში (ახლანდელი კრასნოდარი) 1910 წლის 18 ნოემბერს.

ასე დასრულდა 28 წლის ასაკში ჩვენი საამაყო თანამემამულის, შესანიშნავი რევოლუციონერისა და ინტერნაციონალისტის ცხოვრება. სიცოცხლე რომ დაცლოდა, ვინ იცის, კიდევ რამდენი ძვირფასი სამსახურის გაწევა შეეძლო ამ ქედუხრელ ვაჟკაცს ხალხის თავისუფლებისათვის უკეთილშობილეს ბრძოლაში.

მკითხველს შეუძლია ქართველ და სხვა ინტერნაციონალისტ მებრძოლთა გმირობისა და მამაცობის ბევრი საინტერესო ამბავი შეიტყოს სერგო გამდლიშვილის ნაშრომში „სპარსეთის მოძრაობის ისტორიიდან“.

„აზიის ხალხების გამომავლებას პოლიტიკური ცხოვრებისათვის — წერდა ვ. ი. ლენინი—განსაკუთრებით შეუწყო ხელი რუსეთ-იაპონიის ომმა და რუსეთის რევოლუციამ“⁶⁰.

ჯერ კიდევ რევოლუციამდე ირანელი ხალხის ფართო მასები არაერთხელ გამოსულან გაბატონებული კლასებისა და მათი მფარველი უცხოელი კოლონიზატორების წინააღმდეგ. ასე იყო 1892 წელს ცნობილი თალბოთის თამბაქოს მონოპოლიის წინააღმდეგ მღელვარებისა, თუ ამ საუკუნის დამდეგს ირანის საბაჟოების ბელგიელ გამგებელ ნაუსთან კონფლიქტის დროს. მაგრამ ეს სახალხო გამოსვლები ხშირად ვერ აღწევდა მიზანს, ვინაიდან მათ წინააღმდეგ ირანშემბოდნენ ადგილობრივი და უცხოელი ექსპლოატატორები. იმის შემდეგ, რაც, ერთი მხრივ, რუსეთის ცარიზმის დამარცხებამ იაპონიასთან ომში სააშკარაოზე გამოიტანა ცარიზმის შინაგანი სიღამპლე და ჩამორჩენილობა, ხოლო, მეორე მხრივ, რუსეთში დაწყებული მა რევოლუციამ საკუთარი საზრუნავი შეუქმნა მეფის თვითმპყრობელობას, ირანელ ხალხს მნიშვნელოვნად გაუიოლდა ბრძოლა ადგილობრივი მჩაგვრელების წინააღმდეგ. ამასთან ერთად, რუსეთის რევოლუციის განმათავისუფლებელი იდეები, რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე მცხოვრები სხვადასხვა ერისა და სარწმუნოების მუშებისა და გლეხების წარმატებითი ბრძოლა საკუთარი ექსპლოატატორებისა და მათი პოლიტიკური მფარველის — მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ იმედს აძლევდა და ძალას მატებდა ირანელ თავისუფლებისათვის მებრძოლებს. პირველსავე ბრძოლებში რევოლუციურმა მასებმა მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს. შაჰი იძულებული გახდა დათანხმებულიყო — მიეღოთ კონსტიტუცია და ქვეყნის ისტორიაში პირველად მოიწვიეს პარლამანტი (მეჯლისი), მაგრამ შემდეგში ყოველივე ეს შაჰის თვითმპყრობელობამ რევოლუციური მასებისადმი მეტისმეტ დათმობად მიიჩნია. როგორც ზემოთაც ვნახეთ, 1908 წლის ივნისში მეფის რუსეთის მხარდაჭერით გათამამებულმა მოჰამედ ალი შაჰმა სპარსეთის კაზაკთა ბრიგადის⁶¹ მეთაურ, რუს პოლკოვნიკ ლიანოვს უბრძანა დაებომბა მეჯლისის შენობა და კონტრრევოლუციური გადატრიალება მოახდინა. ამის

⁶⁰ ვ. ი. ლენინი, თხზ., მე-4 გამოც., ტ. 15, გვ. 260.

⁶¹ ჯერ კიდევ 1879 წელს ირანის შაჰის ნასრ-ედ-დინის მიწვევით თეირანში ჩაიდა რუს სამხედრო სპეციალისტთა ჯგუფი პოლკოვნიკ დომანტევიჩის მეთაურობით. მათ რუსეთის კაზაკთა შენაერთების მსგავსად შექმნეს სპარსეთის კაზაკთა პოლკი, რომელიც შემდეგ დივიზიად და ბოლოს ბრიგადად გადაკეთდა. იგი წარმოადგენდა ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის დასაყრდენს ირანში.



პასუხად ქვეყანაში ახალი ძალით იფეთქა რევოლუციური განქვესვლებმა. ფეხზე დადგა რევოლუციური თავრიზი. აჯანყებულთა უპირველესი მოთხოვნა კონსტიტუციის შენარჩუნება და მეჯლისის აღდგენა იყო. თავისუფლებისათვის მებრძოლი ხალხი გმირი აღმოჩნდა, თავრიზი მიუვალ ციხე-სიმაგრედ იქცა. მის კედლებთან კბილებს იმტურევდნენ კონტრრევოლუციონერებისა და ყველა ჯურის რეაქციონერთა ჯარები. გმირმა სათარ-ხანმა მთელი ძალები დარაზმა მტრის უკუსაგდებად. თავრიზელმა აჯანყებულებმა არა მარტო თავისი ქალაქი დაიცვეს, არამედ თავიანთი გავლენა გაავრცელეს ირანის აზერბაიჯანის ბევრ სხვა ქალაქსა და სოფელზე. მაგრამ მტერი არ ცხრებოდა. იგი სულ ახალ-ახალ რეზერვებს აბამდა თავრიზის წინააღმდეგ ბრძოლაში, ამასთან მას ზურგს უმაგრებდნენ რუსი და ინგლისელი იმპერიალისტები.

ვ. ი. ლენინი, რომელიც დიდი გულისყურითა და ინტერესით აღევნებდა თვალს თავრიზელთა ბრძოლას, აღფრთოვანებით წიროდა: „მძიმეა სპარსელი რევოლუციონერების მდგომარეობა ისეთ ქვეყანაში, რომლის ერთმანეთს შორის დაყოფა თითქმის უკვე დააპირეს, ერთი მხრივ, ინდოეთის ბატონ-პატრონებმა და, მეორე მხრივ, რუსეთის კონტრრევოლუციურმა მთავრობამ..... ასეთი რევოლუციური მოძრაობა, რომელსაც უნარი შესწევს სამხედრო წინააღმდეგობა გაუწიოს რესტავრაციის ცდებს და რომელიც ასეთი ცდების გმირებს აიძულებს დახმარებისათვის უცხოტომელებს მიმართონ, — არ შეიძლება მოისპოს და სპარსეთის რეაქციის ყოველად სრული ტრაიმფი ასეთ პირობებში მხოლოდ ახალ სამხედრო გამარჯვებითა შესაგალი აღმოჩნდებოდა“⁶².

თავრიზელთა წარმატებებმა ახალი ძალა შემატა ირანელი ხალხის ბრძოლას შაჰის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. საჭირო იყო ყოველი მხრიდან და ყველა საშუალებით დახმარების ხელი გაეწოდებინათ თავრიზელებისათვის, რათა მიზნის შესრულების საშუალება არ მიეცათ რესტავრატორებისათვის, რომლებსაც მუშტი მოედერებინათ სათარ-ხანელთა წინააღმდეგ და გარეშე ძალის შემწეობით ცდილობდნენ ჩაეხშოთ რევოლუცია.

ასეთ ვითარებაში, როგორც ა. ქასრაფი წერს, სათარ-ხანი ხშირად იტყოდა ხოლმე: „კიდევ ერთი სხვა ქალაქიც რომ აჯანყდეს, მოჰამედ ალი მირზა ვერ შეძლებს თავისი მთელი ძალები თავრიზის წინააღმდეგ გამოსცადოსო“⁶³.

⁶² ვ. ი. ლენინი, თხზ. 3—4 გამოც., ტ. 15. გვ. 210.

⁶³ ა. ქასრაფი, აზერბაიჯანის თვრამეტწლიანი ისტორია, თეირანი, 1967, გვ. 8.



თვით ცხოვრებამ, რევოლუციურ მოვლენათა განვითარებამ და პირობა რევოლუციონერთა ახალი დიდი შეტევის მომზადებისა და მოწყობის აუცილებლობა შაჰის დესპოტური ტირანიის წინააღმდეგ, შაჰისა, რომელიც ისევე, როგორც რუსეთის მეფე, სათავეში ედგა ირანის რეაქციას და გზას უღობავდა ხალხის სწრაფვას თავისუფლებისა და პროგრესის გზაზე. ამიტომ არ შეიძლება დავეთანხმოთ ლიტერატურაში საკმაოდ გავრცელებულ აზრს იმის შესახებ, რომ, თითქოს, ამ შემთხვევაში ზოგიერთი პიროვნების, მათ შორის სარდარ მუჰის (მოაზ-ოს-სულთან), სეფაჰდარის ან სარდარ ასადის პიროვნულმა ნიჭმა და უნარმა ითამაშაო გადამწყვეტი როლი⁶⁴. ისინი და ზოგიერთი სხვა ხელმძღვანელი მხოლოდ რევოლუციური ამბების განვითარებამ ამოატივტივა მოვლენების ზედაპირზე. მათ რევოლუციის თანამგზავრის როლის შესრულება შეძლეს მხოლოდ.

ეს ისტორიული ლაშქრობა, რომლის შესახებ თავის ადგილას გაკვრით ზემოთაც იყო მინიშნებული, სამ ძირითად ეტაპად განხორციელდა. პირველი ეტაპი მოიცავს ბახთიარების მიერ ისფაჰანის დაკავებას 1908 წლის დამლევის და რეშთის აჯანყების მომზადებასა და განხორციელებას, რაც 1908 წლის ბოლოთი და 1909 წლის თებერვლით შემოიფარგლება. მეორე ეტაპზე განხორციელდა გილანელ და ამიერკავკასიელ რევოლუციონერთა შეტევა ყაზვინის მიმართულებით. ეს ბრძოლა ორთვენახევარზე მეტ ხანს გრძელდებოდა. მესამე ანუ გადამწყვეტ ეტაპზე მოეწყო გილანელი და ამიერკავკასიელი რევოლუციონერების, ერთი მხრივ, და ბახთიარების, მეორე მხრივ, ერთობლივი ლაშქრობა დედაქალაქ თეირანზე, რაც შაჰის ტახტიდან ჩამოგდებათ დასრულდა.

სწორედ ამ დიდმნიშვნელოვანი რევოლუციური ბრძოლების შესახებ გვაწვდის ცნობებს „გურჯი სერგოს“ დღიურები. მასში გაბმული თხრობით დაწვრილებით არის აღწერილი ეს ისტორიული ამბები, გულწრფელად და მთელი დამაჯერებლობით არის ნაჩვენები ქართველი და სხვა ინტერნაციონალისტი მემორების როლი და დამსახურება ამ დიდი და მძიმე ბრძოლების წარმატებაში. დღიურების ავტორის მიერ აღწერილი ისტორიული ამბების სიზუსტის დასადასტურებლად და მათში მეტი სინათლის შესატანად, აგრეთვე იმისათვის, რომ უფრო ფართო წარმოდგენა გვქონდეს მათ შესახებ, ცალკეულ შემთხვევებში შევეცდებით შევაჯეროთ ისინი ჩვენს ხელთ არსებულ ზოგიერთ იმ სხვა მასალებთან, რომლებიც დაცულია ქართულ, რუსულ, სპარსულ და ინგლისურ წყაროებში.

⁶⁴ ა. ქასრაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 8.

სერგო გამდლიშვილის ისტორიულ დღიურებში მოცემულია ირანის აზერბაიჯანისა და გილანის პროვინციებში მიმდინარე რევოლუციური ბრძოლების ხასიათისა და თავისებურებათა შეფასება. საგანგებოდ არის აღნიშნული, რომ რევოლუციურმა მოძრაობამ ირანის აზერბაიჯანში (უპირატესად თავრიზში) შედარებით შეგნებულ და ამასთან ერთად ფართო სახალხო ხასიათი მიიღო. მას სათავეში ედგა ხალხის მასებიდან გამოსული გმირი სათარ-ხანი. ირანის აზერბაიჯანში რევოლუციური მოძრაობის სახალხო-დემოკრატიული მიმართულება განპირობებული იყო რევოლუციურ ამიერკავკასიასთან სიახლოვეთ, მასთან მჭიდრო კავშირით. „აზერბაიჯანლებმა, როგორც კავკასიის მეზობელმა, ცოტად თუ ბევრად იცოდნენ ვისთან, ვისთვის და რისთვის იყო საჭირო ბრძოლა და რა სარგებლობას მოუტანდა თავისუფლება სპარსეთს“⁶⁵. — წერს ავტორი. რაც შეეხება გილანს, იგი თუმცა ირანის ჩრდილოეთი პროვინციაა, ამიერკავკასიას უშუალოდ არ ემეზობლება და მასთან ასე მჭიდრო ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირი არ ჰქონდა. ამიტომ რუსეთის რევოლუციის გავლენა აქ შედარებით სუსტი იყო. რევოლუციის წინაშე მდგარი ძირითადი მიზნები და ამოცანები სათანადოდ არ ესმოდათ არა თუ მოსახლეობის ფართო ფენებს, არამედ „თვით მკვიდრმა ხელმძღვანელებმა არ უწყიან რას მოასწავებს მათი გამარჯვება“⁶⁶. ამანაც განაპირობა გილანის აჯანყების თავისებურება და შედეგები. ეს აჯანყება მომზადებულ იქნა და განხორციელდა ამიერკავკასიელი და ადგილობრივი რევოლუციონერების ინიციატივითა და აქტიური მონაწილეობით, ხოლო მისი ნაყოფით ისარგებლეს შაჰის მთავრობისადმი ოპოზიციურად განწყობილმა ხანებმა. „მეტი წილი ხანობა საზიზღრობის მეტს არაფერს სჩადის. ეს მოსალოდნელი იყო, რადგან სპარსელი ხანი დღესაც იგივე სისხლისმსმელი ფეოდალია, როგორც ასი წლის წინათ, იყო“⁶⁷.

მართლაც, თუ თვალს გადავავლებთ ირანის სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ვითარებას რევოლუციის წინარე პერიოდში, დავრწმუნდებით დღიურების ავტორის მიერ მოცემული ამ შეფასების სისწორეში. XIX—XX საუკუნეთა მიჯნაზე ირანში იმპერიალისტური სახელმწიფოების კოლონიური პოლიტიკის გაძლიერებასთან დაკავშირებით, როგორც წინათ ითქვა, ერთი მხრივ, უკვე გამოვლინ-

⁶⁵ „ახალი სხივი“, № 3, 1910 წ., 6 თებერვალი.

⁶⁶ იქვე.

⁶⁷ იქვე, ხანი — მონღოლი მბრძანებლების ტიტული, მონღოლთა ბატონობის შემდეგ ხანობა ირანში საპატიო წოდებად დარჩა.

და კაპიტალისტური ურთიერთობის საწყისებზე მეურნეობის გან-
ვითარების პირველი ხელშესახები ნიშნები, მაგრამ, მეორე მხრივ, სო-
ფლის მეურნეობაში კაპიტალიზმის განვითარებას დიდად აფერხებდა
ფეოდალური წყობის ძლიერი ელემენტები, რომლებიც ბოლო ხა-
ნებამდე შემორჩა ირანულ ყოფას. შეიმჩნეოდა მიწის პირობითი
მფლობელობიდან (თიული, სოიურღალი)⁶⁸ კერძო საკუთრებაზე
გადასვლის დაჩქარებული პროცესი. შესაბამისად ვითარდებოდა
მსხვილი მემამულურ-მულქადარული⁶⁹ მეურნეობანი. თავი იჩინა
სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის განვითარების პროცესმა,
თუმცა იგი ჯერ კიდევ არ ამალღებულა მონოკულტურის დონემდე.
აქა-იქ უკვე ჩნდებოდნენ გლეხების შეძლებული წარმომადგენლები,
რომლებიც არანაკლებ ჩაგრავენენ თავისივე კლასის დაბალ ფენებს,
ვიდრე მსხვილი მემამულეები. რაც შეეხება მათ ძირითად მასას, ისი-
ნი კიდევ უფრო ლატაკდებოდნენ, უფრო მძიმე ხდებოდა მათი შრო-
მის ექსპლოატაცია, ამასთან თანდათან ირღვეოდა სასოფლო თემი
და დროთა განმავლობაში ბოლო ეღებოდა წვრილგლეხურ კერძო
საკუთრებას. ამ პროცესის ერთ-ერთი მთავარი ნიშანი იყო ის, რომ
მსხვილი მემამულეები მიწების მონოპოლიური მფლობელები ხდე-
ბოდნენ. ე. რეკლიუ სწორად შენიშნავდა, რომ ამ დროს ირანი ერთ-
ერთ მსხვილ მიწათმფლობელურ ქვეყანას წარმოადგენდა⁷⁰. ქვეყნის
მთელი მიწების 80—90 პროცენტი უკვე მსხვილ მემამულეთა ხელში
იყო თავმოყრილი. ისფაჰანის პროვინციაში მარტო ერთ კაცს — შაჰ-
ნასრ-ედ-დინის შვილს პრინც ზელი სულთანს ეჭირა 2 000-ზე მეტი
სოფელი ერთ მილიონამდე მოსახლეობით. „სპარსეთის მიწათმფლო-
ბელთა ამ მეფემ“ ძალადობის გამოყენებით უამრავ მიწებს მოუყარა
თავი თავის ხელში და მათზე მსხდარი გლეხები სრულ ფეოდალურ
მორჩილებას დაუქვემდებარა⁷¹.

გილანის პროვინციაში, რომლის შესახებაც ლაპარაკია დასახე-
ლებულ დღიურებში, პ. რისის ცნობით, მსხვილმა მემამულეებმა
მთლიანად დაიტაცეს ხალესეს⁷² მიწები. მიწის დიდი ფართობები
მისაკუთრა ლაჰიჯანის მმართველმა მირზა მოჰამედ ალი ხანმა. იგი ერთ-
ერთი უმდიდრესი მიწათმფლობელი იყო ირანის კასპიისპირეთში. მას

⁶⁸ თიული — მამული, რომელიც სიცოცხლეულ სარგებლობაში გაიყვმოდა. სოი-
ურღალი — ლენი. იგი მიეცემოდა ცალკეულ პირებს სამხედრო და სხვა სამსახურისა
და ხაზინაში გადასახადების შეტანის პირობით.

⁶⁹ მულქი — კერძო საკუთრებაში არსებული მამული. მულქადარი — მულქის
მფლობელი.

⁷⁰ Э. Реклю, Земля и люди, Всеобщая география, СПб., т. 9, с. 211.

⁷¹ Д. Белаяев, Отчет о поездке по Персии, Тифлис, 1906, с. 1, 2, 9.

⁷² ხალესე ირანში სახელმწიფო მიწებს ეწოდებოდა.

ბევრად არც თალიშის ხანები ჩამორჩებოდნენ⁷³. მიწების მსხვილი მფლობელები იყვნენ აგრეთვე მომთაბარე-მესაქონლე ტომების წარმომადგენლები და ტომთა სხვა გავლენიანი პირები. ცენტრალურ, სამხრეთ და აღმოსავლეთ ირანში ბახთიარების, ლურების, ბელუჯების ტომების ბელადები, დერეგიოზის, ქუჩანის, ბურჯუნდის და ქელათის ხანები დიდძალ მამულებს ფლობდნენ მათზე მომუშავე გლეხებითურთ.

მიუხედავად მიწის მფლობელობაში მომხდარი ერთგვარი ცვლილებისა ირანელ ხან-ფეოდალებს არაფერი შეუცვლიათ უშუალო მწარმოებლებთან არსებულ ტრადიციულ სამიწათმოქმედო ურთიერთობაში. პირიქით, ისინი, ეწურობოდნენ რა მიწიდან შემოსავლის გადიდებას, კიდევ უფრო ამძიმებდნენ გლეხობის ჩაგვრის უღელს. ხანები კვლავ „სისხლისმსმელ ფეოდალებად“ ევლინებოდნენ ქვეყანას. ირანის რევოლუციის ერთ-ერთი მიზანიც სწორედ მათი ალაგმვა იყო. მაგრამ საყოველთაო სიბეჩავისა და უმეცრების პირობებში.. როცა ხალხის მასები „გზააბნეულები“ იყვნენ, ჯერ კიდევ ვერ ერკვეოდნენ სათანადოდ რევოლუციური მოძრაობის მიზნებსა და ამოცანებში, ამ მოძრაობას თუმცა თავიდან „ხალხური ელფერი ემჩნეოდა“, მაგრამ შემდეგში „ყველაფერი შეიცვალა და მოძრაობა ხალხურ-ყაჩაღური“⁷⁴ გახდა. ე. ი. რევოლუციური მასების დაბალი შეგნებულობის გამო, რევოლუციის მონაპოვარს ზოგჯერ და გარკვეულ სიტუაციაში ირანელი ხან-ფეოდალების წარმომადგენლები ეუფლებოდნენ ხოლმე. ისინი მასების რევოლუციურ ადტიკნებას თავიანთი ანგარებითი მიზნების დასაკმაყოფილებლად იყენებდნენ.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ჩრდილოეთ ირანში მაშინ მიმდინარე რევოლუციური ამბების ამ უდაოდ სწორ შეფასებასთან ერთად, ჩვენი აზრით, დღიურებში დაშვებულია გარკვეული უზუსტობა. როდესაც გილანელი ხანები, რომლებიც, მართლაც, სისხლისმსმელი ფეოდალები იყვნენ, ხშირად ანგარებითი მიზნით რევოლუციურ მოძრაობასაც ეტმასნებოდნენ და მოსაჩვენებლად ამ მოძრაობის საერთო ნაკადს მიჰყვებოდნენ, საერთოდ გილანელ ხალხთან არიან აღრეულნი და გაიგივებულნი. როცა გილანის სახანოს (პროვინციის) დახასიათებას იძლევა, ავტორი წერს: „საერთოდ, გილანელი ხალხი ძალიან გულ-ძუა, ფლიდი, ორპირა და თან მშობარაა. გილანელი ყოველ დროს მზად არის ერთნაირად უღალატოს მტერ-მოყვარეს, ოღონდ კი თავისას მიაღწიოს. სანამ გილანელისათვის საჭიროა მეგო-

⁷³ П. Ф. Рис, Общие замечания об южном берегу каспийского моря, «Записки Кавказского отдела русского географического общества», тифлис, 1874, кн. 6, ч. 3, с. 65.

⁷⁴ „ახალი სხივი“, № 3, 1910 წ., 6 თებერვალი.

ბრობა, მანამ თავს ევლება მას, ხელ-ფეხს ულოკავს და, როდესაც თავისას დაატოვებინებს და წელს გაიმაგრებს, მაშინ გილანელი ყოველი მოყვარის მტრად გადაიქცევა და თუ დრო იშოვავ, სასიკვდილოდაც არ დაზოგავს მეგობარს. როგორც რუსული ანდაზა ამბობს: „Любят чужими руками жар гребать“⁷⁵.

ცხადია, არ შეიძლება დავეთანხმოთ დღიურების ავტორის ამ დახასიათებას, რასაც იგი გილანის მთელ მოსახლეობაზე ავრცელებს. ცნობილია, რომ ყველა ხალხი თავისი ბუნებით მეტ-ნაკლებად თავისუფლების და მშვიდობისმოყვარეა. იგი, განსაკუთრებით კი მისი დაბალი, მშრომელი უმრავლესობა, ყველგან და ყოველთვის სიკეთისა და სამართლიანობისაკენ მიილტვის. რაც შეეხება ზედა, გაბატონებულ წრეებსა და ფენებს, რომლებიც ყოველთვის უმცირესობას შეადგენენ, სწორედ ისინი ხასიათდებიან იმ ნეგატიური თვისებებით, რის შესახებაც დღიურებშია ლაპარაკი. ესენი იყვნენ გილანელი მდიდარი ხანები, რომლებიც ისეთივე სისხლის მწოველ ფეოდალებად დარჩნენ, როგორიც მათი წინაპრები იყვნენ შორეულ წარსულში.

ეტყობა, დღიურების ავტორი თვითონაც არ იყო ღრმად დარწმუნებული თავის შეფასების სისწორეში და ვარაუდობდა, რომ ეს კრიტიკას გამოიწვევდა. ამიტომ იგი იქვე შენიშნავდა, რომ „შესაძლებელია შემოხსენებული დახასიათება გილანელებისა ზოგიერთმა იწყინოს“⁷⁶. მაგრამ მაინც მას რატომღაც აქვს თავისი პირადი შთაბეჭდილებებიდან აღებული ზოგიერთი ფაქტის იმედი, რითაც სურს დაგვარწმუნოს მისი ნათქვამის საფუძვლიანობაში. ვფიქრობთ, დღიურები მთლიანად, როგორც ამას თვით მკითხველიც შეამჩნევს, სამართლიანობისათვის ბრძოლის კეთილშობილი იდეებით არის გამსჭვალული და, ვითარცა აღწერილი რევოლუციური ამბების მემკვიდრე, მაღალ შეფასებას იმსახურებს. ამიტომ საესებით შესაძლებელია, რომ ეს და ზოგიერთი სხვა ნაკლოვანება, რასაც ზოგჯერ ვაწყდებით დღიურებში, ერთგვარად გამონაკლის ხასიათს ატარებს.

როცა ირანში 1908 წლის ბოლოს საერთო ვითარებას გადმოვსცემს, ავტორი წერს, რომ „იმ დროს, როცა აზერბაიჯანი თავრიზითურთ მთელი წელიწადია იბრძვის, სისხლის ღვარში და განსაცდელშია, როდესაც აზერბაიჯანი იმედს არ ჰკარავს, რომ დანარჩენი სპარსეთიც მას წაბაძავს და მოძრაობა საერთო ეროვნულ ხასიათს მიიღებს, ამ დროს დანარჩენი სპარსეთი მიუყუჩებულია, ღრმად სძინავს და აზერბაიჯანის ბედ-იღბალი თითქოს სრულიად არ აინტერესებს მას“⁷⁷.

⁷⁵ „ახალი სხივი“, № 3, 1910 წ., 6 თებერვალი.

⁷⁶ იქვე.

⁷⁷ იქვე.



მართლაც, ირანის 1905—1911 წლების რევოლუციის მძვინვარეობა მოწმობს, რომ ამ რევოლუციას, რომელსაც თავისი ბუნებით, შინაარსითა და მიმართულებით მკვეთრად გამოხატული ბურჟუაზიული რევოლუციის დამახასიათებელი ნიშნები ჰქონდა (თუმცა, განსაკუთრებით შემდგომ ეტაპზე, კლასობრივ ძალათა თანდათანობითი გამიჯვნის კვალობაზე, მან ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის დამახასიათებელი ელემენტებიც შეიძინა), ეროვნული ბურჟუაზიის პოლიტიკური მოუმწიფებლობისა და თანამიმდევრული რევოლუციის კლასის — სამრეწველო პროლეტარატის სიმცირისა და პოლიტიკური სისუსტის გამო, ერთიანი პოლიტიკური ხელმძღვანელი ცენტრი არ გააჩნდა. ამიტომ ცალკეულ პროვინციებში ხალხის რევოლუციური გამოსვლები წმირად სტიქიურად იფეთქებდა ხოლმე და მათ შორის საჭირო კავშირი არ არსებობდა. ეს, ცხადია, უარყოფით გავლენას ახდენდა რევოლუციის მსვლელობაზე და საშუალებას აძლევდა რეაქციას ცალ-ცალკე გასწორებოდა აჯანყებულებს. მაგრამ გავლენა რევოლუციური იდეებისა, რასაც ამიერკავკასიაში მომუშავე ირანელები და სოციალ-დემოკრატიული ჯგუფები ავრცელებდნენ, ირანის მრავალ ქალაქსა და სოფელში იმდენად დიდი იყო, რომ იგი ნაწილობრივ მაინც ავსებდა ერთიანი პოლიტიკური ხელმძღვანელის უყოლობით შექმნილ დიდ ხარვეზს. „თავრიზის გამოუვალი მდგომარეობა, — განაგრძობს ავტორი — თავგანწირული ბრძოლა და ვაი-ვაგლახი, კავკასიელებს უფრო ადრე უღვიძებს შებრალების ნაკვერჩხალს და ჩვეულებრივ კაცთმოყვარულ გრძნობას, ვიდრე სპარსელებს. ისინი უფრო ადრე ჩაერევნიან ხოლმე მეზობლთა რაზმებში და აზერბაიჯანელებთან ერთად, როგორც გმირები, იბრძვიან, რომ მრავალტანჯული ირანი გამოიხსნან მტრის ბრწყალებიდან... პირველი დახმარება კი იმაში გამოიხატებოდა, რომ მათ თხოვნით მიმართეს ადგილზე, კავკასიაში. სთხოვეს მონაწილეობა მიეღოთ მოძრაობაში, სათარ-ხანს მიშველებოდნენ... ბევრი კავკასიელი მაშინვე გაემგზავრა თავრიზისაკენ, რეშთისკენ⁷⁸ და გმირულად შეწირა თავი მოძრაობას⁷⁹“. აჰმად ქასრავი საგანგებოდ ეხებოდა ირანელი რევოლუციონერების ამიერკავკასიელ სოციალ-დემოკრატებთან დაკავშირებისა და ამ უკანასკნელთა მონაწილეობის ფაქტს გილანის პროვინციაში და წერს, რომ ამ დროს

⁷⁸ თავრიზი ირანის აზერბაიჯანის მთავარი ქალაქია. იმ დროისათვის მას მეორე ადგილი ეჭირა სიდიდით თეირანის შემდეგ. რეშთი გილანის პროვინციის ცენტრია. ორივე ეს ქალაქი, რომლებიც ჩრდილოეთ ირანში მდებარეობს, თავისი რევოლუციური ტრადიციებით ფართოდ არის ცნობილი.

⁷⁹ „ახალი სხივი“, № 3, 1910 წ., 6 თებერვალი.



ამიერკავკასიაში რამდენიმე ირანელი ყოველნაირად ცდილობდა, რა-
 რაც შეეძლოთ, გილანის აჯანყებისათვის შეეწყოთ ხელი...
 სოციალ-დემოკრატიული კომიტეტიც ირანის განმათავისუფლებელ
 მოძრაობას უჭერდა მხარს. ამასთან ერთად, აზერბაიჯანელი მეთა-
 ურებიდან ბევრს ამ კომიტეტთან ჰქონდა დამყარებული კავშირი
 (მათ შორის იყვნენ მირზა სუჩი, ჰაჯ შეიხ ჰოსეინ აშქაროზი და სხვე-
 ბი). „მათაც აგრეთვე, კომიტეტის წევრებთან ერთად, თვალი გილან-
 ზე ეჭირათ... მოაზ-ოს-სულთანის ძმა მირზა ქარიმ-ხანი კავკასიაში
 გაემგზავრა, კომიტეტის წევრებს გაეცნო (იგულისხმება რსდმპ—კავ-
 კასიის კავშირის თბილისის კომიტეტი — გ. ჭ.) და იქიდან შეიარა-
 ლებულ მებრძოლთა რაზმი წამოიყვანა“⁸⁰. სალამულა ჯავიდის ცნო-
 ზით. რეშთის განთავისუფლებისათვის მებრძოლმა მთავარმა კომი-
 ტეტმა, რომლის ხელმძღვანელები იყვნენ სარდარ მოჰი (იგივე
 მოაზ-ოს-სულთანი), მისი — ძმა მირზა ქარიმ-ხანი და მოსიუ იყი-
 გიანი⁸¹, გადაწყვიტა, რომ იარაღისა და საბრძოლო მასალის მისა-
 ლებად მირზა ქარიმ-ხანი თბილისში გაეგზავნა. თბილისში იმ დროს,
 ყოფილ თათრის მოედანზე (ამჟამინდელი ლესელიძის ქუჩის ნაწი-
 ლი). სპარსული ხალიჩებით მოვაჭრე ძმები სადისოვების ბინაზე იყო
 ირანის რევოლუციის ხელშემწყობი ჯგუფის ადგილსამყოფელი.
 მირზა ქარიმ ხანის მოგზაურობა თბილისში ორ თვეს გაგრძელდა.
 როგორც ს. ჯავიდი აღნიშნავს, რუსეთის სოციალ-დემოკრატიულმა
 პარტიამ, მიუხედავად იმისა, რომ თვითონ განიცდიდა მთავრობის
 მხრივ დევნასა და შევიწროებას, მაინც შეძლო საბრძოლო იარაღე-
 ბის გარკვეული რაოდენობის გილანში გაგზავნა. იმ დროს რუსეთის
 მთავრობა ამის თაობაზე ჯერ კიდევ საქმის კურსში არ იყო. ბოლოს
 ეჭვი აიღო და სპარსეთში გაგზავნილი ყველა სავაჭრო ტვირთისა და
 მგზავრების ჩხრეკა დაიწყო. ეჭვმიტანილი ექვსი კავკასიელი მოჯაჰი-
 დი (რევოლუციონერი) ლენქორანში დააპატიმრეს და იქვე დახვრი-
 ტეს⁸². ენზელში მყოფ მეფის მთავრობის მოხელეებს ხელში ჩაუვარ-
 დათ საბრძოლო მასალის მნიშვნელოვანი რაოდენობა. შემდეგ ბაქოს
 პოლიციამ მოახერხა აგრეთვე რეშთში გასაგზავნად გამზადებული
 იარაღების ერთი ნაწილის რეკვიზიცია მოეხდინა. კავკასიელი მებრ-
 ძოლები უდიდეს სიმტკიცეს იჩენდნენ. საკუთარი სიცოცხლის ფასად
 ინახავდნენ საიდუმლოებას. უკანასკნელ მომენტშიც კი სულით არ
 ეცემოდნენ და გამცემლობასა და დალატს არ ჩადიოდნენ. ს. ჯავიდი
 წერს, რომ იარაღის გადატანაში შემჩნეული ვინმე რაკიმოვი ხელში

⁸⁰ ა. ქასარავი, აზერბაიჯანის თვრამეტწლიანი ისტორია, თეირანი, 1967, გვ. 8.

⁸¹ მოსიუ იყიგიანი „ეჯთომაიუნ-ე ამმოუნის“ თავრიზის ჯგუფის ხელმძღვანელიც.
 იყო. იხ. М. С. Иванов, Иранская революция 1905—1911 гг. М., 1957, с. 205.

⁸² ს. ჯავიდი, დასახ. ნაშრ., გვ. 76.



ჩაიგდო პოლიციამ. რამდენიც კი არ სცემეს მას, მაინც არ გათქვა ერთგულება შენს პარტიას⁸³.

რსდმპ კავკასიის კომიტეტი იარაღებსა და მოხალისეებს, რომლებსაც რეშთში აგზავნიდა, რევოლუციურ („ენეცლაბინის“) კომიტეტს აბარებდა. ისინი თალიევის საეპრო ფირმის გემებს ჩაყავდა ენზელის ნავსადგურში. იმის შემდეგ, რაც რუსეთის მეფის მთავრობის მოხელეებს ეჭვები გაუძლიერდათ, მგზავრებს უკვე ორ ადგილას — ლენქორანსა და ასთარაში — ჩხრეკდნენ. მეფის მოხელეებს რომ ხელიდან გასხლტომოდნენ, კავკასიელი რევოლუციონერები. რომლებიც გილანში მიემგზავრებოდნენ, გემიდან ჩამოდიოდნენ და, შემოვლითი გზით, ფეხით ჩადიოდნენ ენზელში. იქიდან მათ ერთი საიმედო პირი, ეროვნებითი სომეხი, სახელად ბალასანი რეშთში გაისტუმრებდა ხოლმე სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი მუშადი ბაყარის მეგზურობით. რეშთში ჩასულებს სამ-ოთხ ადგილას აძლეოდნენ ბინას⁸⁴.

დღიურებში ვკითხულობთ, რომ „რეშთში ჩასულებს ევალდობდათ შეთქმულების (წაიკითხე: აჯანყების — გ. ჭ.) მოწყობა და რადაც არ უნდა დასჯდომოდათ — თავრიზზე მოსული მტრის განახევრება. კავკასიაში არსებული ჯგუფის წყალობით (იგულისხმება სპარსელ რევოლუციონერებზე დამხმარე ჯგუფი — გ. ჭ.) ქალაქ რეშთში ძლივს აღმოჩნდა სამი ოთხი ისეთი პირი (სარდარ მუი, მუიზამ სულთან⁸⁵, მისი ძმა ქარიმ ხანი, სეიდი ჰუსეინ (ქესმაი) და მირზა ალი მამედ ხანი), რომლებმაც რის ვაი-ვაგლახით იცისრეს ჩასულების პატრონობა, ე. ი. ბინისა და სასამელ-საჰმელის შოვნა“⁸⁶. შემდეგ ავტორი განმარტავს, თუ რამ აიძულა ეს ირანელი ხანები, რომ შაჰს განდგომოდნენ და თავი კონსტიტუციური მოძრაობის მომხრე რევოლუციონერებად გამოეცხადებინათ. მოაზ-ოს-სულთანის ბიძას სარდარ მანსურს შაჰის მთავრობაში ერთ-ერთი მინისტრის პოსტი ეჭირა. მაგრამ შაჰმა რაღაც მიზეზის გამო ოპოზიციაში დასდო ბრალი და იგი სათარ-ხანის მომხრედ მიიჩნია. ცნობილმა რეაქციონერმა ემირ ბაღადურ ჯენგმა, რომელიც შაჰის მთავრობის ერთგულებით გამოირჩეოდა, თავის დასახსნელად მას ასიათასი თუმანი მოსთხოვა. სარდარ მანსურმა შეძლო გაქცეულიყო და ინგლისის საკონსულოსათვის შეეფარებინა თავი. იქიდან იგი სამაგვიროს გადა-

⁸³ ს. ჯავიდი, დასახ. ნაშრ., გვ. 76.

⁸⁴ იქვე, გვ. 80.

⁸⁵ მოაზ-ოს სულთანის მეორე სახელი სარდარ მოჰი იყო. ავტორი მას მუიზამ სულთანს და სარდარ მუის უწოდებს.

⁸⁶ „ახალი სხივი“, № 3, 1910 წ., 6 თებერვალი.



ხდით ემუქრებოდა ემირ ბალაღურ ჯენგს. ბიძისადმი შაჰის მიწვევების ასეთი დამოკიდებულება მოაზ-ოს-სულთანმა საკუთარ შეურაცხყოფად მიიღო და შაჰს განუდგა. მან ეს მომენტი ხელსაყრელად მიიჩნია იმისათვის, რომ თავი სათარ-ხანის მომხრედ და რევოლუციონერად გამოეცხადებინა. შაჰის მთავრობის მტრობით გაბოროტებული მოაზ-ოს-სულთანი აღტაცებით დაეთანხმა წინადადებას, რომ თავისსა და მისი ძმების ბინაში დროებითი თავშესაფარი მიეცა ამიერკავკასიიდან ჩამოსულ მოხალისე მებრძოლებისათვის.

სეიდ ალი მამედ ხანი კი ცნობილი ბურჟუაზიულ-ლიბერალისა და ანგლოფილ, მეჯლისის დეპუტატ თალი-ზადეს ცოლისძმა იყო. ერთ ხანს ის თავრიზის ენჯუმენის⁸⁷ წევრადაც ითვლებოდა. იმას შემდეგ, რაც თავრიზის ენჯუმენი შაჰის ჯარებმა გაანადგურეს, მან კავკასიას შეაფარა თავი. იგი მალე გაეცნო მოაზ-ოს-სულთანს და მასთან ერთად ხელს უწყობდა გილანის აჯანყების მომზადებას⁸⁸.

დღიურების ავტორი, რომელსაც მხედველობაში ჰქონდა ყველა ეს ზემოთჩამოთვლილი და სხვა მრავალი მსგავსი ფაქტი, წერდა: „ასე ამრიგად, სპარსელი ხანები რევოლუციონერებად ხდებიან“⁸⁹.

რევოლუციის ეს დროებითი თანამგზავრები, რომლებსაც მხოლოდ შურისგების პირადი ინტერესები ამოძრავებდათ, სინამდვილეში შორს იდგნენ მისი იდეალებისაგან და ხშირ შემთხვევაში, როცა თავის მიზანს მიაღწევდნენ, განზე განუდგებოდნენ ხოლმე რევოლუციურ მასებს და კონტრევოლუციის ბანაკში გადადიოდნენ.

კავკასიელი მებრძოლები კი, მათ შორის ქართველები, რომლებსაც დამაგრულ სპარსელ თანამომძიებებზე დანხარების გულწრფელი სურვილი ამოძრავებდათ, „პირველსავე თხოვნაზე თანხმდებიან სპარსეთში წასვლაზე...“

„თუ რამდენი ვაი-ვაგლახი, ტანჯვა-ვაება და გაჭირება აიტანეს კავკასიელებმა და მათ შორის ქართველებმა სპარსეთში ყოფნის დროს, ამას აღნიშნავს სპარსეთის რევოლუციის ისტორია, თუ ოდენსმე მაინც იქნება იგი დაწერილიო“⁹⁰. წინასწარმეტყველურად შენიშნავს დღიურების ავტორი.

შემდეგ დღიურებში ლაპარაკია იმის შესახებ, რომ ორი თვის განმავლობაში — 1908 წლის ნოემბერსა და დეკემბერში რეშთში

⁸⁷ ენჯუმენი („აჯომან“). კრება, საზოგადოება, კლუბი. ირანი რევოლუციის დროს ენჯუმენები რევოლუციური თვითმმართველობის ორგანოებს წარმოადგენდნენ. თავრიზის ენჯუმენი, რომელიც 1906 წელს შეიქმნა, ირანის ენჯუმენთა შორის ყველაზე დემოკრატიული იყო.

⁸⁸ „ახალი სხივი“, № 3, 1910 წ., 6 თებერვალი.

⁸⁹ იქვე.

⁹⁰ იქვე.



ჩავიდა სულ 22 მებრძოლი კავკასიელი, აქედან უმრავლესობა (16 კაცი) ეროვნებით ქართველი. ქართველ მებრძოლთაგან 11-ისგან 3 წევრი და 5 უპარტიო, სოციალ-დემოკრატიის თანამგრძნობი იყო. დანარჩენი 6 მებრძოლიდან 3 რუსი (ანარქისტობდნენ) 1 ებრაელი, 1 აზერბაიჯანელი (თათარი) სოციალ-დემოკრატი რევოლუციონერი და 1 გერმანელი (უპარტიო) იყო.

ისინი ჩგუფ-ჩგუფად, დაქსაქსულად ცხოვრობდნენ და თავს ნობელის მუშებად აცხადებდნენ. 1908 წლის 28 დეკემბრამდე „ჩასულთა შორის არავითარი კავშირი არ არსებობდა და არც ერთმანეთს იცნობდნენ“⁹¹.

28 დეკემბერს (1909 წლის 10 იანვარს) შედგა კავკასიიდან ჩასული მოხალისე-რევოლუციონერთა კრება დაშნაკუტიუნის⁹² — პარტიის წევრი ვინმე ხაჩატურიანცის ბინაზე. ამ კრებას 30 კაცი ესწრებოდა. აქედან 8 დაშნაკელი იყო. კრებაზე განხილულ იქნა მიმდინარე საკითხები და წამოაყენეს კონკრეტული გეგმა აჯანყების მოსაწყობად. კრებამ მის მიერ შემუშავებული აჯანყების გეგმისა და დასახული ღონისძიებების შესახებ რეზოლუციის საიდუმლო კომიტეტს შეატყობინა⁹³. კრებამ აირჩია აჯანყების მომწყობი ხელმძღვანელი კოლეგია, რომელშიც შევიდა ოთხი ქართველი, ერთი თათარი (აზერ-

⁹¹ „ახალი სხივი“, № 3, 1910 წ., 6 თებერვალი.

⁹² დაშნაკუტიუნი (სომხურად კავშირს ნიშნავს) — სომხური ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტია. მის წევრებს დაშნაკები ანუ დაშნაკელები ეწოდებოდა. იგი კონტრრევოლუციური პარტია იყო. წარმოიშვა ამიერკავკასიაში XIX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში, ეწეოდა ბრძოლას მუშათა და გლეხთა რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ. დაშნაკები იყენებდნენ სომეხთა ნაციონალურ მისწრაფებას გაერთიანებისაკენ და დემოკრატიულად გამოდიოდნენ ლოზუნგით სომეხი ხალხის ეთიომდა სულთნის თურქეთის უღლისაგან განთავისუფლებისა და „დიდი სომხეთის“ შექმნის შესახებ. რუსეთის 1905—1907 წ. წ. რევოლუციაში ისინი იცავდნენ სომხური ბურჟუაზიის ინტერესებს, ეწეოდნენ ეროვნული განსაკუთრებულობის პოლიტიკას, ცდილობდნენ ხალხის მასების ყურადღება ჩამოეშორებინათ რევოლუციური ამოცანებისაგან, აღვივებდნენ ეროვნულ შუღლს, შშრომდნენ შორის, რაც ხელს აძლევდა ცარიზმსა და დიდი ვნება მოჰქონდა მუშათა მოძრაობისათვის სომხეთსა და მთელს ამიერკავკასიაში. მეფის პოლიციის მითითებით, მათ არაერთხელ მოაწყვეს თათარ-სომეხთა ზოცვა-ყლექა ბაქოში, ელიზავეტპოლში (ახლანდელი ლენინაკანი) და ამიერკავკასიის სხვა ადგილებში. სომხური ბურჟუაზიის ინტერესების დაცვის ლოზუნგით ისინი ეროვნულ შუღლს აღვივებდნენ ირანსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში. პირველი მსოფლიო ომის დროს დაშნაკები წარმოადგენდნენ სომხური ბურჟუაზიის მებრძოლ ავანგარდს და ანტანტის იმპერიალისტური ქვეყნების ინტერესებს იცავდნენ. 1918—1920 წლებში ისინი ხელისუფლების სათავეში იდგნენ სომხეთში, იხ BC9, т. 13, с. 405.

⁹³ საიდუმლო კომიტეტი ანუ ენჭუმენი „სათარის კომიტეტის“ სახელით იყო ცნობილი. ა. ქასრავის ცნობით, მისი წევრები იყვნენ მოაზ ოს-სულთან, ჰაჯ ჰოსენ ალა ისქანდერი, ალა გოლ ისქანდერი, ვალიკო გურჯი და სომეხი ეფრემ-ხანი. იხ. ა. ქასრავისი, დასახ. ნაშრ., გვ. 8.



ბაიჯანელი), რომელიც თარჯიმანის მოვალეობასაც ასრულებდა ერთი დასწავლით.

29 დეკემბერს (1909 წლის 11 იანვარს) საიდუმლო კომიტეტის გადაწყვეტილებით კავკასიიდან ჩასული 22 კაცი მოაზ-ოს-სულთანის სასახლეში გადაიყვანეს და ყველანი ერთად მოათავსეს. დაიწყო აჯანყებისათვის ინტენსიური მზადება. „დღე მუდამ ყუმბარების მზადებაში და იარაღის წმენდაში იყვნენ. იარაღის გაკეთება ყველას აინტერესებდა. ყველას თავი ქიმიკოსად მოჰქონდა და, აი, ამგვარმა მეთიწრობამ ყველანი და ყველაფერი კინალამ არ შთანთქა. გაუფრთხილებლობის გამო ლაბორატორია აფეთქდა. გულგახეთქილებმა აღარ იცოდნენ რა ელონათ. მაგრამ ისევ ერთი მუჟა გუოჯების ჯგუფის იმედი ამხნევებდა მათ და ეს რალაც შვევას იწვევდა“⁹⁴.

ეს ამბავი უფრო დაწვრილებით აქვს მოთხრობილი ამ ამბების მეორე უშუალო მონაწილეს ს. გამდლიშვილის თანამებრძოლ მეგობარს ა. ჯაფარიძეს თავის მოგონებაში. როცა სამზადისს ვამთავრებდით, — წერს ა. ჯაფარიძე — მოულოდნელად ფათერაქს გადავეყარეთ. მოაზ-ოს-სულთანის სახლის მეორე სართულზე ბომბებისა და იარაღის საწყობი იყო მოთავსებული. ჩვენ საბრძოლო და ფუჭი ვაზნების დამუხტვას ვეწეოდით. დიდ, გრძელ მაგიდაზე გროვა-გროვა დაყრილი იყო დენთი. იქვე ყუთებში ეწყო გამზადებული ბომბები. ჩვენთან შემოვიდა ქარიმ-ხანი და ცნობისმოყვარეობით გვიცქეროდა. მას პაპიროსის მოწვევა მოხასიათებოდა და ჩვენს შეუუმჩნევლად ასანთი აენთო. დაყვირება ვერ მოვასწარით რომ უცებ აფეთქდა დენთის ერთი გროვა. თვალის დახამხამებაში ალი მთელ ოთახს მოედო და ყველანი დენთის ალში გავეხვიეთ. ქვედა სართულზე მყოფი ამხანაგების სიმამაცემ გვიხსნა რომ მთლიანად არ აფეთქდა ყველა ბომბი და მასთან ერთად შენობაც. ზოგიერთმა ჩვენგანმა დამწვრობა მიიღო. მთელს ეზოსა და ქუჩაში დენთის კვამლი და სუნი იდგა. კრიტიკული მომენტი შეიქმნა. ვფიქრობდით, რომ ეს ამბავი გუბერნატორის სასახლემდე მიაღწევდა და მოსალოდნელი იყო მისი ჯარისკაცების თავდასხმა დაუყოვნებლივ შეეპარადლით. დაცდა აღარ შეიძლებოდა“⁹⁵.

გილანის გუბერნატორი ალა ბალახან სარდარ აფხამი შაჰის ერთგული კაცი იყო. ჯერ კიდევ 1908 წლის ზაფხულში, როცა შაჰმა მეჭლისის შენობა დააბომბვინა და ამის შემდეგ ქვეყანაში შაჰის საწინააღმდეგო გამოსვლების ახალი ტალღა დაიძრა, გილანელი ხალხი პირველი გამოეხმაურა მოთხოვნას რეაქციონერ მოჰამედ-ალი შაჰის ტახტიდან ჩამოგდების შესახებ. საქმე იქამდე მივიდა, რომ ბაზრებში დაი-

⁹⁴ „ახალი სხივი“, № 3, 1910 წ., 6 თებერვალი.
⁹⁵ ა. ჯაფარიძე, მოგონებები, გვ. 92—93.



კეტა და ხალხი საბრძოლველად გაემზადა. მოეწყო დემონსტრაცია შაჰის მთავრობის წინააღმდეგ. დემონსტრანტებს თავს დაესხნენ გუბერნატორის სეფაჰები (ჯარისკაცები). ბრძოლაში მოკლეს სამი და დაჭრეს თორმეტი კაცი⁹⁶ მოჰამედ შაჰმა გილანში „წესრიგის“ დამყარების მიზნით ახალ გუბერნატორად მაშინ აღა ბალახან სარდარ აფხამი გაგზავნა. მანაც არ დააყოვნა და მთელ გილანის პროვინციაში აღვირახსნილ თვითნებობასა და ხალხის კიდევ უფრო მეტ შევიწროებას მიჰყო ხელი. „უნიჭო და თვითმპყრობელი ძალაუფლება განავცო“. ამან კიდევ უფრო გააძლიერა სახალხო წინააღმდეგობა⁹⁷. გილანელი ხალხის გამოსვლას შაჰისა და მისი მოხელეების წინააღმდეგ ხელს უწყობდა ისიც, რომ რევოლუციური თავრიზის სიმტიციტის ხმა მაშინ მთელს ქვეყანას ეფინებოდა. სახალხო წინააღმდეგობის პასიურ ფორმებს უკვე აქტიური ფორმები ცვლიდა. თუ მანამდე ხალხი შაჰის მთავრობისადმი თავის გულისწყრომას უპირატესად ბესთში⁹⁸ დაჯდომით გამოხატავდა, ახლა ეს აღარ იყო საკმაო. საჭირო იყო იარაღით ხელში გამოსვლა. ეს შეგნება ხალხის სულ უფრო ფართო მასებს ეუფლებოდა. ამასთან დაკავშირებით ა. ქასრაღი შენიშნავს: „იმ დღეებში ირანში საერთოდ ბევრ ვინმეს ისეთი ვიწრო წარმოდგენა ჰქონდა, რომ ეგონათ, ვითომ, აჯანყება მარტო ბესთში დაჯდომას ნიშნავდეს და მას დიდი მნიშვნელობის საქმედ თვლიდნენ. მაგრამ მოქმედების ეს მეთოდი რეშთში საკმაოდ შორს ჩამოიტოვეს უკან. ადამიანების გარკვეული ხაწილი კონსპირაციულად ცდილობდა, რათა აჯანყება გაეღვივებინა და სწორი გზით წარემართა⁹⁹ ა. ქასრაღის ეს შენიშვნა საერთოდ მართებულად უნდა მივიჩნიოთ. მაგრამ იმის თქმა, რომ ამ საქმის მოთავენი „მოაზ-ოს-სულთანაი, მისი ძმები და კიდევ რამდენიმე სხვა პირი იყო“¹⁰⁰, რადმენადმე შორდება სინამდვილეს. სახალხო აჯანყების იდეა ირანში ხალხის დემოკრატიულ ფენებში ჩაისახა და პრაქტიკულად ჯერ კიდევ ადრე ფართო მასშტაბით რევოლუციურ თავრიზში განხორციელდა სახალხო გმირების სათარის, ბალირის და ალი მოსიუს მეთაურობით. რაც შეეხება რეშთის აჯანყებას, მისი აუცილებლობა ხალხის მასების მდგომარეობის დამძიმების და საერთოდ რევოლუციური სიტუაციის გაძლიერების შედეგი იყო.

⁹⁶ Сборник дипломатических документов, касающихся событий в Персии. СПб. 1911, вып. I, с. 238—239.

⁹⁷ Тамже, с. 256—258.

⁹⁸ ბესთი—ხელშეუხებელი ადგილი, თავშესაფარი. ირანის რევოლუციის დროს ასეთ ადგილებად გამოყენებული იყო მეჩეთები, წმინდათა სალოცაეები, უცხო სახელმწიფოთა დიპლომატიური დაწესებულებები და სხვ.

⁹⁹ ა. ქასრაღი, დასახ. ნაშრ., გვ. 8.

¹⁰⁰ იქვე.



აჯანყების პრაქტიკულად განხორციელებისათვის საჭიროყოფო შეიარაღება. საბრძოლო იარაღი კი, რომელიც კავკასიიდან შემოპროცადათ, საკმაო არ იყო. ადგილი ჰქონდა იარაღისათვის შეგროვებული და გამოყოფილი ფულის უმიზნოდ ხარჯვისა და ზოგჯერ გაფლანგვის შემთხვევებსაც კი. მაგალითად, 7000 მანეთი, რომელიც სათარის საიდუმლო კომიტეტმა გამოყო და მირზა ქარიმ ხანს ბაქოში გაატანა იარაღის შესაძენად, მან ბაქოს „მანსონეტებში“ გაფლანგა, თვითონ კი 1909 წლის 14 (27) იანვარს ხელცარიელი დაბრუნდა რეშთში¹⁰¹. შეიარაღების ნაკლებობა თვითნაკეთი იარაღებით (უპირატესად ბომბებით) უნდა შეევესოთ. ამ საქმეს კავკასიიდან ჩასული მებრძოლები, მათ შორის ქართველები, ხელმძღვანელობდნენ. აჯანყებისათვის პირობები მომზადებული იყო. რევოლუციონერები ხელსაყრელ მომენტს ელოდებოდნენ. მოწინააღმდეგეც ფრთხილობდა. მოაზ-ოს-სულთანის სასახლეში მომხდარი მოულოდნელი აფეთქების ამბავი შეუმჩნეველი არ დარჩენიათ გილანის გუბერნატორის ალა ბალახან სარდარ აფხამის სასახლეში. მაგრამ ჯერჯერობით ამას არავითარი რეაგირება არ მოჰყოლია. გუბერნატორს რევოლუციონერებთან გასწორების თავისი საკუთარი გეგმა ჰქონდა. მას უნდოდა რაიმე საშუალებით მოაზ-ოს-სულთანის სასახლიდან გამოეტყუებინა კავკასიელი რევოლუციონერები და გაენადგურებინა ისინი. ამით იგი ვარაუდობდა თავიდან აეცდინა მოსალოდნელი აჯანყება. ასეთი მომენტიც დადგა.

აშურას¹⁰² რელიგიური დღესასწაული იყო. ძველი ტრადიციის თანახმად, ამ დღეს ხალხი რეშთის ქუჩებს მოჰფენოდა. ისინი ჯგუფ-ჯგუფად დასეირნობდნენ ქუჩებსა და ბაზარში. რეშთში იმყოფებოდნენ თავრიზელი რევოლუციონერების წარმომადგენლებიც. ისინიც აშურას დღესასწაულში მონაწილეობდნენ. გუბერნატორმა პროვოკაციას მიმართა. მან მოსყიდულ კაცს სახელმწიფო მოსამსახურეს მუხანათურად მოაკვლევინა თავრიზელთა ერთ-ერთი მეთაური ფიდაი¹⁰³ — რევოლუციონერი მირზა ალ აქბარი, რომელსაც ხალხი დიდ პატივს

¹⁰¹ „ახალი სხივი“ №6, 1910 წ., 10 თებერვალი.

¹⁰² აშურა — მუსლიმანური მთავრისთვის მოპარემის მეთავე (დღე — შიითების იმამის ჰოსეინის დაღუპვის წლისთავი).

¹⁰³ ფიდაი — იდეისათვის თავშეწირულს, პეტრიოტს ნიშნავს. ირანის რევოლუციის დროს ისინი რევოლუციის საქმისათვის თავდადებულ მებრძოლებად გვევლინებოდნენ. თავრიზის ლეგენდარული თავდაცვის ძირითად მებრძოლ ბირთვს წარმოადგენდნენ სათარ-ხანისა და ბალირ-ხანის ფიდაეები, რომლებიც გამოირჩეოდნენ მტკიცე დისციპლინით, მაღალი რევოლუციური შეგნებულობით და ჰუმანურობით. ფიდაეები მთავარ რევოლუციურ ძალას შეადგენდნენ აგრეთვე რეშთის აჯანყების დროს. ფიდაელთა მოძრაობას სათავე დაედო ჯერ კიდევ გასული საუკუნის დამლევს. როგორც ცნობილია, 1895 წელს თურქეთის სულთანმა აბდულ-ჰამიდმა, რომელიც „სისხლიანი სულთანის“ სახელითაც არის ცნობილი, აღმოსავლეთ ანატოლიაში ქურთების მიერ სომხების



სცემდა. გუბერნატორი ვარაუდობდა, რომ ამით მოაზ-ოს-სტოლთან სასახლიდან გამოიყვანდა კავკასიელ რევოლუციონერებს, მათ თავის კაზაკ სარბაზებს¹⁰⁴ მიუსევდა და გაანადგურებდა. „მაგრამ რევოლუციონერები ძალიან ფრთხილად მოიქცნენ, მიუხვდნენ გუბერნატორს ოინს და უფრო ფრთხილად შეხვდნენ საქმეს. მათ თვალყურის დევნება დაუწყეს გუბერნატორს“. თავრიზელები, რომელთა რაოდენობა რეშთში შვიდი ათას კაცს აღემატებოდა, ძალზე გააბრაზა გუბერნატორის პროვოკაციულმა საქციელმა, მკვლელები მოსთხოვეს მას. გუბერნატორმა მკვლელები თავის სახლში დამალა. იგი შეშინდა და ხალხს ფარისევლურად შეპირდა დამნაშავეის აღმოჩენას და ღირსეულად დასჯას¹⁰⁵.

ა. ქასრავი შემდეგნაირად გადმოსცემს იგივე ამბავს: ამ სისხლიანი ინციდენტის გამო ხალხი შეკავშირდა. თავრიზელებმა და რეშთელებმა მხარი მხარს მისცეს. სარდარ აფხამისაგან მკვლელის გაცემა მოითხოვეს, რათა ამ გარეწარს თვითონ გასწორებოდნენ. სარდარ აფხამმა რომელიც გილანელებს უნდობლად ეკიდებოდა და მათ კონსტიტუციური მოძრაობის მომხრეებად მიიჩნევდა, ამჯერადაც მათდამი გულგრილობა გამოიჩინა და მკვლელის გაცემაზე უარი უთხრა. ამან ხალხი კიდევ უფრო მეტად განარისხა¹⁰⁶. როგორც ვხედავთ, ამ ერთი და იგივე მომენტის აღწერა დღიურების ავტორისა და ა. ქასრავის მიერ თითქმის სრულად ემთხვევა ერთმანეთს და ერთნაირი სიმართლით არის გადმოცემული.

ა. ქასრავი ამით ამთავრებს მოკლე თხრობას თავრიზელი რევოლუციონერის მკვლელობასთან დაკავშირებით. დღიურებში კი უფრო დაწვრილებით არის გადმოცემული ამ ამბის შემდგომი განვითარება: თავრიზელები მაინც არ ცხრებოდნენ — განაგრძობს დღიურების ავტორი — გუბერნატორი შეშინდა. იგი სასახლიდან არ იშორებდა 300-

ზოცვა-უღელტა მოაწყო. ამ დროს დაახლოებით 400 ათასი კაცი დაიღუპა. ამიერკავკასიაში მცხოვრები სომხები ანატოლიის სომეხი მოსახლეობის დაცვის მიზნით, მასობრივად გადადიოდნენ საზღვარზე, გადაჰქონდათ იარაღი და, ბულგარელ ჩეტნიკთა მსგავსად, ორგანიზებულ წინააღმდეგობის მოძრაობას აწყობდნენ. ქურთებმა ამ თავგანწირულ მებრძოლებს „ჯან ფიდაი“ — „სიცოცხლის დაუშურებელი“ უწოდეს. შემდეგში მან მიიღო ზოგადი სახელი ფიდაი, რაც ნიშნავდა მამაცს, რომელიც სიცოცხლეს სწირავს შეურაცხყოფილ ახლობელს.

ფიდაებს ხშირად უწოდებდნენ აგრეთვე ამიერკავკასიიდან ირანში გადასულ ინტერნაციონალისტ მეომრებსაც. რევოლუციის ფიდაებმა დიდი პოპულარობა მოიპოვეს და სახელი და დიდება დაიმკვიდრეს ირანელი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიაში.

¹⁰⁴ სარბაზი სპარსული სიტყვაა და ჯარისკაცს ნიშნავს.

¹⁰⁵ „ახალი სხივი“, № 6, 1910 წლის 10 თებერვალი.

¹⁰⁶ ა. ქასრავი, დასახ. ნაშრ., გვ. 9.

400 კაზაკ სარბაზს. ახლა კიდევ უფრო მეტი ეჭვით უყურებდას ლას, ვინც რეშთში ჩამოდიოდა. როცა მირზა ქარიმ-ხანის ბაქოდან დაბრუნების ამბავი გაიგო, მან მაშინვე საგანგებოდ დაიბარა თავისთან მოაზ-ოს-სულთანი მისი რეშთში დაბრუნების მიზეზის გამოსაკითხავად. გაიმართა რევოლუციონერთა სახელდახელო კრება, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა, წასულიყო თუ არა იგი გუბერნატორთან. გადაწყდა, რომ მოაზ-ოს-სულთანი გუბერნატორს დაარწმუნებდა, რომ მირზა ქარიმ-ხანი ბაქოში სამკურნალოდ იყო წასული, იგი რეშთში რამდენიმე ხნით დაბრუნდა და ცუდს, მთავრობის საწინააღმდეგოს არაფერს ჩაიდენდა. ყოველი შემთხვევისათვის კავკასიელ-ქართველთა „შეიარაღებული ჯგუფი მზად უნდა ყოფილიყო და თუ მოაზ-ოს-სულთანი აღარ დაბრუნდებოდა და გუბერნატორი მას დაატუსაღებდა, მაშინ „გურჯები“ პირდაპირ სასახლეს დაეცემოდნენ“¹⁷⁰. მაგრამ ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ მოაზ-ოს-სულთანმა შეძლო გუბერნატორის დარწმუნება.

რეშთში აშურას დღესასწაული გრძელდებოდა. ფანატიკოს შიით-მუსლიმანთა ბრბო წმინდანად შერიცხულ ალის ძე ჰოსეინის სულის მოსახსენებლად „შაჰსეივაჰსეი“-ს¹⁰⁸ რელიგიურ მისტერიებს ასრულებდნენ და ხმალ-ხანჯლით შეიარაღებული თავებს იჩეხავდნენ. ფანატიკოსები ამ ცერემონიალს ქალაქის ცენტრალურ მოედანზე ასრულებდნენ. აქ უამრავ ხალხს მოეყარა თავი. წესის თანახმად ამ მისტერიების შესრულების დამთავრების შემდეგ ხალხი მისალოცად გუბერნატორ ალა ბალახან სარდარ აფხამის სასახლისაკენ დაიძრა. გუბერნატორი ფრთხილობდა. ის ფიქრობდა, რომ ხალხი თავრიზელი რევოლუციონერი სეიდის მირზა ალი აქბარის სისხლს არ აპატიებდა. ამიტომ მან ქალაქში არსებული მთელი ჯარის კონტინგენტებს სასახლის წინ მდებარე მოედანზე მოუყარა თავი. მაგრამ გუბერნატორი შეცდა. კავკასიელი რევოლუციონერების რჩევით ხალხი წყნარად დაიშალა და თავ-თავის გზით წავიდ-წამოვიდა ისე, რომ გუბერნატორის სასახლეს ახლოსაც არ გაეკარებია.

„გუბერნატორი თუმცა ბრბოს უფრთხილდებოდა, — აღნიშნულია დღიურებში — მაგრამ ის კი არ იცოდა, რომ უფრო დიდი საფრთხე მოელოდა მას 4—5 უცხოელისაგან, რომლებმაც ისარგებლეს რა ნაციონალური დღეობით, სასახლის წინ მდგომ ჯარში გაერივნენ და გაფაცი-

¹⁰⁷ „ახალი სხივი“, № 6, 1910 წ., 10 თებერვალი.

¹⁰⁸ „შაჰსეი ვაჰსეი“ ასე იწოდებოდა — „შაჰ ჰოსეინ, ვაჰ ჰოსეინ“, რაც ქართულად ნიშნავს: „მეფეო ჰოსეინ, ვაი, ჰოსეინ“. ასე დასტირიან ფანატიკოსი შიიტები მესამე იმამ ალის ძე ჰოსეინის ხსოვნას, რომელიც ირანში ეროვნულ გმირად არის გამოცხადებული.



ცებით შეუდგნენ შესავალ-გასავალი კარების დათვალიერებას და გეგმის შემუშავებას. არავინ ყურადღებას არ აქცევდა უცხო სტუმრებს, რომლებიც თითქმის ორი საათი დასტრიალებდნენ სასახლეს, გარს უვლიდნენ და ასე გასინჯეთ, ზარბაზნებსაც კი სინჯავდნენ, თუ რომელი სისტემისააო. ესენი იყვნენ ზემოხსენებული სამხედრო შტაბის წევრი რევოლუციონერები¹⁰⁹.

ვინაიდან ამუშავს დღესასწაულმა უმტკივნეულოდ და მშვიდობიანად ჩაიარა, გუბერნატორი დარწმუნდა, რომ მომავალში აღარაფერი იყო საშიში და სიფხიზლე მოადუნა. მან დარაჯთა რიცხვი ერთი ათად შეამცირა და ოთხი-ხუთი მცველით დაიწყო ქალაქში სეირნობა, ქეიფი და დროსტარება.

სამხედრო შტაბი კი ყოველდღე ემზადებოდა აჯანყებისათვის. კავკასიელებს შვიდი თავრიზელი ფიდაიც შეუერთდა. რამდენიმე თოფიც იშოვეს.

12. (25) იანვრიდან ყოველდღე კრებები იმართებოდა. ყველაზე მნიშვნელოვანი 25 იანვრის (7 თებერვალი) კრება იყო. კრება მოაზროს-სულთანის სასახლეში შედგა. მას დაესწრნენ სომხური ბურჟუაზიულ-ნაციონალური პარტიის — დაშნაკების წარმომადგენლები, მათ შორის ეფრემიც¹¹⁰. დაშნაკების ჯგუფი ეფრემ დავიდიანცის მეთაურობით ირანის რევოლუციას მხოლოდ იმის შემდეგ მიემხრო, როცა 1908 წლის შემოდგომაზე თავრიზიდან განდევნეს შაჰის მთავრობისა და რეაქციონერი ფეოდალების ბანდები. მანამდე ისინი თავს იკავებდნენ რევოლუციაში მონაწილეობისაგან იმის შიშით, რომ შაჰის ჯარებს შეიძლება სომხური მოსახლეობის დარბევა მოეწყო. თვითონ ეფრემ დავიდიანცი შეძლებული კაცი იყო. იგი რეშთში აგურის ქარხანას ფლობდა. როცა რეშთში აჯანყება მზადდებოდა, დაშნაკები ეფრემის მეთაურობით თანდათან დაუახლოვდნენ რევოლუციონერებს და ცდილობდნენ, რათა, აჯანყების გამარჯვების შემთხვევაში, სარგებლობა მიეღოთ მისგან. 1909 წლის 25 იანვრის კრებაზე დაშნაკებმა „ჩვეულებრივი ზნე-ჩვეულება, გულჩაკეტილობა ვერ გამოიჩინეს და მთელ პარტიას ნიღაბი ჩამოხადეს. კრების გახსნისას პირველსავე შეხედვაზე ეტყობოდათ მათ, რომ რაღაც ჰქონდათ სათქმელი, მაგრამ თითქოს ვერ ახერხებდნენ... მათი აზრით, სანამ სამოცი საუკეთესო მებრძოლი (მზად) არ იქნებოდა, ბრძოლა ფიქრშიც მოსასვლელი არ იყო. ამ რიცხვში ჩვიდმეტი მარტო ყუმბარის მსროლელი უნდა ყოფილიყო... კავკასიელები დაშნაკებს ხრიკებს მიუხვდნენ. ეს გეგმა იმისათვის იყო საჭირო მათთვის, რომ კავკასიელები, ე. ი. გურჯები

¹⁰⁹ „ახალი სხივი“, № 6, 1910 წლის 10 თებერვალი.

¹¹⁰ სეფაქიანის მოგონებები, თეირანი, 1950, გვ. 51, (სპარსულ ენაზე).

ვერ შეძლებდნენ სამოცი კაცის მოგროვებას... როდესაც ამ გეგმით ვერაფერს გახდნენ, შემდეგი განცხადება შემოიტანეს: „ჩვენ, დაშნაკები, არ ვცნობთ არსებული შტაბის წევრებს, რომლებმაც არ იციან აქაური პირობები. მოვითხოვთ გაუქმებულ იქნეს შტაბი, აირჩეს ახალი წევრები რიცხვით ცხრა კაცი. ამ რიცხვში ოთხი სპარსელი იყოს, ხუთი კი დაშნაკცაკანი“¹¹¹ ისინი მოითხოვდნენ, რომ ჩასული ქართველი რევოლუციონერების ჯგუფი მათს ხელმძღვანელობას დაქვემდებარებოდა და შტაბის მთელი ქონება მათ გადაეცემოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში იმუქრობდნენ, რომ მონაწილეობას არ მიიღებდნენ აჯანყებაში და იგულისხმება, რომ გასცემდნენ კიდევ აჯანყების გეგმას.

გადმოცემს რა დაშნაკების პრეტენზიებს, რომელსაც ისინი განსაკუთრებული რიხით გამოთქვამდნენ და თავს ისე წარმოადგენდნენ, თითქოს მათზე ყოფილიყოს დამოკიდებული აჯანყების და გამარჯვების ბედობალი (მაშინ, როცა აჯანყების მომზადების პერიოდში განზე იდგნენ და არავითარ მონაწილეობას არ იღებდნენ მასში), დღიურების ავტორი სვამს კითხვებს: „სად იყვნენ წინათ? რაღა უკანასკნელ საათებში მოისურვეს გაზიარება ამ საძრახისი განცხადებისა, ან კიდევ, თუ მარტო სურდათ რამე, რას აკეთებდნენ ადრე?“¹¹².

დაშნაკების მოქმედებამ დიდად ააღელვა ჭეშმარიტი რევოლუციონერები და საკადრისი პასუხი გასცეს მათ. მათი მოქმედება შეფასებულ იქნა, როგორც რევოლუციის მიზნების საწინააღმდეგო და დაგმეს იგი. ერთმა ქართველმა რევოლუციონერმა საფუძვლიანად ამხილა დაშნაკების საქციელი. მის გამოსვლას დიდი მოწონებით შეხვდნენ როგორც ჩასული, ასევე ადგილობრივი, გილანელი რევოლუციონერები. როცა მისი სიტყვები თარჯიმანმა თარგმნა, კრებაზე გაისმა ტაში და მოწონების შეძახილები „იამასენ გურჯი“ („გაუმარჯოს ქართველს“). რაც შეეხება ეფრემს, იგი იძულებული გახდა კრებიდან გაპარულიყო. აღსანიშნავია ისიც, რომ ა. ჯაფარიძე თავის მოგონებაში ასეთსავე შეფასებას აძლევს დაშნაკების კონტრრევოლუციურ მოქმედებას. მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ მისი თხრობის თანამიმდევრობა ზუსტად არ ემთხვევა დღიურებში გამართულ თხრობას, ვინაიდან ა. ჯაფარიძის მოგონებები დაწერილია თითქმის ექვსი ათეული წლის გასვლის შემდეგ და ძნელი იყო რეშთის აჯანყების მომზადების ყველა დეტალის თავის ადგილზე მოხსენიება, მაინც მის მიერ გახსენებული ყველა ძირითადი მომენტი ასახავს დღიურებში აღწერილ ამბებს. მაგალითად, როცა 25 იანვრის (7 თებერვალი) კრების ამბავს

¹¹¹ „ახალი სხივი“, № 6, 1910 წლის 10 თებერვალი.

¹¹² იქვე.

ეხება, ა. ჯაფარიძეც ისხენებს დაშნაკების მიერ წამოწყებულ მო-
თხოვნას—აჯანყებაში 60 კაცით მონაწილეობის თაობაზე. აქვეა აგ-
რეთვე მოხსენიებული კრებაზე საკითხის განხილვის დროს მომხდარი
კონფლიქტის ფაქტიც, როცა „კინალამ ჩხუბამდე მივიდა საქმე და
ეფრემმა და ნერსესმა¹¹³ ძლივს უშველეს თავს გაქცევით. ორივეს
ქუდეები მაგიდაზე დარჩათ“¹¹⁴. ერთმანეთს ემთხვევა აგრეთვე ცნო-
ბები აჯანყების მოწყობის წინ რევოლუციონერთა და რეაქციონერთა
ძალების შეფარდების შესახებ. ა. ჯაფარიძე წერს, რომ რეშთის გუ-
ბერნატორს კარგად შეიარაღებული 300 კაცი ჰყავდა. ჩვენ რიცხობ-
რივად ათჯერ ნაკლები ვიყავით და იარაღიც გვაკლდა, მაგრამ, სამა-
გიეროდ, საკმაო რაოდენობით გვექონდა ბომბები, რასაც ჩვენ თვითონ
ვამზადებდით¹¹⁵. დღიურებში კი ვკითხულობთ, რომ თავრიზელი
რევოლუციონერი სეიდის მკვლელობის შემდეგ გუბერნატორი 300-
400 კაზაკ სარბაზს სასახლიდან არ იშორებდა და მუდამ მზად იყო
მტერს დახვედროდა¹¹⁶. ამას გარდა, ა. ჯაფარიძის მოგონებისა და
დღიურების ტექსტის შეჯერება შესაძლებლობას გვაძლევს დაზუს-
ტდეს ზოგიერთი მომენტი. კერძოდ, ა. ჯაფარიძის მოგონებიდან ირკვე-
ვა, რომ დაშნაკებთან დაკავშირების შესახებ რეკომენდაცია რეშთში
ჩასულ კავკასიელ რევოლუციონერებს ბაქოს კომიტეტიდან მიუღიათ.
აი, რას წერს იგი: „ბაქოდან ჩამოვიდა ქერიმ-ხანი (მოაზ-ოს-სულთანის
ძმა მირზა ქარიმ-ხანი, რომლის ბაქოში წასვლისა და იქიდან დაბრუ-
ნების შესახებ დაწერილებით არის მოთხრობილი დღიურებში. გ. ჭ.)
მან გადმოგვცა კომიტეტის (იგულისხმება რსდმპ ბაქოს კომიტეტი. გ.
ჭ.) გადაწყვეტილება, რომ ჩვენ უნდა დაუკავშირდეთ რეშთში დაშნა-
კებს: ეფრემ დავიდიანცს და ნერსეს ნერსესიანცს, რომელთაც კარ-
გად შეიარაღებული რაზმი ყავთ და ერთად გამოდით გუბერნატორის
წინააღმდეგო. ქერიმ-ხანი და მამედ ბალირი მართლაც დაუკავშირ-
დნენ დაშნაკებს და მოუზემ-სულთანიც¹¹⁷. სახლში მოიყვანეს მათი
მეთაურები“¹¹⁸

ის, რომ დღიურებსა და მოგონებებში აღწერილი ფაქტების ში-
ნაარსი ძირითადად ერთმანეთს ემთხვევა, ერთხელ კიდევ აღასტურებს
იმას, რომ დღიურების ავტორი „გურჯი სერგო“და მოგონებების ავ-

¹¹³ ლაპარაკია დაშნაკების ერთ-ერთი ხელმძღვანელის ნერსეს ნერსესიანცის შესა-
ხებ.

¹¹⁴ ა. გ. ჯაფარიძე, გვ. 93.

¹¹⁵ იქვე, გვ. 92.

¹¹⁶ „ახალი სხივი“, № 6, 1910 წ., 10 თებერვალი.

¹¹⁷ ა. ჯაფარიძის მოგონებებში და დღიურებშიც მოაზ-ოს-სულთანი ყველგან მოუ-
ზემ სულთანად იხსენიება.

¹¹⁸ ა. ჯაფარიძე, მოგონებები, გვ. 92.

ტორი ა. ჯაფარიძე ერთი და იგივე ამბების მონაწილე მებრძოლი მებრძოლები იყვნენ, რომ ა. ჯაფარიძის მოგონებები სრული სიმართლიდან დაწერილი და სრულიად სარწმუნო ცნობებს შეიცავს.

ა ჯ ა ნ ე ბ ა

25 იანვარს (7 თებერვალს) გამართულ ისტორიულ კრებაზე გადაწყდა, რომ არავითარი დახმარება არ ეთხოვათ დაშნაკებისათვის და მეორე დღეს 26 იანვარს (8 თებერვალს) გამოსულიყვენ საბრძოლველად. ვინაიდან ამ ისტორიული ამბის შესახებ დაწვრილებითი ცნობები დღემდე მიკვლეულ არც ერთ წყაროს არ შემოუნახავს, ჩვენ საჭიროდ მივიჩნიეთ დღიურებში აღწერილი ამ ამბების მთლიანად მოტანა. „თუმცა გვიან იყო, მაგრამ კრების შემდეგ არავის დაუძინია“¹¹⁹. — გკითხულობთ დღიურებში — ზოგი იარაღს წმენდდა, ზოგი სავაზნეს იკერავდა და ზოგიც, ახლა კი გაბედულად, ნანას სიმღერით მომუშავე ამხანაგებს ართობდა.

თენდებოდა, როდესაც ყველას მიეძინა. მეორე დღეს (26 იანვარს) ეს საისტორიო გმირები ტანისამოსგაუხდელნი, იქვე ხალიჩაზე გაშხლართულიყვენ ხელიხელგადახვეულნი და მძინარეთ ტუჩებზე ღიმილი უთამაშებდათ ..

26 იანვარს 8 საათზე ყველანი წამოიშალნენ. იარაღი დარიგდა. სულ 29 მებრძოლმა მოიყარა თავი. თითო მაუზერზე 120 ვაზნა იყო, თოფზე — 80—90 და 43 მზა ყუმბარა. აი, ამ იარაღით უნდა ებრძოლა ოცდაცხრა კაცს შვიდას სამოცთან (რიცხვი შემოწმებულია — ავტ.).

პირველი საათი იყო. როდესაც რევოლუციონერების ოთახში ფერმიწდილი შეიქრა მირზა მამედ ხანი და ათრთოლებული ხმით წამოიძახა: რეშთის გუბერნატორი ქალაქგარეთ ბაღში „ბაღ-ე მუდრიე-ში“¹²⁰ გაემგზავრა საქეიფოდ. სულ ოთხი ხუთი დარაჯი ახლავს.. დროაო...

ამ სიტყვების გაგონებაზე ყველამ ყურები ცქვიტა. ყველამ კარგად იცოდა რას ნიშნავდა სიტყვა „დროა“.

კენჭის ყრით შვიდი კაცი მოემზადა გუბერნატორზე თავდასასხმელად. ამათში, ერთი რუსის გარდა¹²¹, ყველანი ქართველები იყვნენ.

¹¹⁹ აქაც საყურადღებო დამთხვევაა: ა. ჯაფარიძე იგონებს: „იმ ღამეს არავის ეძინა. ყველანი საბრძოლო მზადყოფნაში ვიყავით“. იხ. ა. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 93.

¹²⁰ „ბაღე მოდირიე“ — მმართველის, გუბერნატორის ბაღი.

¹²¹ ეს უნდა იყოს რუსი „ალიოშა“, ჯავშნოსან „პოტიომკინის“ მატროსი. როგორც ვნახეთ, იგი რეშთში 1908 წლის ნოემბერში ჩავიდა სერგო გამდლიშვილთან ერთად. ირ-



გუბერნატორზე თავდასასხმელად წასვლა ყველას უნდოდა. პირველ საათზე და 30 წუთზე შვიდი რაზმელი მზად არის.

დანარჩენებიც მზად არიან, ეზოში თავმოყრილი უცდიან რის გრიალს.

არ გასულა ათი წუთი, რომ იგრილა ყუმბარამ. გაიღო ეზოს კარი და ყველანი გაცვივდნენ გარეთ. ისინი ადრევე მომზადებულ ეტლებისაკენ გაექანენ.

რაზმის დანახვაზე შეშინებული ხალხი უგზო-უკვლოდ გარბის, მაგრამ ცნობილ ორატორ ქესმაის¹²² დანახვაზე ყველა შეჩერდა. გავარდა თოფი... ზედ მოჰყვა შეწყვეტილი სროლა... რამდენიმე შევარდა შიგ და არ გასულა რამდენიმე წამი, რომ ოცამდე სარბაზს იარაღი აჰყარეს, ოთხი იქვე მოკლეს და წინ გასწიეს...

როდესაც შვიდი წასული რაზმელი ბაღს მიუახლოვდა, სადაც გუბერნატორი იმყოფებოდა, ყველანი სირბილით შეცვივდნენ სასახლეში. გუბერნატორი კარებისაკენ გამოქანდა. შუბლით დაეჯახა კარებში მიმავალ მუიზამ სულთანს და ორივენი გაიშლართნენ.

„ჯალათო, ვერ წამიხვალ“... და წაქეუულ გუბერნატორს ათი ტყვია ზედიზედ დააყარა რაზმელმა.

მოკლეს ორი სხვა მოხელეც. ახლა ჯერი მიდგა დარაჯ — კაზაკზე, რომელსაც ორივე ხელით მაგრად ეჭირა ვერცხლით მოჭედილი მშვენიერი მაუზერის თოფი და რაღაცას ლულულუღებდა. „ვერ თოფანგ“ („მოიტა თოფი“) — და სანამ დარაჯი მოახერხებდა რაიმეს თქმას, მოხვედრილმა ტყვიამ უსულოდ დასცა კაზაკი... და ყუმბარამაც მაშინ იგრილა. ყუმბარის აფეთქების შემდეგ, როდესაც მათ სამაგიერო სროლა შემოესმათ ქალაქიდან, ყველანი სასახლისაკენ გაქანდნენ.

რაზმმა თუმცა ძალე მიაღწია მას, მაგრამ დარხანაში¹²³ ჩასაფრებულმა ჯარმა, რომლებიც ხუთსასროლიანი ავსტრიული „ვინტოვკები“ იყო შეიარაღებული, ბათქების სროლით გზა შეუკრა.

ვინც ქუჩაზე გაასწრო, ჩასაფრდა იქვე მეჩეთის გალავანში და ორივე მხრივ სროლა გაჩაღდა. იგრილა პირველმა ყუმბარამ... გა-

კვივა, რომ იგი იყო ლუგანსკელი ტროფიმ ანდრიას ძე გონჩაროვი. მოკლეს რეპეტონერებმა 1910 წლის ზაფხულში, რეშთში. З. З. Абдулаев, А. М. Агахи, Новые факты о деятельности российских революционеров в Иране в начале XX века. «Проблемы востоковедения» № 6, 1959, с. 141. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ, ეტყობა, მ. ივანოვს, ალბათ, ეშლება, როცა პოტიომკინელ ალიოშას აიგივებს არტილერისტ ფეოდორთან, რომელიც ერთგნებით გერმანელი იყო. М. С. Иванов, указ. труд, с. 376.

¹²² მირზა ჰოსეინ. ხან ქესმაი — ცნობილი მკერმეტყველი და ორატორი იყო. იხ. ა. ქასრაევი, დასახ. ნაშრ., გვ. 8.

¹²³ დარხანე — გუბერნატორის რეზიდენცია.

მოჩნდნენ წასული რაზმელები... ოთხი-ხუთი დროშაკელი¹²⁴, მათ შორის ეფრემიც. შემოიჭრნენ საყვედურით და სხვებთან დაიწყეს ბრძოლა. კიდევ იგრიალა რამდენიმე ყუმბარამ... მულში მძიმედ დაიჭრა შალვა დოლიძე. რომელმაც კიდევ მაინც მოასწრო ყუმბარაში შუშის ჩაშვება და გასროლას აპირებდა, მაგრამ მეტი სისხლის დენით დასუსტებულს ხელები აუკანკალდა და წასაქცევად გადაიხარა იგრიალა მის ხელში ყუმბარამ და შუა გაგლიჯა ის.. მისმა ამგვარმა სიკვდილმა ყველა გაათითრა და გაშმაგებული გაექანენ წინ.

შვიდმა-რვა რაზმელმა ვეებერთელა სასახლეს, რომელიც გადაჭიმულია 5-7 ქცევა მიწაზე, ეზოში რამდენიმე რიგი კედელი ჩაუდის და გარედანაც ორი საყენი სიმაღლე კედელი აქვს შემორტყმული, უკანა მხრიდან შემოურბინა. მათ ალაყაფის კარი დაკეტილი დახვდათ, მაგრამ შეამტვრიეს და დარაჯი სარბაზები იქვე მოკლეს.

ეზოში შესვლისას დაწოლილ-დაჩოქილებმა სხვადასხვა მხრით მისცეს ბათქი სასახლეს, რაზედაც მესამე სართულში ჩასაფრებულმა კაზაკებმა უპასუხეს. ყუმბარის გრიალმა, რომელიც კედელს საშინელი ძალით შეასკდა, სროლა შეაწყვეტინა მათ. ამით ისარგებლეს რევოლუციონერებმა და შეცვივდნენ ანდარუნში (ქალების სასახლე).

შესვლის უმაღლეს ჩასაფრებულმა კაზაკებმა მოკლეს ერთი საუკეთესო რაზმელი პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი ფაშა-ხანი (ბეგლარა). მისმა სიკვდილმა ყველას გული მოუკლა, ყველა გააბრაზა... ყველას შეუბრალებლად ხოცავდნენ.. მეორე სასახლიდან სარბაზებმა ბრძოლით გზა შეკრეს და წინ წაწევა შეუძლებელი შეიქმნა. ცოტა ხნის სროლის შემდეგ ოთხმა რევოლუციონერმა მაინც მოასწრო წინა სასახლეში შევარდნა. აქედან წინადადება მისცეს სარბაზებს დანებებულიყვნენ, მაგრამ ამაოდ. სარბაზები ლანძღვით უპასუხებდნენ...

კიდევ მოსთხოვეს სარბაზებს დანებებულიყვნენ. მაგრამ კიდევ ამაოდ... „დავწვათ, ამხანაგებო, სასახლე დავიხოცოთ, შერცხვეს, ვინც ცოცხალი ჩაუვარდეს ხელში“... და იქვე ჭერში ჩამოკიდებული ნავთით სავსე ლამპა ძირს მოექცა. რა უეცრად აენტო ნახევარი სასახლისა. იქ ჩასაფრებული სარბაზები მხოლოდ მაშინ მოვიდნენ გონს, როდესაც იქუხა ვეებერთელა შენობამ და 20-25 სარბაზი ქვეშ მოიტანა...

ოთხი საათის ბრძოლას შემდეგ მტერი დამარცხდა. რევოლუციონერებს ხელში ჩაუვარდათ 600 სხვადასხვანაირი თოფი „პატრონებით“, 4 ზარბაზანი ხუთასი „გრანატიტ“, რადმენიმე ცხენი და რაც კი რამ საომარი იარაღი მოიპოვებოდა...

¹²⁴ ავტორი ზოგჯერ დაშნაკელს დროშაკელს უწოდებს.

გაისმა „სვისტოკის“ წკრიალი (ნიშანია მოგროვებისა). „ზინტაბა გურჯი“¹²⁵ პირველად იგრილა ხალხმა. რამდენიმე კაცი გაექანა უკან სასახლისაკენ ამხანაგებთან და ალტაცების ყიჟინით ხელში მჭიდროდ აწეული გამოიტაცეს გარეთ.

იქნებოდა შვიდი საათი, როდესაც ყველა მებრძოლმა ერთად მოიყარა თავი. მთელი მოედანი სავსე იყო ხალხით და ქრამულით თავს ევლებოდნენ გურჯებს.

ხალხი რისხვით ერთი ათად იზრდება. დიდი და პატარა, ქალი და კაცი ყველა გარს ევლებოდა მათ, ყველა სალამს აძლევდა და „იამასუნ გურჯის“¹²⁶ ძახილით ხელ-ფეხს უკოცნიდა (ამგვარი კოცნა ჩვეულებრივია სპარსეთში). ღამის 12 საათზე დადლილ-დაქანცული „გურჯები“ სასახლეში გაეშურნენ დასასვენებლად. ქალაქს მკვიდრ მცხოვრებთ აბარებდნენ. დახოცილი ამხანაგებისა და სარბაზების სიახლოვით ცეცხლი ანთია და დარაჯად თავრიზელები დარჩნენ. „გაუმარჯოს გურჯებს, გაუმარჯოს მაშრუტას“ — ისმის გათენებამდე ხმა...

რეშთის აღების დროს რევოლუციონერებს მოუკლეს 2, დაუჭრეს რვა. ჯარისა¹²⁷ კი მოკლული იყო 56 ყაზახ-სარბაზი. 100-მდე სარბაზი დაჭრილი იყო. 150 სარბაზი ცოცხლად შეიპყრეს, მოკლეს გუბერნატორი და ორი სხვა მოხელე. დანარჩენმა რეაქციონერებმა რუსეთის საკონსულოში მოასწრეს თავის შეფარება¹²⁸.

ასე შესანიშნავად, დაწვრილებით არის აღწერილი დღიურებში რეშთის აჯანყების მთელი ამბავი. ამ ისტორიული ამბის დეტალური აღწერა დღემდე მიკვლეულ არცერთ ისტორიულ წყაროს არ შემოუნახავს.

ახლა ვნახოთ, როგორ არის იგივე ამბავი გადმოცემული ირანელ ავტორ ა. ქასრავის მიერ მის წიგნში „აზერბაიჯანის თვრამეტწლიანი ისტორია“. 19 ბაჰმანს (1909 წლის 9 თებერვალი — გ. ჭ.)¹²⁹ უკანასკნელ მომენტში აჯანყება დაიწყო. ყველაფერი ისე წარიმართა, რომ აჯანყებულები, რომელთა შორის ხუთიოდე კაცკასიელი იყო, მოაზ-ოს-სულთანის სახლში შეიკრიბნენ და თოფ-იარაღით და ხელყუმბარებით აღიჭურვნენ. ისინი ორ ჯგუფად გაიყვნენ: ერთი ჯგუფი მოაზ-ოს

¹²⁵ „ზინტაბა გურჯი“ ანუ „ზინდე ბად გურჯი“ სპარსულია, ქართულად ნიშნავს „გაუმარჯოს ქართველს“.

¹²⁶ „იამასუნ გურჯი“ აზერბაიჯანულია და ესეც ქართულად ნიშნავს „გაუმარჯოს ქართველს“.

¹²⁷ იგულისხმება მთავრობის ჯარი.

¹²⁸ „ახალი სხივი“, № 8, 1910 წ., 12 თებერვალი.

¹²⁹ ყველა სხვა წყაროში, მათ შორის დღიურებშიც, რეშთის აჯანყების თარიღად 8 თებერვალი მოხსენიებული.

სულთანის მეგზურობით მოღირეს ბალისაყენ გაემართა. სარდარ აფხამი იქ იმყოფებოდა სტუმრად. ის და მისი მხლებლები აზარტული თამაშით იყვნენ გართული. მეორე რაზმი მირზა ალი მოჰამედ-ხანისა და მირზა ჰოსეინ-ხანის მეგზურობით გუბერნატორის სასახლისაკენ გაეშურა. ისინი მოულოდნელად ეწვივნენ გუბერნატორის სასახლეს. მას გარს შემოერტყნენ და მოყარაულებს ბრძოლა გაუმართეს. თოფის სროლისა და ყუმბარების აფეთქების ხმამ მთელი ქალაქი მოიცვა. ამ ბრძოლაში განმათავისუფლებლებმა ორი ზარბაზანი ჩაიგდეს ხელში. ისინი მალაღადგილზე აათრიეს და სასახლეს ჭურვები დაუშინეს. ორ საათამდე გააფთრებული ბრძოლა გრძელდებოდა. ვინაიდან ჯარისკაცები უმეთაუროდ იყვნენ, მეტი წინააღმდეგობა აღარ გაუწევიათ და სიმაგრე დატოვეს. განმათავისუფლებლებმა ხელთ იგდეს იქაურობა, ხოლო სასახლეს ცეცხლი წაუკიდეს. მეორე მხრივ კი, მოაზ-ოს-სულთანი და მისი მეგობრები ერთბაშად დაესხნენ თავს სარდარ აფხამს. მისი რამდენიმე თანმხლები სიცოცხლეს გამოასალმეს. სარდარ აფხამს, გაქცევა უნდოდა და მიმალვა სცადა. მოაზ-ოს სულთანმა მას თვალი შეასწრო. ერთ-ერთმა კავკასიელმა ყუმბარა სტყორცნა და მიწას დაანარცხა.

ამრიგად, — განაგრძობს ა. ქასრაეი — ერთი ხელის მოსმით თვითნებობის დროშა დაეცა და დესპორტურ ხელისუფლებას ბოლო მოეღო. თავისუფლებისათვის მებრძოლებმა ქალაქი ხელთ იგდეს. ხელში ჩაიგდეს აგრეთვე ჯარისკაცები და საბრძოლო იარაღი. საღამომდე ქალაქში კვლავ სიმშვიდემ დაისადგურა. მოკლულთა რაოდენობის შესახებ სხვადასხვა აზრი არსებობს. თვითონ მოაზ-ოს-სულთანი და ალი მოჰამედ-ხანი თავრიზში გაგზავნილ დეპეშაში წერდნენ:

„მოკლულ იქნა გუბერნატორი 36 სახელმწიფო მოხელესთან ერთად. მოკლულ იქნა აგრეთვე ორი მოჯთეჰიდი“¹³⁰.

ამ ორ მოკლულ რეაქციონერ მოჯთეჰიდთან ა. ქასრაეი ასახელებს ერთ-ერთ მათგანს ჰაჯი იმამს, რომელიც კონსტიტუციური მოძრაობის დაუძინებელი მტერი იყო. იგი ადრე თვირანში იმყოფებოდა და თავრიზის რეაქციონერ მოჯთეჰიდ ჰაჯ შეიხ ფაზულასთან ახლო ურთიერთობა ჰქონდა. შემდეგ გილანში გადმოვიდა. სარდარ აფხამთან თანამშრომლობდა და მასთან ერთად სახელი გაითქვა თავისუფლებისათვის მებრძოლების წინააღმდეგ გამოსვლებითა და მათს საწინააღმდეგო შეურაცხმყოფელი ქადაგებით. ამიტომ იყო, რომ იგი, რო-

¹³⁰ ა. ქასრაეი, დასახ. ნაშრ., გვ. 9; მოჯთეჰიდი — შიიტი კანონმდებელი, რომელმაც კანონთა განმარტებაში უმაღლეს საფეხურს მიაღწია. უმაღლესი სასულიერო პირი.



გორც ა. ქასრავი წერს, „ძირს დაანარცხა რევოლუციონერების (მრ-
ჯაპიდები) ნასროლმა ყუმბარამ“¹³¹.

თავრიზის რევოლუციური ამბების მონაწილე ისმაილ ამირ-ხიზი თავის წიგნში „აზერბაიჯანის აჯანყება და სათარ-ხანი“, სავანგებოდ ეხება რეშთის აჯანყების ამბავს და წერს, რომ მოჯაიდებმა (ამიერკავკასიელმა მებრძოლებმა, წინასწარ საგულდაგულოდ მოამზადეს აჯანყება. იგი იხსენიებს აგრეთვე ამიერკავკასიაში, თბილისში, მოაზ-ოს-სულთანის ძმის ქარიმ-ხანის წამოსვლის ფაქტს, საიღუმლო კომიტეტის („სათარის კომიტეტი“) შექმნას და ბოლოს სარდარ-აფხამზე თავდასხმას მოდირიეს ბაღში. 16 მოპარემის დღეს — აღნიშნავს ისმაილ ამირ ხიზი — ე. ი. იმავე სტუმრობის (გუბერნატორის მოდირიეს ბაღში სტუმრობა. გ. ჭ.) დღეს ნაშუადღევის ოთხ საათზე, აწ განსვენებული მოაზ-ოს-სულთანი ქართველი ფიდაებისა და განმათავისუფლებელი მოჯაიდების ჯგუფთან ერთად მოდირიეს ბალისაკენ გაემგზავრა. სარბაზ-კახაკები, რომლებსაც დაცვა ევალებოდათ, მათ წინააღმდეგ აღდგნენ, მგრამ ისინი ბრძოლაში მოკლეს. ამ დროს სარდარ აფხამი სტუმრებთან ერთად აზარტული (ბანქოს) თამაშით იყო ვართული. როცა, თოფის ხმა გაიგონა, წამოხტა და ყვირილი მორთო; „ჰეი, ბიჭებო, რა ამბავი მოხდაო“ ამ დროს მოაზ-ოს სულთანი ოთახში შევარდა. სარდარ-აფხამი მოკლულ იქნა. შეცდომით მოკლეს აზაზ-ოლ-მამალექიცი“.

ისმაილ ამირ-ხიზი აქვე დასძენს, რომ ამის შემდეგ მირზა ალი მოჰამედ-ხან თარბიათი და ორატორი ქესმაი ერთ ჯგუფთან ერთად გუბერნატორის სასახლისაკენ გაემურნენ და ხანმოკლე შეტაკების შემდეგ იქაურობას დაეუფლნენ. ა. ქასრავიც ამ ამბების ვადმოცემისას ადგილობრივ ბელად ხანებს აკუთვნებს აჯანყების ხელმძღვანელის როლს, მაშინ, როცა, როგორც დღ. რეზიდან ირკვევა, ისინი მხოლოდ მეგზურის როლს ასრულებდნენ და ბრძოლაში პირდაპირ ჩაბმას ხშირად თავს არიდებდნენ¹³².

ა. ჯაფარიძე ამავე ამბავს ასე აღწერს: ადრე დილით (1909 წ. 8 თებერვალს. გ. ჭ.) ცნობა მივიღეთ, რომ გუბერნატორთან ვიღაც ხანები მოვიდნენ სამი ეტლით. მალე ისინი ქალაქგარეთ გავიდნენ დაცვიითურთ. იქ ერთ ბაღში გაჩერდნენ და ბანქოს თამაში და ქეიფი გამართეს.

უკეთესი შემთხვევისათვის აღარ უნდა გვეცადაო. — განაგრძობს იგი — გუბერნატორის „დარხანისაკენ“ (სასახლე) ეტლით გემართა ხუ-

¹³¹ ა. ქასრავი, დასახ. ნაშრ., გვ. 80.

¹³² ისმაილ ამირ-ხიზი, აზერბაიჯანის აჯანყება და სათარ-ხანი, თეირანი, 1960, გვ. 276—278 (სპარსულ ენაზე).

თი-ექვსი კაცი ბათუმელი ვალიკოს ხელმძღვანელობით. მათთან ერთად იყო მოუხემ სულთანიც, რომელმაც ადგილმდებარეობა კარგად აჩვენა და ცოტა ხნის შემდეგ ჩვენც მათ გავეყვიეთ. ვზაზე პირველ შემხვედრ-ჯარისკაცს თოფი წაუვართვით და სამი ვაზნით შევიაარაღეთ ერთი მუს-ლიმანი ამხანაგი. ბომბების პირველსავე აფეთქებაზე დაცვა დაიბნა და გაიფანტა. გუბერნატორმა იქვე შეაფარა თავი. მას კვალდაკვალ მიჰყვა მოუხემ სულთანი. მან გამოიყვანა გუბერნატორი, ხოლო ვალიკომ იქვე დახვრიტა იგი. მოკლულ იქნა გუბერნატორის რამდენიმე მცველი. გუბერნატორის ასკერები (მცველები) გამოცვივდნენ და ზარბაზნით სცადეს ჩვენი გაფანტვა. მხოლოდ ამ დროს გამოჩნდნენ ეფრემი და ნერსესი, რომლებიც ეზოსკენ გაგვიძღვნენ. ჩვენ ერთი მეორეზე დავი-კავეთ „დარხანის“ ოთხივე ეზო და სასახლის ოთახებიდან ვერეკებო-დით ასკერებს. უცებ დერეფანში ნავთის ლამპებით სავსე კარადას წა-ვეჯახე. ამან საბაბი მომცა ცეცხლის აღისთვის მიმეცა სასახლე. ძირს დავანარტხე ლამპა და ცეცხლი გავუჩინე შენობას. როგორც კი ხანძა-რი გაჩნდა, გაისმა ვაშას შეძახილები რუსულად და ქართულად და მხოლოდ მაშინ გავივეთ, რომ ჩვენი ამხანაგები ცოცხლები არიან.

ჩვენ ერთმანეთს შორის დავიწყეთ ქართულად გადალაპარაკება. სასახლე იწვოდა. ასკერები მაშინვე დანებდნენ. იბრალს ჰყრიდნენ მოედანზე. საღამოს ქალაქი უკვე ჩვენს ხელთ იყო.

ბრძოლაში დაიღუპნენ: სტუდენტი ფაშა-ხანი და ქართველი საშა ავლაბრელი მეწაღე, რომელსაც ბომბი ხელში აუფეთქდა, მე ფეხში დავიშერი. შაჰის ჯარებს რამდენიმე კაცი დაეკარგა გუბერნატორთან ერთად. რეშთის აღების შემდეგ ენზელი უბრძოლველად დანებდა¹³³.

საინტერესოა მეფის რუსეთის დიპლომატიური წარმომადგენ-ლების რეაქცია რეშთის აჯანყების ამბავთან დაკავშირებით. მეორე დღეს, 27 იანვარს (9 თებერვალს) რუსეთის საქმეთა რწმუნებული ირანში, სასახლის მრჩეველი საბლინი თეირანიდან პეტერბურგში გაგზავნილ დეპეშაში წერდა: „რეშთთან ტელეგრაფი არ მუშაობს. შტრიტერი (მეფის რუსეთის გენერალური კონსული რეშთში. გ. ჭ.) ტელეგრამით გვატყობინებს, რომ 26 იანვარს რევოლუციონერებმა გაანადგურეს და დაწვეს გუბერნატორის სახლი. თვით გუბერნატორი, როგორც ამბობენ, მოკლულია. სპარსელმა კაზაკებმა თავისი უფრო-სითურთ, თალიშის ხანმა თავისი 30 მსლებლით და სარბაზებით, რო-შელთა რიცხვი დაახლოებით 100 კაცს შეადგენს, საკონსულოში შეა-ფარეს თავი.

ამ ცნობის მიღებისთანავე დაუყოვნებლივ გავგზავნე სასახლეში ლისოვსკი მოხსენებლით

¹³³ ა. ჯაფარიძე, მოგონებები, გვ. 93—94.

რეშთში მომხდარ უწესრიგობათა თაობაზე. ტალე-შაჰში¹³⁴ გაურკვეველი ოპტიმიზმია მიუხედავად იმისა, რომ დამატებით მიღებული ცნობების თანახმად, რეშთში დამწვარია სუბაქო, ტექლეგრაფი და მთავრობის ზოგიერთი სხვა შენობა. მოკლულია გუბერნატორი სარდარ აფხამი და სარდარ ჰუმაიუნი, რომლის სახლშიც გუბერნატორი მოკლეს. როგორც გვარწმუნებენ, სასახლეში უკვე მიღებულია ზომები ქალაქში წესრიგის დასამყარებლად¹³⁵. შაჰის ბრძანებით, ამირ-ნოზამს დაევალა 400 მხედრით რეშთზე ლაშქრობის მოწყობა. მთავრობის წრეებში ვარაუდობდნენ, რომ გილანის მმართველად სეფაჰდარს დანიშნავდნენ.

ამრიგად, მეფის რუსეთის წარმომადგენლები დიდად შეაშფოთა რეშთის აჯანყების ამბავმა, მაგრამ მათ არ უნდოდათ დაენახათ აჯანყების ნამდვილი მიზეზი და საბაბი მიზეზად გამოაცხადეს. ამასთან მოითხოვდნენ აჯანყების დაუყოვნებლივ ჩაქრობას, ვინაიდან ამ აჯანყებაში თავიანთი იმპერიალისტური ინტერესების შელახვას აშკარად ხედავდნენ.

დღიურების ტექსტთნ ამ წყაროების შედარება და მათი ურთიერთ შეჯერება გვაძლევს იმის საშუალებას, რომ დაზუსტებულ იქნეს ზოგიერთი დეტალი რეშთის ისტორიულ აჯანყებასთან დაკავშირებით: აქედან ცხადი ხდება, რომ, ჯერ ერთი, ამ აჯანყების მომზადებასა და მოხდენაში დიდი როლი ითამაშეს ამიერკავკასიელმა და, კერძოდ, ქართველმა მეგრძოლმა-ინტერნაციონალისტებმა. ისინი შეადგენდნენ ძირითად, თანამიმდევარ და წარმმართველ რევოლუციურ ძალას. ამასთან თავიანთი მიზანსწრაფვით, გაბედულებითა და ვაჟკაცობით აღაფრთოვანებდნენ არა მარტო კონსტიტუციური მოძრაობის ადგილობრივ მონაწილეებს, არამედ მოძრაობაში მოყავდათ თვით ხალხის ფართო მასები. მეორე, აჯანყებამ დაადასტურა დაშნაკცაკანთა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიის წარმომადგენლების ლალატი, ორპირობა, არათანამიმდევრობა და სიმხდალე. ისინი მხოლოდ ისეთ მომენტში გამოჩნდნენ, როცა აჯანყებაში გამარჯვების სასწორი რევოლუციონერების მხარეზე გადაიხარა აშკარად, როცა მოწინააღმდეგე ნებდებოდა, „შემოიჭრენ საყვედურებით და სხვებთან ერთად დაიწყეს ბრძოლა“. მესამე, ყველა ისტორიული წყარო ერთხმად ადასტურებს იმ ფაქტს, რომ, რევოლუციონერებმა სიფრთხილის ყველა ზომის გამოყენებით, საზრიანი და ტაქტიანი მოქმედებით მიაღწიეს მოწინააღმდეგის ბანაკში სიფხიზლის მოდუნებას, რაც მო-

¹³⁴ ბაღე შაჰი — შაჰის საზამთრო რეზიდენცია.

¹³⁵ Сборник дипломатических документов, касающихся событий в Персии, СПб. вып. II, 1911, с. 75—76.

ბერბეზულად გამოიყენეს კიდეც. აჯანყების გამარჯვებაში გადაწყვეტილი როლი ითამაშა „მოდირიეს ბაღში“ გუბერნატორსა და მის ამაღლებულ მოულოდნელმა თავდასხმამ და „დარხანეში“ რევოლუციონერების მიერ გაჩენილმა ხანძარმა. ამასთან ერთად დადგენილად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ გილანის რეაქციონერ გუბერნატორ ალა ბალახან სარდარ აფხაზს ბოლო მოუღო ამიერკავკასიელი რევოლუციონერების რაზმის მეთაურმა ვალიკო გურჯამ ანუ ბათუმელმა ვალიკომ¹³⁶.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ა. ქასრაგი იმოწმებს რა მოაზ-ოს-სულთნისა და ალი-მოჰამად-ხანის მიერ თავრიზში გაგზავნილ დეპეშას, გუბერნატორის მომხრეთა შორის მსხვერპლთა რაოდენობას 36 კაცით განსაზღვრავს. დღიურებში კი აღნიშნულია, რომ მოწინააღმდეგემ 56 კაცი დაკარგაო. ვფიქრობთ, აქ, ალბთ, კორექტურულ შეცდომასთან უნდა გვქონდეს საქმე, მაგრამ ამ ორი რიცხვიდან რომელია სწორი ჯერჯერობით ამის დადგენა ძნელია.

ბოლოს, დასახელებული წყაროებიდან აღნიშნულ საკითხებზე ყველაზე სრულ და ნათელ სურათს წარმოგვიდგენს „გურჯი სერგოს“ დღიურები, რომელშიც თვითმხილველისა და ამბის აქტიური მონაწილის კალმით „ცხელ კვალზე“ დაწვრილებით და სისრულით არის აღწერილი რეშთის ისტორიული აჯანყების ყველა დეტალი.

შემდეგ, დღიურებიდან ვგებულობთ, რომ რეშთის აღების მეორე დღეს, 27 იანვარს (9 თებერვალს) ადგილობრივმა რევოლუციონერებმა განახორციელეს პირველი ღონისძიებანი ქალაქში რევოლუციური ხელისუფლების განსამტკიცებლად და რეაქციონერების გადარჩენილი ძალების გასაუვნებლად. ქართველი ინტერნაციონალისტი მეომრები დიდ ტაქტს, სიფრთხილესა და წინდახედულობას იჩენდნენ. „გურჯებმა, აღნიშნულია დღიურებში, ქალაქის დარაჯობაზე, სახლების ჩხრეკაზე და ამგვარ სხვა საქმეებზე უარი განაცხადეს იმ მოსაზრებით, რომ ხალხს ცუდი თვალთ არ დაეწყო ყურება, როგორც უცხო ხალხისათვის¹³⁷. იმავე დღეს სასახლის წინ მოედანზე ხალხმა მოიყარა თავი. აჯანყების მეთაურებს განზრახული ჰქონდათ მტინგის მოწყობა, რომელზეც ხალხისათვის გარკვევით უნდა აეხსნათ კონსტიტუციური

¹³⁶ დღიურებში, როგორც ვნახეთ, აღნიშნულია, რომ „გუბერნატორს ათი ტყვია ზედიზედ დაეყარა რაზმელმა“. ქასრაგი წერს: „ერთ-ერთმა კავკასიელმა ყუმბარა სტყორც-ნა და მიწას დაანარცხა“ გუბერნატორი. ა. ჯაფარიძე კი პირდაპირ ასახელებს „ველიკომ იქვე დახვრიტა იგიო“. აქ მთავარი ის კი არ არის ბომბი სტყორცნეს, თუ ტყვია და-ახალეს (თუმცა-ღა უფრო ეს უქანასკნელი უნდა იყოს სწორი), მთავარი ის არის, რომ კავკასიელი რაზმელი, რომლის ხელით დაეცა ეს ტორანი, ვალიკო გურჯი ყოფილა.

¹³⁷ „ახალი სხივი“, № 8, 1910 წ., 12 თებერვალი.



მოდრობისა და რეშთის აჯანყების მიზნები და ამოცანები მიტინგებზე
 ამჯერად არ შედგა ცნობილ ორატორ ქესმაის ავადმყოფობის გამო.
 მოგვიანებით მიტინგი მოეწყო საბჭოს (მწვანე) მოედანზე რეშთში სე-
 ფაპლარის რაზმის (150 კაცი) შემოსვლასთან დაკავშირებით.

ს ე ფ ა პ ლ ა რ ი

ნასრ-ოს-სალთან სეფაპლარი ანუ მოჰამედ ვალი ხან ხალათბარი
 თონეჩაბუნელი ირანის ძველი მიწათმფლობელი არისტოკრატიის წარ-
 მომადგენელი და ერთ-ერთი მსხვილი გილანელი ფეოდალი იყო. სე-
 ფაპლარის ოჯახი თონეჩაბუნში რამდენიმე სოფელს ფლობდა. იგი
 შაჰის კარზე დაახლოებული პირი იყო და მალალი თანამდებობა ეკა-
 ვა¹³⁸. ჯერ კიდევ 1907 წლის იანვარ-თებერვალში მთავრობის კრიზისის
 დროს სეფაპლარი სხვებთან ერთად შაჰმა სასახლეს ჩამოაშორა, ხალ-
 ხის ინტერესების მოჩვენებითი დამცველის მისი უდიდებულესობის
 რეპუტაციის ასამაღლებლად. შემდეგ კი მეჯლისში იქნა დაყენებუ-
 ლი საკითხი სეფაპლარის შვილის ამირ ასადის თონეჩაბუნის გუბერ-
 ნატორის პოსტიდან განთავისუფლების შესახებ¹³⁹. სეფაპლარი ერთ
 ხანს რეშთის გუბერნატორის მოვალეობას ასრულებდა. 1908 წლის
 23 ივნისის სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ შაჰმა სეფაპლარი
 აჯანყებული თავრიზის წინააღმდეგ მებრძოლი მთავრობის ჯარების
 სარდლად დანიშნა. იქ იგი იმავე წლის აგვისტოში შეუდგა თავისი
 მოვალეობის შესრულებას. მაგრამ თავრიზელ აჯანყებულთა მედგარმა
 ბრძოლამ სათარ-ხანის მეთაურობით და 1908 წლის 25 და 26 სექტემ-
 ბერს გამართულ ბრძოლებში რეაქციონერთა ჯარების სასტიკმა და-
 მარცხებამ რეაქციონერთა ბანაკში არევიდარევა გამოიწვია. თვით სე-
 ფაპლარისათვის ნათელი გახდა, რომ თავრიზელთა დამარცხება ასე
 იოლად არ შეიძლებოდა. იგი იძულებული გახდა თავრიზს გაცლოდა
 და თავისი წარმომადგენელი გაუგზავნა აჯანყებულ თავრიზელთა ბე-

¹³⁸ ერთ-ერთ კორესპონდენტთან საუბარში სეფაპლარმა თქვა: „მე მეჭირა სამხედ-
 რო მინისტრის თანამდებობის პოსტი. ვიყავი არტილერიის უფროსი. ენ ედ-დოვლეს-
 თან ერთად ვმონაწილეობდი ნაციონალისტების (ე. ი. სათარ-ხანელი რევოლუციონერე-
 ბის. გ. ჯ.) წინააღმდეგ თავრიზელ ლაშქრობაში. ბოლოს მე მომიხდა პირი მებრუნებინა
 ყველაფერი იმისაგან, რასაც ვემსახურებოდი... მთელი ჩემი ცხოვრება მე შაჰის ტახტს
 ვემსახურებოდი, ხოლო მოხუცებულობის ჟამს სამართლიანობის გულისათვის მის წი-
 ნააღმდეგ საბრძოლველად ავიღე ხელში ხმალი. იხ. «Русское слово» № 81, (10) 23
 апреля 1909 г., თუ ნამდვილად რამ აიძულა სეფაპლარი ამდგარიყო „სამართლიანობის
 გულისათვის“ შაჰის მთავრობის წინააღმდეგ, ამას ქვემოთ დავინახავთ.

¹³⁹ М. С. Иванов, указ. труд, с. 112.

ლადებს. სეფაჰდარი მათ „დახმარებას“ პირდებოდა. სათარმა და მაჰმადიანობა უარყვეს სეფაჰდარის თვალთმაქცური წინადადება და იმავე წარმომადგენელის პირით შეუთვალეს, რომ თუ გულწრფელად გასურს ხელი შეუწყო კონსტიტუციურ მოძრაობას, ის აჯობებდა, რომ წასულიყავი საკუთარ სამფლობელო თონექაბუნში და თავისუფლების დროშა იქ აგეფრიალებიაო¹⁴⁰. მაშინ შაჰმა სეფაჰდარი გადააყენა თავრიზის წინააღმდეგ მებრძოლი მთავრობის ჯარების სარდლის პოსტიდან და მის ნაცვლად იქ ალი-ხან არშად-ედ-დოვლე გაგზავნა¹⁴¹. შაჰის მთავრობის ავტორიტეტის მკვეთრად დაცემა, რაც შედეგად მოჰყვა ხალხის რევოლუციური მასების გამარჯვებებს, პირადი ნაწყენობა, აგრეთვე სურვილი, რათა ხელი მოეთხოვთ თავისუფლებისათვის მებრძოლების მიერ სისხლით მოპოვებულ წარმატებებზე, სეფაჰდარს უბიძგებდა, რომ შაჰის მთავრობის წინააღმდეგ ემოქმედნა. ის, მართლაც, დაბრუნდა თონექაბუნში და სხვა ფეოდალებთან ერთად ოპოზიციაში ჩაუდგა შაჰს¹⁴². ისმაილ ამირ-ხიზმა თავის წიგნში სპეციალური თავი უძღვნა სეფაჰდარის იდეური ევოლუციის საკითხს. იგი წერდა, რომ სეფაჰდარი, როცა თავრიზში სათარ-ხანის აჯანყებულთა წინააღმდეგ დაიძრა, პირველ ხანებში, შაჰის ჯარების სარდალ ეინ-ედ-დოვლესაგან განსხვავებით, რომელიც ხასიათის სირბილეს იჩენდა, ფიცხობდა და კონსტიტუციის მომხრეთა წინააღმდეგ ვადაპქრელი ზომების მიღებას მოითხოვდა. იგი ყოველთვის, როცა ეინ-ედ-დოვლესთან საუბრობდა, როგორც კი სიტყვა კონსტიტუციონალიზმზე ჩამოვარდებოდა, მოთმინებიდან გამოდიოდა, ზეზე წამოდგებოდა და ჯიბეებში ხელჩაყოფილი ოთახიდან გარეთ გამოვარდებოდა ხოლმე. ამასთან ხმამაღლა გაიძახოდა. „სადაც კონსტიტუციაზეა ლაპარაკი, ჩემი ადგილი იქ არ არისო“. მაგრამ დროთა განმავლობაში მის უკმეხობა სირბილე შეეპარა და იქამდეც კი მივიდა, რომ თავისი თავი თავისუფლების მომხრედ გამოაცხადაო.¹⁴³ სწორედ ამ დროს დაემთხვა რეშთის აჯანყებაც. ჯერ კიდევ აჯანყების მომზადების პერიოდში „სათარის კომიტეტმა“ თავის წარმომადგენელი გაუგზავნა სეფაჰდარს და სთხოვა მას, რომ გილანში მოსულიყო, რათა საკუთარ ხელში აეღო აჯანყების ხელმძღვანელობა. მაგრამ სეფაჰდარი არ ჩქარობდა. იგი აელსაყრელ მომენტს ელოდებოდა. აჯანყების მეორე დღეს აჯანყებულთა ადგილობრივმა მეთაურებმა კვლავ სთხოვეს მას რეშთში

¹⁴⁰ ა. ქასრაჯი, ირანის კონსტიტუციური მოძრაობის ისტორია, ტ. 3, გვ. 268, (სპარსულ ენაზე).
¹⁴¹ М. С. Иванов. указ. труд, с. 336.
¹⁴² white book, Persia, 1909, № 2, p. 29.
¹⁴³ ისმაილ ამირ-ხიზი, დასახ. ნაშრ., გვ. 181—182.



მოსულიყო. ეს იმით იყო გამოწვეული, რომ, როგორც ავტორიტეტები იფიქრებდნენ, მაშინ რევოლუციონერებს ადგილობრივი გამოცდილი და ავტორიტეტის ხელმძღვანელი არ ყავდათ. ისინი ამ დროს ახალი ძალების შეგროვებას აპირებდნენ ყაზვინზე გასალაშქრებლად¹⁴⁴.

რევოლუციონერები, მათ შორის ამიერკავკასიელი მებრძოლები, კარგად ხედავდნენ სეფაჰდარის ზრახვებს, რაც მათს მიზნებს არ შეესაბამებოდა. მაგრამ სამხედრო საქმეში სხვა უფრო გამოცდილი კაცი მაშინ გილანელ თავისუფლებისათვის მებრძოლთა შორის არ ეგულებოდათ. კავკასიელები კი აქაურ ადგილმდებარეობას და ხალხის ზნე-ჩვეულებებს საკმაოდ არ იცნობდნენ. რაც შეეხება მოაზ-ოს-სულთანს, მირზა ქარიმ-ხანს და სხვებს, მათ უკეთეს შემთხვევაში მხოლოდ მეგზურობა შეეძლოთ გაეწიათ ჩასული კავკასიელი მოხალისე-მეომრებისათვის. ამიტომ იყო, რომ ისინი იძულებული გახდნენ დათანხმებულიყვნენ რეშთის ენჯუმენის და „სათარის კომიტეტის“ წინადადებაზე სეფაჰდარის საერთო ხელმძღვანელად მოწვევის თაობაზე. უბრალო ხალხმა კი, რომელიც კარგად იცნობდა სეფაჰდარს, როდესაც მისი რეშთში რევოლუციონერთა ხელმძღვანელად მოსვლის ამბავი გაიგო, „უნდობლობის თვლით დაუწყო ყურება ბელადებს“¹⁴⁵.

სეფაჰდარის რეშთში მოსვლის აღსანიშნავად გამართულ მიტინგზე კავკასიელებისა და ქართველი მეომრების სახელით სეფაჰდარის წარმომადგენელს სიტყვით მიმართა განთქმულმა ორატორმა ქესმაიმ. მან თქვა: თუ სეფაჰდარი ქალაქში შემოუშვით, ეს იმისათვის, რომ ის საჭიროა ჩვენთვის და მთელი სპარსეთისათვის. თუ გაგვიწევს მეგობრობას, ხომ მზადა ვართ პატივი ვცეთ. და თუ ვინმემ გაბედა რაიმე ხალხის წინააღმდეგ, მაშინ აქ არიან გურჯები, რომლებიც ყველას სამაგიეროს გადაუხდიან. გადაეცით ბატონ სეფაჰდარს, რომ ყველა გურჯი და ჩვენ ვუძღვნით მეგობრულ სალამსო.

საპასუხო სიტყვაში სეფაჰდარის წარმომადგენელმა მურთაზ დოვლემ ფარისევლურად განაცხადა: „ჩვენი დიდი ბატონი სეფაჰდარი დიდი ხანია ხალხის მეგობარია და ხალხს შესწირავს თავსო. და გარეთ მდგომმა 10. 000 კაცმა ზემოხსენებული სიტყვები ტაშის კვრით გაიმეორა“¹⁴⁶.

დღიურებში აღწერილია სეფაჰდართან შეხვედრა, რომლის შესახებ უკვე იცის მკითხველმა. ამ შეხვედრის აღწერიდანაც თვალსაჩინოდ ჩანს, თუ როგორი უნდობლობით ეკიდებოდნენ მას ირანს ჩა-

¹⁴⁴ ა. ჯაფარიძე, მოგონებები, გვ. 94.
¹⁴⁵ „ახალი სხივი“, № 8, 1910 წ. 12 თებერვალი.
¹⁴⁶ იქვე.



სული ქართველი რევოლუციონერი მეომრები. შემთხვევითი არაა, რომ, როცა სეფაპდართან შეხვედრაზე მიღებული პირველ შთაბეჭდილებებს ერთმანეთს უზიარებდნენ, ერთ-ერთმა ქართველმა მეომარმა თქვა: „არა, ძმაო, ეს კაი კაცი არ უნდა იყოს. მაგის შეხედულება იოანე მრისხანეს მაგონებსო“¹⁴⁷. ქართველი რევოლუციონერის მიერ იქ, შორეულ ირანში სეფაპდარის პირველ ნახვით მიღებული შთაბეჭდილება და ამ საფუძველზე მისი შეფასება ნათლად წარმოგვიდგენს რევოლუციის ამ შემთხვევითი თანამგზავრის ნამდვილ სახეს. ამიტომ იყო, რომ როგორც ირანის რევოლუციის გამოჩენილი მკვლევარი პროფ. მ. ივანოვი შენიშნავს, კავკასიელი მოჯაჰიდების გავლენით რომლებიც, ისევე როგორც თავრიზის აჯანყებაში, რეშთის მოძრაობის დროსაც მეტად მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ, არსებითად შეიკვეცა სეფაპდარის უფლებამოსილებანი. ასე, მაგალითად, სამხედრო კომიტეტმა არ გადასცა მას ქვემეხები და სამხედრო არსენალი. ისინი თავის განკარგულებაში დაიტოვა. ეს კომიტეტი მთლიანად განაგებდა ფიქრების მთელ შეიარაღებულ რაზმებს, რომლებიც შექმნეს მალე გადატრიალების შემდეგ. ფაქტიურად სეფაპდარის, როგორც გილანის მმართველის, საქმიანობას კონტროლს უწევდა ეს კომიტეტი, რომლის თანხმობის გარეშე იგი მოკლებული იყო ყოველგვარ შესაძლებლობას, რომ რაიმე ემოქმედნა“¹⁴⁸.

ა. ქასრაიცი საგანგებოდ შენიშნავს, რომ სეფაპდარი, რომელიც გილანელ აჯანყებულთა მეთაურად მოიწვიეს, გულით როდი იყო მინდობილი რევოლუციის საქმეზე. მას არ ჰქონდა ამ საქმისათვის გულწრფელი მისწრაფება და თავდადება. მას იმაზე მეტი არა სურდა რა, გარდა იმისა, რომ გილანში წყნარად, მოსვენებით გაეტარებინა დრო. მაგრამ შაჰისადმი პირადი მტრობა და სიძულვილი უბიძგებდა მას თავი რევოლუციონერის სამოსელით შეემოსა¹⁴⁹.

რეშთის აჯანყებაში ინტერნაციონალისტი მეომრების მონაწილეობის, ქალაქში შექმნილი მდგომარეობისა და სეფაპდარის განზრახვის შესახებ წერდა მაშინ თეირანში ინგლისის საელჩოს თარჯიმანი მისტერ ჩერჩილი, რომელიც წლების მანძილზე ირანში ცხოვრობდა და იმ დღეებში გილანში გაემგზავრა. იგი ამბობდა: ჩემი თვალით ნახულითა და გავონილის საფუძველზე ის ვიცი, რომ გილანის აჯანყების გეგმა კავკასიაში იქნა შედგენილი და იმ მოხალისეთა ნამოქმედარია, რომელთა რიცხვი თავდაპირველად 50 კაცს აღწევდა. აჯანყებიდან ექვს კვირაში ამ მოხალისეთა რაოდენობას ახალი კონტინ-

147 „ახალი სხივი“, № 8, 1910 წ., 12 თებერვალი.
 148 М. С. Иванов, указ. труд, с. 354.
 149 ა. ქასრაიცი, დასახ. ნაშრ., გვ. 14.

გენტები მიემატა, და, როგორც ამბობენ, ახლა მათი რაოდენობა 350 კაცამდე გადიდა. ამასობაში ირანს დაბრუნდა განმათავისუფლებელი ძებრძოლთა ერთი დიდი ჯგუფი, რომელიც საზღვარგარეთ იყო გაქცეული. ამ საქმეში კავკასიელებს დიდი დახმარება გაუწია სამმა ძმამ—მოაზ-ოს-სულთანმა, ჰამიდ-ოს-სულთანმა და ქარიმ-ხანმა.

ბაზრები ღია იყო — განაგრძობდა ჩერჩილი. — ალებ-მიცემა და ვაჭრობა თავისი გზით მიდიოდა. სახლების სახურავებზე წითელი დროშები ფრიალებდა. იმ შენობებზე, რომლებსაც განმანთავისუფლებელი მოძრაობის ასეთი ნიშნები არ ჰქონდა, რუსეთის ან ოსმალეთის ბაირალები გამოეფინათ, რათა გაერჩიათ, რომ ამ სახლებში აღნიშნულ სახელმწიფოებთან დაკავშირებული პირები იმყოფებოდნენ. შენობებზე ორი ინგლისური ბაირალიც დავინახეთ — დასძენს იგი.

მისტერ ჩერჩილთან საუბარში სეფაპდარმა განაცხადა: მე კონსტიტუციური მოძრაობისადმი ერთგულემა დავიფიცე და სანამ ჩემს წინააღმდეგ სამხედრო ძალას არ გამოგზავნიან, ადგილზე ვაპირებ საქმეების მართვასო. მაგრამ, თუ შაჰი ჯარს გამოგზავნის, საკადრის პასუხს გავცემთო⁵⁰¹. ამრიგად, სეფაპდარი თავიდანვე, წინააღმდეგ რევოლუციონერთა სურვილისა, თავდაცვის ტაქტიკას ადგა.

რევოლუციის მსხვერპლთა დაკრძალვა.

1909 წ. 28 იანვარს (10 თებერვალს) რევოლუციონერებმა დიდი პატივით მიაბარეს მიწას თავისუფლებისათვის ბრძოლის მსხვერპლი ფაშა ხანი. 29 იანვარს (11 თებერვალს) ასევე დიდი პატივით დაასაფლავეს შალვა დოლიძე, რომლის დაკრძალვა კიდევ ერთ დიდ ინტერნაციონალურ სოლიდარობის დემონსტრაციად გადაიქცა. ამ ამბავს დღიურების ავტორი ასე აღწერს: რაც კი რეშთში ევროპელები მოიპოვებოდა, ყველას თავი მოეყარა იმ ქუჩებში, სადაც ცხედარი უნდა გაეტარებინათ. სპარსელები დიდად იყვნენ დაინტერესებულნი, რადგან მოკლული ქართველი იყო. ყველამ მოიყარა თავი სომხების ეკლესიის სიახლოვეს. ორი — სამი ვერსის სიგრძეზე ყველა მთავარ ქუჩაში ხალხი იდგა.

თორმეტ საათზე ცხედარი გამოასვენეს. ამხანაგებმა ზარბაზნის ლაფეტზე დაასვენეს და გარშემო შემოუმწყრივდნენ. ტრიბუნაზე ავიდა ცნობილი ორატორი ქესმაი, რომელმაც გრძნობით სავსე სიტყვა წარმოთქვა:... „იარალებო¹⁵¹, ირანის თავისუფლებას თავი შეს-

¹⁵⁰ ა. ქასრაჯი, დასახ. ნაშრ., გვ. 14—15.

¹⁵¹ იარალები — ავტორის მიერ გადმოქართულებული, სპარსული სიტყვა „იარან“-ი უნდა იყოს, რაც სიტყვა „იარ“-ს (მეგობარი) მრავლობითია და ქართულად „მეგობრებს“ ნიშნავს.



წირა იმ ერის შვილმა, რომელსაც ჩვენ ძალიან ნაკლებად ვიცნობთ და ცოტა გაგვიგონია ამ ერზე. გურჯები ყველას ჩვენი მტრები გვეგონა... მაგრამ ხომ ყველა ხედავთ, ვინ დევს უსულოდ თქვენს წინაშე. ეს არის გურჯი შალვა, შვილი გურჯისტანისა. დღეიდან ერთხელ კიდევ უნდა დავინახოთ და დავრწუნდეთ, რომ, თუ ჩვენს სამშობლო ირანს მრავალი მტერი ყავს, მოყვრებიც საკმაოდ მოეპოვება.

ეს, ჩვენი, ირანის მოყვარე ხალხი გურჯებია. და გაიგეთ კარგად, რომ დღეიდან ვერავითარი ძალა და შური ვერ შეარყევს ჩვენსა და გურჯებს შორის მეგობრობას და თავისუფალი ირანიც ღირსეულ პატივს სცემს გურჯისტანის შვილებს.

როდესაც პროცესია დაიძრა, ევროპელმა ქალებმა ტირილი და ქვითინი მორთეს. სპარსელმა ქალებმაც მიჰბაძეს მათ და ლოცვა-კურთხევით იხსენიებდნენ დახოცილთ.

საფლავზე სიტყვები წარმოითქვა რუსულ და სპარსულ ენებზე და როდესაც კუბო სამარეში ჩაუშვეს, რაზმმა სამჯერ მისცა ჰაერში ბათქი. მუსიკამ სამგლოვიარო მარში დაუკრა და ის იყო დაიწყო მიწის მიყრა, რომ შორიდან გამოჩნდა ცხენოსანი ჯგუფი. ყველამ იცნო, რომ ცხენოსანი ჯგუფი კახაკებისა იყო. ის იყო სროლა დააპირეს რევოლუციონერებმა, რომ გამოჩნდა ეტლი, რომელშიაც ისხდნენ რუსის ელჩი¹⁵² მეუღლითურთ და საელჩოს მდივანი. როდესაც გაეგო ელჩს ქართველი რევოლუციონერის დასაფლავება, სასიეროდ წასულიყო. ვილაცამ იცნო ეტლი და რევოლუციონერები ხიფათისაგან გადაარჩინა¹⁵³.

რევოლუციური ხელისუფლება ბელადი ხანები

რეშთის აღების ამბავი თეირანში როგორც ბომბი, ისე გასკდა. ეს უკვე მესამე მთავარი პროვინცია იყო ირანის აზერბაიჯანისა და ისფაჰანის შემდეგ, სადაც შაჰის ხელისუფლება დაეშხო და ძალაუფლება კონსტიტუციური მოძრაობის მომხრეებმა აიღეს ხელში. შაჰის სასახლის კარსა და დედაქალაქის მთელ ფეოდალურ არისტოკრატიას შიშის ზარი დაეცათ. ახლა მათ საფუძველი ჰქონდათ ეფიქრათ, რომ რეშთელი აჯანყებულები თეირანისაკენ იზამდნენ პირს. შაჰის მთავრობას რეგულარული ჯარის ნაწილები ცოტა ჰყავდა და ისინიც თავრიზის მისადგომებზე იმტვრევდნენ კბილებს. იმ ხანებში ისეთი სიტუაცია შეიქმნა, რომ რევოლუციონერების ორი-სამი ათასი მეომრით

¹⁵² აქ, ეტყობა, ლაპარაკია არა ელჩის, არამედ კონსულის შესახებ.
¹⁵³ „ახალი სხივი“, № 8, 1910 წ., 12 თებერვალი.



თეირანზე გალაშქრება, შესაძლოა წარმატებას მოუტანდა მათ. — ამ ვითარებაში თავრიზიც განთავისუფლებოდა მძიმე მდგომარეობიდან და რუსებსაც ხელიდან გამოეცლებოდათ საბაბი თავისი ჯარის ირანში შესაყვანად¹⁵⁴. — აღნიშნავდა ა. ქასრავი.

რეშთის აჯანყების შესახებ ცნობის მიღების შემდეგ თეირანიდან იქ გაგზავნეს ცხენოსანთა რაზმი 400-მდე მხედრით. შაჰის არმია, რომელსაც არა მარტო იარაღი, არამედ ტანსაცმელი და სასმელ-საჭმელიც არ გააჩნდა და მორალურად დაცემული იყო, გზაში მაროდერობას ეწეოდა. მან დედაქალაქიდან ყაზვინამდე 140 კმ გზის გავლას ორ თვეზე მეტი დრო მოანდომა. ბოლოს იქ დაბანაკდა და რეშთისაკენ აღარ დაძრულა¹⁵⁵.

გილანელი რევოლუციონერები, რომლებმაც რეაქციონერთა ძალებისაგან თითქმის მთელი პროვინცია განთავისუფლეს, გულმოდგინედ შეუდგნენ შაჰის არმიის შესაძლო შემოტევის მოგერიებისა და შემდეგ თეირანზე გალაშქრებისათვის მზადებას. ამ საქმის ხელმძღვანელობისათვის საჭიროდ მიიჩნიეს „სამხედრო კომისიის“ ანუ შტაბის შექმნა. მას „ქომითე-ე სათარ“ ანუ „ქომისიუნე ჯენგი“ დაერქვა. თითოეულმა რაზმმა კომისიის შემადგენლობაში ფარული კენჭისყრის საფუძველზე თითო წარმომადგენელი წამოაყენა. ესენი იყვნენ: გილანელებისაგან მოაზ-ოს-სულთანი, თავრიზელებისაგან ალა სეიდ ალი მორთაზევი, სომხებისაგან ეფრემი, ქართველებისაგან ვალიკო გურჯი (ბათუმელი) და ამიერკავკასიელი მუსლიმანებისაგან (აზერბაიჯანელთაგან) აჰმად სადიყოვი. სამხედრო კომისიის მოვალეობას დასრულებისათვის აჯანყების მონაწილეთა მომზადება შეადგენდა. ისინი უნდა მოემარაგებინა სურსათით, აღეჭურვა იარაღით, დაეკომპლექტებინა ცალკეულ რაზმებად, შეეცა საბრძოლო დავალება და გაეგზავნა ყაზვინისაკენ. მათს გამგზავრებას აწესრიგებდა ადგილობრივი ენჯუმენი, რომელიც აჯანყების შემდეგ იქნა აღდგენილი¹⁵⁶. კავკასიელთა რაზმებისადმი ხელმძღვანელობა (მათ შემადგენლობაში ამ დროისათვის 200-მდე კაცი შედიოდა. მათ შორის 40-ზე მეტი ქართველი იყო) სეფაჰდარმა ვალიკო ბათუმელს შესთავაზა. მაგრამ ვალიკომ უარი განაცხადა იმის, გამო, რომ არ იცნობდა ადგილმდებარეობას და არ იცოდა ადგილობრივი ენა. ამიტომ ხელმძღვანელობა ეფრემს მიენდო. ამის შემდეგ, როგორც ა. ჯაფარიძე იგონებს, ეფრემმა ასწია ცხვირი

¹⁵⁴ ა. ქასრავი, დასახ. ნაშრ., გვ. 11.

¹⁵⁵ М. С. Иванов, указ. труд, с. 355.

¹⁵⁶ „ახალი სხივი“, № 8, 1910 წ., 12 თებერვალი; ა. ქასრავი, დასახ. ნაშრ.,

და თავის თავს ეფრემ-ხანი უწოდა¹⁵⁷. მოაზ-ოს-სულთანს მუსლიმანთა რაზმების მეთაურობა დაეკისრა.

ამ დროს რეშთში ჩამოვიდა ბულგარელი პანოვი რამდენიმე ბაქოელი ყოჩით. „გურჯი სერგოს“ დღიურებში პანოვის შესახებ ვკითხულობთ, რომ ჩამოსვლის უმაღლეს ყველამ ექვის თვალთ დაუწყო მას ყურება, რადგან მისი საქციელი, ბრძანების კილოთი ლაპარაკი, მიხრამოხვრა და მზაკვრული ენა „უფრო უნტერ-ოფიცრისას ვავდა, ვიდრე რევოლუციონერისას“¹⁵⁸.

აჯანყების წარმატებით დასრულებით კმაყოფილმა ეგრეთწოდებულმა ბელადმა ანუ „რევოლუციონერმა“ ხანებმა მოაზ-ოს-სულთანმა, ჰაზიდი სულთანმა, მირზა ქარიმ ხანმა და სხვებმა ფრონტი იცვალეს. მათ ხელი მიჰყვეს მძარცველობას, რასაც ენჯუმენისა და რევოლუციონერების სახელით ეწოდნენ. აღარავის აინტერესებდა, როგორც მომავალი, ბრძოლები და ხიფათი, ასევე იმ გმირთა არსებობა, რომელთა მეოხებით დღეს ისინი ბატონობდნენ და ჯიბეებს ისქელებდნენ — აღნიშნულია „გურჯი სერგოს“ დღიურებში¹⁵⁹. ირანის რევოლუციის დასაწყისში კონსტიტუციისა და პარლამენტისათვის ბრძოლის იდეა იზიდავდა და აერთიანებდა საზოგადოების მეტ-ნაკლებად ყველა კლასსა და სოციალურ ჯგუფს—უმალეს მუსლიმანურ სასულიერო პირებს, ლიბერალურ-ფეოდალურ არისტოკრატებს, მსხვილ ბურჟუა-კომპრადორებს, ვაჭრებს, წვრილ ხელოსნებს, მუშებს და გლეხებს. ყველა ისინი თავის ინტერესებს ხედავდა მასში. რევოლუციის შემდგომ ეტაპზე — უკვე 1907 წლიდან რევოლუციის მონაწილეთა შორის აშკარად შეინიშნება კლასობრივი გამიჯვნის სიმპტომები. ასევე მოხდა რეშთის აჯანყების გამარჯვების შემდეგაც, როცა ენჯუმენი აღადგინეს და შაჰის ოპოზიციაში მყოფმა ხანებმა თავისუფლად იგრძნეს თავი. მაგრამ თუ ისინი ჯერ კიდევ რევოლუციურ დინებას მიყვებოდნენ (რასაც დღიურების განხილვის კვალდაკვალ ჩვენ კიდევ დავინახავთ), ეს გამოწვეული იყო იმით, რომ მათ ამოძრავებდათ პოლიტიკური ხელისუფლების სრულად დაპყრობის სურვილი. რა თქმა უნდა, როცა შაჰის წინააღმდეგ იბრძოდნენ, მათ ამით საერთოდ მონარქიის მოსპობა როდი ეწადათ. მონარქია ხომ მათი ინტერესების ერთგული დამცველი იყო. ამდენად, ხანებს, მათ შორის სეფაპადარსაც, ტანტზე მხოლოდ მათთვის სასურველი შაჰის დასმა სურდათ. მაგრამ თუ საქმე გართულდებოდა და სასწორი შაჰის რეაქციის მხარეზე გადაძლევა, მაშინ ისინი მზად იყვნენ დათმობასა და შერიგებაზე წა-

¹⁵⁷ ა. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, მოგონებები, გვ. 94.
¹⁵⁸ „ახალი სხივი“, № 8, 1910 წ., 12 თებერვალი.
¹⁵⁹ „ახალი სხივი“, № 9, 1910 წ., 13 თებერვალი.

სულიყენენ, ოღონდ თავისი პირვანდელი პრივილეგიური მდგომარეობა შეენარჩუნებინათ. ასეთი იყო ვითარება რეშთის აჯანყების შემდეგ. ეს კი განპირობებული იყო საერთოდ ირანის ისტორიული, სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების თავისებურებებით. ადვილი წარმოსადგენია, რომ ასეთ ვითარებაში დიდ სიძნელეებს აწყდებოდნენ ადგილობრივი და ამიერკავკასიიდან ჩასული, მათ შორის ქართველი, რევოლუციონერები. კაპიტალიზმის სუსტად განვითარების გამო, თანამიმდევარი რევოლუციური კლასის — პროლეტარიატის მცირერიცხოვანობისა და მისი გლეხებთან რევოლუციური კავშირის უქონლობის პირობებში, მათ არ შეიძლება ჰყოლოდათ მტკიცე და სიამედო სოციალური დასაყრდენი რეაქციონერების წინააღმდეგ ბრძოლაში. ამიტომ იყო, რომ ხალხის სისხლით მოპოვებულ საბრძოლო წარმატებებზე რევოლუციის ეს ხორცმეტები ითბობდნენ ხელს.

სამწუხაროდ, როგორც ეს „გურჯი სერგოს“ დღიურებში არის მინიშნებული, ვერც ახლად შექმნილმა სამხედრო შტაბმა („ქომისიუნე ჯენგ“) გამოიჩინა სათანადო უნარი მაროდერობისა და მოსახლეობის ძარცვა-გლეჯვის შემთხვევების ასალაგმავად. ეს კი ზიანს აყენებდა რევოლუციის საქმეს, ასუსტებდა ხალხის მასების ნდობას და იმედს რევოლუციისა და რევოლუციონერებისადმი.

თეირანის გზის გამაგრება

ამასობაში ხმები მოდიოდა, რომ შაჰის ჯარები დაიძრა ყაზვინისა¹⁶⁰ და რევოლუციური რეშთის მიმართულებით. ამას გარდა, როგორც რუსეთის კონსული ასთარაში¹⁶¹ ოლფერიევი იტყობინებოდა, შაჰი დაჟინებით მოითხოვდა არდებილის¹⁶² გუბერნატორისაგან, რომ ასთარასა და რეშთზე გაელაშქრა. შაჰი, რომელსაც თავისი შეფერთხილი ჯარების იმედი არ ჰქონდა, თავის იმედებს შაჰსევენებზე¹⁶³ აძყა-

¹⁶⁰ ყაზვინი — ქალაქი და საგზაო კვანძი თეირან—თავრიზისა და თეირან — რეშთის გზაზე. იგი მდებარეობს თეირანიდან ჩრდილო-დასავლეთით 140 კმ-ზე, რეშთიდან სამხრეთ-დასავლეთით 187 კმ-ზე. ზენჯანიდან 174 კმ-ით არის დაშორებული, ხოლო ჰამადანიდან 229 კმ-ით. ასე, რომ რეშთიდან ყაზვინის გზით თეირანამდე 327 კმ-ია.

¹⁶¹ ასთარა — პატარა სასაზღვრო ქალაქი, ასთარის ბაჰშის (მაზრა) ცენტრი. არდებილიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 72 კმ. მდებარეობს, კასპიის ზღვისპირა ქალაქია. ძირითადი მცხოვრებლები აზერბაიჯანელები არიან.

¹⁶² არდებილი — აღმოსავლეთ ირანის აზერბაიჯანის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქალაქი. აქ ჩაეყარა საფუძველი სეფიანთა დინასტიის (1502—1722 წწ.) არსებობას. არდებილშია ამ დინასტიის დამაარსებლის სეფი-ედ დინის აკლდამა.

¹⁶³ შაჰსევენები — (აზერბ.) შაჰის მეგობრები. მცირე ეთნიკური ჯგუფი, რომელიც „სეფიანი მბრძანებლების მიერ სხვადასხვა თურქული მოდემის ტომებისაგან ხელოვ-



რებდა. გუბერნატორმა საიდუმლოდ მაცნობა — წერს ოლფერევიძე, რომ მას არ გააჩნია ფული და ვაზნები, რათა რეშთზე წავიდეს რით. ამას გარდა, იგი სისტემატურად იღებდა მუქარით საესე წერილებს თბილისიდან და ბაქოდან, „საიდანაც მოდის ყველა ღირებულება“¹⁶⁴. ეს გარემოებაც აწინებდა გუბერნატორს და აიძულებდა უარი ეთქვა გილანში ვალაშქრებაზე. ამიტომ კავკასიელი რევოლუციონერების საზრუნავო ყველაზე მეტად თეირანის გზის გამაგრება გახდა.

1909 წ. 30 იანვარს (12 თებერვალს) რევოლუციონერები მზად იყვნენ გასამგზავრებლად. რაზმელების ნაწილი რეშთში დარჩა, ვინაიდან ლაჰიჯანის¹⁶⁵ მხრიდან ელოდნენ მტრის გამოჩენას. რევოლუციონერთა მცირე ნაწილი — 24 კაცი (მათში 11 ქართველი, 8 სომეხი და 5 სპარსელი იყო) სათანადოდ აღჭურვილნი, ცხენებით გაემგზავრნენ ყაზვინის გზით თეირანის მიმართულებით. იქ მათ სიმაგრეები უნდა დაეჭირათ, რათა ყაზვინიდან წამოსულ ჯარს გზაშივე გამკლავებოდნენ და რეშთისკენ წამოსვლის საშუალება არ მიეცათ¹⁶⁶.

ამნაირად, რეშთის აჯანყების შემდეგ რეაქციონერთა ბანდებისაგან გილანის პროვინციის განთავისუფლებისა და იქ რევოლუციური ხელისუფლების დამყარებით დამთავრდა იმ ისტორიული ბრძოლის პირველი ეტაპი, რომლის ძირითადი მიზანი მოჰამედ ალი შაჰის თვითმპყრობელობის დამხობა იყო. რევოლუციონერთა რაზმების ყაზვინის მიმართულებით წინსვლით იწყება ამ ბრძოლის მეორე პერიოდი.

რაზმი ხალხმა დიდი აღტაცებით, მუსიკით და ყიჟინით გააცილა — აღნიშნულია „გურჯი სერგოს“ დღიურებში. „გაუმარჯოს გურჯებს, გაუმარჯოს სომეხებს, გაუმარჯოს მაშრუტას — გაიძახოდა ყველა. როდესაც რაზმმა შუა ქალაქის ბაზარს მიაღწია, ქართველებმა შემოსძახეს კახური მაყრული, დანარჩენებმა ჰაერში მისცეს ბათქი და გარე-

ნურად იყო შეკოწიწებული“ და მათ დასაყრდენს წარმოადგენდა. ამ დროისათვის შაჰსევენიძე ძირითადად ჩრდილოეთ ირანში იყვნენ განლაგებული. ისინი ახლა ყაჯარი შაჰების მხარეზე იყვნენ და რევოლუციონერების წინააღმდეგ გამოდიოდნენ. შაჰსევენიძის შესახებ დაწერილებით იხ., Б. П. Балаян, К вопросу об общности этногенезиса шахисеван и кашкайцев. Востокведческий сборник I, Ереван, АН Арм., ССР, 1960, с. 351.

ო. გვილაგა, ირანის მთავრობის ცენტრალიზატორული პოლიტიკა და მომთაბარე ტომების პრობლემა, თბ., 1981, გვ. 79.

¹⁶⁴ Сборник дипломатических документов.....с. 160.

¹⁶⁵ ახლანდელი ადმინისტრაციული დაყოფით, ლაჰიჯანი გილანისა და მაზანდარანის ოსთანის (მთავარ საგუბერნატორო) ტერიტორიაზე მდებარეობს. იგი ამ ოსთანის შვიდიდან ერთი ქალაქია. იგი გაშენებულია კასპიის ზღვის სანაპიროზე და რეშთიდან 41 კმ-ით არის დაშორებული.

¹⁶⁶ „ახალი სხივი“, № 9, 1910 წ., 13 თებერვალი.

კეს ცხენები. სიმღერის გაგონებაზე ყველა მხრიდან მორბოდა ხალხი რაზმისაკენ, გამარჯვებას უსურვებდა მას და ვაშას ძახილით, ტანთა და ყიყინით ქალაქის საზღვრებამდე მიაცილებდა.

რევოლუციონერთა რაზმი მიუახლოვდა რუსეთის საკონსულოს, რომელიც თეირანის გზის დასაწყისში მდებარეობდა. მან მარსელიოზას სიმღერით ჩაუარა წინ სასახლეს. საკონსულოს მოხელეები თავშეფარებული რეაქციონერებითურთ მარსელიოზას სიმღერის გაგონებაზე მოაჯირს, მოადგნენ და უხმოდ გააყოლეს თვალი მებრძოლებს¹⁶⁷. მეფის რუსეთის, ინგლისის და სხვა იმპერიალისტური ქვეყნების წარმომადგენლობითი დაწესებულებები ხომ რეაქციონერთა თავშესაფარბუდეს წარმოადგენდა. ამ ქვეყნების მთავრობები, რომლებიც მკვიდროდ იყვნენ დაკავშირებული ადგილობრივ მმართველებთან და ისინი თავიანთ საიმედო დასაყრდენად მიაჩნდათ, სიმბათიით იყვნენ განწყობილი რეაქციონერებისადმი და ყველა ზომას იღებდნენ მათ გადასარჩენად.

კავკასიელ რევოლუციონერთა რაზმი გაპყვა რუსი კონცესიონერების მიერ აგებულ თეირანის გზატკეცილს, დაიკავა სადგური საფიდ ქათლე. შემდეგ გაიარა მთიანი ადგილები. რომელიც ამ სადგურსა და მდინარე საფიდ რუდს¹⁶⁸ შორის მდებარეობს. აქედან გზა მდის მდინარე საფიდ რუდის ნაპირზე მდებარე სადგურ მენჯილამდე¹⁶⁹, რომელიც რეშთიდან 90 ვერსის სიშორეზე იმყოფება. უკვე მეორე დღეს, 31 იანვარს (13 თებერვალს) რევოლუციონერთა რაზმი სოფელ რუსთამ-აბადს¹⁷⁰ მიუახლოვდა. რაზმის შესახვედრად გზაში გამოვიდა სოფლის 500-მდე მცხოვრები. ისინი მოდიოდნენ წითელი დროშით და შეძახილებით „იაშასურ მამრუთა“, „იაშასუნ გურჯი“. მათ წინ მოუძლოდნენ ხანები, რომლებიც თავს კონსტიტუციური მოძრაობის მომხრეებად აცხადებდნენ. ის ღამე კავკასიელ მებრძოლთა რაზმმა რუსსთამ-აბადში გაათია.

1 (14) თებერვალს, როცა რაზმი ჯერ კიდევ რუსთამ-აბადში იყო, მეწინავე ნაწილმა ზომები მიიღო გზის გასამაგრებლად რეაქციონერთა

¹⁶⁷ იქვე. საფიდ ქათლე — საფიდ ქამარი — ზენჯანის შაჰრესთანის ცენტრალური ბაზმის აბჯარუდის ღეჰისთანის სოფელი. მდებარეობს 63 კმ-ზე ქალაქ ზენჯანის სამხრეთ-დასავლეთით. მთიანი ადგილია. ცხოვრობენ სპარსელები და თურქები.

¹⁶⁸ საფიდ რუდი (თეთრი მდინარე) ჩრდილოეთ ირანის ერთ-ერთი დიდი და წყალუხვი მდინარეა.

¹⁶⁹ მენჯილი — ქალაქის ტიპის დასახლებული პუნქტია. რეშთის პროვინციაში მდებარეობს რეშთი — ყაზვინის გზატკეცილზე.

¹⁷⁰ რუსთამ-აბადი. რეშთის შაჰრესთანის (პროვინცია) რუდების ბაზმის (რაიონი) ოთხიდან ერთ-ერთი სასოფლო თემი (ღეჰისთანი). იგი რუდების ჩრდილოეთით და მდინარე საფიდ-რუდის დასავლეთით მდებარეობს.



ჯარების შესაძლო წინ წამოწევის შემთხვევისათვის. ამიტომ ამიტომ ჩიეს სასანგრო საქმის მცოდნე სამი რაზმელი, რომლებსაც შეერჩიათ ადგილები საფრების მოსამზადებლად. იმავე დღის ოთხ საათზე რევოლუციონერთა რაზმი სოფელ რუდბარში¹⁷¹ შევიდა. ეს სოფელი რეშთიდან 82 ვერსზე, ხოლო მენჯილიდან 8 ვერსზე მდებარეობს. სოფლის მამასახლისმა (ქეთხუდამ) და სოფელში მცხოვრებმა გლეხებმა რაზმს გულთბილი მიღება მოუწყვეს. გლეხებმა გულდასმით გააცნეს რაზმელებს ადგილმდებარეობა.

დღიურებში დაწვრილებით არის აღწერილი რუდბარის მიდამოები. ეს ადგილი სამხედრო თვალსაზრისით მნიშვნელოვან პოზიციას წარმოადგენდა მოწინააღმდეგესთან ბრძოლაში. სოფელი რუდბარი—ვიტხულობთ დღიურებში—მდებარეობს მიუვალ სალ კლდეებში. მცხოვრებლები ქურობები არიან. სოფელს შუაზე ჩაუდის ფოსტის გზა. გზის მარცხნივ ცამდე აღმართულია კლდოვანი მთა, მარჯვნივ უძირო ხევი, რომელშიაც ჩამოქუხს სპარსეთის უდიდესი მთის მდინარე საფიდ რუდი. აქ სიმაგრეების დაკაეება, მართლაც, ხელსაყრელი იყო რაზმისათვის. თუ ვინიცბაა ყაზვინიდან წამოსული შაჰის ჯარი როგორმე გაბედავდა მთებში შემოსვლას, მისი ცოცხლად უკან დაბრუნება ყოვლად შეუძლებელი იყო. ან სიკვდილი და მთელი ჯარის დამარცხება, ან ცოცხლად ნებით უკან დახევა. — აი, რა გზა ჰქონდა მას¹⁷².

სოფელი რუდბარი აირჩია კავკასიელ რევოლუციონერთა რაზმმა მოხერხებულ საბრძოლო პოზიციად. იგი აქ ქარვასლაში დაბანაკდა. შეისწავლა მიდამოები და მეორე დღეს, 2 (15) თებერვალს შეუდგა საფრების და სიმაგრეების მომზადებას. საფრების მომზადების ხელმძღვანელობა ჯერ კიდევ წინა დღეს დაევალა ამ საქმეში ყველაზე გამოცდილ და მცოდნე რევოლუციონერებს. მათ შორის ერთი თვით დღიურების ავტორი „გურჯი სერგო“ იყო. იგი რუსეთ—იპონიის ომში იყო ნამყოფი და სასანგრე საქმეს კარგად ფლობდა. მასთან იყენენ პოტიომკინელი მატროსი ალიოშა, იგივე ტროფიმ ანდრიას ძე გონჩაროვი¹⁷³, რომელიც ბაქოდან რეშთში სერგო გამდლიშვილ-

¹⁷¹ რუდბარი—რეშთის შაჰრესთანის ერთ-ერთი რაიონული ცენტრი. მდებარეობს ქ. რეშთიდან სამხრეთით 77 კმ-ზე.

¹⁷² „ახალი სხივი“, № 9, 1970 წ., 13 თებერვალი.

¹⁷³ ტროფიმ ანდრიას ძე გონჩაროვი (ალიოშა) 1910 წლის ივნისში რეშთში მოკლეს რეაქციონერებმა. ამან დიდი სახალხო აღშფოთება გამოიწვია. „ძლიერ ააღელვა ქალაქ რეშთის მცხოვრებლები პოტიომკინელ მეამბოხე „ალიოშას“ მკვლელობამ. იგი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა გადმოხვეწილ რუს ქვეშევრდომ კავკასიელებს და სომხებს შორის, რომლებიც სპარსეთის რევოლუციაში იღებდნენ მონაწილეობას.“ Сборник дипломатических документов, касающихся событий в Персии, СПб, 1913, вып. II, ст. 7.



თან ჩავიდა 1908 წლის ნოემბერში და ქართველი რევოლუციონერები პეტრე (იგივე პეტრე, ფოჩხუა). ორი დღის განმავლობაში ცნობა საფარო მოამზადეს. თვითოეული საფარი 6-8 კაცისათვის იყო გათვალისწინებული. რუსეთის გენერალური კონსული გილანში შტრიტერი 10 (23 თებერვალს) საგარეო საქმეთა სამინისტროსათვის გაგზავნილ დეპეშაში წერდა, რომ რევოლუციონერებმა გულმოდგინედ გაამაგრეს გზა რეშთსა და მენჯილს შორის. „ერთი სიმაგრე აგებული იყო მენჯილის ხიდთან, მეორე — რუდბართან, მესამე „რუდბარის იქით. რეშთის მახლობლად და მის მიდამოებში აგრეთვე ეწყობოდა სიმაგრეები და ბარიკადები. მათ მიერ დანადგმული იყო ენზელი-რეშთი-ყაზვინის. გზა“¹⁷⁴.

მიუხედავად იმისა, რომ ამიერკავკასიელი რევოლუციონერები დიდ სიძნელეებს აწყდებოდნენ, ისინი „... მშვიერ-მწყურვალი, დაგლეჯილ-დაფლეთილი წინ მიიწევდნენ დასაზვერად. მზად იყვნენ მიეტოვებინათ რუდბარის საფრები და ყაზვინს დასცემოდნენ, რომ მტრისთვის ხელი შეეშალათ სანამ ძალას მოიკრებდა. რეშთიდან ეგრეთწოდებულ „კომისიუნე თენგი“ (იგივე ქომისიუნე ჯენგ“ — სამხედრო შტაბი გ. ჭ) რაზმს ნებას არ აძლევდა წინ წასულიყო“¹⁷⁵ — აღნიშნულია დღიურებში

6 (19) თებერვალს რაზმმა მიიღო შევსება, რომელშიც რეშთიდან გამოგზავნილი 60 გლეხი შედიოდა. ისინი კაჟიანი თოფებით იყვნენ შეიარაღებული. მასთან ერთად იყო აგრეთვე 12 კავკასიელი მეომარი. მათ ერთი ქვემეხი ჰქონდათ. 10 (23) თებერვალს რაზმს შემოუერთდა მოაზ-ოს-სულთანი ოთხი ქართველი მეზრძოლით. ასე, რომ რევოლუციონერთა რაზმი თანდათან იცსებოდა. მისი ბრძოლისუნარიანობა იზრდებოდა.

15 (28) თებერვალს პირველი ცნობა მივიდა მტრის გამოჩენის შესახებ. ნახევარ საათში რევოლუციონერთა რაზმი მზად იყო საბრძოლველად. წინ მზვერავები გაგზავნეს, დანარჩენები კი ჯგუფ-ჯგუფად საფრებში განლაგდნენ. ამ დროს თავი იჩინა გილანელი ხანების ღალატმა. ისინი რიგით გილანელებთან ერთად მოახლოებული საფრთხის მოლოდინში ბრძოლის ველიდან გაპარვას ცდილობდნენ. მაგრამ კავკასიელმა რევოლუციონერებმა აქაც სიფხიზლე გამოიჩინეს და აიძულეს ისინი საფრებში დაბრუნებულიყვნენ და მტერს ბრძოლით დახვედროდნენ. „ბოლო საფარში, საიდანაც მტერი უნდა შემოსულიყო და საიდანაც პირველი ყუმბარა უნდა გავარდნილიყო, საუკეთესო მეზრძოლი ქართველები ჩასხდნენ“. შუაში, როგორც ბრძო-

¹⁷⁴ М. С. Иванов, указ. труд, с. 356.
¹⁷⁵ „ახალი სხივი“, № 9, 1910 წ., 13 თებერვალი.



ლაში ნაკლებ საიმედონი, დაშნაკების წარმომადგენლებმა სპარსელი ჩაისვეს. გამოიყო მოიერიშეთა ჯგუფი ათი საუკეთესო მებრძოლის შემადგენლობით. მათ სათავეში ედგათ „გურჯი სერგო“ (გ. ს.) და პეტრე ფოჩხუა. ისინი ყველაზე წინ გზისპირა საფარში იყვნენ განლაგებული და ყუმბარის სანიშნებელ გრიალზე მტერზე იერიშით უნდა მისულიყვნენ. იმ დღეს და ღამით რევოლუციონერები სრულ საბრძოლო მზადყოფნის მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. ამჯერად მტერი არ გამოქენილა¹⁷⁶. მაგრამ მოწინააღმდეგის დასახვედრად სწრაფმა და ოპერატიულმა ნომზადებამ დაადასტურა რევოლუციონერთა მაღალი შეგნებულობა, მხედრული უნარი, ტაქტიკური საზრიანობა და დისციპლინა. როგორც ყოველთვის, ამ შემთხვევაშიც საქმის ზული და გული ამიერკავკასიელი ინტერნაციონალისტი მებრძოლები იყვნენ, მათი ერთგულება სამო საქმისადმი, ბრძოლაში თავდადება, თავგანწირვა და ვაჟკაცური შემართება ყოველთვის იყო რევოლუციური ომის წარმატების საწინდარი.

ფეოლორ პანოვი

იმ დროს, როცა ამიერკავკასიელი და ადგილობრივი მებრძოლები თეირანის გზატკეცილის რუდბარ-მენჯილის რაიონს ამაგრებდნენ და მტერთან შესახვედრად მუდმივ საბრძოლო მზადყოფნაში იმყოფებოდნენ, რეშთიდან მოდიოდა ცნობები ფეოლორ პანოვის ავანტიურისტული საქმიანობის შესახებ. ფ. პანოვი რეშთში გაეშურა მხოლოდ იმის შემდეგ, როცა აჯანყების წარმატებით დაგვირგვინების ამბავი შეიტყო. იგი აქ ჩამოვიდა 28 იანვარს (10 თებერვალს), პანოვი თავს აცხადებდა ირანის საქმეების საუკეთესო მცოდნედ. მან ჯერ კოოპტაციის წესით მოახერხა „ქომისიუნე ჯენგის“ შემადგენლობაში შესვლა, ხოლო შემდეგ მთლიანად ჩაიგდო ხელში მისი ხელმძღვანელობა. იგი რეშთიდან რუდბარში მოქმედ რევოლუციონერებს უაზრო და დაუსაბუთებელ მითითებებს აძლევდა, რაც მათ აღშფოთებას იწვევდა.

საბჭოთა ლიტერატურაში პანოვის მოღვაწეობის შეფასება სრულიად ემთხვევა დღიურებში მის დახასიათებას.

პანოვი წარმოშობით ბულგარელი იყო. რუსეთსა და ირანში გამოჩენამდე მაკედონიის ჩეტნიკებში იმყოფებოდა. შემდეგ, როგორც გაზეთი „აუტლუკი“ 1909 წლის 17 აპრილს იტყობინებოდა, მან გაცა თავისი ჩეტნიკი ამხანაგები, აესტრიელ და რუს ხელისუფალთ გა-

¹⁷⁶ „ახალი სხივი“, № 11, 1910 წ., 16 თებერვალი.

დასცა მათ წინააღმდეგ მიმართული გეგმები და დოკუმენტები¹⁷⁷. ამის შემდეგ პანოვი პეტერბურგში გამოჩნდა და გაგზავნილი იქნა ირანში რუსული გაზეთების კორესპონდენტად. თეირანში მან მოიპოვა რუსეთის ელჩის გარტივივის ნდობა. მაგრამ შემდეგ, 1908 წლის ბოლოს, რუსეთის მისიამ გააძევა იგი თეირანიდან ირანის ამბების შესახებ რუსეთის გაზეთებისათვის გაგზავნილი ყალბი ცნობებისათვის. 1909 წლის დამდეგს პანოვი კვლავ გამოჩნდა ირანში. იგი ჩავიდა რეშთში, სადაც კონსტიტუციის მომხრეებს მიეკედლა. შათანაც მალე განხეთქილება მოუხდა რალაც მიზეზის გამო, მაგრამ შემდეგ მაინც მონაწილეობდა კონსტიტუციონალისტთა რაზმების შემადგენლობაში ასთარაბადის აღებისას, სადაც პანოვის კვალი იკარგება. პანოვის შესახებ ყველა ეს მონაცემი მას ახასიათებს, როგორც ნდობადაკარგულ, უპრინციპო ავანტიურისტს¹⁷⁸. ასეა წარმოდგენილი პანოვი ჩვენს ლიტერატურში.

ირანელი ავტორები ა. ქასრაფი და სალამულა ჯავიდი ფ. პანოვს ახასიათებდნენ, როგორც სოციალ-დემოკრატს, დიდი გამოცდილებითა და სიზამაცით ცნობილ ადამიანს. თუმცა-ღა მათ მიერ პანოვის მოქმედების აღწერიდან ის დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, რომ მისი მოღვაწეობის მთელ მანძილზე თავისი მიზნების მისაღწევად იგი მხოლოდ ავანტიურებს მიმართავდა.

როცა რეშთში „სამხედრო კომისია“ („კომისიუნე ჯენგი“) შეიქმნა — წერს ა. ქასრაფი — აჯანყებულებს დაუკავშირდა და გილანში მოვიდა ბულგარელი პანოვი. ვინაიდან იგი „გამოცდილი და საქმის ერთგული იყო, ამ საქმისათვის ამოირჩიეს“¹⁷⁹.

ა. ქასრაფი შემდეგ აღნიშნავს, რომ ძმ ხანებში პანოვსა და სხვებს შორის წყენინებამ იჩინა თავი, რაც იმით დაბოლოვდა, რომ პანოვი რამდენიმე კაცთან ერთად ბენდერს ჭაიზსა და ასთარაბადს გაეშურა

¹⁷⁷ J. Hope, Persia in Revolution, pp. 130—131.

¹⁷⁸ М. С. Иванов, указ. труд, с. 523.

¹⁷⁹ ა. ქასრაფი, აზერბაიჯანის თერამეტწლიანი ისტორია, თეირანი, 1967, გვ. 12. (სპარსულ ენაზე).

სათარის კომიტეტთან შექმნილი იყო ორი კომისია: „ქომისიუნე ჯენგი“ (სამხედრო კომისია), რომელიც საბრძოლო შტაბის როლს ასრულებდა, და „ქომისიუნე მალი“ (საფინანსო კომისია), რომლის მოვალეობას კომიტეტის ფულადი სახსრებით უზრუნველყოფა შეადგენდა.

„ქომისიუნე ჯენგის“ შემადგენლობაში შედიოდნენ: ჰოსეინ ქესმაი და ენთეზარ სულთანი — გილანელი მოჯაჰიდებისაგან, ეფრემ დავიდიანიცი — სომეხი მოჯაჰიდებისაგან, ბათუმელი ვალიყო — ქართველი რევოლუციონერებისაგან, სადიყოვი — ბაქოელებისაგან, და სეიდ ალი მორთაზევი — ირანის აზერბაიჯანის მოჯაჰიდებისაგან.

იხ. ი. ფახრაძე, გილანი კონსტიტუციური მოძრაობაში, თეირანი, 1977, გვ. 114 (სპარსულ ენაზე).



და იქაც აჯანყება მოახდინაო. „სათარის კომიტეტთან თავისი ზნობების თაობაზე პანოვს საჩივარი გაუგზავნია რსდმპ კავკასიის კომიტეტში. ბაქოდან ჩამოვიდნენ მოჰამედ ამირასულ ზადე და რაჰიგ ზადე საქმის გამოსაკვლევად. მათ რეშთის ენჯუმენტან ერთად საჭიროდ მიიჩნიეს, რომ პანოვი სხვა ადგილას წასულიყო. სამგზავროდ ენჯუმენტმა მას ხუთასი თუმანი მისცა და ისიც სადიყოვთან, მირზა მოჰამად ჰოსეინ ზადესთან და კიდევ ოთხ სხვა კაცთან ერთად ენზელიდან ასთარაბადს წავიდაო“¹⁸⁰.

სალამულა ჯავიდის აზრით, პანოვი გათვითცნობიერებული და მცოდნე კაცი იყო და პოლიტიკურ პარტიების ჩამოყალიბების პრინციპებს იცნობდა. წლების მანძილზე მას დაკისრებული ჰქონდა რუსული პრესის კორესპონდენტობა შუა აღმოსავლეთში. მეჯლისის დაბომბვის შემდეგ პანოვი რუსეთში მიდის.

პეტერბურგში იგი შეხვდა შეიხ აბდ-ალი მოაიდეს, რომელიც კონსტიტუციონალისტებს ემხრობოდა თავრიზში. პანოვმა ეს უკანასკნელი მეფის მთავრობის გავლენიან მოხელეებს ნეჯაფის ულემის (შიიტების უმაღლესი სასულიერო პირი), სახელით გააცნო. ამასთან თვითონ თარჯიმნის როლში გამოდიოდა და მმართველ წრეებს წარუდგენდა მოაიედს, ეროგორც შუამავალს, რომელიც, თითქოს, მათ თხოვდა, რომ ხელი აეღოთ მოჰამედ ალი შაჰის მფარველობაზე. მაგრამ ეს ოინი მალე გაუქმდებოდა და იძულებული გახდა, რომ კვლავ ირანში გაქცეულიყო. გილანის აჯანყების შემდეგ ფ. პანოვმა, სალამულა ჯავიდის აზრით, „წინააღმდეგობა გაუწია სეფაჰდარის უნაღვლელობას და ამ საფუძველზე მასსა და „სათარის კომიტეტს“ შორის უთანხმოება ჩამოვარდა. თვით ბაქოს სოციალ-დემოკრატიული კომიტეტი იძულებული გახდა, რომ საქმის გამოსარკვევად იქ თავისი წარმომადგენელი გაეგზავნა. ამასთან დაკავშირებით იყო, რომ რეშთში ჩავიდა მოჰამედ ამინ რასულ ზადე ერთ პიროვნებასთან ერთად.

გადაწყდა, რომ პანოვი 50 კაცის თანხლებით ასთარაბადისაკენ გაეგზავნათ. მასთან ერთად რეშთიდან გაემგზავრნენ აჰმად სადიყოვი

¹⁸⁰ ა. ქასრაჯი, დამოწმებული ნაშრ., გვ. 13.

როგორც გილანის აჯანყების ისტორიის თანამედროვე მკვლევარი იბრაჰიმ ფახრაი წერს, სათარის კომიტეტის სახელწოდება დაკავშირებული უნდა იყოს მუსიკალურ ინსტრუმენტ „სეთართან“. ზოგიერთის აზრით კი, შენიშნავს იგი, აღნიშნული კომიტეტის ეს სახელი შერქმეულია თავრიზის აჯანყების სახელგანთქმული ბელადის სათარ-ხანის პატივსაცემად.

სათარის კომიტეტი ყოველდღიურად აწყობდა თათბირებს, ადგენდა საბრძოლო გეგმებს. მისი სხდომები ტარდებოდა საბზე მეიდანის (მწვენე მოედანის) უბანში მირზა იუსუფ-ხანის (მოავენე დივან) სახლში.

იხ. ი. ფახრაი, გილანი კონსტიტუციური მოძრაობაში, თეირანი, 1977, გვ.

(ყაზანჩაი), ჰოსეინ ზადე, აბდოლა იეჰდასთი, აპზადე ხალხალი, მისი უშარლ ფარანგი და კიდევ სამი სხვა კაცი. ისინი ენზელში ერთად დღის შეჩერების შემდეგ, სავაჭრო გემში ჩასხდნენ და მეშჰელში მივიდნენ. იქ წითელი დროშა, რომელიც თან ჰქონდათ წაღებული, ხელში აიღეს და „თავისუფლებას გაუმარჯოსო“ ძახილით წინააღმდეგობის გაუწევლად ქალაქში შევიდნენ“¹⁸².

ირანელ ისტორიკოსებს, რომლებიც პანოვის შესახებ ზოგჯერ არასწორ ინფორმაციას ეყრდნობოდნენ, ფ. პანოვი წარმოდგენილი ჰყავდათ გამოცდილ, მოხერხებულ და მამაც ადამიანად. ამასთან მას ბევრ დაუმსახურებელ საქმეს მიაწერენ. მაგრამ არც საბჭოურ და არც ირანულ ისტორიოგრაფიაში არ არის გარკვეული, რა საფუძველზე მოხდა უთანხმოება, ერთი მხრივ, ირანელ კონსტიტუციონალისტებსა და ამიერკავკასიელ რევოლუციონერებს და, მეორე მხრივ, ფ. პანოვს შორის. მ. ივანოვის აზრით, ეს განხეთქილება მოხდა „რაცაღ მიზეზის გამო“. როგორც ითქვა, ა. ქასრავეს მიაჩნია, რომ „პანოვსა და სხვებს შორის წყენინებამ იჩინა თავი“ (არ შიუთითებს, სახელდობრ რაში მდგომარეობდა ეს „წყენინება“), ხოლო სალამულა ჯავიდი პანოვსა და სათარის კომიტეტს შორის შეუთანხმებლობის მიზეზად თვლის იმას, რომ პანოვმა „წინააღმდეგობა გაუწია სეფაჰდარის უნაღვლელობასო“ (სამწუხაროდ, არც აქ არის მითითებული ამ „უნაღვლელობის“ არსი). „გურჯი სერგოს“ დღიურებში, რომლის ავტორი, როგორც ცნობილია, აღწერილი ამბების უშუალო მონაწილე და თვითმხილველი იყო, სათანადო ფაქტებით დადასტურებულია სიმართლე ამ უთანხმოებისა და ირანში ფ. პანოვის ავანტიურისტული საქმიანობის შესახებ. ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია გავაცნოთ მკითხველს დღიურების ავტორის აზრი ამის თაობაზე.

ვინ იყო ფეოლორ პანოვი და რა სარგებლობა მოუტანა მან სპარსეთის რევოლუციურ ხალხს? — კითხვობს დღიურების ავტორი და იქვე სცემს საფუძვლიან პასუხს დასმულ კითხვაზე.

„ფეოლორ პანოვი (სტეფან პანოიანცი), როგორც ზევით აღვნიშნეთ, რუმოს ეწვია 28 იანვარს (ავტორი თარიღს, ყველგან ძველი სტილით მიუთითებს. გ. ჭ.). მან სპარსელებს თავი ისე მოაჩვენა, ვითომ ის გამოჩენილი რევოლუციონერი იყო: რუსეთში, რუსის ოფიცრად ნამყოფი მანჯურიისი, იაპონელებთან ომში მიშჩენკოსთან ერთად ნაბრძოლი და სამხედრო საქმის ისეთი მცოდნე, რომ დიდებული ფუგასებით, რომლის გეგმაც რაზემელებს გააცნო, შეეძლო მთელი ქალაქის ორ საათში აფეთქება.

¹⁸¹ ასეა ტექსტში, ჩვენის აზრით, უნდა იყოს „ასთარაბადში“.

¹⁸² სალამულა ჯავიდი, ირანის კონსტიტუციური მოძრაობა და განთავისუფლებელთა როლი, თეირანი, 1968, გვ. 69 (სპარსულ ენაზე).



სპარსელებმა ინტელიგენტ-ავანტიურისტი პანოვი მართლა მხსნელად დასახეს და ბაქოელი ყოჩების წყალობით სამხედრო წევრად აირჩიეს.

ქართველები და სომხები, როგორც უფრო გამოცდილნი, აღრევდნენ საქმე რით გათავდებოდა და შტაბში პანოვის ყოფნას შორიდან თვალყურის დევნება დაუწყეს. პანოვმაც არ დაახანა და შედგა თუ არა შტაბში ფეხი, თავისი თავი დამოუკიდებლად გამოაცხადა. ის არ სცნობდა არც რეშთში არსებულ ენჯუმენს, არც სამხედრო შტაბის დანარჩენ წევრებს (რევოლუციონერებისაგან ამორჩეულებს) და არც სხვა რევოლუციურ დაწესებულებებს. მთელი შტაბის ქონება ნაღდი ფული 20.000 თუმანი, რომელიც გადაახდევინეს თალიშის რეაქციონერ გუბერნატორს, იარაღი და რაც რაიმე მოეპოვებოდა, ყველაფერს ის დაეპატრონა. დანარჩენ წევრებს უწინდებურად შტაბის კარებშიც კი არ უშვებდა და დარაჯად ბაქოელი ყოჩები ეხვია გარს. მითვისებული ფულით დაიწყო შესყიდვა ყოვლად უსაქმური ბაქოელი ყოჩებისა, რომლებსაც თავი რევოლუციონერებად მოჰქონდათ. ბაქოელები რეშთის ალების შემდეგ ჩამოვიდნენ აქ და იარაღში ჩამსხდარნი ჩვეულებრივ ბაქბუქისა და დროსტარების მეტს არაფერს აკეთებდნენ. პანოვს ხელს უწყობდა ცენტრალური კომიტეტის ერთი წარმომადგენელი, რომელთან შეტაკებაც კი მოუხდა ცნობილ მირზა ალი-ხანს. როდესაც პანოვმა საკმარისი ძალა მოიკრიფა, მაშინ აშკარად დააპირა ყველა საპატიო პირზე გალაშქრება: სეფეკდარზე¹⁸³, მურზამ-სულთანზე, ენჯუმენზე და ასე გასინჯეთ ქართველებზეც კი.

„ვინ არიან ქართველები, საიდან მოთრეულან და რა უნდათ მათ სპარსეთშიო“ — გაიძახოდა პანოვი. მას მიჰბაძეს დანარჩენმა ყოჩებმა. საქმე რით გათავდებოდა ალაჰმა უწყის. მაგრამ კარგად გამოცდილმა და თავის საქმის მცოდნე შტაბის ქართველმა წევრმა¹⁸⁴ დროზე გამოუთხარა პანოვის პროვოკაციულ მოქმედებას ძირი და ზომებს იღებდა, რათა დროზე შეეკვეცა პანოვის თარეშისათვის ფრთები და მკვიდრი მცხოვრებლების — სპარსელების — დახმარებით განედევნა არა თუ რეშთიდან, არამედ სპარსეთიდანაც კი. წინააღმდეგ შემთხვევაში ქართველები უკან დაბრუნდებოდნენ და სომხებიც არავითარ მონაწილეობას არ მიიღებდნენ მომავალ ბრძოლაში. ამ მუქარამ ყველანი დააფიქრა და საკითხის გამორკვევა ქართველებს მიანდო ენჯუმენმა¹⁸⁵.

¹⁸³ იხ. ს. ჯავიდი, დასახ. ნაშრ., გვ. 69.

¹⁸⁴ როგორც ვიცი, სამხედრო შტაბის ერთადერთი ქართველი წევრი ვალიკო გურჯი ანუ ბათუმელი ვალიკო იყო.

¹⁸⁵ „ახალი სხივი“, № 11, 1910 წ., 16 თებერვალი.



როგორც შემდეგ დღიურებშია მოთხრობილი, 20 თებერვალს (4 მარტს) რუდბარში დაბანაკებული რაზმის ორი წარმომადგენელი დაბრუნდა რეშიში. ამ დღეს მოწვეულ იქნა ქართველ, სომეხ და კავკასიიდან ჩასული სხვა მებრძოლთა საერთო კრება. კრებაზე ბაქოელი ყოჩები არ მოუწვევიათ. დაისვა საკითხი, რომ იერიში მიეტანათ არა მარტო პანოვზე, არამედ მის დამქაშ ბაქოელ ყოჩებზე და რეშიიდან გაეძევინათ ისინი. მაგრამ ეს დიდ რისკთან, ხიფათთან და შესაძლებელია მსხვეპლთანაც იქნებოდა დაკავშირებული, რაც დაასუსტებდა რევოლუციონერთა ძალებს რეაქციონერთა წინააღმდეგ ბრძოლაში. კრებამ გადაწყვიტა, რომ პანოვის მოშორება და გაძევება რეშიიდან ამ მონეტში ტაქტიკური ხერხით უფრო მიზანშეწონილი, ხელსაყრელი და უხიფათო იყო.

1909 წლის 22 თებერვალს (6 მარტს) ქართველი მებრძოლებსა ინიციატივითა და ხელმძღვანელობით რეშიის სომხური სკოლის თეატრის დარბაზში შედგა გაფართოებული კრება. კრებაზე მოწვეული იქნენ რევოლუციის მონაწილე გილანელები, თავრიზელები, სომხები, ქართველები და თვით პანოვის მომხრე ბაქოელი ყოჩებიც. კრებაზე ბაქოელთა მხოლოდ ნაწილი მოვიდა. „კრებას უნდა გაესამართლებინა პანოვი და თუ ეს დამნაშავედ იქნებოდა ჩათვლილი, სპარსეთიდან უნდა წასულიყო“¹⁸⁶. პანოვს თავი ამაყად ეჭირა. მან კრებაზე გამოცხადებაზე უარი თქვა და არც თავისი რწმუნებული გამოუგზავნია. კრების თავმჯდომარედ არჩეულ იქნა აზერბაიჯანელი შოვინისტი მირზა აბდულა. კრებაზე ფართო დისკუსია გაიმართა. გამოვიდნენ პანოვის მომხრეებიც. ისინი ლაპარაკობდნენ პანოვის სასარგებლოდ და მხარს უჭერდნენ მის რეშიში დატოვებას. ბევრი ფ. პანოვს მიაწერდა იმას, რაც სინამდვილეში არ იყო. ისინი სპარსეთის მხსნელადც კი სახავდნენ მას. მათ წინააღმდეგ მკვნიებარე სიტყვით გამოვიდა სამხედრო შტაბის ქართველი წევრი ბათუმელი ვალიკო. მან „ყველას სიტყვა გააქარწყლა, ყველას ხმა ჩააკმენდინა და ურჩია დამსწრეთ უფრო თვალხილულად მიექციათ ყურადღება პანოვისათვის. იგი ურჩევდა სპარსელებს—არ ნდობდნენ პანოვს და შეერთებული ძალით გაეძევინათ იგი სპარსეთიდან“¹⁸⁷. კრებაზე დამსწრეთა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა ამ წინადადებას. კრებამ მიიღო გადაწყვეტილება პანოვის რეშიიდან განდევნის შესახებ და „იამასუნ მარშუტას“ ძახილით დაიშალა.

მაგრამ პანოვი არ ემორჩილებოდა კრების გადაწყვეტილებას, „მინც არა ცხრებოდა და თავისას განაგრძობდა“. ამას ხელს უწყობ-

¹⁸⁶ „ახალი სხივი“, № 11, 1910 წ., 16 თებერვალი.

¹⁸⁷ იქვე.



და რეშთის ენჯუმენის მხრივ წაყრუება და ლიბერალური დამოკიდებულება პანოვის ავანტიურისტული მოქმედებისადმი. ბაქოელი ყოჩები აშინებდნენ ენჯუმენის წევრებს თავიანთი თვითნებობით. პანოვის წინააღმდეგ ბრძოლაში ერთადერთი თანმიმდევრული და მტკიცე პოზიცია ქართველ რევოლუციონერებს ეჭირათ. „ან ჩვენ წავალთ სპარსეთიდან, ან პანოვი იქნეს გაძევებული“ — გადაჭრით აცხადებდნენ ისინი¹⁸⁸.

ცხადია, როგორც დღიურების ავტორი წერს, ირანის კონსტიტუციური მოძრაობის მომხრეებისათვის სხვა არჩევანი არ იყო. მათ ერთი პანოვის გაცლა ერჩიათ, ვიდრე 40 თავდადებული ქართველი მეომრის წასვლა, ვინაიდან ისინი ირანელი ხალხის ინტერესებისადმი ინტერნაციონალური სოლიდარობის ბოლომდე ერთგულნი რჩებოდნენ. მაგრამ ამ მომენტში პანოვის დროებით, რეშთში დაარჩენა იმანაც განაპირობა, რომ რსდმპ ბაქოს კომიტეტის ზოგიერთი ისეთი წევრისათვის, როგორც რაჰიმ ზადე იყო, ნათელი არ სჩანდა საქმის ვითარება. ეს აფერხებდა საკითხის დადებითად გადაწყვეტას. ისინი ყურადღებით არ ეკიდებოდნენ ფ. პანოვის წარსულის შესწავლას და იმას, რომ პანოვი ერთ დროს, როცა იგი თეირანში ცხოვრობდა, „ტანეს“ ლიტერატურული ფსევდონიმით და საკუთარი კორესპონდენტის სახელით გაზეთ „რუსსკოე სლოვო“-ში¹⁸⁹ გზავნიდა წერილებს, რომლებშიც წერდა, რომ ვითომ ის, როგორც მამედ ალი შაჰის დაუძინებელი მტერი, თეირანიდან რუსეთის კონსულმა გააძევა, ე. ი. სპარსეთში ცხოვრება აუკრძალა. „აგრეთვე ვითომ ის პოლკოვნიკმა ლიახოვმა კახაკთა ბრიგადის ოფიცრად მიიწვია, რაზეც, არ მახსოვს რომელ გაზეთში, ლიახოვმა საწინააღმდეგო წერილი მოათავსა. „რუსსკოე სლოვოს“ საშუალებით გავრცელებული პანოვის ყველა ეს ცნობები სიცრუე გამოდგა. თუ პანოვი თეირანიდან მართლა გაძევებულ იქნა, ეს ყველაფერი ლიახოვისა და მისი პოლიტიკის შედეგი

¹⁸⁸ „ახალი სხივი“, № 11, 1910 წ., 16 თებერვალი.

¹⁸⁹ „რუსსკოე სლოვო“ — რუსული ყოველდღიური ბურჟუაზიული გაზეთი. გამოდიოდა მოსკოვში 1895 წლიდან. სცემდა ი. დ. სიტინი. 1902 წელს რედაქტორობდა ცნობილი ჟურნალისტი ვ. მ. დოროშოვიჩი. ფორმალურად უპარტიო გაზეთი იცავდა რუსეთის ბურჟუაზიის ინტერესებს ზომიერ ლიბერალური პოზიციებიდან. გაზეთი დიდ ყურადღებას უთმობდა ინფორმაციას.

1917 წლის დეკემბერში „რუსსკოე სლოვო“ დახურულ იქნა ანტისაბჭოთა ცილისმწამებლური ცნობების მოთავსებისათვის. 1918 წლის იანვრიდან გაზეთი რამდენიმე ხანს გამოდიოდა. „ნოვოე სლოვოს“ — და „ნაშე სლოვო“-ს სახელწოდებით, ხოლო 1918 წლის ივნისში საბოლოოდ დაიხურა. იხ. БСЭ, т. 37, с. 453.



იყო¹⁹⁰. პანოვს სურდა ამგვარი გაძევებ-გამოძევებით ვითომდეცაა გო-
გორც რევოლუციონერი, მოეპოვებინა ხელსაყრელი ავტორიტეტი,
ხელში ჩაეგდო საკმარისი ძალა რევოლუციონერებისა და შემდეგ
რასაც იზამდა, ეს მართო თვით პანოვმა უწყობდა. მაგრამ პანოვი
მოსტყუვდა, მას დროზე მიუხვდნენ და პირში ჩალაგამოვლებული
დასტოვეს¹⁹¹.

რეშთში 22 თებერვალს (6 მარტს) მოწვეული გაფართოებული
კრების გადაწყვეტილება პანოვის რეშთიდან გაძევების შესახებ განუ-
ხორციელებული რჩებოდა. პანოვმა „არავითარი ყურადღება არ მიაქ-
ცია ამ გადაწყვეტილებას, თითქოს სასაცილოდაც აიგდო ყველა, და
რა თქმა უნდა, წასვლაზე არც კი ფიქრობდა. რეშთში აირია საქმეები
და მოსალოდნელი იყო რაიმე განხეთქილება ჩამოვარდნილიყო რე-
ვოლუციონერთა შორის. რადგანაც პანოვს საკმარისი ძალა ჰყავდა
მოწინააღმდეგეების საპასუხოდ, მან აშკარად გაილაშქრა ქართვე-
ლებზე და შეუთვალა მათ: თუ ნებით მომცემთ ნახევარ იარაღს, ყუმ-
ბარების მასალას, რომელიც თქვენ ხელშია (ყუმბარები, როგორც ზე-
მოთ ვთქვით, ჩამოტანილი იყო, დანარჩენიც ქართველებმა გააკეთეს
რეშთში) ხომ კარგი, თუ არა და ძალით წავიღებო და ვაუკაცობას
იმით ამტკიცებდა, რომ რამდენიმე ყოჩის თანხლებით ქალაქში და-
სეირნობდა. ქართველების ბინას დასტრიალებდა და ხმებს ავრცე-
ლებდა, თითქოს ქართველებს მისი მოკვლა უნდოდათ. ქართველებსაც
არ ეძინათ, ყოველ დროს მზად იყვნენ სამაგიერო პასუხი გაეცათ პანო-
ვისათვის. პანოვის საქციელმა იქამდე მიიყვანა ქართველები, რომ
რაზმელებში კარგად ცნობილმა ქართველმა აქესენტიმ¹⁹², როცა პა-
ნოვი მათ ბინას მიუახლოვდა, მოსაკლავად გაიწია. ის იყო ჩამოუშვა
ჩახმახი, რომ დანარჩენი ამხანაგები მიცვიდნენ და თოფი ხელიდან
გამოვლიჯეს¹⁹³.

რეშთელმა რევოლუციონერებმა საქმის მოსაწესრიგებლად დახ-
მარება თხოვეს რსდმპ ბაქოს კომიტეტს. როგორც ზემოთ იყო აღნიშ-
ნული, ბაქოს კომიტეტმა რეშთში მოავლინა კომიტეტის წევრი რაჰიმ
ზადე და გაზეთ „ირანე ნოვის“ რედაქტორი რასულ ზადე, რომელმაც
პანოვს დაუჭირა მხარი, მისი რეშთიდან გაძევების წინააღმდეგ გა-
მოვიდა. ამასთან ერთად, მან დაუსაბუთებლად დაამცირა ქართველი

¹⁹⁰ ეს ფაქტი აღსტურებს მ. ივანოვის აზრის სისწორეს იმის შესახებ, რომ ლიახოვ-
ზე განაწყნებული პანოვის მიერ იყო შეთხზული ე. წ. „ლიახოვის პატაკი“, რომელიც
ინგლისელმა ე. ბროუნმა გამოაქვეყნა თავის წიგნში.

¹⁹¹ „ახალი სხივი“, № 11, 1910 წ., 16 თებერვალს.

¹⁹² აქსენტო ნაღარეიშვილი. იყო აბაშის რაიონის სოფელ ონტოფოდან. იხ. ა. კე-
ლენჯერიძე, გურჯები, თბ., 1975, გვ. 137.

¹⁹³ „ახალი სხივი“, № 14 1910 წ., 19 თებერვალი.

მებრძოლების როლი დ მნიშვნელობა რეშთის აჯანყებაში. „მე რთ-
გორც ც. კ. წარმოდგენილი, — განაცხადა მან — უფრო ვცნობ-
ნოვს, ვიდრე თქვენ, რადგანაც პანოვი საქმის ისეთი მცოდნეა, რომ
თქვენი ყუმბარები მის მანქანებთან სულ უმნიშვნელოა“. სინამდვი-
ლეში პანოვის ეს ე. წ. „მანქანები“ არავის თვალთ არ უნახავს და
არც ბრძოლაში გამოუყენებიათ. აქვე დღიურებში მოტანილია ქარ-
თველ ინტერნაციონალისტ მებრძოლთა რაზმის მეთაურის ვარლამის
მალალიდუური და რევოლუციური პათოსით წარმოთქმული პასუხი:
„ჩვენ ქართველები, არ მოვსულვართ აქ, სპარსეთში, როგორც ქარ-
ველები. ჩვენ მოვედით, როგორც ინტერნაციონალისტები და, მა-
შასადამე, რევოლუციონერები. თუ თქვენ ვილაც პანოვს, რომელსაც
პირველად ხედავთ, ჩვენზე კარგად სცნობთ და ჩვენზე მალა აყე-
ნებთ, სჩანს, ჩვენს საჭირონი აღარ ვყოფილვართ თქვენთვის. მაშინ
გისურვებთ თქვენი მხსნელი პანოვით გამარჯვებასო“¹⁹⁴.

ვალეკომ აღარ დააყოვნა და პაჩინარში¹⁹⁵ მყოფ ქართველ მებრ-
ძოლებს ტელეფონით გამოუძახა, რათა რეშთში მოსულიყვნენ და
მომზადებულიყვნენ სამშობლოში დასაბრუნებლად. ამ დროს პაჩი-
ნარში მყოფი რაზმი ასამართლებდა თეირანში გზად მიმავალ რეაქ-
ციონერებს, რომლებიც რაზმელებს შეეპყროთ. მათ შორის იყვნენ
რეშთის მოკლულ გუბერნატორ სარდარ აფხამის შვილი და ერთ-ერთი
პროვინციის გუბერნატორი. რაზმმა ხელში ჩაიგდო აგრეთვე ყან-
დარმთა პოლკოვნიკი, რომელიც გამოტყდა და თქვა, რომ ის სხვებთან
ერთად ჩამოვიდა ქურთებში ხალხის მოსაგროვებლად რევოლუციო-
ნერების საწინააღმდეგოდ¹⁹⁶.

25 მარტს (7 აპრილს) პაჩინარში მყოფი ქართველი რაზმელები,
რომლებმაც რეშთიდან გამოწვევა მიიღეს, შეიკრიბნენ, მოითათბი-
რეს და გადაწყვიტეს, რომ რეშთში დაბრუნებულიყვნენ. ისინი ცხე-
ნებზე ამხედრდნენ და იმავე ღამეს მენჯილში მოვიდნენ. მეორე დღეს
26 მარტს (8 აპრილს) დილით მენჯილიდან რეშთის ენჯუმენს დაუ-
კავშირდნენ და აცნობეს თავისი გადაწყვეტილება. როდესაც რეშთის
ენჯუმენმა და სამხედრო შტაბის წევრებმა შეიტყვეს, რომ ქართველი
მეომრები მტკიცედ იდგნენ თავის გადაწყვეტილებაზე რისი უტყუარი
საბუთი იყო ის, რომ პანოვის ავანტიურისტული მოქმედების წრ-
ნააღმდეგ პროტესტის ნიშნად დასტოვეს ისეთი დიდმნიშვნელო-

¹⁹⁴ „ახალი სხივი“, № 14, 1910 წ., 19 თებერვალი.

¹⁹⁵ პაჩინარი, იგივე — ფაჩინარი — ზენჯანის პროვინციის სირდანის რაიონში (ბახში)
შემავალი სოფელი. იგი მთიან ადგილას არის გაშენებული. მდებარეობს 51 კმ-ზე სირდა-
ნის დასავლეთით და დაკავშირებულია ყაზვინ — რეშთის გზასთან. მოსახლეობა: ქურ-
თები.

¹⁹⁶ „ახალი სხივი“, № 14, 1910 წ., 19 თებერვალი.



ვანი დასაყრდენი პუნქტი, როგორც პაჩინარი იყო და უკან ბრუნდებოდნენ, იძულებული იყვნენ სერიოზულად განეხილათ პანოვის რეშთში შემდგომი ყოფნა-არყოფნის საკითხი. ამან აიძულა რაპიმ-ზადე, რომ წინადადება მიეცა პანოვისათვის, რათა იგი რეშთს გასცლოდა. პანოვიც დარწმუნდა, რომ მისმა მოქმედებამ კრახი განიცადა. რუსულ გაზეთებში, რომელთა კორესპონდენტადაც პანოვი ითვლებოდა, იგი შემდეგშიც წერდა თავის „გმირობაზე“. ვითომ „პანოვმა აიღო ქალაქები, ... პანოვმა დაათვალიერა მენჯილის ხიდი..., პანოვი მოკლეს..., თავი მოიკლა“... და სხვა. იაფ სენსაციებსა და ყალბ ინფორმაციას შეჩვეული რუსული ლიბერალურ-ბურჟუაზიული პრესის ისეთი ორგანოები, როგორც „რუსკოე სლოვო“, „რეჩი“ და სხვა გაზეთები იყო, იოლად უღებდნენ კარებს პანოვის ამ და სხვა მონაჭორებს და, ვინ იცის, როგორც სწორად შენიშნავს დღიურების ავტორი, კიდევ რას არ დაწერდა პანოვი და მისი თანამგზავრი სერჟანტი შარლე, რომ ასთარაბადში იგი მართლა არ დაეჭრათ და ეს არ გამხდარიყო საბოლოოდ მისი ირანიდან წასვლის მიზეზი¹⁹⁷.

„პანოვი დასჭრეს. — აღნიშნავს დღიურების ავტორი — ეს მართალია, მაგრამ ვინ? აი, საქმე რაში იყო. როდესაც მეშედესერის¹⁹⁸ დამოყენის ფული პანოვმა რამდენიმეჯერ მოიტაცა და ამ ფულიდან მან 1500 თუმანი ჩაიკიბა, თვითონ თავს უშველა და სხვები კი რუსის კონსულმა დაატყვევა. ორი დღის წინად გაპარვამდე მას ბრალუნიგი ესროლა სპარსელმა მეშთი მამედ ალიმ და მსუბუქად დასჭრა. პანოვმა გაასწრო ყოჩებს და 3 თვე იმალებოდა პოდოლსკში ვინმე ანნა სავინასთან. მისი დაჭრის მიზეზი ჩაწერილია თვით ყოჩების ნაამბობიდან. რაც შეეხება მის პოდოლსკში ყოფნას მისამართი თვით მე დავიჭირე ასთარაში სერჟანტ შარლესთან, რომელმაც მითხრა — პანოვი ოსმალეთშიაო, ეს ამბავი იყო 1909 წლის 21 მაისს (5 ივნისს) და როდესაც მე ვუთხარი პანოვის მისამართი მას, გაცეცებით მეკითხებოდა, თუ საიდან ვიცოდი პანოვის მისამართი. ეს ის სერჟანტი შარლეა, რომელიც პანოვს ახლდა და რომლის გმირობაზე იწერებოდნენ „რუსკოე სლოვო“-ში. ნამდვილად კი, ენზელევი თათარია და მსახურობს რუსის საკონსულოში. შარლე იმისათვის დაერქვა, რომ ფრანგული კარგად იცის, რის ცოდნაც გასაკვირველი არ არის სპარსეთში“¹⁹⁹.

¹⁹⁷ 1909 წლის აპრილის დამდეგს „რუსკოე სლოვომ“ გამოაქვეყნა სპეციალური წერილი „პანოვის დაღუპვა“, რომელშიც წერდნენ, რომ, ვითომ პანოვი ასთარაბადში დაიღუპა. იხ. «Русское слово», № 8, 17/30 апреля 1909 года.

¹⁹⁸ მეშედესერი — ირანის შაჰანდარანის პროვინციის კასპიის ზღვისპირა სანაჯალღურ ქალაქი.

¹⁹⁹ „ახალი სხივი“, № 14, 1910 წ., 19 თებერვალი.



აქედან ირკვევა ზოგი დეტალი პანოვის საქმიანობის შესახებ რეზოლუციის შემდეგ. მისი დაჭრის ფაქტი მოხსენიებულია სხვა წყაროებშიც²⁰⁰, მაგრამ დაჭრის გარემოებაზე იქ არაფერია თქმული. აღსანიშნავია ისიც, რომ, როგორც ჩანს, ირანიდან წასვლის შემდეგ პანოვს და მის მომხრეებს კვალის დაბნევის მიზნით გაუვრცელებიათ ხმები, თითქოს, პანოვი ირანიდან ოსმალეთში წავიდა. ნამდვილად კი იგი, როგორც დღიურებშია დადგენილი, პოდოლსკში იმყოფებოდა. საინტერესოა განმარტება, რომელსაც დღიურების ავტორი იძლევა თვით პანოვის თანამგზავრ შარლეს ვინაობის შესახებაც.

საყურადღებოა, რომ ფეოდორ პანოვის ირანში საქმიანობის შესახებ ცნობები შოიბოვება რუსი დიპლომატების მიერ შედგენილ იმდროინდელ დოკუმენტებშიც. „კორესპონდენტი პანოვი დანიშნულია შტაბისა და არსენალის უფროსად“ — იტყობინებოდა საბლინი ჯერ კიდევ 1909 წლის 13 (26) თებერვალს²⁰¹. უფრო გვიან, 1 (14) აპრილს რუსეთის კონსული ასთარაბადში დოლოგოპოლოვი იუწყებოდა რეზოლუციის გაქვევებული პანოვის და მისი თანმხლები პირების ვიზაჟის შესახებ. ლტოლვილმა პანოვმა და მისმა თანამგზავრებმა ასთარაბადში მისვლისთანავე ბუნტი მოაწყეს. ამას მოჰყვა შაჰის მომხრე ირანელ თურქმანთა იომუდის ტომების შემოსევები. ასთარაბადში მათ დასწვეს და ნატარტუტად აქციეს ქალაქის გარშემო მდებარე რვა სოფელი — მამედ აბადი, ქარიმ აბადი, ჯაფარ აბადი, ვალი აბადი, ოვზინე და სხვ. ასთარაბადისა და მიმდებარე გადაშვარ-განადგურებულ სოფლებში მცხოვრები ქალები და ბავშვები რუსეთის საკონსულოში მივიდნენ, ბესთში დასხდნენ და ხსნას ითხოვდნენ. მოსახლეობა პანიკამ მოიცვა. პანოვი გაიქცა. იგი „მიიმალა გაურკვეველი მიმართულებით“. ცხრა რევოლუციონერი, რომლებიც გამძვინვარებულ ბრბოს ემალეობდნენ, საკონსულოში მოცვივდნენ. მათ ჩამაბარეს იარაღი და დანებდნენ — წერდა დოლოგოპოლოვი — ისინი ითხოვდნენ არ გაგვეცა სპარსელებზე და გაგვეგზავნა რუსეთში²⁰².

ასე დასრულდა პანოვის მორიგი, უკანასკნელი ავანტიურა ირანში, რამაც მრავალი უდანაშაულო ადამიანი უბედურებაში ჩააგდო.

ამიერკავკასიელი ინტერნაციონალისტი მეომრები, რომლებიც ეწეოდნენ პანოვთან და ადგილობრივ შემარჩებლებთან უკომპრომისო ბრძოლას, წარმატებით მიიკვლევდნენ გზას რულბარიდან მენჯილისაკენ.

²⁰⁰ Сборник дипломатических документов..... с. 124.
²⁰¹ Сборник дипломатических документов, касающихся событий в Персии, вып. II, СПб., с. 86.
²⁰² იქვე, გვ. 123—124.



აქედან კი ყაზვინზე ჰქონდათ აღებული გეზი. ისინი რეაქციონერები-საგან ათავისუფლებდნენ ამ გზის გასწვრივ მდებარე დასახლებულ პუნქტებს. 29 თებერვალს (13 მარტს) რევოლუციონერთა რაზმმა რუდბარის სიმაგრეები უკან მოიტოვა. წინ წაიწია 20 ვერსით და სოფელ მენჯილში გზის პირას მდებარე ქარვასლაში დაიღო ბინა. მენჯილის იქით ყაზვინის მიმართულებით გაიგზავნა მამაც მებრძოლთა ჯგუფი, რომელიც სოფელ ბალი-ბალაში გაამაგრდა²⁰³. ვინაიდან მენჯილის ხიდისაკენ რევოლუციონერთა წინ წაწევის საფრთხე შეიქმნა, ჯერ კიდევ რეშთის აღების პირველ დღეებში რუსი კოლონიზატორები შაჰის მთავრობისაგან მოითხოვდნენ იქ ჯარების გაგზავნას და ენერჯიული ზომების მიღებას რევოლუციონერების წინააღმდეგ. „მთავრობის მიერ ყოველგვარი დაყოვნება — იტყობინებოდა მაშინ შტრიტერი — გააძლიერებს რევოლუციონერებს, რომლებსაც განუზრახავთ მენჯილის ხიდის დაპყრობა. ეს ვაცნობე შაჰის მთავრობას და მოვითხოვე სასწრაფო ზომების მიღება ჩვენი ხიდის დასაცავად, რასაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს“²⁰⁴. მაგრამ რევოლუციონერების შეჩერება შაჰის მთავრობას უკვე აღარ შეეძლო. ისინი რევოლუციური ბრძოლის ტაქტიკის გამოყენებით, ნაბიჯ-ნაბიჯ და მტკიცედ მიიწევდნენ წინ.

1 (14) მარტიდან 12 (25) მარტამდე რევოლუციონერებს პოზიციები არ შეუცვლიათ და რაიმე მნიშვნელოვანი მათს საბრძოლო ცხოვრებაში არ მომხდარა.

შოა-ოს-სალთანე

ამ დროს რევოლუციონერებმა რეშთში დააკავეს საზღვარგარეთიდან მომავალი ნოჰამად ალი შაჰის ძმა, ერთ დროს ტახტის პრეტენდენტი შოა-ოს-სალთანე²⁰⁵. შოა-ოს-სალთანე ცნობილი იყო, როგორც ძველი ფეოდალური არისტოკრატის წარმომადგენელი და უკიდურესი რეაქციონერი. იგი ჯერ კიდევ რევოლუციამდე დანიშნულ იქნა ირანის სამხრეთში მდებარე ფარსის (მთავარი ქალაქი შირაზი) გუბერნატორად. მან მცირე თანხის გაღებით ხელთ იგდო ფარსის ხალესეს (სახელმწიფო) მამულები. მისი მოხელეები ისე გათავხედდნენ, რომ ყაჩაღურად იტაცებდნენ მიწებსა და მათი ბატონის საკუთრებად აცხადებდნენ. ასე გახდა შოა-ოს-სალთანე მიწების დიდი მასივების მფლობელი და სახელი გაითქვა გლეხებისადმი მხეცური მოპყრო-

²⁰³ „ახალი სხივი“, № 11, 1910 წ., 16 თებერვალი.

²⁰⁴ Сборник дипломатических документов....с. 79.

²⁰⁵ ნაზემ ულ-ისლამ ქერმანი, ირანელთა გამოღვიძების ისტორია, ტ. 2, გვ. 111 (სპარსულ ენაზე).

ბით²⁰⁶. ამიტომ იყო, რომ რევოლუციის დასაწყისშივე, რევოლუციური გამოსვლების დროს ხალხი მის გადაყენებას მოითხოვდა. ჯერ კიდევ 1906 წლის დეკემბერში შოა-ოს-სალთანეს, რომელიც მაშინ თეირანში იმყოფებოდა, შირაზელმა დემონსტრანტებმა ტელეგრამა გაუგზავნეს, რომელშიც აფრთხილებდნენ არ დაბრუნებულიყო შირაზში. მაგრამ თუ მაინც დაბრუნდებოდა, ემუქრებოდნენ, რომ დაიჭრდნენ, ნათეს გადასახამდნენ და მოედანზე ყველას დასაანახავად დაწვავდნენ. მოთმინებიდან გამოსულმა მოსახლეობამ შოა-ოს-სალთანეს ოჯახი მაშინ აიძულა, რომ შირაზიდან წასულიყო²⁰⁷. რევოლუციურად განწყობილი ხალხის მოთხოვნით. შაჰი იძულებული გახდა იგი ვუბერნატორობიდან გადაეყენებინა. მაგრამ იგი მაინც თეირანში დარჩა და სასახლის მინისტრ ემირ ბალათურ ჯენგთან და სხვა რეაქციონერებთან ერთად არაერთხელ გამოსულა კონსტიტუციური მოძრაობის ჩახშობისა და რევოლუციონერებთან ანგარიშის გასწორების მოთხოვნით.

ა. ქასრავე წერს, რომ 1909 წლის თებერვალში შოა-ოს-სალთანე, რომელიც ბაქოს გზით ევროპიდან ბრუნდებოდა, ენზელში მოვიდა. მოჯაჯიდებმა მას ათასი ლირა ფული მოთხოვეს იმისათვის, რომ ენება არ მიეყენებინათ და ისე გაეშვათ. ამბობენ, რომ კომიტეტს განზრახული ჰქონდა მისი მოკვლა და რამდენიმე კაცი გამოაყოლოთ კიდევ ბაქოდან. მაგრამ იმის გამო, რომ შოა-ოს-სალთანე დაკავშირებული იყო ოსმალეთის მთავრობასთან, გზაზე მის მოკვლაზე ხელი აიღეს²⁰⁸. ეტყობა, ა. ქასრავის აქ მხედველობაში ჰყავს „ეჯთიმაიუნ-ე ამმიაუნ-ს“ ბაქოს კომიტეტი, რომელიც თავისი სამოქმედო პროგრამიდან არ გამორიცხავდა ინდივიდუალური ტერორის ტაქტიკას, რაც რსდმპ-ს მიერ დაგმობილი იყო, როგორც მუშათა კლასის პოლიტიკური პარტიის რევოლუციურ საქმიანობასთან შეუთავსებელი და მავნე.

ამ ამბის თვითმხილველი, დღიურების ავტორი წერს, რომ შოა-ოს-სალთანეს რეშთში რევოლუციონერებმა „ოთხი ახალი სისტემის თოფი წაართვეს. ენჯუმენმა თავის მხრივ 500 თუმანი თათრული ფული გადაახდევინა და, როგორც ავადმყოფს, თეირანში წასვლის ნება დართო. შოა-სალთანე (ასე იხსენიებს ავტორი შოა-ოს-სალთანეს) ოთხმა რეშდეთელმა ქართველმა რაზმელმა რუდბარამ ოსმალეთის კონსულის ხალილოსის და გიორგი სტამბულის თანხლებით მიაცილა, სადაც გადასცეს რუდბარის მეწინავე რაზმს, რომელსაც მოუს-

²⁰⁶ ნაზემ ოლ-ისლამ ქერმანი, დასახ. ნაშრ., გვ. 112—119.

²⁰⁷ იქვე, გვ. 112.

²⁰⁸ ა. ქასრავე, დასახ. ნაშრ., გვ. 11—12.



ხდნენ გვერდში და წინ გასწიეს. რუღბარელ გამცილებელთა რეჟიმში მეც ვიყავიო.—ხაზს უსვამს ავტორი.—ორი რაზმეულით, ცხენებით შოა-სალთანეს ეტლს წინ გავყევით. გვთხოვა, თუ ცოცხალი დავრჩებოდით, თეირანში ვწვევოდით“²⁰⁹. ამას იგი საკუთარი ტყავის გადარჩენის მიზნით აკეთებდა. შოა-ოს-სალთანეს თეირანისაკენ გასტუმრების შემდეგ, რაზმელებმა თურქეთის კონსული ხალალოსი სადილზე მიიწვიეს, როგორც სტუმარი და შემდეგ საბატიო ყარაულის თანხლებით რეშთისკენ გამოაცილეს²¹⁰.

როგორც ოფიციალური წყაროებიდან ცნობილი ხდება, შოა-ოს-სალთანეს უცხოეთიდან მოწვევა და გილანის გზით ირანში დაბრუნება შემთხვევითი არ ყოფილა. მას შემდეგ, რაც შაჰმა უარი განაცხადა სეფაჰდარის გილანის გუბერნატორად დანიშვნაზე, მთავრობა ამ პოსტზე შოა-ოს-სალთანეს დანიშვნას ვარაუდობდა. მაგრამ რევოლუციონერებმა შოა-ოს-სალთანე არ დაუშვეს გილანის მმართველად და 5 თებერვალს გზაზე დააკავეს. ამასთან რეშთის ენჯუმენმა მას თავის გამოსასყიდლად 100 თუმანი მოსთხოვა²¹¹. სეფაჰდარმა, რომელიც ცენტრალურ მთავრობასთან ურთიერთობის გამწვავებას ერიდებოდა, დაგმოეს მოქმედება. შემდეგში ერთ-ერთი საუბრის დროს იგი ამბობდა: „მე კავკასიელთა ამგვარი მოქმედების გამო შეურაცხყოფილი ვარ. მათ ვაგრძნობინე, რომ, თუ თავს ვერ შეიკავებენ, მე რეშთს დავტოვებ და წავალ“²¹². ამ დროისათვის რევოლუციონერების ხელში იყო ენზელი — თეირანის გზის ის მონაკვეთი, რომელიც რეშთსა და იუზბაშჩაის შორის მდებარეობს. „გზა რეშთიდან სადგურ იუზბაშჩაიძღე — ლაპარაკია ერთ-ერთ დიპლომატიურ დოკუმენტში — რევოლუციონერთა, უპირატესად კავკასიელთა, კონტროლის ქვეშ იმყოფება. მენჯილის საგუშავგოსთან ხიდს შეიძლება სერიოზული საფრთხე დაემუქროს და ამის შედეგად რეშთსა და თეირანს შორის ურთიერთობა შეწყდეს, თუ რევოლუციონერები ხელყოფენ ხიდს, რომლის შეკეთება ძნელი იქნება, ვინაიდან იგი მთის მძვინვარე მდინარეზეა აგებული“²¹³.

რუსი ინჟინერი ფესენკოვი, რომელსაც აღნიშნული გზისა და მის ნაგებობათა ზედამხედველობა ევალებოდა, დაბეჭითებით მოითხოვდა, რომ ყაზვინში 50 კაზაკი გაეგზავნათ, რათა სამხედრო პიკეტებით დაეცვათ ოთხი სადგური რეშთსა და ყაზვინს შორის²¹⁴.

²⁰⁹ „ახალი სხივი“, № 11, 1910 წ., 16 თებერვალი.

²¹⁰ იქვე.

²¹¹ Сборник дипломатических документов... с. 89, 94.

²¹² ა. ქასრაჯი, დასახ. ნაშრ., გვ. 14.

²¹³ Сборник дипломатических документов... с. 104.

²¹⁴ იქვე.

1909 წლის 18 მარტს (პირველ აპრილს) მენჯილში დაბანაკებულმა რევოლუციონერთა რაზმმა ცნობა მიიღო, რომ თეირანის გზატკეცილის სადგურ იუზბაშჩაის²¹⁵ მახლობლად მდებარე ქუთების ერთ-ერთ სოფელში ყაზვინიდან მოვიდა იქ მყოფი მთავრობის ჯარების მთავარსარდლის შვილი გენერალი ნასირ-ხანი. იგი თავისი ბანდებით შეესია სოფელს, აწიოკებდა ქუთების ოჯახებს, ძალით აგროვებდა მათ და იარაღს ურიგებდა. აიძულებდა, რომ მთავრობის ჯარებს შეერთებოდნენ, მათთან ერთად გამოსულიყვნენ რევოლუციონერების წინააღმდეგ. თვით ნასირ-ხანი იუზბაშჩაიდან მენჯილში დაუკავშირდა რევოლუციონერთა რაზმის წარმომადგენელს, რომელსაც ბაქი-ბუქითა და ზუქარით განუცხადა: „მე მზად ვარ სამაგიერო პასუხი გავცე ვიღაც ურჯულო გურჯებს. მათ მე გილანელი არ ვეგონო. ვინც კი გაბედავს იუზბაშჩაის ხიდის აქეთ ერთი ფეხის გადმოდგმას, ვნახოთ რა დღეს დაეყრიო“.

ნასირ-ხანს იმედი ჰქონდა, რომ ქუთი მოსახლეობა დაეპირისპირებინა რევოლუციონერებისათვის და მათი საშუალებით დაემარცხებინა ისინი, მაგრამ იმედი გაუცრუვდა და მოსახლეობამ მხარი არ დაუჭირა მას. 18 მარტის საღამოს 40 ცხენოსანი რაზმელი მზად იყო ნასირ-ხანის ბანდებთან შესაბმელად. ეს პირველი ბრძოლა იყო, რომელიც რევოლუციონერებს უნდა გადაეხადათ რეშთიდან გამოსვლის შემდეგ. რევოლუციონერთა რაზმს კავკასიიდან ახლად ჩამოსული რამდენიმე ქართველი და სომეხი მებრძოლიც შეემატა. „ამ ახალ ჩამოსულებს კიდევ უფრო ეხალისებოდათ ბრძოლა“²¹⁶.

რაზმმა ღამით გაიარა სოფლები ბალი-ბალა, ლუიშანი²¹⁷, გულალი და ღამის ორ საათზე იუზბაშჩაის მიუახლოვდა ძნელად მისადგომი, მიკიბულ-მოკიბული გზით. „საშინელი ბნელი ღამე იყო. — ვკითხულობთ დღიურებში—დაღლილ-დაქანცული რაზმელები შორი-შორს იყვნენ ჩამორჩენილები. ცხენებს სიმწრის ორთქლი ასდიოდათ. მწვერავი ჯგუფიც კარგა მოშორებით იყო რაზმზე. რაზმსაც სიბნელის გამო გზა აებნა და კლდეებში გაიფანტა. მოულოდნელად გავარდა ხელმძღვანელის თოფი, რასაც ზედ მოჰყვა სასტვენის ხმა. გაფან-

²¹⁵ იუზბაშჩაი — ზენჯანის პროვინციის სირდანის ბაზმის სოფელი. იგი მდებარეობს სირდანიდან პაჩინარის გზით 82 კმ-ზე, ხოლო რეშთი—ყაზვინის გზიდან—13 კმ-ზე.

²¹⁶ „ახალი სხივი“, № 11, 1910 წ., 16 თებერვალი.

²¹⁷ ლუიშანი ანუ ლოლუშანი რეშთის პროვინციის რუღდარის რაიონის სოფელია. იგი რუღდარის სამხრეთ-აღმოსავლეთით 30 კმ-ზე, ლოლუშანის ხიდის ჩრდილოეთით 60 კმ-ზე მდებარეობს. სოფელში აზერბაიჯანელები ცხოვრობდნენ.



ტული რაზმი დროზე შეიკრიბა და კვლავ გასწია წინ. მალე მას წინ შეეგება მზვერავი ჯგუფი და აცნობა მტრის ბანაკი... რაზმი ოქსალ ვაჟი
 ყო. ქართულ-რუსული ენების მცოდნენი ერთ „გურჯს“ ვაჟყვა, თათ-
 რულ-ფარსულ-სომხურისა — ეფრემს“²¹⁸ სოფელში მალე აღმოაჩინეს
 ქარვასლა, რომელშიც გენერალი ნასირ-ხანი იმყოფებოდა და ალყა
 შემოარტყეს მას: „გაჩაღდა ბრძოლა ორივე მხრიდან და ზურგს უკ-
 ნიდან ტყვია ზუზუნით მოდიოდა. ვილანელებიც მთისაკენ გაიქცნენ,
 თავზე წააწყდნენ ნასირ-ხანის რაზმს, მაგრამ ისე აერიათ გონება,
 რომ ამხანაგებისაკენ ისროდნენ თოფებს. სიბნელე ხელს უშლიდა
 მათ და ტყვია უვნებლად იკარგებოდა“²¹⁹.

ორივე გენერალი—ნასირ-ხანი და იბრაჰიმ-ხანი—ქარვასლის გა-
 რეთ ერთ კუთხეს ამოფარებოდნენ და თავდასაცავად ემზადებოდნენ.
 მოულოდნელად მათ თავს წაადგა ქართველ მებრძოლთა ჯგუფი „ავა-
 რა ვასოს“²²⁰ მეთაურობით. „ავარა ვასომ“ გენერალ ნასირ-ხანს თოფ-
 ში უტაცა ხელი, ხოლო მეორე ქართველმა რაზმელმა იგი სიცოცხლეს
 გამოასალმა. მძიმედ დაჭრილი იბრაჰიმ-ხანი ცოცხლად ჩაიგდეს ხელ-
 ში. იგი კარებს უკან დამალულიყო. იარაღი გადაეშალა. გაჩჩრეკისას
 აღმოაჩნდა რევოლვერი 30 ვაზნით. იბრაჰიმ-ხანმა პატიება ითხოვა.
 მაგრამ იქ მყოფმა გლეხებმა მოითხოვეს, რომ როგორც მტარვალი,
 ცოცხალი არ გაეშვათ. რევოლუციონერთა გადაწყვეტილებით იბრა-
 ჰიმხანი იქვე დახვრიტეს. რევოლუციონერებს ხელში ჩაუვარდათ რვა
 ცხენი, ოთხი თოფი და ტყვია-წამალი, აგრეთვე ზოგიერთი სხვა ნა-
 დავლი.

ნასირ-ხანისა და იბრაჰიმ-ხანის გლეხებმა, როცა გაიგეს რევო-
 ლუციონერების მიერ მათი მებატონეების დახოცვის ამბავი, სამასამ-
 დე კაცმა ქარვასლასთან მოიყარა თავი და თვალცრემლიანები მად-
 ლობას უძღვნიდნენ რაზმს იმის გამო, რომ მან არცერთი მათი ბატონი
 ცოცხალი არ გაუშვა. ირანელი ფეოდალების მიერ გლეხების დაუ-
 ზოგავი ჩაგვრის ფაქტზე და ამ უკანასკნელების მათდამი დიდ სიძულ-
 ვილზე მეტყველებს რევოლუციონერების მიერ განთავისუფლებული
 გლეხების განცხადება, რაც დღიურებშია მოტანილი. „ალარა გეჭონდა,
 ჩვენო მზეო, მათგან მოსვენება, რაც გვებადა ძალით თუ ნებით ყვე-
 ლაფერი წაგვართვის. ოჯახი აგვიწიოკეს და ახლა ძალით გვერეკე-

²¹⁸ „ახალი სხივი“, № 11, 1910 წ., 16 თებერვალი.

²¹⁹ იქვე.

²²⁰ ავარა ვასოს ვინაობა ჯერჯერობით დაუდგენელია. ან. კელენჯერიძე იმეორებს
 მ. ბოგდანოვ — მარიაშკინს, რომელთანაც ერთად ვასო ბაქოიდან ჩასულა ვილანში. მ. ბო-
 გდანოვ—მარიაშკინის დახასიათებით, იგი „უშიშარი იყო, არასოდეს ეპუებოდა ტყვიას“.
 იხ. ან. კელენჯერიძე, გურჯები, თბ., 1975, გვ. 139.



ბოდნენ თქვენთან საბრძოლველად. მაგრამ თქვენ მოგვისწარიდ დაგვიხსენით მოსალოდნელი წამებისაგან. დღეის შემდეგ ჩვენ თქვენთან ერთად დავიხოცებით²²¹. რევოლუციონერების სამართლიანი საქმით აღფრთოვანებული რამდენიმე ახალგაზრდა ქუთთი გლეხი მაშინვე შეუერთდა მათ რაზმს და სურვილი გამოთქვა ბოლომდე ებრძოლა რეაქციონერთა წინააღმდეგ. გადახდილი პირველი ბრძოლის შემდეგ, იუზბაშჩაიში დაბანაკებულმა ინტერნაციონალისტ მებრძოლთა რაზმმა დაიწყო უშუალოდ მზადება ყაზვინის ასაღებად. მან ყაზვინის მისადგომებს დასათვალისწინებლად და მოწინააღმდეგის ძალებისა და შეიარაღების შესახებ ცნობების მისაღებად მწვერავთა ჯგუფი გაგზავნა.

პ ა ჩ ი ნ ა რ ი

19 მარტს (1 აპრილს) რაზმმა სოფელ პაჩინარში ბანაკი მოაწყო. სოფელი პაჩინარი თეირანის გზატკეცილზე მდებარეობს. იგი საფოსტო სადგური და „ისეთი სტრატეგიული ცენტრია ჯარისათვის, რომ მისი დატოვება რაზმს შეუძლებლად მიაჩნდა“. პაჩინარში თავს იყრიდა თავრიზიდან სამი მხრით მომავალი გზა. ეს საშუალებას აძლევდა მოწინააღმდეგეს, რომ რევოლუციონერები ალყაში მოემწყვდია. იმისათვის, რომ მტრისთვის ეს შესაძლებლობა წაერთიმათ, გადაწყდა — თეირანის გზატკეცილის მარცხნივ მდებარე სოფელ ხარზანის გზაზე ათი რაზმელი გაეგზავნათ. მარჯვნივ კი, ლუიშანის მთაში, კიდევ ათი მებრძოლი უნდა წასულიყო. დანარჩენები პაჩინარში დარჩებოდნენ. რაზმი სწრაფად იზრდებოდა, დღე არ გაივლიდა ისე, რომ ათი-ხუთმეტი შეიარაღებული მხედარი არ შეერთებოდა მას. „ისინი მზად იყვნენ სხვებთან ერთად გაეწირათ თავი“²²².

იმ ხანებში რეშთიდან თეირანში ჩავიდა რუსეთის მეფის კონსული შტრიტერი. მან გაიარა ენზელი — თეირანის გზა და ნახა რევოლუციონერების მიერ გამაგრებული ადგილები, რომელიც რუდბარიდან ბექენდამდე²²³ გრძელდებოდა. მთავარი ძალები თავმოყრილი იყო სადგურების: მენჯილისა და პაჩინარის რაიონებში. შტრიტერის ცნობით, იმ დროს რევოლუციონერთა რიგებში მყოფი ათასამდე შეიარაღებული მეომარი შემდეგნაირად იყო განაწილებული: მათ

²²¹ „ახალი სხივი“, № 11, 1910 წ., 16 თებერვალი.

²²² „ახალი სხივი“, № 14, 1910 წ., 19 თებერვალი

²²³ ბექენდი — რეშთის შაჰრესთანის სოფელი. მდებარეობს რეშთი — ყაზვინის გზაზე.



მარცხენა ფრთას პაჩინარის ერთი მხარე ეკავა. იგი 500-მდე კაცს ითვლიდა. მათგან 100 კარგად შეიარაღებული სპარსელი და კავკასიიდან გადმოსულები იყვნენ. მარჯვენა ფრთა თვით პაჩინარში იყო განლაგებული. მასში 100-მდე ასევე მშვენივრად აღჭურვილი მებრძოლი შედიოდა. ცენტრში დაახლოებით 180 მებრძოლი იდგა. მათ ეფრემი მეთაურობდა. ისინი განლაგებული იყვნენ ხარზანის მთაზე, რომელსაც ამ გზაზე გაბატონებული მდებარეობა ეკავა. რევოლუციონერთა მთავარი შტაბი მენჯილში იყო. მას 200 ფიდაი იცავდა. სიმაღლეები და ფერდობები სანგრებით და ტრანშეებით იყო დაფარული.

„შაჰის ჯარი 1270 კაცის რაოდენობით — განაგრძობდა შტრიტერი — ყაზვინშია თავმოყრილი და მთლად დემორალიზებულია“²²⁴. მისი ბრძოლისუნარიანობა დაცემული იყო. შტრიტერს მიჰჩნდა, რომ რევოლუციონერთა კარგად შეიარაღებული და გაწვრთნილი რაზმების წინაშე შაჰის არმია უსუსურად გამოიყურებოდა და მას დამარცხება არ ასცდებოდა. თეირანის გზის საბაჟოს შემოსავალი იმის შემდეგ, რაც იგი რევოლუციონერებმა დაიკავეს, 7969 თუმნით შემცირდა. ამიტომ შტრიტერი წინადადებას აყენებდა, რომ გზის მთელ ტრასაზე მეფის რუსეთის ჯარი შეეყვანათ. მისი თქმით, ამით დაიცავდნენ გზას და „გაამხნევებდნენ შაჰს და მის მრჩეველებს“. ყველაფერი ეს — „ენერგიულად იქნება გამოყენებული ჩვენს მიერ, — დაასკვნია კონსული — რათა დავარწმუნოთ ნაციონალისტები, რომ უსიტყვოდ სდიონ ჩვენს ბრძანებებს და მშვიდობიან საქმიანობას დაუბრუნდნენ“²²⁵. ამ გზით სურდათ ცარიზმის კოლონიზატორებს რევოლუციის ჩაქრობა და მათი მოკავშირე შაჰის ფეოდალური რეაქციის გადარჩენა მოსალოდნელი დაღუპვისაგან.

ამ დროისათვის რეშთიდან მებრძოლთა ახალი ძალები მიიღეს. რევოლუციონერთა რიცხვი კვლავ იზრდებოდა. მათ შორის კავკასიელთა რაოდენობა 400 კაცამდე გადიოდა. 1909 წლის შუა აპრილში პაჩინარის რაიონში მარტო ქართველების ჯგუფი უკვე 50 კაცს შეადგენდა²²⁶. პანოვის რეშთიდან წასვლის შემდეგ ენჯუმენი და სამხედრო შტაბიც შედარებით უფრო შეთანხმებულად მუშაობდნენ. მაგრამ ზოგჯერ კვლავ თავს იჩენდა განმათავისუფლებელი მოძრაობის დროებით თანამგზავრთა ლალატი. რევოლუციონერთა რაზმებში შეაღწევდნენ ხოლმე ისეთი ელემენტები, რომლებიც ცდილობდნენ ზელი მოეთბოთ მათი ბრძოლით მონაპოვარზე. ისინი ძარცვა-გლეჯასა

²²⁴ Сборник дипломатических документов... с. 148.

²²⁵ იქვე. გვ. 149.

²²⁶ ზემოთ უკვე ითქვა, რომ ინგლისის საელჩოს თარჯიმან ჩერჩილის ცნობით, ამ დროს აქ კავკასიელები 350 კაცი იყო. იხ. ა. ქასრაევი, დასახ. ნაშრ., გვ. 13.



და მაროდერობას ეწეოდნენ. ქართველი რევოლუციონერები პირველი იმალებდნენ ხმას ასეთი უწესრიგობის წინააღმდეგ, რომლისგანაც გალითები არა ერთია აღწერილი დღიურებში. 30 მარტს (12 აპრილს) რეშთში თავისი რაზმით მოვიდა თალიშელ აჯანყებულთა მეთაური სეიდ აშრაფი. როგორც დღიურებიდან ირკვევა, იგი ჯერ კიდევ 1907 წელს, ე. ი. სათარ-ხანის მეთაურობით თავრიზის აჯანყების დაწყებამდე, თავისი რაზმით ებრძოდა ცნობილ რეაქციონერ ფეოდალ ამინ-ოს-სალთანეს. მიუხედავად იმისა, რომ ამინ-ოს-სალთანეს რაზმებს მთავრობის ჯარები უწევდნენ დახმარებას, სეიდ აშრაფმა მისი ბანდები გაანადგურა, სახლ-კარი გადაუწვა, ხოლო მიწები და სიმდიდრე გლეხებს დაურიგა. მან საკმაო ზიანი მიაყენა ამინ-ოს-სალთანეს მოძმარე მთავრობის ჯარსაც. მათ ორი ზარბაზანი ჭაობში მიატოვებინა, ხოლო თვით ამინ-ოს-სალთანე იძულებული გახდა რეშთში გაქცეულიყო. მან იქ თავი რუსეთის საკონსულოს შეაფარა.

1909 წლის 26 მარტს (8 აპრილს) რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი იზვოლსკი პეტერბურგელ ელჩს ლონდონში გრაფ ბენკენდორფს ატყობინებდა: „დღეს მე ვაცნობე დიდი ბრიტანეთის ელჩს იმის შესახებ, რომ ყაზვინში კონსულის უფლებით დროებით მივაკლინე თეირანის მისიის ჩინოვნიკი რომანოვსკი. მას თან ახლავს ხუთი კაზაკი მისიის დაცვიდან. ეს გამოწვეულია ყაზვინში საგანგაშო მდგომარეობის შექმნის გამო. აქ არსებობს ენზელი — თეირანის გზის სამმართველო, რუსული ეკლესია და საკმაოდ მრავალრიცხოვანი რუსული კოლონია.

ამასთან ერთად მე დავძინე, რომ აღნიშნულ გზაზე, რომლის დიდი ნაწილი რევოლუციონერებს, უმთავრესად ჩვენს კავკასიელებს და სხვადასხვა უცხოელ ავანტიურისტებს უკავიათ, საქმის მდგომარეობა ყოველდღიურად სულ უფრო სერიოზული ხდება და შეიძლება საქმე თეირანთან კავშირის თვით სრულ შეწყვეტამდე მივიდეს“²²⁷. დეპეშაში იზვოლსკი გადაუდებლად მოითხოვდა ენზელ — თეირანის გზის დაცვის გაძლიერებას.

შუა აპრილში რეშთი—ყაზვინის გზაზე მყოფი რევოლუციონერების რაოდენობა 500 კაცს აღემატებოდა. ამ ხანებში მეფის რუსეთის ჯარები უკვე დაიძრნენ თავრიზის აჯანყების ჩასაქრობად და 18 (30) აპრილს შევიდნენ კიდევ გმირ ქალაქში²²⁸. „რუსის ჯარის შესვლა თავრიზში ყველას მწუხარებას ჰკვრიდა — აღნიშნულია „გურჯი სერგოს“ დღიურებში — და ყველა ცდილობდა რითიმე მხარი დაე-

²²⁷ Сборник дипломатических документов... с. 155.
²²⁸ „ახალი სხივი“, № 14, 1910 წ., 19 თებერვალი.



ჭირა გმირი სათარ-ხანისათვის. მაგრამ რა შეეძლოთ... ამიტომ, თეირანში ყველა ქალაქში განსაკუთრებით კი რეშთში მრავალრიცხოვანი ტინგები იმართებოდა²²⁹. თავრიზში რუსეთის ჯარის შესვლასთან ერთად, იმისათვის, რომ რევოლუციონერთა რიგებში პანიკა და არე-დარევა გამოეწვიათ, ყაზვინსა და თეირანზე მათი ლაშქრობა ჩაეშალათ, ხმებს ავრცელებდნენ, რომ რუსეთის მთავრობის მხარდაჭერით არღებილის გუბერნატორი რეშთზე გასალაშქრებლად ემზადებოდა²³⁰.

ამ ამბავმა, მართლაც, გარკვეული ზეგავლენა მოახდინა რევოლუციონერთა ნაწილზე. ზოგიერთმა მათგანმა წინადადება წამოაყენა, რომ შემდეგისათვის გადაედოთ ყაზვინზე გალაშქრება და პირველად არღებილზე მიეტანათ იერიში. მათი აზრით, არღებილზე გამარჯვების შემთხვევაში, თავრიზთან მყოფ შაჰის ჯარების მთავარსარდალ ეინ-ედ-დოვლეს არღებილის მხრიდან სურსათი შემოაკლდებოდა და იძულებული გახდებოდა თავრიზის მიდამოები მიეტოვებინა, ხოლო რეშთელი და არღებილელი რევოლუციონერები სათარ-ხანს შეუერთდებოდნენ. ცხადია, ასეთი წინადადება მიუღებელი იყო, ვინაიდან მგფის რუსეთის ჯარებმა უკვე მოახდინეს თავრიზის ოკუპაცია და სათარ-ხანთან შეერთება რევოლუციონერებს სინამდვილეში უკვე აღარ შეეძლოთ. რაც შეეხება ყაზვინზე ლაშქრობას, ეს უფრო რეალური ამბავი ჩანდა, ვინაიდან, ჯერ ერთი, რევოლუციონერთა რაზმები უკვე მიახლოებული იყვნენ ყაზვინთან და მოკლე დროში შეეძლოთ იერიში მიეტანათ ქალაქზე. მეორეც, ყაზვინის ალღებით გზა მოეჭრებოდა შაჰის მთავრობის ძალებს, რომლებიც ეინ-ედ-დოვლეს დასახმარებლად მიეშურებოდნენ. თეირანიდან თავრიზისაკენ მიმავალი გზა ხომ სწორედ ყაზვინზე გადიოდა. მესამეც, ყაზვინი იყო ყველაზე მოხერხებული პლაცდარმი თეირანზე გალაშქრებისათვის, რაც წარმატებას უზრუნველყოფდა. ამასთან ერთად, ყაზვინის ალღებით ეინ-ედ-დოვლეს ჯარები მოწყდებოდნენ თეირანს და მასთან მთავარ საკომუნიკაციო კავშირს დაკარგავდნენ. „ამიტომ იყო, რომ რევოლუციონერების საუკეთესო ძალები ისევ თეირანის გზისაკენ გაეშურა და ყაზვინზე დაცემის მზადებას შეუდგა²³¹, კვითხულობით დღეებში“.

²²⁹ Сборник дипломатических документов... с. 117; „ახალი სხივი“ № 14, 19.2.1910.

²³⁰ არღებილის გუბერნატორმა რაშიდ-ოლ-მულქმა, შაჰის მოთხოვნით, ჯერ კიდევ აპრილის დამდეგს, მართლაც, გალაშქრა რეშთზე. მაგრამ დამარცხდა და გაიქცა. შაჰსევენები რევოლუციონერებს თანაგრძნობით ეკიდებოდნენ. მეორედ მან ერთხელ კიდევ შუა აპრილში მოაწყო ლაშქრობა შაჰსევენთა ტომის 300 მოლაშქრით, მაგრამ 200 მოჯაზიმა დაამარცხა და უკუაქცია ვიდე.

²³¹ „ახალი სხივი“, № 14, 1910 წ, 19 თებერვალი.

ყაზვინში მყოფი რეაქციონერთა ძალების მეთაური ყიასი-ნიზამი ორმაგი შურისძიების გრძნობას აეტანა. იგი ხომ თავიდანვე რევოლუციონერთა მოსისხარი მტერი იყო. ამასთან მას აბოროტებდა დარევოლუციონერებისადმი სიძულვილს უძლიერებდა შვილების სისხლი, შვილებისა, რომელთაგან ერთი გილანელ, ხოლო მეორე თავრიზელ რევოლუციონერთა წინააღმდეგ ბრძოლებში დაიღუპა. თვით ყიასი-ნიზამი იმდროინდელი ირანის ერთ-ერთი უმდიდრესი რეაქციონერი ფეოდალი იყო. მისი საკუთრება და ქონება ასეულობით სოფლებით განისაზღვრებოდა. აქ იგი ფლობდა ორასამდე ქურთებით დასახლებულ სოფელს. მან შექმნა ლაშქარი, რომელშიც ძალით ერეკებოდა ქურთ გლეხებს. ყიასი-ნიზამის ლაშქარში ათასამდე კაცი შედიოდა. აქედან მან 200 კაციანი დამკვრელი რაზმი შეადგინა. მას უმცროსი შვილი ჩაუყენა სათავეში და თეირანის გზის მარჯვნივ მდებარე ამბუს მთებში²³² გაგზავნა. მათ ზურგიდან უნდა შემოეველოთ სოფელ პაჩინარში საბრძოლოდ გამზადებული რევოლუციონერების რაზმისათვის და მოულოდნელად დაერთყათ მისთვის. მისი ვარაუდით ამავდროულად შაჰის ჯარი გამოიჭრებოდა ყაზვინიდან. პირისპირ შეეყრებოდა რევოლუციონერებს და გაანადგურებდა მათ. მაგრამ ყიასი-ნიზამი, რომელიც რევოლუციონერების ძალებს და მათ საბრძოლო ტაქტიკას არ იცნობდა, ანგარიშში მოსტყუვდა. სანამ მისი შვილი თავისი უბადრუკი ბანდებით ამბუსში ჩავიდოდა, რევოლუციონერებმა წინასწარი თადარიგი დაიჭირეს. მათ დაზვერეს და გულდასმით შეისწავლეს ყველა გზა, რომელიც ამბუსში მიდიოდა. გილანელთა ერთი რაზმი ასი კაცის შემადგენლობით, რომელსაც ჰამიდი სულთანი მეთაურობდა, ამბუს მთების გამოღმა დადგა და მისასვლელი გზა დაიჭირა. მისი თხოვნით, შოაზ-ოს-სულთანმა მას საჩქაროდ გაუგზავნა ყუმბარის მტყორცნელი სამი მარჯვე ქართველი მეომარი. რევოლუციონერების დანარჩენი ძალები ასე იყო განაწილებული: სოფელ პაჩინარში ორასი გილანელით იდგა მონთაზერ-ედ-დოვლე, რომელიც სეფაჰადარის მოურავი იყო. დღიურებში მის შესახებ აღნიშნულია: „მორთაზირ-დოვლე სპარსელი ფეოდალის ნამდვილი ტიპია. ღიბგადმოგდებული, ფიქტოს ცოცხალი ხბო ჩაეყლაპოსო. ამასთან ფლიდი და მშიშარა“.

²³² ამბუს მთები ამავე სახელწოდების სოფლის სახელს ატარებს. სოფელი ამბუს მთის პროვინციის რულბარის რაიონის მარლუს თემში შედის. იგი მდებარეობს 77 კმ-ზე ლუშანის ხიდის აღმოსავლეთით და 3 კმ-ზე მბუს ხიდის ჩრდილოეთით. აქ სპარსელები ცხოვრობდნენ.

²³³ „ახალი სხივი“, № 17, 1910 წ., 23 თებერვალი. ა. ჯაფარიძე მონთაზერ-ოლ-დოვლეს შესახებ წერს: „მონთაზერ-ოლ-დოვლე მუსლიმანთა ხელმძღვანელად დაინიშნა.“



მასაც სამი ბომბმტყორცნელი ქართველი უთხოვია. „მაგრამ, რადგან მისი მოქმედების გამო, იგი და მისი მსგავსნი ყველა რევოლუციონერს სძულდა, მასთან წასვლა არაფერს ისურვა“. თეირანის გზის მარცხნივ დაახლოებით 25 კმ-ზე მდებარე სოფელ ხარზანში დაბანაკებული იყო 60 ქართველი და სომეხი ეფრემ დავიდიანცის მეთაურობით. ისინი უმთავრესად ყუმბარის მტყორცნელები იყვნენ. რევოლუციონერთა ამ რაზმებს ისეთი გზები ეჭირათ, რომ მტერს არასდროს არ შეეძლო მათთვის თავი მოეგლო საიდანმე²³⁴.

1 /14/ აპრილს ყიასი-ნიზამის შვილის ბანაკიდან ოთხი კარგად შეიარაღებული მთიელი ხანი გამოგზავნეს რევოლუციონერთა პოზიციების დასაზვერავად. მათ მიცემული ჰქონდათ მტკიცე დავალება, რათა ერთი კავკასიელი მაინც ეგდოთ ტყვედ და „მოენედ“ წაეყვანათ.

ამ დროს ცხენებზე ამხედრებული მზვერავი ხანები მენჯილისაკენ მიეშურებოდნენ. მათ ეჭვიც აღარ ეპარებოდათ, რომ მოულოდნელად ალყაში მოაქცევდნენ კავკასიელი მებრძოლების ჯგუფს. მაგრამ სამართალი შეუბრუნდათ. რევოლუციონერებმა თვით იგდეს ისინი ხელთ... „ხანებმა ხმის ამოღებაც ვერ მოასწრეს, რომ ყველას მენჯილისაკენ უკრეს თავი...“²³⁵

პანოვის გაძევების შემდეგ რეშთში მყოფმა ქართველებმა სხვა ტაქტიკა იხმარეს. მათ გადაწყვიტეს, რომ რამდენიმე ყველაზე უფრო საიმედო სომეხ და აზერბაიჯანელ მებრძოლთან ერთად ერთი მტკიცე ჯგუფი შეეკრათ და ერთად ემოქმედათ. ასე იმიტომ მოიქცნენ, რომ ზოგიერთი ადგილობრივი და კავკასიელი რაზმელი საიმედო არ გამოდგა. როდესაც ამბუს მთებში დაბანაკებულმა ჰამიდი სულთანმა რეშთიდან დამატებითი ძალების, მათ შორის ბომბმტყორცნელი ქართველების გაგზავნა ითხოვა, 2 (15) აპრილს იქ გაემგზავრა რევოლუციონერთა ჯგუფი, რომელშიც 15 ქართველი მებრძოლი შედიოდა. ისინი 6 (19) აპრილს უკვე მენჯილში იყვნენ. მათ დროებით იქ შეისვენეს. 19 აპრილი აღდგომა დღე იყო. მებრძოლებმა აღდგომის რელიგიურ დღესასწაულს რევოლუციური ელფერი მისცეს, თავისებურად დაუქავეშირეს იგი განმანთავისუფლებელი ბრძოლის თავიანთ მიზნებს და ჩაატარეს შეძახილებით: „გაუმარჯოს აღდგომას,

იგი ძლიერ მსუქანი იყო და ძლივს დაზოზინობდა“ (შეადარეთ). იხ ა. ჭაფარიძე, გვ. 94.

ხარზანი — ყაზანის შაჰრესთანის ზია აბადის ბაზმის ყაზანის დეპოსთანში შემაჯავლი სოფელი. მდებარეობს 54 კმ-ზე ზია აბადის ჩრდილოეთით, მთიანი ადგილია. მოსახლეობა სპარსულ და თურქულ ენაზე ლაპარაკობს.

²³⁴ „ახალი სხივი“, № 17, 1910 წ., 23 თებერვალი.

²³⁵ „ახალი სხივი“, № 14, 1910 წ., 19 თებერვალი.



გაუმარჯოს აღდგენილ და გამარჯვებულ ხალხს, გაუმარჯოს ყველა მოყვარეს²³⁶. მეორე დღით, 7 (20) აპრილს რევოლუციონერთა ჯგუფი, რომელშიც 12 ქართველი და 9 სპარსელი შედიოდა, სოფელ ლუიშანში მივიდა და აქედან ამბუს მთების ფერდობს შეუდგა. ამბუს „მთა ისეთი მაღალია და გაუვალი, — აღნიშნულია დღიურებში — რომ შუა ზაფხულშიც მიმოსვლა თითქმის არ არსებობს და ხშირად თიბათვეში თოვლი მოდის. ზაფხულში სოფლიდან სოფლამდე ჯორით ან ცხენით თუ შეიძლება სიარული. სხვა დროს გზები შეკრულია. რაზმი ბილიკს მიიკვლევდა და თითო-თითოდ ჩამწკრივებული წინ მიიწევდა. აფრიალებული წითელი დროშით ხელში რაზმს წინ მიუძღოდა მოლა თეთრი თავსახევით. ყველა სოფელში შესვლისას რაზმს გლეხები ეგებებოდნენ. ქალები პირახდილნი (მთიელი მცხოვრებლების ქალები თითქმის ყველა პირახდილია) მოურიდებლად გზაში, ნიშნად სტუმრობისა, ნაღვერდალს უფრქვევდნენ რაზმს ფეხქვეშ და ყველა მებაირახტრე სიხარულით იმეორებდა მოლას სიტყვებს „იასასუნ გურჯი“ და სხვა.

სამი დღის მოგზაურობის შემდეგ (1909 წლის 23 აპრილს გ. ჭ.) რაზმი შევიდა ამბუსში. იქ მყოფი რაზმი (300 კაცისაგან შემდგარი) ჩვენს დანახვაზე ორ რიგად ჩამწკრივდა. ხოლო რამდენიმე კაცი ცხენებით და წითელი დროშით რაზმისაკენ გამოქანდა. კავკასიელები გაუპირისპირდნენ ჩამწკრივებულ რაზმს. მათმა ხელმძღვანელმა სპარსელმა ალიევმა ხელი მაღლა ასწია და პირველმა წამოიძახა: „სალამ ალაიან გურჯი“ („სალამი ბატონ გურჯებს“. ეს სიტყვები ყველამ გაიმეორა). კავკასიელებმა სამაგიერო სალამი მისცეს: — „იასასუნ მასრუტაა“. კვლავ იგრიალა ხალხმა. კავკასიელებმა ჰაერში ბათქი მისცეს და გაქანდნენ ადრევე მომზადებული საფრებისაკენ, საიდანაც გადახედეს რა ვალმა მდგომ მტრის ბანაკს, თოფები ისროლეს...“

„... მტრისა და რევოლუციონერების რაზმებს მთის უმაღლესი წვერები ეჭირათ და ერთი ვერსის სიშორეზე ერთმანეთს შურიანი თვალით გაჰყურებდნენ“²³⁷. ა. ჯაფარიძე, რომელიც მოკლედ იგონებს რეშთიდან ამბუსში რევოლუციონერთა გამგზავრების ამბავს, წერს: — ჩვენ შეგვატყობინეს, რომ ყიასი-ნიზამის მესამე ვაჟიშვილი ყაზვინიდან მცირე რაზმით წამოვიდა სოფელ ამბუსში, რათა იქ ახალი ლაშქარი შეეგროვებინა და მარჯვენა ფლანგიდან გამოელაშქრა ჩვენზე, საპირო იყო ჩვენც ახალი გეგმით გვემოქმედნა. სოფელ ამბუსში წავედით მე, მეგრელები: ლუკა და აპოლონი, მიზეთ ბოვდანოვი, გურჯი სერგო (სერგო გამდლიშვილი გ. ჭ.), გორია მენაბდიშვილი, ბერძენი

²³⁶ „ახალი სხივი“, № 17, 1910 წ., 23 თებერვალი.

²³⁷ იქვე.

აბრამი და ექვსი სხვა კაცასიელი. ჩვენთან ერთად იყვნენ ავტორთა 30 მუსლიმანი ჰამიდი სულთანის მეთაურობით. სოფლის მოსახლეობაში დავიკავეთ მაღალი მთა და, ამრიგად, გზა გადავუღობეთ ყიასი-ნიზამის შვილს, რომელიც უკვე სოფელ ამბუში იდგა. სოფელსა და მთას შორის, სადაც ჩვენ დავბანაკდით, დიდი მდინარე²³⁸ ჩამოდის. ამ მდინარეზე ძველი ხიდი იყო²³⁹.

ამრიგად, ამბუში ქართველი რევოლუციონერების მისვლის შესახებ „გურჯი სერგოს“ დღიურებში დაცული და ამავე ამბავთან დაკავშირებით ა. ჯაფარიძის მოგონებები ძირითადად ერთმანეთს ეხმაურება. ა. ჯაფარიძე დამატებით გვაცნობებს იმ რევოლუციონერების ვინაობას, რომლებიც ქართველ მეზობლთა ჯგუფში შედიოდნენ. აქვე ირკვევა, რომ მათ შორის იყვნენ აღნიშნული მოგონებებისა და დღიურების ავტორებიც — ა. ჯაფარიძე და ს. გამდლიშვილი. ეს უკანასკნელი რომ, მართლაც, ქართველ მეზობლთა ჯგუფის შემადგენლობაში იყო, ეს იმითაც დასტურდება, რომ დღიურებში ავტორი ამ ამბავსაც პირველი პირით გადმოსცემს და ამბობს: „იქ მყოფი რაზმი... ჩვენს დანახვაზე ორ რიგად ჩამწყრივდაო“²⁴⁰.

12 (25) აპრილს ამბუს მთებში დაბანაკებულ რევოლუციონერთა განლაგების დასაზვერავად ყიასი-ნიზამის შვილს ერთი გლეხი გამოეგზავნა. რევოლუციონერებმა გლეხი შეიპყრეს და როცა გაიგეს, რომ იგი იძულებით იყო გამოგზავნილი და დავალებული ჰქონდა გაეგო, თუ რამდენი ქართველი იყო რაზმში, იგი უკანვე გაუშვეს და დააბარეს. „წადი, მოახსენე შენს ბატონს, რომ აქ სულ ოცი ქართველია. დანარჩენი 300 კაცი ქურთია, რომლებიც მზად არიან პასუხი გაგცენო“.

13 (26) აპრილს რევოლუციონერთა რაზმი დილიდანვე მტერზე გადამწყვეტი იერიშის მოსატანად ემზადებოდა. მდინარე ამბუზე აგებულ ხიდზე გასვლა სახიფათო იყო. ამასთან არც სხვა გზა არსებობდა, რომელიც საშუალებას მისცემდა რევოლუციონერებს, რომ მოწინააღმდეგესთან ახლო მისულიყო და ბრძოლა გაემართათ. როგორც დღიურებშია აღნიშნული, „ერთი ქართველის წინადადებით²⁴¹, რაზმი ნაგტიკების კეთებას შეუდგა. მათი საშუალებით სურდათ

²³⁸ ა. ჯაფარიძის მოგონებებში მოხსენიებული ეს მდინარე ჩვენ აღრე სეფიდ რუხად მივიჩნიეთ. მაგრამ, როგორც დღიურებიდან ირკვევა, აქ ლაპარაკი მდინარე ამბუს შესახებ ყოფილა.

²³⁹ ა. ჯაფარიძე, გვ. 95.

²⁴⁰ „ახალი სხივი“, № 17, 1910 წ., 23 თებერვალი.

²⁴¹ ა. ჯაფარიძის ცნობით, ეს „ერთი ქართველი“ დღიურების ავტორი გურჯი სერგო (სერგო გამდლიშვილი) იყო. იხ. ა. ჯაფარიძე, გვ. 95.



წყალში გასვლა და მტრისათვის მთებიდან წამოვლა²⁴². სამ სხატში მომზადებულ იქნა ნავტიკი ცხრა პატარა ტიკისაგან. შულამისას 80 შეიარაღებული მებრძოლი მთის ფერდობიდან დაეშვა და მდინარის პირას მივიდა, რათა ნავტიკით გადაეღახათ იგი. რაზმში 13 ქართველი მებრძოლი შედიოდა. დანარჩენები გილანელები და ქურთები იყვნენ. რაზმს გამოეყო 15 კაცისაგან შემდგარი ჯგუფი, რომელსაც ქართველი მებრძოლი, მეტსახელად პატარა დათიკო²⁴³ მეთაურობდა. მას დაევალა, რომ მდინარის მხარე დაეკავებინა და ცეცხლის საფარით დანარჩენებისათვის მიეცა საშუალება, რომ ნავტიკით მდინარე გადაეცურათ. ამის შემდეგ ეს ჯგუფიც გადავიდოდა მდინარეზე, იქ ჩასაფრდებოდა და მტერს გზას შეუკრავდა²⁴⁴.

გამოყოფილი მეთაურის წინამძღოლობით 65 კაცი მდინარეზე გადასასვლელი ფონის ძებნას შეუდგა. მდინარე საკმაოდ მოზრდილ და ჩქარი აღმოჩნდა. მასზე გადასვლა დიდ რისკთან იყო დაკავშირებული. ამას დაემატა ისიც, რომ როცა ტიკების ბერვას შეუდგნენ, უეცრად წამოვიდა კოკისპირული წვიმა. „სიბნელე და წვიმა ხელს უშლიდა რევოლუციონერებს. წყლის ლაპლაპი და მთებიდან მოვარდნილი ღვარცოფი, რომელსაც საშინელი ქუხილი გაჰქონდა, მათ საგონებელში აგდებდა და არ იცოდნენ რა ექნათ“²⁴⁵. წვიმა თანდათან ძლიერდებოდა. მდინარეზე გადასვლა შეუძლებელი გახდა²⁴⁶. ამიტომ გადაწყვიტეს, რომ „ჭერჭერობით თავი დაენებებინათ მტერზე მისვლისათვის და უკან დაბრუნდნენ. განუწყვეტლივ წვიმდა. კავკასიელ მებრძოლებს სალკლდეებზე ქალამნებით სიარული უძნელდებოდათ. მეორე დღეს, 14 (27) აპრილს დილის ათ საათზე ძლივს ააღწიეს ორი ვერსის სიმაღლე კლდიდან მთის ფერდობს და მთლიანად დასველებული, დაღლილ-დაქანცულები კარგებში დაბრუნდნენ.

ამბუში დაბანაკებული რევოლუციონერების საქმეს ისიც ართულებდა, რომ ამბუს მთიანეთიდან მათ ემუქრებოდა ვინმე სეიდ ნიზამი. მათ წინააღმდეგ გაიგზავნა 40 კაცი პატარა დათიკოს და არსენას მეთაურობით²⁴⁷. რაზმი სასწრაფოდ ჩავიდა სეიდ ნიზამის სოფელში.

²⁴² „ახალი სხივი“, № 17, 1910 წ., 23 თებერვალი.
²⁴³ პატარა დათიკო — დაკით სიმონის ძე კილაძე (დაიბადა 1885 წ.) ყოფილი ოზურგეთის მაზრის სოფ. მამათიდან. იხ. ან. კელენჯერიძე, გურჯები 1975, გვ. 124—126.
²⁴⁴ იქვე.
²⁴⁵ „ახალი სხივი“, № 17, 1910 წ., 23 თებერვალი.
²⁴⁶ ა. ჯაფარიძე მდინარე ამბუსზე ნავტიკით გადასვლის ჩაშლის მიზეზად ასახელებს იმას, რომ, როცა ტიკები წყალში ბაწრით ჩაუშვეს, მდინარის მძლავრმა დინებამ ბაწარი გაწყვიტა და წაიღო. იხ. ა. ჯაფარიძის, მოგონება, გვ. 96.
²⁴⁷ „ეს არსენა აგურ ექვსი წელიწადია სპარსეთში იმყოფება; რჩული გამოუცვლია და ალი-ხანს უწოდებენ. გვარად თოძია, გურული. 1909 წლის 8 დეკემბერს ის ეწველ-



სიედ ნიზამის ბანდები გააიარაღეს და აიძულეს, რომ რევოლუციონერებს შეერთებოდნენ. ხარზანში მყოფ რევოლუციონერთა რაზმთან ორი ქართველი მებრძოლი გაგზავნეს, რათა უკანიდან ამბუში მტრის ძალებს დასხმოდნენ თავს. მგრამ მათ ამისათვის არ ეცალათ, ვინაიდან სოფელ ნაქში შეტაკება მოუხდათ რეაქციონერთა ბანდებთან. რახან ხარზანელების იმედი გადაუწყდა, ამბუში მყოფმა რევოლუციონერთა რაზმმა გადაწყვიტა მარტო მიეტანა მტერზე იერიში. მაგრამ ამაზე ჰამიდი სულთანი არ ეთანხმებოდა. მას ღიღინას უნდოდა დარჩენილიყო ამბუში, რათა გამოეძალა და ეძარცვა მოსახლეობა. კავკასიელი მებრძოლები ამის წინაღობევი იყვნენ. ჰამიდი სულთანმა მათი თავიდან მოშორება სცადა და წინადადება მისცა მათ, რომ სხვა სოფელში გადასულიყვნენ. ეს კავკასიელმა მებრძოლებმა ჰამიდი სულთანის მეტისმეტ გათავხედებად მიიჩნიეს და პატარა მიშამ (პატარა მიშას სახელით ა. ჯაფარიძე იყო ცნობილი) მის მოსაკლავად გაიწია. ახლა კავკასიელმა მებრძოლებმა დამოუკიდებლად შეუტეეს მტერს. ბრძოლა მედგარი და ხანმოკლე აღმოჩნდა. მტერი დამარცხდა და გაიქცა. მან მთის სოფლებს შეაფარა თავი. რევოლუციონერთა რაზმი მტერს დაედევნა და მოსვენებას არ აძლევდა მას. მოწინააღმდეგეს გამოდევნებულმა რაზმმა ყიასი-ნიზამის ერთი სოფელი დაიკავა, იქ დაბანაკდა და გარშემო დარაჯი დააყენა. ყარაულმა ღამით სოფლისაკენ მიმავალი 10 კაცი და ქალი დააკავა. ტყვეთა შორის აღმოჩნდა ყიასი-ნიზამის უმცროსი შვილი, მოურავი და უფროსი ცოლი. „უფროსი შვილი — ჯარის ხელმძღვანელი — წისქვილში დამალულიყო. ეს პატარა ტყვე გურჯებმა თან წაიყვანეს და გასწიეს ხარზანისაკენ. უმცროსი ვაჟიშვილის ტყვეობამ, რომელიც ყველაზე საყვარელი იყო თურმე მოხუცი მშობლებისათვის, თავზარი დასცა ყიასი-ნიზამს. ის კარგად უწყოდა, რომ თუ გაბედავდა რამეს რევოლუციონერების საწინააღმდეგოს, საყვარელ შვილს ვეღარ იხილავდა. მეტი გზა არ აყო, იარაღი უნდა დაეყარა და დამორჩილებოდა რევოლუციონერებს. აი, ამ პატარა ტყვეთ ისარგებლეს რევოლუციონერებმა, რომლებმაც უდიდესი სარგებლობა მოუტანა მთელ სპარსეთს“²⁴⁸.

ამ ფაქტს ეხმაურება ა. ჯაფარიძეც. იგი წერს: „ღამით ორი მხრიდან მცველები დაეაყენეთ. ნაშუალამევს მცველებმა სროლა ატეხეს. გამოირკვა, რომ ყიასი-ნიზამის უმცროსი შვილი ყაზვინში ბრუნდებოდა ორი მხლებლით და შემთხვევით სოფელს მოადგა... ჩვენ მათ

ში რაზმელებმა დაატუსაღეს შანტაყისტობისათვის და რეშთის გუბერნატორს გადასცეს. რაზმში ყოფნის დროს პატიოსნად იქცეოდა“ (დღიურების ავტორის შენიშვნა). იხ. „ახალი სხივი“, № 17, 1910 წ., 23 თებერვალი.

²⁴⁸ იქვე.



მოსვლას დაველოდეთ და სოფელში მოსვლისთანავე დავაკავებთ ისინი. მათ შორის 6—7 მამაკაცი და ამდენივე ქალი იქნებოდა... მათგან ერთ-ერთი 14—15 წლის ყმაწვილი იყო. როცა ამ უკანასკნელის ტყვედ წაყვანა დავაპირეთ, ქალებმა შემზარავი ტირილი მორთეს. ისინი ყმაწვილს ეხვეოდნენ და არ სურდათ მისი დანებება. ჩვენ მაშინვე მივხვდით, რომ ეს ყმაწვილი ვინმე დიდებულის შვილი უნდა ყოფილიყო. მართლაც, გზაში გამოგვიტყდნენ და გვითხრეს, რომ ყიასი-ნიზამი დათმობაზე წასულიყო²⁴⁹.

ვფიქრობთ, აქ კომენტარი ზედმეტია. ორივე ავტორი — ერთი და იგივე ამბის უშუალო მონაწილე — ერთნაირი სიმართლით გადმოსცემს ყიასი-ნიზამის უმცროსი შვილის დატყვევების ფაქტს და ხაზს უსვამენ მის მნიშვნელობას შემდგომი ბრძოლების, კერძოდ კი, ყაზვინზე ლაშქრობის ბედისათვის.

ყაზვინის აღება

დადგა, ყაზვინისათვის ორთვენახევრიანი გრძელი და ძნელი ბრძოლების ბოლო ეტაპი. ამბუში მოწინააღმდეგის დამარცხებამ საშუალება მისცა რევოლუციონერებს წინ წაწეულიყვნენ და ყაზვინს მიახლოებოდნენ.

სასურააღებოა, რომ რეშითიდან ყაზვინამდე რევოლუციონერების მიერ გადახდილ საბრძოლო მოქმედების შესახებ თხრობას, რომელიც დღიურებში დაწვრილებით არის წარმოდგენილი, ვერც სპარსულ და ვერც საბჭოთა ლიტერატურასა და წყაროებში ვერ ვხვდებით. ამის შესახებ მხოლოდ გაკვრით არის ლაპარაკი ა. ქასრავის წიგნში. მან სათანადო ასახვა ვერ ჰპოვა აგრეთვე მ. ივანოვის ვრცელ მონოგრაფიაში, რომელიც ძირითადად სპარსულ წყაროებსა და რუსეთის დიპლომატიურ და საარქივო მასალებს ემყარება. ა. ქასრავს შედარებით დაწვრილებით აქვს გადმოცემული ყაზვინის აღება ერთი სპარსული წყაროს მიხედვით. ამიტომაც დღიურებში დაცულ ბრძოლების უშუალო მონაწილის ცნობებს უდაოდ არსებითი მნიშვნელობა ენიჭება, როგორც პირველწყაროს ამ ისტორიული ამბის გასაშუქებლად.

„გურჯი სერგოს“ დღიურებიდან ვგებულობთ, რომ 1909 წლის 19 აპრილს (2 მაისს), ამბუს მახლობლად ერთ-ერთ სოფელში²⁵⁰ ყიასი-ნიზამის რსხმებისა ჯანადგურების შემდეგ, რევოლუციონერთა

²⁴⁹ ა. ქაფარიძის, მოგონება, გვ. 95—96.

²⁵⁰ ა. ქასრავის მოწმობით ეს სოფელი ბარინგი თახთე უნდა იყოს. იხ. ა. ქასრაგვი, დასახ. ნაშრ., გვ. 24.



შეერთებული რაზმი სოფელ ბექენდში²⁵¹ დაბანაკდა თეირანის გზაზე. სოფელი ბექენდი მოშიშვლებულ ველზე მდებარეობს და ყაზვინიდან 30 ვერსით არის დაშორებული. აქედან კარგად მოჩანდა მწვანეში ჩაფლული ყაზვინის მიდამოები. თეირანის გზატკეცილის მარჯვნივ ყაზვინთან ახლოს მდებარე ერთ სოფელში, წინასწარი მონაცემებით, შაჰის ჯარი უნდა მდგარიყო. რევოლუციონერებმა ამ სოფელზე აიღეს გეზი. მაგრამ სოფელი დაცარიელებული დახვდათ. შაჰის ჯარს რევოლუციონერთა რაზმის მოახლოების შესახებ შეეტყო და სოფელს გაცლოდა. რევოლუციონერები უკვე უშუალოდ ყაზვინის პირისპირ იდგნენ. მაგრამ რეშთის გზით ყაზვინში შესვლა ტაქტიკურად გაუმართლებელი იყო, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ყაზვინის მცველი შაჰის ჯარები რევოლუციონერთა ძალებს სწორედ ამ გზიდან ელოდნენ, მეორეც, რეშთის გზიდან მთავარი შესასვლელის ახლოს მდებარე ქარვასლაში ჩასაფრებული იყო მასიჰ-ხანის ბანდები 7000 ყარაჯე-დაღელით. ჯერ კიდევ ცოტა ხნით ადრე მასიჰ-ხანმა რევოლუციონერებს პროვოკაციულად შესთავაზა, რომ თავისი ბანდებით შეუერთდებოდა მათ და შაჰის ჯარის წინააღმდეგ ბრძოლაში დაეხმარებოდა. მაგრამ რევოლუციონერებმა ყაზვინიდან მიღებული სარწმუნო ცნობებით იცოდნენ, რომ მასიჰ-ხანს განზრახული ჰქონდა რევოლუციონერების მოტყუება და დალატი. ამიტომ მისი შემოთავაზებული წინადადება უარყვეს. ამის შემდეგ იგი ყაზვინთან ჩასაფრდა და იშუქრებოდა²⁵².

რევოლუციონერთა მეთაურებმა გადაწყვიტეს, რომ ქალაქისათვის შემოევლათ და შეეცაიათ სამხრეთის ჭიშკარიდან, საიდანაც მოწინააღმდეგე მათ გამოჩენას არ ელოდა. გილანელ და ამიერკავკასიელ მებრძოლებს მჭიდრო კავშირი ჰქონდათ დამყარებული თავრიზში მოქმედ საიდუმლო რევოლუციურ ორგანიზაციებთან. მათი საშუალებით მიიღეს საიმედო ცნობები მოწინააღმდეგის ძალების, მათი შეიარაღებისა და განლაგების შესახებ. ა. ქასრაგი წერს, რომ რევოლუციონერებმა ყაზვინის მიმართულეებით მოპოვებული გამარჯვებების შემდეგ „ხელთ იგდეს ქალაქ ყაზვინის მისადგომები და მთავრობის ჯარს მეტი აღარაფერი დარჩენოდა ვარდა იმისა, რომ როგორმე საკუთრივ ქალაქი დაეცვა. ამ დროისათვის თეირანში და ირანის ყველა დიდ ქალაქში რევოლუციური ენჯუმენები აღადგინეს. ამავე დროს ერთი ჯგუფი საიდუმლო საქმიანობას ყაზვინშიც ეწეოდა. ჩვენ ვიც-

²⁵¹ ბექენდი ყაზვინის პროვინციის სიაჰ აბადის პროვინციის სოფელია. იგი სიაჰ აბადის ჩრდილოეთით 42 კმ-ზე მდებარეობს. სოფელში აზერბაიჯანლები და სპარსელები ცხოვრობენ.

²⁵² „ახალი სხივი“, № 17, 1910 წ., 23 თებერვალი.



ნობთ ამ ჯგუფის აქტიურ წევრებს: მირზა აბუ თარაბ-ხან ასად-ლ-სულთანს, მირზა ყათარ-ხან სალარ მანსურს, მუსთაფა-ხან ხურამან-თის და კიდევ ზოგიერთ სხვებს. გარდა ამისა სტამბოლში მყოფმა ირანელებმა ირანელ აჯანყებულებზე დახმარების გასაწევად „საადა-თის („ბედნიერება“) საიდუმლო ენჯუმენი დააარსეს. სხვადასხვა ქალაქებში ამ ენჯუმენისათვის წარმომადგენლები ჰყავდათ არჩეული. ენჯუმენის წარმომადგენელი ყაზვინში ჰაჯ ადიაბ-ოლთაჯარი იყო. მათ ახლო ურთიერთობა ჰქონდათ დამყარებული გილანელ აჯანყებულებთან. ისინი ქალაქის ფარგლებში მოღვაწეობდნენ²⁵³.

14 ორდებეჰეშითი (1909 წლის 4 მაისი) ირანის მონარქის მოპამედ ალი შაჰის დაბადების დღე იყო. ამ დღეს თეირანსა და სხვა ქალაქებში, მათ შორის ყაზვინშიც, ფეოდალური არისტოკრატიის წრეებში და სახელმწიფო დიდ მოხელეთა დასში საზეიმო ვითარებაში აღნიშნავდნენ შაჰის დაბადების წლისთავს. სწორედ ეს დღე იქნა შერჩეული ყაზვინზე თავდასხმისათვის. რევოლუციონერების მიერ ყაზვინის აღების ამბავი — წერს ა. ქასრაფი — აღწერილია ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს „ცისფერ წიგნში“, სხვა გაზეთებში და წიგნებში და მათში სხვადასხვა ურთიერთ საწინააღმდეგო მოსაზრებები არის გამოთქმული. ა. ქასრაფის ისინი არცერთი სარწმუნოდ არ მიაჩნია. იგი უფრო სანდოდ მიიჩნევს ყაზვინის განთავისუფლებისათვის ერთ-ერთი მებრძოლის ჰასან ფირინიას (მირზა ჰოსეინ ხიათ ფიშინი) მოგონებას ამ ბრძოლის შესახებ და მოაქვს ამონაწერი ამ მოგონებიდან:

1327 წლის 14 რაბი ოსლანის²⁵⁴ (1909 წ. 4 მაისი) ღამის პირველ საათსა და 30 წუთზე, იმ დროს, როცა ქალაქის სამმართველოსა და მთავრობის ჯარებში ზეიმი დაიწყო, უეცრად აჯანყებულთა ბომბების აფეთქებისა და თოფის სროლის ხმა გაისმა. ამას ზედ ერთვოდა შეძახილები „გაუმარჯოს თავისუფლებას“, „გაუმარჯოს კონსტიტუციას“, რაც ქალაქის ყველა კუთხეს მოედო. ამ დროს ყაზვინში მყოფი თავისუფლებისათვის მებრძოლები მოსულ განმათავისუფლებლებს შეუერთდნენ და ქალაქის ყველა მნიშვნელოვან ადგილს დაეუფლნენ. ბატონი ეფრემის ჯგუფი ჰოსეინ შაჰზადეს კარებისაკენ გაემართა (ეს კარები ქალაქის სამხრეთით მდებარეობს). იგი ქალაქში თოფის სროლით შეიჭრა და „ალიყაფუს“²⁵⁵ შენობაზე მიიტანა იერიში.

მოჯაჰიდების ბომბებისა და თოფის სროლის ხმის გაგონებაზე მოზეიმე წარმომადგენელთა ბანაკი ფეხზე დადგა და შიშმა და ძრწო-

²⁵³ ა. ქასრაფი, დასახ. ნაშრ., გვ. 24.

²⁵⁴ რაბი ოსლანი — მუსლიმანური მთვარის წლის მე-4 თვის სახელწოდება.

²⁵⁵ ალი ყაფუ — გადმოქართული ალაყაფი — აზერბაიჯანულია და დიდ მთავარ კარებს, კიშკარს ნიშნავს.

ლამ მოიცვა. წვეულებაზე მოსულები, რომლებიც ყველანი მაღალი წრის წევრები იყვნენ, თავქუდმოგლეჯით გაიქცნენ. ყარაჯიღებმა მხედრებმა „ალი ყაფუ“ გაამაგრეს და თავდაცვაზე გადავიდნენ. ერთი სიტყვით, იმ ღამეს დილაშე ქალაქის ყველა კუთხეში გაფთვებული ბრძოლა იყო და თოფების ჯახჯახი ტირანების გულს აზანზარებდა. დილის ასანის (ლოცვის) დროს მირზა ალი-ხან მონთასერ-ოდ დოვლეს მოჯაჰიდები მოსიპ-ხან ქაქავანდელის ძალებთან მცირე შეტაკების შემდეგ რეშთის კიშკარიდან ქალაქში შევიდნენ. „ალი ყაფუს“ შენობაში, რომელიც გუბერნატორის მოხელეებს ეჭირათ, ყარაჯიღელთა ფეხოსნებისა და მხედრების მეთაურები ალყაშემორტყმული აღმოჩნდნენ. მზის ამოსვლიდან ორი საათის გასვლის შემდეგ გუბერნატორის მოვალეობის შემსრულებელი ამირ თუმანი²⁵⁶ დაატყვევეს. ყარაჯიღელები დამარცხდნენ და იარაღი დაჰყარეს. შუადღისას სიწყნარე ჩამოვარდა. მოჯაჰიდები, რომლებიც რეშთის გზით მოემართებოდნენ, ქალაქში ჯგუფ-ჯგუფად შედიოდნენ წითელი დროშებით. ქალაქის მაღალ ადგილებში ბინა დაიდეს რევოლუციის ისეთმა ბელადებმა, როგორც იყვნენ სარდარ მოჰი, მონთასერ-ოდ დოვლე, მირზა ალი მოჰამად-ხან თავრიზელი, მირზა მეჰდი-ხან თაბიბ ზადე, მირზა ალი აჰმარ-ხან აზიმ ზადე და ჰაჯ აჰმად თარაქი.

ამ ბრძოლებში მოკლეს მოსული (ანუ ამიერკავკასიელი) მოჯაჰიდებიდან ორი სომეხი და ერთი მუსლიმანი, ხოლო ყაზვინელი მოჯაჰიდებიდან ერთი მუსლიმანი (მეჰდი-ხანი). ოცდაორი კაცი დაიჭრა. მაგრამ მოკლულები მთავრობის მომხრეთა შორის ბევრი იყო. ჰაჯ მირზა მასუდმა მასიპ-ხანისადმი გაგზავნილი წერილით შეიხ ულ ისლამი (მუსლიმანური რელიგიის უმაღლესი პირი) თავისთან მოიწვია და საკუთარ ბინაზე მოკლა. ყასემ-ხანს და სომხური ბალის უფროსს ჩაშუშობაში დასდეს ბრალი და ისინი ალიყაფუს წინ დახვრიტეს.

1909 წლის 5 მაისს, დღისით ქალაქის ყველა მცხოვრები ულემები — (რელიგიურ კანონთა უმაღლესი მცოდნენი), სასულიერო სასწავლებლების მოსწავლეები, მაღალი წრის წარმომადგენლები, წვრილი ხელოსნები, ვაჭრები და მოჯაჰიდები — მთავრობის ხიაბანზე (ქუჩა) შეიკრიბნენ დაღუპულთა გასაცილებლად და მათი ცხედრები დიდი პატივით წაასვენეს შაჰზადე ჰოსეინის და სომხების სკოლის მხარეს²⁵⁷.

ეს არის და ეს. სპარსულ ენაზე სხვა დაწვრილებითი ცნობა კავკასიელი და გილანელი რევოლუციონერების მიერ ყაზვინის ალების თაობაზე ჭერჯერობით მიკვლეული არ არის. ამიტომ ქვემოთ მოგვაქვს

²⁵⁶ ა. ქასრაეის ცნობით, ეს ამირ თუმანი მონაწილეობდა აზაკების მიერ მეჯლისის დაბომბვაში 1908 წლის 23 ივნისს.

²⁵⁷ ა. ქასრაეი, დასახ. ნაშრ., გვ. 24—25.

„გურჯი სერგოს“ დღიურებში ამ ისტორიული ამბის აღწერის მინაარსი, რომელიც აზუსტებს ბრძოლების მსვლელობას და შედეგებით ფართოდ წარმოგვიდგენს მას.

1909 წლის 4 მაისს, საღამოს კარგად შებინდებული იყო, როდესაც რევოლუციონერთა რაზმმა ყაზვინში შემავალი რეშთის გზიდან მარჯვნივ გადაუხვია და მინდორ-მინდორ ცხენების ჰენებით შემოურბინა ყაზვინს თეირანის გზის მხრიდან. ცოტა შესვენების შემდეგ იგი თეირანის ჰიშკარიდან „იამასუნ მამრუტას“ ძახილით და თოფებისა და ბომბების სროლით მოულოდნელად შეიჭრა ქალაქში. რაზმმა პირველი იერიში დარხანზე (გუბერნატორის სასახლე) მიიტანა. მოწინააღმდეგე გააფრთხულ წინააღმდეგობას უწევდა. სასახლის წინ ჩასაფრებულმა სარბაზებმა სასახლეში მყოფი ჯარის ცეცხლის საფარქვეშ თავი დააღწიეს რევოლუციონერების ალყას. სასახლეში შეცვივდნენ, კარები მაგრად ჩაკეტეს და იქიდან უწყევდნენ წინააღმდეგობას. კარებთან მისვლა შეუძლებელი იყო, ვინაიდან ბოძებზე ჩამოკიდებული ნავთის ნათურებით მისასვლელი კარგად იყო განათებული და ყველაფერი როგორც ხელისგულზე ისე ჩანდა. რევოლუციონერებმა სასახლის გარეთ სარბაზების მიტოვებული კარვები, ხალიჩები და სხვა, რისი დაწვაც კი შეიძლებოდა კარებთან მიათრიეს, ნავთი დაასხეს და ცეცხლი წაუკიდეს.²⁵⁸ ხუთი საათის განმავლობაში ნელ-ნელა იწვოდა მთავარი შესასვლელი კარები. „ახლა კი შეცვივდნენ რევოლუციონერები სასახლის ალყაფის კარებში. გაიფანტნენ, ამოეფარნენ კედლებს და ბრძოლაც ვაჩაღდა. ეფრემი, პატარა მიშა, (ა. ჯაფარიძე, გ. ჭ.) აბრამა და რამდენიმე საუკეთესო მებრძოლი სასახლიდან გაექანენ რეშთის გზისაკენ, გავიდნენ ალყაფის კარებში და ქარვასლაში ჩასაფრებულ მასიპ-ხანს გაუმართეს ბრძოლა. ისედაც მცირე რაზმი (90 კაცი) აქეთ-იქით გაიფანტა. იმ დროს, როცა მათი ამხანაგები იბრძოდნენ და სისხლს ღვრიდნენ, ბევრი ლაჩარი დუქნებში მიძალუღიყო და შორიდან უცქეროდა ამ ამბავს. კარგა ხნის ბრძოლის შემდეგ დაიჭრა საშა (იოსებ—ტაცო) ცქიმანაური. „მიშველეთ ძმებო!“—დაიძახა. იქვე ახლოს მტრის ცეცხლში გახვეული ილიკო მივარდა ძას, წელში ჩაებლაუჭა და ისე გზის პირას რუსაკენ მიათრევედა. ამ დროს

²⁵⁸ კავკასიელი რევოლუციონერები ბრძოლაში არაფერ იყენებდნენ ხანძრის გაჩენის ტაქტიკას. როგორც გვახსოვს, ეს მეთოდი გამოიყენეს მათ რეშთის გუბერნატორის სასახლის აღების დროსაც. აი, რას წერს ა. ჯაფარიძე ყაზვინში გუბერნატორის სასახლის მთავარი კარების დაწვის შესახებ: „ქუჩაში ყველა ლამპა ჩაეაქრეთ. დარხანის კარებთან მივედით და შეეჩერდით. კარები სქელი ხისაგან იყო გაკეთებული. ბოძებიდან ნავთის ლაპები ჩამოვხსენით, ნავთი კარებს გადავასხით და ცეცხლი წაუვუკიდეთ“. ა. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, გვ. 96, იხ. აგრეთვე, „ახალი სხივი“, № 17, 1910 წ., 23 თებერვალი.



ილიკოსაც მოხვდა შიგ შუბლში ტყვია და უგრძობლად დაეცა წაზე.

...სასახლეში მყოფ ჯარს ეზო ვირებით აევსო, რათა თვითონ ტყვიები აეცილებინათ. იგრიალა ყუმბარამ. მთელი სასახლე შეიძრა და სროლამაც იკლო. მალე მოისმა ბუკის ღმუთილი.... ჯარი სასახლიდან ეზოში გამოფარდა და იერიშის მოტანას ლამობდა. „მაუზერი“ — დაიძახა აქესენტიმ და შეიღმა კაცმა შეუწყვეტელი სროლა დაიწყო მაუზერიდან. ტყვია უბრალოდ არ იკარგებოდა. თავგზააბნეული სარბაზები ერთმანეთზე ცვიოდნენ ძირს. ჯარი ისევ სასახლეში შეეარდა და კვლავ ორივე მხრიდან თოფის სროლა გაჩაღდა.

ალაყაფის კარის ზედა სართულში მარტოდმარტო მყოფმა გიგომ²⁵⁹ ორი თოფი გამოიცვალა. მას ორჯერ ზარბაზნიდანაც ესროლეს. სარბაზებს აკვირვებდათ გიგოს მოქმედება. მათ ეგონათ ტყვია ხვდებოდა მას, მაგრამ რაღაც მიზეზით არ კვდებოდა. „შაითან“ — უყვიროდნენ მას.

გიგოს ვაზნები სულ ერთიანად გამოეღია. უკანასკნელი ყუმბარაც გადაუშვა სასახლისაკენ, მოუბრუნდა ქვედა სართულში მყოფ ამხანაგებს და ღიმილით ჩამოსძახა: „მე ვკვდები, ამხანაგებო, მაგრამ იმ იმედით, რომ ჩემი სიკვდილით ჩემივე ძმები ბედნიერებას ნახავენ. იყავით კარგად, მშვიდობით“. — „ნუ გეშინია. ჩვენ ზალპს მივცემთ და შენ ამ დროს ჩამოხტი ჩვენთან“ — იყო პასუხი და შეიღმა კაცმა მაუზერებიდან ზალპი მისცა. ამით ისარგებლა გიგომ, ისკუბა და ამხანაგებთან ჩამოხტა. კვლავ ჩაიგდო გიგომ თოფი ხელში და უფრო გაჩაღდა ბრძოლა... მალე ალაყაფის კარებში გულში დაჭრეს აბრამა ბერძენი, რომელიც იქვე დაეცა და პირიდან სისხლმა ამოხეთქა. მოკლეს სპარსელი ფიდაი, მოკლეს სომეხი. მოსი-ხანის (იგივე მასიჰ-ხანი გ. ჭ.) მოპირდაპირე რაზმიც ცუდ დღეში იყო. ის ტიტველა მინდორზე იყო გაფანტული და სქელკედლიან ქარვასლაში ჩასაფრებული ყარაულებს თავდავიწყებით ებრძოდა. ყუმბარებისა და ზარბაზანების გრიალი, განუწყვეტელი ბრძოლა მთელ ქალაქში და ხალხის ყრიაშული — ყველაფერი ერთმანეთში ირეოდა. ამგვარ ყოფაში ყუმბარას აქეს მნიშვნელობა. რაზმელებში კარგად ცნობილი მიშა კარგად ხედავდა ამას და ცეცხლში გახვეული გაექანა წინ სასახლისაკენ ყუმბარის სასროლად. მაგრამ მკლავში მიძიმედ დაიჭრა და გზაში ჩაიკეცა²⁶⁰. ფეხში დაჭრეს დროშაკელი ვართანა.

²⁵⁹ საყურადღებოა, რომ ა. ქასრაყის წიგნის „აზერბაიჯანის თვრამეტწლიანი ისტორია“ 214 გვერდზე დაბეჭდილ ფოტოსურათზე სხვა ქართველ მემორებთან ერთადეს გიგო გურჯიცი არის აღბეჭდილი.

²⁶⁰ აქ მოხსენიებული „კარგად ცნობილი მიშა“ იგივე პატარა მიშა აპოლონ გლახის ძე ჯაფარიძეა. ყაზენში თავისი დაჭრის ამბავს ა. ჯაფარიძე ასე იგონებს:



გათენდა და ბრწყინვალე მზემ უხვად მოჰფინა არემარეს სხივებში. რევოლუციონერები თავისას განაგრძობდნენ. ერთხელ კიდევ მიიტანეს. ყარაბაღელებზე იერიში და ძალმიხდელი მოსი-ხანი დილის რვა საათზე დამორჩილდა რევოლუციონერებს. მოსი-ხანი დააპატიმრეს. რაზმს იარაღი აპყარეს და გაუშვეს. მოსი-ხანზე რევოლუციონერების გამარჯვების შემდეგ ისინი ყოყინით გაქანდნენ სასახლისაკენ. ყველა გარს შემოერტყა... სასახლეს, კედლები უმაღლ ამოხვრიტეს თოფის გასაყოფად. ყუმბარების მსროლელები ზედ კედელზე აცვივდნენ და საშინელი ბრძოლა გაჩაღდა... მოატანა შუადღემ. რამდენჯერმე წინადადება მისცეს შაჰის ჯარს დაეყარა იარაღი, მაგრამ ამაოდ. ყუმბარების გრიალმა და მრავალი დაჭრილ-დახოცილის დაკარგვამ ჯარი აიძულა შუადღის ორ საათზე დამორჩილებოდა. რევოლუციონერები შეცვივდნენ ეზოში, ზოგი ორი საყენის კედლიდან ჩამოხტა იქ და ჯარს იარაღი მოსთხოვეს. ყველა ევედრებოდა მათ ეპატიებინათ დანაშაული და სიცოცხლე ეჩუქებინათ. ამრიგად, ოთხასმა კაცმა იარაღი დაპყარა. რევოლუციონერებმა სასახლეში შეიპყრეს ყაზვინის მოხუცი გუბერნატორი. ხელთ იგდეს 4 ზარბაზანი, 700 სხვადასხვა სისტემის თოფი მრავალი ვაზნით, სამი საჯარისო დროშა და ვინ მოთვლის კიდევ რა...“²⁶¹

ყაზვინისათვის ბრძოლის მოკლე აღწერა აქვს „რუსსკოე სლოვოს“ კორესპონდენტ მ. კრინსკის, რომლის წერილი ამ გაზეთში გამოქვეყნდა ყაზვინის აღებიდან ერთ თვეზე მეტი ხნის შემდეგ. მ. კრინსკი ყაზვინის აღების დროს თეირანში იმყოფებოდა. მან სხვისი მონათხრობის მიხედვით შეადგინა წერილი „ყაზვინში“. მისი შინაარსი ძირითადად ემთხვევა „გურჯს სერგოს“ დღიურებში აღწერილ ამბებს²⁶².

დღიურებში ლაპარაკია გილანელი „ბელადი ხანების“ ყაზვინის აღებაში „მონაწილეობის“ შესახებ. იმ დროს, როდესაც კავკასიელი მებრძოლები ყაზვინში შეიჭრნენ, გილანელთა მეთაური მონთაზერ-ედ-დოვლე ისევ სოფელ პაჩინარში იდგა თავისი 200 კაციანი რაზ-

ქარავეან სარაისტან (ქარავასლანთან გ. ჯ.) როცა მივედი, მხედრებმა ძლიერი სროლა აგოტებეს. ჩვენც გაუმართეთ საპასუხო სროლა. თანაც რამდენიმე ბომბი ვტყორცნეთ. მოწინააღმდეგე ალყაში მოვაქციეთ. უკანა მხრიდან მოეუარე და ორი ბომბი შევაგდე ეზოში. მერე სახლთან სულ ახლოს მივედი და როცა ბომბზე ფისტონის დაღებას ვაპირებდი, მარჯვენა ხელში მომხვდა ტყვია. ბომბი ხელიდან გამივარდა ისე, რომ ფისტონის დაღება ვერ მოვასწარი. ტყვია მეორე მხარეს გავიდა. სისხლმა იფეთქა და მალე უგრძობლად დავეცი. გონზე მაშინ მოვედი, როცა საკაცით მიყვავდი ადგილობრივ მეცხოვრებლებს მიხილ ბოგდანოვის დაცვის ქვეშ. იხ. ა. ჯაფარიძის მოგონება, გვ. 97.

²⁶¹ „ახალი სხივი“, №17, 24, 1910 წ. 23 თებერვალი და 4 მარტი.

²⁶² «Русское слово», № 123, 31 мая (13 июня) 1909 года.

მით და ყალიონს აბოლებდა. იმ შემთხვევაში, თუ რევოლუციონერები დამარცხდებოდნენ, წერს დღიურების ავტორი, ის ამიტომ არ უნდა კარგავდა. როდესაც გაიგო, რომ გამარჯვების სასწორი ყაზვინში კავკასიელი რევოლუციონერების მხარეზე გადაიხარა, იგი წინ გაუძღვა გილანელთა რაზმს და „იასასუნ მონთაზერ-ედ-დოვლეს“ ძახილით ყაზვინში შევიდა. ქალაქში შესვლისთანავე ხელი მიჰყო მოსახლეობის შევიწროება-გამოძალვას. ამ საქმეში მას ტოლს არ უდებდა მისი შვილი ალაიარ-ხანი, რომელიც ადრე პეტერბურგში ვაჟთა კორპუსში სწავლობდა და რუსული კარგად იცოდა. ქრთამის აღებასა და გამოძალვას არ ერიდებოდა თვით „გამოჩენილი ქრისტიანი ბელადი“ ეფრემ ხანიც. მან მასიპ-ხანისაგან 12 ათასი თუმანი თათრული ფული ჩაიჯობა და სიცოცხლე შეუნარჩუნა მას. ასევე ძარცვა-გლეჯასა და ქურდობას ეწეოდნენ მოაზ-ოს-სულთანის ძმა მუთიბი-ოს-სულთანი, მირზა ალი-ხანი, სალარ ფაჯი და სხვები. ისინი თავისი უღირსი საქციელით სახელს უტეხავდნენ ჭეშმარიტ რევოლუციონერებს და ჩრდილს აყენებდნენ მათ კეთილშობილურ საქმეს.

ამ ფაქტს ადასტურებს მ. კრინსკიც. იგი წერს, რომ ყაზვინში თავდაპირველად შეჭრილი 80-მდე რევოლუციონერს შორის „ნახევარზე მეტს შეადგენდნენ კავკასიელები — სომხები და ქართველები. იმავე დღეს სპარსელებსა და კავკასიელებს შორის მოხდა კონფლიქტი, რომელიც კინალამ მუშტი-კრივით დამთავრდა. შეიხის დახვრეტის შემდეგ (ლაპარაკია ყაზვინელი რეაქციონერი მდიდარი შეიხის შესახებ, რომელიც რევოლუციონერებმა დახვრიტეს. გ. ჯ.) მისი სახლიდან გამოიტანეს 2 ბათმანი (16 გირვანქა) მარგალიტი, დაახლოებით ორასი თუმანი ფული და ბევრი ძვირფასი სპარსული ხალიჩა. როგორც გამოიკვია, ყველაფერი ეს სპარსელებმა (ხანები. გ. ჯ.) დაიტაცეს. მათმა მაროდერობამ კავკასიელები აღაშფოთა და პროტესტი განაცხადეს. მხოლოდ ეფრემის ჩარევის მეოხებით საქმე უსისხლოდ დასრულდა. დატაცებული ქონება კი უკან არავის დაუბრუნებია“²⁶³.

24 აპრილს (7 მაისს) დასაფლავეს ბრძოლაში დაღუპული რევოლუციონერები, მათ შორის იოსებ კეიმახანური. ისინი დიდი პატივით მიაბარეს მიწას. 25 აპრილს (8 მაისს) შეიპყრეს და ეფრემას ბრძანებით დახვრიტეს კაზაკთა გენერალი²⁶⁴ და ერთი სომეხი, რომელმაც ჯაშუშობა ბრალდებოდათ.

ამრიგად, ყაზვინისათვის ბრძოლა რევოლუციონერთა გამარჯვე-

²⁶³ «Русское слово», № 123, 31 мая (13 июня) 1909 года.

²⁶⁴ ეს მირზა ჰოსეინ ხათ ფიშინის მოგონებაში მოხსენიებული ყასემ ხან ამირ თუმანი უნდა იყოს.

შით დამთავრდა. დღიურების ავტორის მოწმობით, ბრძოლაში დაიღუპა 4 რევოლუციონერი და დაიჭრა 18. შაჰის ჯარს და მასიჰ-ხანის ყარაჯღაღღებს მოუკლეს 120-მდე და დაუჭრეს 200-მდე მეომარი²⁶⁵.

ყაზვინის აღებისთანავე ქალაქში აღდგენილ იქნა ენჯუმენი და სხვა რევოლუციური დაწესებულებები, რომლებშიც „ჩვეულებისამებრ მოლები და ბელადი ხანების ნათესავეები შევიდნენ“. გამოიცა გაზეთ „ენჯელაბი“-ს („რევოლუცია“) პირველი ნომერი. გატარებულ იქნა აგრეთვე ზოგიერთი სხვა ანტიფეოდალური, პროგრესული ღონისძიება ყაზვინელი პოლიტიკური მოღვაწისა და დემოკრატის მირზა ალი მოჰამედის ინიციატივით. ენჯუმენმა განკარგულება გასცა, რათა აეკრძალათ და მთავრობის სატუსალოებიდან გამოეტანათ ფიზიკური დასჯის ისეთი საშუალებანი, როგორიცაა ბორკილები, მორები („ჩუბ ვა ფალაყ“, რომელშიც ფეხებს აყოფინებდნენ პატიმრებს, თავდაღმა ჰკიდებდნენ და სცემდნენ), როზგები და სხვა. ენჯუმენმა ფიზიკური დასჯის წინააღმდეგ მოაწყო საპროტესტო მიტინგი, რომლის დროსაც საჯაროდ იქნა განადგურებული ბარბაროსული ფიზიკური დასჯის ეს იარაღები²⁶⁶.

მოჰამად ვალი-ხან სეფაჰდარი, რომელიც ჯერ კიდევ 10 თებერვალს თანაქობენიდან რეშთში მოიწვიეს აჯანყებულთა საერთო ხელმძღვანელობისათვის, მთელი ამ ხნის მანძილზე რეშთიდან არ გამოსულა. იმის შემდეგ, რაც რევოლუციონერების მიერ ყაზვინის განთავისუფლების ამბავი შეიტყო, იგი ყაზვინს ეწვია. ბელადმა ხანებმა მას საზეიმო შეხვედრა მოუწყვეს²⁶⁷.

ყაზვინის აღების შემდეგ მთელი გზა ენზელიდან ქარაჯამდე²⁶⁸ რევოლუციონერების სრულ კონტროლს ექვემდებარებოდა. ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა ერთი ასეთი ფაქტი: რუსეთის ქვეშევრდომი მეეტლე ორი კავკასიელი რუსეთის თეირანის მისიის კანცელარიაში გამოცხადდა. მათ ბაქოში წამოსვლისათვის საჭირო საშვის მიცემა ითხოვეს ენზელი—თეირანის გზაზე შაჰის მოხელეებისათვის წარსადგენად. მათ აღნიშნეს, რომ ეს საბუთი — მხოლოდ ქარაჯის სადგურამდე (50 ვერსზე თეირანიდან) ესაჭიროებოდათ. ამის შემდეგ მათ უკვე აღარაფერი ედარღებოდათ, ვინაიდან, მათი თქმით,

²⁶⁵ ა. ქასრაჯთან ეს მონაცემები რამდენადმე შემცირებულია.

²⁶⁶ «Русское слово», № 127, 5 (18) июня 1909 года.

²⁶⁷ იხ. ა. ქასრაჯი, დასახ. ნაშრ., გვ. 14.

²⁶⁸ ქარაჯი—პატარა ქალაქია თეირან—ყაზვინის გზატკეცილზე. მდებარეობს 39 კმ-ზე თეირანის დასავლეთით და 101 კმ-ზე ყაზვინის აღმოსავლეთით. ქალაქი გაშენებულია იმავე სახელწოდების მდინარის ფერდობ ნაპირზე. ძირითადად სპარსელები ცხოვრობენ.



„იქ, თვით რეშთამდე, ჩვენი თანამემამულენი დგანან. როცა მიღობ-
ხარ, თავს ისე გრძნობ თითქოს კავკასიაში ხარ“²⁶⁹.

კავკასიელი და გილანელი რევოლუციონერების მიერ ყაზვინის აღე-
ბის ამბავი თეირანში რომ გაიგეს, სასახლის არისტოკრატია განუ-
ზომელმა შიშმა შეიპყრო. ყაზვინის აღების დღეს მოჰამად ალი შაჰს
ჯარების პარადი ჰქონდა დანიშნული. საზეიმო ცერემონიალზე მას-
თან სტუმრად იყვნენ ევროპის ქვეყნების დიპლომატიური წარმომად-
გენლები და სახელმწიფოს მაღალი თანამდებობის პირები — მი-
ნისტრები, გუბერნატორები და სხვა დიდმოხელენი. საზეიმო გან-
წყობილება ერთბაშად მწუხარებამ შეცვალა. სასახლის რეაქციულ
ენჯუმენს, რომელიც სახალხო-რევოლუციური ენჯუმენების დასაბი-
რისპირებლად, მათი ნეიტრალიზაციის მიზნით იყო შექმნილი, ციებ-
ცხელება შეეყარა. ყაზვინი თეირანის კარიბჭედ ითვლებოდა და
ყველა გრძნობდა, რომ აჯანყებულები მალე აქეთ გამოემართებოდნენ.
ამიტომ იყო, რომ ამ ამბის თავიდან ასაცილებლად ყველა ღონე
იხმარეს²⁷⁰. შაჰი საჭიროდ თვლიდა გაეთაშა რევოლუციური ძალები
და უთანხმოება ჩამოეგდო მათ შორის. ამ მიზნით მან გილანისა
და მაზანდარანის მმართველად სასწრაფოდ დანიშნა სეფაჰდარი²⁷¹.
ყაზვინში სეფაჰდართან შუამავლად გაგზავნეს ინგლისისა და მეფის-
რუსეთის წარმომადგენლები, რათა ზეგავლენა მოეხდინათ მასზე,
რომ თავისი მოჯაჰიდებით რეშთში დაბრუნებულიყო. ამასთან, ყაზ-
ვინში მოვიდა მოჰამედ-ალი შაჰის ტელეგრამა, რომელშიც ხალხს
აღუთქვამდა კონსტიტუციის დაცვასა და მეჯლისის ახალი საარჩევ-
ნო კანონის შემოღებას. სეფაჰდარმა, რომელსაც გარკვეული სიმპა-
თია ჰქონდა რეაქციისა და მონარქიისადმი, დაუფარავი სიხარულით
გააცნო მოჯაჰიდებს შაჰის ტელეგრამის შინაარსი და ბრძანა ქალაქი
საზეიმოდ მოერთოთ, მაგრამ კონსტიტუციისა და თავისუფლებისა-
თვის მებრძოლებმა უკვე კარგად იცოდნენ შაჰის ამგვარი დაპირე-
ბების ფასი და მიზანი. მათ სეფაჰდარის განზრახვის წინააღმდეგ
საიდუმლო თათბირი მოაწყვეს და მოითხოვეს, რომ იგი არ დათან-
ხმებულიყო შაჰის შემოთავაზებულ წინადადებაზე. თავისუფლები-
სათვის მებრძოლებმა ალყა შემოარტყეს სეფაჰდარის კარავს და
კატეგორიული უარი განუცხადეს მას რეშთში დაბრუნებაზე. ასე
ჩამოვარდა უთანხმოება მოჯაჰიდებსა და სეფაჰდარს შორის. ეს ცნო-
ბა მოტანილია ა. ქასრავის მიერ სპარსელი ჰასან ფირნიას (მირზა ჰო-
სეინ ხიათ ფიშინის) მოგონების მიხედვით²⁷².

²⁶⁹ Сборник дипломатических документов... с. 192.

²⁷⁰ ა. ქასრავი, დასახ. ნაშრ., გვ. 26

²⁷¹ Blue book, Persia, № 1, 1910, p. 42.

²⁷² ა. ქასრავი, დასახ. ნაშრ., გვ. 26.



რევოლუციონერებსა და სეფაპდარს შორის ჩამოვარდნილ უთანხმოების ფაქტი ცნობილი იყო თეირანში აკრედიტებული რუსეთის მისიისათვის. ამასთან დაკავშირებით. 1909 წლის 24 აპრილს (7 მაისს) ირანში რუსეთის საქმეთა რწმუნებული პეტერბურგში გაგზავნილ დეპეშაში წერდა: „შტრიტერის მიერ გამოგზავნილ მოხსენებაში აღნიშნულია, რომ სეფაპდარი დამფრთხალია კავკასიიდან მოსული რევოლუციური ელემენტების მიერ. ისინი როგორც ჩანს, მის კონტროლს არ ემორჩილებიან. არის საფუძველი ვიფიქროთ, რომ რევოლუციონერთა რაზმი, რომელმაც ყაზვინი დაიკავა, უმთავრესად იმ კავკასიელებისაგან შედგება, რომლებიც სეფაპდარს აღარაფერს უჭერებენ“²⁷³.

მდგომარეობის გამოსასწორებლად და ქვეყანაში სიმშვიდის დასამყარებლად კოლონიზატორები ურჩევდნენ შაჰს, რათა გამოეყვეყნებინა ბრძანებულება, რომელშიც განაცხადებდა, რომ ხალხისათვის ყველაზე საძულველი რეაქციონერები საღრ-აზამი და სეფაპსალარი დათხოვილ იქნებოდნენ ყველა დაკავებულ თანამდებობიდან. საყოველთაო ცნობისათვის გამოეყვეყნებინა აგრეთვე განაცხადება ახალი მთავრობის შედგენის შესახებ, მთავრობისა, რომლის შემადგენლობას მეფის რუსეთისა და დიდი ბრიტანეთის მისიები უკარნახებდნენ. ხალხის დასაწყნარებლად მათ საჭიროდ მიაჩნდათ, რომ სახელმწიფო საბჭოს წევრებისაგან შაჰს შეექმნა განსაკუთრებული კომიტეტი, რომელიც შეუდგებოდა საარჩევნო კანონის შედგენას და დებუტატების არჩევნებისა და ახალი მეჯლისის გახსნის დღეს დანიშნავდა²⁷⁴.

ახლა ვნახოთ, რას წერს ამის შესახებ ჩვენი დღიურების ქართველი ავტორი: „ეინ-ელ-დოვლე (შაჰისა და რეაქციის ერთგული მსახური, რომელსაც, როგორც ცნობილია, თავრიზის აჯანყების ჩაქრობა ჰქონდა ნაბრძანები. გ. ჰ.) თუმცა თავრიზს მოშორდა და თეირანში დაბრუნდა, სამაგიეროდ თავრიზში რუსის ჯარი იღგა... შაჰიც ყაზვინის აღებამ დააფრთხო და ვითომ კონსტიტუცია უბოძა ხალხს. ამას ხალხი დიდი ამბით შეხვდა და სეფაპდარმაც წინადადება მისცა რევოლუციონერებს იარაღი დაეყარათ და შერიგებოდნენ შაჰისაგან ნაბოძებ კონსტიტუციას.“

სპარსელმა (განსაკუთრებით გილანელმა) ბელადმა ხანებმა ისევე როგორც ნაბოძები კონსტიტუციის შედეგი არ იციან, აგრეთვე არ იციან რა გზას დაადგნენ. მართლა დაყაბულდნენ ნაბოძებ კონსტიტუციას და იარაღი დაყარონ, თუ განაგრძონ ბრძოლა“²⁷⁵.

²⁷³ Сборник дипломатических документов... с. 159.

²⁷⁴ იქვე, გვ. 191.

²⁷⁵ „ახალი სხივი“, № 28, 1910 წ., 9 მარტი.



დღიურების ავტორი სიმართლით გადმოსცემს ფაქტებს და სრულიად სწორ შეფასებას აძლევს შექმნილ სიტუაციას. მას შაჰის დაპირება კონსტიტუციის აღდგენის შესახებ მიაჩნდა ფანდად, ცრუ დაპირებად, რომლის მიზანი იყო მოეტყუებინა ხალხი და შეეჩერებინა რევოლუციონერების ლაშქრობა დედაქალაქზე, რაც საფრთხეს უქმნიდა ყაჯართა მონარქიის არსებობას. მეორე მხრივ, იგი ასევე მართებულად გადმოსცემს „ბელადი ხანების“ მერყევ, ანტირევოლუციურ განწყობილებას.

მიუხედავად ამისა, სეფაჰდარს და სხვა „ბელად ხანებს“ არ შეეძლოთ ანგარიში არ გაეწიათ რევოლუციონერების კატეგორიული მოაზროვნისათვის განეგრძოთ ბრძოლა, რევოლუციონერებისა, რომლებიც ხალხის დემოკრატიული ფენების ძირითადი ინტერესების გამომხატველნი იყვნენ, რევოლუციონერებს, განსაკუთრებით ამიერკავკასიელ მებრძოლებს, გარდა ამისა თავრიზელი აჯანყებულების და მათი ბელადების — სათარ-ხანისა და ბალირ-ხანის მდგომარეობა აწუხებდათ. თავრიზში შექრილი მეფის რუსეთის ჯარები მათი გმირული ბრძოლით მონაპოვარს საფრთხეში აყენებდნენ²⁷⁶.

ბ ა ხ თ ი ა რ ე ბ ი

ასეთ კრიტიკულ მომენტში გამოჩნდა ახალი ძალა, რომლის დახმარებითაც ისახებოდა რეალური პერსპექტივა დედაქალაქ თეირანზე ლაშქრობის წარმატებით დასავგირგვინებლად. ბახთიართა ტომების ბელადმა სამსამ-ოს-სალთანემ ყაზვინში სეფაჰდარს შეატყობინა, რომ „შეერთებული ძალებით თეირანზე გავილაშქროთო. ამ წინადადებას ყველას ფრთები შეასხა და გამოაფხიზლა. ყველა დაფაცურდა და მზადებას შეუდგა“ — ვკითხულობთ დღიურებში²⁷⁷. ასე დაიწყო რვათვიანი რევოლუციური ომის მესამე, გადამწყვეტი ეტაპი. ეს იყო ყაჯართა დინასტიის ციტადელზე—დედაქალაქ თეირანზე ლაშქრობის დამამთავრებელი პერიოდი.

ვინ იყვნენ ბახთიარები და მათი ბელადები და რა მიზანი ამოძრავებდათ მათ, როცა თეირანისაკენ იღებდნენ გეზს?

უნდა შევნიშნოთ, რომ ბახთიარები და მათი ხანები, აგრეთვე მათი მხედრული ღირსებები დღიურებში რამდენადმე გაზვიადებულად არის წარმოდგენილი. აქ ლაპარაკია იმის შესახებ, რომ „ბახთიარების თეირანზე ამხედრება წინასწარ განაპირობებდა გამარჯვებას“,

²⁷⁶ Сборник дипломатических документов..., с. 155.

²⁷⁷ „ახალი სხივი“, № 28, 1910 წ., 9 მარტი.



რომ ბახთიარები „მარტოც დაამარცხებდნენ შაჰის ჯარს და თუ სხვა
 ჰქონდა იქნებოდა, მთელ დანარჩენ სპარსეთსაც“, რომ „ბახთიარების-
 თანა მებრძოლი ტომი სპარსეთში სხვა არ მოიპოვება“ და სხვა.
 ცხადია, აქ ძნელია ყველაფერში დაეთანხმო დღიურების ავტორს,
 ვინაიდან მას ბახთიარები წარმოდგენილი ჰყავს ძველურ, ყოვლის-
 მძლე ძალად, რომელთა წინაშე, თითქოს, ყოველგვარი დაბრკოლება
 დაძლეული იქნებოდა. მიუხედავად ამ ერთგვარი გაზვიადებისა, იგი
 გულწრფელად, სიმართლით გადმოსცემს, იმას რაც მან ნახა და განი-
 ცადა.

ბახთიარები ცენტრალურ ირანში მცხოვრები ტომებია. მათ
 საქმიანობას მომთაბარული მესაქონლეობა და ნაწილობრივ მიწათ-
 მოქმედება წარმოადგენდა, ხოლო დამატებით შემოსავლის წყაროს
 ბინადარი მოსახლეობის დარბევა და მათი ძარცვა შეადგენდა. ამას-
 თან დაკავშირებით შეიძლება გავიხსენოთ ჩვენი ქვეყნის წარსულ-
 დან ის ამბავიც, რომ მე-17 საუკუნის მეორე ათწლეულის შუა ხანებ-
 ში, როცა სეფიანთა ირანის მრისხანე მბრძანებელმა შაჰ-აბასმა ფეო-
 დალური საქართველოს აყვავებული მხარე — კახეთი აიკლო და იქი-
 დან ათეული ათასობით ტყვეები გადაარქვა, მათი კომპაქტური მასა
 სწორედ ბახთიარიის მთებში, ფერეიდანის პროვინციაში ჩაასახლა.
 ცბიერი შაჰი ვარაუდობდა, რომ ქართველების საშუალებით შეექმნა,
 ცოცხალი ზღუდე, ბარიერი ბახთიარების, ლურებისა და ქურთების
 მოუსვენარი ტომებისაგან მაშინდელი სატახტოს — ისფაჰანის დასაცა-
 ვად. ცნობილია ისიც, რომ ქართველი ტყვეების შთამომავლობამ
 გმირულად გაუძლო ამ მომთაბარეთა განუწყვეტელ დარბევებს და
 მათთან უთანასწორო ბრძოლებში დღემდე შემოინახეს მშობლი-
 ური ქართული ენა და ზოგიერთი ზნე-ჩვეულება ფერეიდანის თოთხმეტ
 სოფელში.

ბახთიარების მრავალრიცხოვან ტომებს ბევრი ბელადები ჰყავ-
 დათ. მათ შორის მუდმივი მტრობა და ქიშპობა არსებობდა. მათ შინა
 ომსა და შუღლზე ხშირად გარეშე ძალა ითბობდა ხელს. ბახთიართა
 ხანების სეპარატიზმსა და ურთიერთ ბრძოლას არა მარტო ცენტრა-
 ლური მთავრობა იყენებდა თავისი ინტერესებისათვის, არამედ მით
 სარგებლობდნენ აგრეთვე თვით ცენტრალურ მთავრობაზე გავლენის
 მოსახდენად უცხოელი კოლონიზატორები და პირველ რიგში, ინგლი-
 სელი იმპერიალისტები. ბახთიართა ერთი ნაწილი, რომელიც შაჰის
 მთავრობას ემხრობოდა, 1908 წლის ზაფხულში მეჯლისის დაბომ-
 ბვისა და თავრიზში აჯანყების დაწყების შემდეგ, საარდარ ნასირ-ხა-
 ნის მეთაურობით თავრიზის მიდამოებში რეაქციონერ ეინ-ედ-დოვ-
 ლეს ბანაკს შეუერთდა და სათარ-ხანელთა წინააღმდეგ ეწეოდა
 ბრძოლას. მათი სხვა რაზმები ასევე შაჰის მთავრობის ერთგულებას

ფიცულობდნენ და ამირ მოფაჰემისა და სარდარ ზაფარის მეფეობით თეირანში მოჰამად ალი შაჰის დაცვის სამსახურს ეწვეოდნენ²⁷⁸. ამავე დროს ჰაჯი ნეჯაფ ყული-ხან სამსამ-ოს-სალთანე, რომელსაც ილხანის (ტომების ბელადის) თანამდებობა ეკავა, შაჰის მთავრობას განუდგა და ჩაპარ მაჰალში²⁷⁹ ბახთიართა შორის დარჩა. იგი შაჰის მთავრობის უკმაყოფილო იყო იმის გამო, რომ შაჰმა ისფაჰანის გუბერნატორად დანიშნა თავისი მომხრე და ერთგული ეყბაღ ოდ-დოვლე ქაშანელი, რომელიც ცდილობდა შეეზღუდა ბახთიართა ხანების უფლებები, ხანებისა, რომლებიც ნახევრად დამოუკიდებელ ფეოდალ-მთავრებად თვლიდნენ თავის თავს. სამსამ-ოს სალთანეს მხარს უჭერდნენ ინგლისელი იმპერიალისტები, ვინაიდან იგი რუსოფილ მოჰამედ-ალი შაჰის წინააღმდეგ გამოდიოდა. ამით ინგლისელებს შაჰის დამხობა კი არ სურდათ, არამედ მხოლოდ ირანში რუსეთის მზარდი გავლენის შესუსტებას და თავიანთი გავლენის გაძლიერებას ვარაუდობდნენ. სამსამ-ოს სალთანეს უმცროსი ძმა ჰაჯი ალი ყული-ხან სარდარ ასადი ბახთიარ ბელადებს შორის გამოჩენილ სწავლულად ითვლებოდა. იგი ევროპულად იყო განათლებული და იმ ხანებში პარიზში ცხოვრობდა. ბოლო დრომდე ისინი სულაც არ იყვნენ კონსტიტუციისა და დემოკრატიული წყობილების მომხრე. შემდეგში, როგორც თვითონ სარდარ ასადი თავის მოგონებაში წერდა, შაჰის მიერ მეჯლისის განადგურების ამბავმა და იმან, რომ ბახთიარების ერთი ნაწილი შაჰს მიემხრო და თავრიზელთა წინააღმდეგ იბრძოდა, აღაშფოთა იგი. მან დაუყოვნებლივ მიწერა წერილები თავის ძმას სამსამ-ოს-სალთანეს და სხვა ახლობლებს, რომლებსაც მოუწოდებდა, რომ მხარი დაეჭირათ კონსტიტუციური მოძრაობისათვის. მან თავისი თანამოაზრე კაცი გაგზავნა ჩაპარ-მაჰალში, რათა ენახა სამსამ-ოს სალთანე, შეერიგებინა იგი სარდარ ბაჰადურთან (სარდარ-ასადის ვაჟი) და ორთავენი კონსტიტუციონალისტთა მხარეზე გადაებირებინა. ამ კაცს დაეალეებული ჰქონდა აგრეთვე, რომ მოსულიყო ისფაჰანში, სადაც მოენახლებინა მოჯთეჰიდი ჰაჯ ალა ნურ ულლა, რომელიც შეურაცხყოფილი იყო ისფაჰანის გუბერნატორის მიერ და, ამნაირად, ყველა მოემზადებინა შაჰის მთავრობის წინააღმდეგ გამოსვლისათვის²⁸⁰.

ამასობაში მოჰამედ ალი შაჰმა სამსამ-ოს-სალთანე ილხანობიდან გადააყენა და მის ადგილას სხვა დანიშნა. სამსამი არ დაემორჩილა შაჰის ბრძანებას და, როგორც ქასრაჯი წერს, ამ ნიადაგზე ბახთიარ-

²⁷⁸ ა. ქასრაჯი, დასახ. ნაშრ., გვ. 4.

²⁷⁹ ჩაპარ მაჰალი ქართულად ოთხ სადგომს, დასახლებულ უბანს ნიშნავს. იგი ბახთიარის ცენტრს წარმოადგენს.

²⁸⁰ ა. ქასრაჯი, დასახ. ნაშრ., გვ. 5.

თა გამოსვლისათვის საჭირო საბაზი უკვე სახეზე აღმოჩნდა. მეთაურ მხრივ, გუბერნატორ ეყბაღ-ედ-დოვლე ქაშანელის მიერ შეწუხებული ისფაჰანის მოსახლეობაც აჯანყებისათვის საბაზს ეძებდა. 7 დღის თვეს (1908 წლის 28 დეკემბერს) საღამოს მთავრობის მთვრალმა ჯარისკაცებმა, რომლებიც ქალაქში იყვნენ დაბანაკებული, ხილის სავაჭრო ფარდულები დაარბიეს და ბაზარში აყალ-მაყალი ასტეხეს. მოთმინებიდან გამოსული ხალხი მკაცრად გაუსწორდა გათავხედებულ ჯარისკაცებს. ამის გამო, მეორე დღეს, გუბერნატორმა რამდენიმე კაცი დააპატიმრებინა და აცემინა. პასუხად ხალხმა ბაზარი დაკეტა და შაჰის მეჩეთში ყვირილითა და ზრიალით მოიყარა თავი. გუბერნატორი შეეცადა ამბოხება ჩაექრო. მან დასაშინებლად შაჰის მოედანზე ზარბაზანი გამოატანინა. მღელვარება მაინც არ ცხრებოდა. შემდეგ დღეს ხალხის ახალი მასები მოაწყდა მეჩეთს. მალე ისფაჰანში მოვიდნენ გლეხები მეზობელი სოფლებიდან და აჯანყებულებს შეუერთდნენ. მოჯთჰიდ-ჰაჯ-ალა ნურ ულლა ნეჯაფის წინადადებით, სამსამ-ოს-სალთანეს კაცები გაუგზავნეს და იგი თავისი ბახთიარი მხედრებით ქალაქში მოიწვიეს. 12 დღის თვეს (1909 წლის 2 იანვარს) ქალაქს მოადგა ბახთიარი ხანი ზერ ღამ-ოს სალთანე 200 ბახთიარი მხედრით. ისინი ორი დღის ბრძოლის შემდეგ მთლიანად დაეუფლნენ ქალაქს. ამის შემდეგ ისფაჰანში თვითონ სამსამ-ოს-სალთანეც მოვიდა და ხელში აიღო ქალაქის მართვა-გამგეობის საქმე. აღდგენილ იქნა ენჯუმენი. სამსამ-ოს-სალთანემ სათარ-ხანს თავრიზში წერილი გაუგზავნა, რომელშიც მომხდარი ამბის შესახებ აუწყა²⁸¹.

ამრიგად, თავრიზის შემდეგ ისფაჰანი მეორე ქალაქი იყო, სადაც შაჰის მთავრობა დაემხო და კონსტიტუციური წყობილება იქნა აღდგენილი. მოჰამად ალი შაჰმა დამარცხებული ისფაჰანის გუბერნატორი ეყბაღ-ოს-სალთანე თეირანში გაიწვია. ისფაჰანის ახალ გუბერნატორად უფლისწული ფარმან-ფარმა განაწესა ორი პოლკი ჯარისკაცით და თეირანში მყოფი პირადი მცველი ბახთიარების რაზმებით მისი ისფაჰანს გაგზავნა ბრძანა, რათა სამსამ-ოს-სალთანეს გასწორებოდა. ფარმან-ფარმამ წინ სარდარ ზაფირი გაისტუმრა რამდენიმე ასეული ბახთიართურთ იმ ვარაუდით, რომ თვითონ ცოტა მოგვიანებით გაემგზავრებოდა. მაგრამ მოხდა ისე, რომ იგი თეირანიდან გარეთ არასოდეს არ გასულა, ხოლო სარდარ ზაფარი ყუმსა და მის მიდამოებს არ გაცილებია. სამსამ-ოს-სალთანე კი კვლავ ისფაჰანში რჩებოდა²⁸².

²⁸¹ ა. ქასრაფი, დასახ. ნაშრ., გვ. 5.

²⁸² იქვე, გვ. 6.



ამასობაში მეფის რუსეთის მთავრობა ყველა ღონეს ხმარობდა, რათა სამსამ-ოს-სალთანე, რომელსაც ინგლისელები უწოდებენ მხარს, ისფაჰანიდან წასულიყო. უფლისწულმა ფარმან-ფარმამ ისფაჰანში წასვლის წინ მოისურვა მეფის რუსეთის საქმეთა რწმუნებულ მ. საბლინს და ინგლისის ელჩს ჯორჯ ბარკლაის შეხვედროდა. იგი დარწმუნებული იყო, რომ ადვილად შეძლებდა აღედგინა შაჰის ძალა-უფლება ისფაჰანში. მან ელჩებს სთხოვა, რომ თავიანთი კონსულების საშუალებით გავლენა მოეხდინათ სამსამ-ოს-სალთანეზე, რათა იგი ისფაჰანს გასცლოდა და ამით თავიდან აეცილებინათ სისხლისღვრა. საუბრის დროს ბარკლაიმ აღნიშნა, რომ სამსამ-ოს-სალთანე ისფაჰანში კონსტიტუციური მოძრაობის ხაზს ატარებსო. ამაზე უფლისწულმა ცინიკურად შენიშნა, რომ სამსამი უფრო კარგს იზამდა, თუ ისფაჰანში კონსტიტუციის შემოღებამდე ბახთიარეთში შემოიღებდესო მას²⁸³, რუსეთის მეფის მთავრობა შიშს გამოთქვამდა, რომ ისფაჰანი არ გამხდარიყო თავრიზის მსგავსად რევოლუციის კერა. ხოლო ინგლისის მთავრობა, რომელიც ასევე თავისი ინტერესებიდან გამომდინარე, „წონასწორობის“ დაცვის მიზნით მოითხოვდა „სიფრთხილით“ მოქმედებას და, ატარებდა ისფაჰანში ამბების შემდგომი განვითარებისათვის „ლოდინის“ თავისი სასარგებლო პოლიტიკას²⁸⁴.

ხმებმა იმის შესახებ, რომ ისფაჰანის გენერალ-გუბერნატორად შაჰმა ფარმან-ფარმა დანიშნა, სამსამ-ოს-სალთანე აიძულა ზომები მიეღო ისფაჰანის დასაცავად. მან მოწოდებით მიმართა ხალხს დაეცვათ კონსტიტუცია. თეირანის უძღურ მთავრობას აღარ რჩებოდა სხვა გამოსავალი გარდა იმისა, რომ კომპრომისზე წასულიყო. 1909 წლის 4 (17) იანვარს შაჰმა დეპეშით აუწყა სამსამს ბახთიარის ილხანის უფლებებში მისი აღდგენის შესახებ. მაგრამ სამსამმა არ ცნო ეს ბრძანებულება. 8 (21) იანვარს შაჰმა ისფაჰანში გაგზავნა ფარმან-ფარმას თანაშემწე სარდარ-მოთეზიდი სამსამის უმცროსი ძმის თანხლებით, რათა როგორმე შეერიგებინათ სამსამ-ოს-სალთანე. მაგრამ მათ გზაში, ყუმში გაიგეს, რომ სამსამის უმცროსი ძმა ალიყული ხან სარდარ-ასადი პარიზიდან გამოგზავნილი დეპეშით გაფრთხილებას იძლეოდა, რომ მის ჩამოსვლამდე არავითარი შეთანხმება არ დაედოთ მთავრობასთან²⁸⁵.

უფლისწულმა ფარმან-ფარმამ, როცა დაინახა, რომ მის განკარგულებაში გადაცემული მშვიერი, დაფლეთილი და უღისციპლინო სარბაზების რაზმებით ბახთიარებთან ბრძოლაში ვერაფერს გახდებო-

²⁸³ Сборник дипломатических документов.... с. 48.
²⁸⁴ იქვე, გვ. 51.
²⁸⁵ იქვე.



და, ხოლო, მეორე მხრივ, ბახთიარებთან მშვიდობიანმა მოლაპარაკებებამ შედეგი არ გამოიღო, 12 (25) იანვარს გადაჭრით უარს თქვა ისფაჰანის გენერალ-გუბერნატორის თანამდებობასა და სამსამ-ოს-სალთანეს წინააღმდეგ განზრახულ ექსპედიციაში შეთავაზებულ მთავარსარდლის პოსტზე²⁸⁶. ისფაჰანში ვითარება კვლავ დაძაბული რჩებოდა. აშკარა იყო, რომ იქ გაბატონებული ბახთიარები, რომლებიც კონსტიტუციის მომხრეებად აცხადებდნენ თავს, და ამით ხალხის მასების სიმპათიასა და თანაგრძნობას იმსახურებდნენ, ადრე თუ გვიან გეზს დედაქალაქისაკენ აიღებდნენ. ამნაირად, ბახთიართა ზანების ცენტრალური ხელისუფლების მიმართ გარეგნულად უბრალო განწყობებამ პოლიტიკური შეფერილობა მიიღო და შაჰის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მიმართულ მრისხანე ძალად იქცა. ეს შეშფოთებას იწვევდა შაჰის სასახლეში. ამიტომ იქ ახალ საშუალებებს ეძებდნენ ჩიხიდან თავის დასაღწევად. რახან სხვა ზომებმა შედეგი არ გამოიღო, შაჰის დაყენებით, ფარმან-ფარმა 26 იანვარს (9 თებერვალს) იძულებული გახდა კვლავ მიეღო სამსამ-ოს-სალთანეს წინააღმდეგ განზრახული ექსპედიციის უფროსობა. ამჯერად შაჰის მთავრობა მანევრს მიმართავდა. ექსპედიცია უნდა მოეწყოთ არა ისფაჰანში, არამედ ბახთიარეთში ბახთიართა სადგომების დასარბევად, რათა ამ გზით იძულებული გაეხადათ სამსამ-ოს-სალთანე, რომ ისფაჰანი დაეტოვებინა²⁸⁷. მაგრამ საბოლოოდ ეს ექსპედიციაც ჩაიშალა.

1909 წლის 19 მარტს სარდარ ასადი ევროპიდან დაბრუნდა. მან თან ჩამოიტანა დიდძალი იარაღი და ფულადი სუბსიდიები. იგი მოპარეგში შეხვდა შეიხ ხაზალს და სხვა ინგლისელ აგენტებს. მას უკვე მომზადებული ჰქონდა გეგმა თეირანზე ლაშქრობისათვის²⁸⁸. მეფის რუსეთის წარმომადგენლები შეშფოთებით აღევნებდნენ თვალყურს ბახთიართა მოძრაობას ისფაჰანის რაიონში. უკვე 1909 წლის 28 მარტს (5 აპრილს) რუსეთის კონსული ისფაჰანში ბოგოიასლანსკი ატყობინებდა პეტერბურგში, რომ „ამ კვირაში აქ ელოდებიან სარდარ ასადს რამდენიმე ათასი შეიარაღებული ბახთიარითურთ. შემდეგ ვარაუდობენ თეირანზე ლაშქრობას²⁸⁹. მაგრამ სარდარ ასადი, რომელმაც კავშირი დაამყარა გილანელ რევოლუციონერთა ხელმძღვანელ სეფაჰდართან, ყაზვინის ალებას ელოდებოდა, რათა

²⁸⁶ Сборник дипломатических документов... с. 80.

²⁸⁷ იქვე, გვ. 86.

²⁸⁸ G. Frazer, Persia and Turkey in Revolt, London, 1910, p. 90—91. დ. ფრეზერის ცნობით, სარდარ ასადი ირანში დაბრუნებამდე ლონდონში ჩავიდა და შეხვდა ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრ ედუარდ გრეის. იქვე.

²⁸⁹ Сборник дипломатических документов... с. 109.

ჩრდილოეთიდან მომავალ რევოლუციონერებს შეერთებოდა და ერთობლივად გაელაშქრათ დედაქალაქზე. ამიტომ იგი ისტაპანში მისვლას არ ჩქარობდა. ამასობაში, როგორც უკვე ვიცით, კავკასიელმა და გილანელმა რევოლუციონერებმა ყაზვინი აიღეს. 6 მაისს სარდარ-ასადი ისტაპანში მივიდა, ხოლო 11 მაისს ბახთიარმა ხანებმა 300 მხედარი გამოიყვანეს ქალაქიდან და მის მახლობლად დაბანაკდნენ. ისინი აქ ერთ თვეზე მეტხანს დარჩნენ. ახალი ძალები შემოიკრიბეს და 1909 წლის 6 (19) ივნისს 1000-ზე მეტი ბახთიარი მხედარი ერთი ზარბაზნის თანხლებით და სარდარ ასადის მეთაურობით ისტაპანიდან თეირანისაკენ დაიძრა²⁹⁰.

თეირანის წინააღმდეგ დანირაზმა ორი ძალა

ყაზვინის აღების შემდეგ მთავრობის დაპირებას კონსტიტუციონისა და მეჯლისის აღდგენის თაობაზე, აგრეთვე სეფაპდარის გილანისა და მაზანდარანის მმართველად დანიშვნას, როგორც ითქვა, თვით სეფაპდარი და სხვა გილანელი „რევოლუციონერი“ ხანები კმაყოფილებით შეხვდნენ. მათ ერთბაშად დაივიწყეს ისინი, ვისი წყალობითაც მოიპოვეს გამარჯვება და კავკასიელი რევოლუციონერთა და ადგილობრივ ფიდაელთა რაზმების დაშლა მოითხოვეს. სეფაპდარი ცდილობდა, რომ თავიდან მოეშორებინა ისინი. ამიტომ კავკასიელ მებრძოლებს, რომლებსაც ახლა ირანში, მისი აზრით, „არაფერი ესაქმებოდათ“ და მათი აქ შემდგომი დატოვება ხელს შეუშლიდა მათი მომავალი გეგმების განხორციელებას, წინადადება მისცეს რეშთი-ენზელისა და ასთარის გზით სამშობლოში დაბრუნებულიყვნენ. როგორც გაზეთ „რუსსკოე სლოვოს“ კორესპონდენტი 1909 წლის 13 (26) მაისს წერდა, ყაზვინში მაშინ კავკასიელების — ქართველებისა და სომხების რაოდენობა „100 კაცზე მეტი იყო. ისინი შესანიშნავად იყვნენ შეიარაღებული“²⁹¹.

სეფაპდარის თანხმობა გუბერნატორობაზე და კავკასიელ რევოლუციონერთა სამშობლოში დაბრუნება სიხარულს გვრიდა რეაქციონერებსა და კოლონიზატორებს. რუსეთის საელჩოს 13 (26) მაისის დეპეშაში აღნიშნულია, რომ „ყაზვინში საქმე ხელსაყრელად ტრიალდება. სეფაპდარმა, რომელიც ჩვენს რჩევას დაჰყვა, რეშთის

²⁹⁰ ა. ქასრაევი, დასახ. ნაშრ., გვ. 51. ინგლისელი დიპლომატების „ლურჯ წიგნი“ სარდარ-ასადის ისტაპანიდან თეირანისაკენ წამოსვლის თარიღად 17 ივნისია დასახელებული. იხ. Blue book, Persia, № 1, 1910, pp 23, 29. ამ აზრს იზიარებს მ. ივანოვიც. იხ. М. С. Иванов, указ. труд, с. 379.

²⁹¹ «Русское слово», № 107, 13 (26) мая 1909 года.



გუბერნატორობა მიიღო. იმისათვის, რათა იგი თავის მხარეზე ჰრიბ-
 ზროს, სპარსეთის მთავრობამ მას მაზანდარანიც მისცა. ყაზვინში
 დაინიშნა ყოფილი დეპუტატი თავრიზიდან შარეფ-ედ-დოვლე, რომე-
 ლიც სასურველია მთავრობისთვისაც და სეფაპდარისთვისაც. დაიწყო
 ნაციონალური (წაიკითხე: რევოლუციონერთა. გ. ჯ.) რაზმების
 ევაკუაცია რეშთისაკენ. რამდენიმე კავკასიელმა უკვე დასტოვა გილა-
 ნი²⁹². რეპციონერთა სიხარული ხანმოკლე აღმოჩნდა. რევოლუციო-
 ნერთა ზემოქმედებით და იმის გამოც, რომ ბახთიართა ლაშქარი
 თეირანისაკენ დაიძრა, სეფაპდარმა უკან წაიღო თავის თანხმობა და
 პირი კვლავ თეირანის წინააღმდეგ იბრუნა.

1909 წლის ივნისის შუა რიცხვებისათვის ქართველი და კავკა-
 სიელი მებრძოლების დიდი ნაწილი, აგრეთვე გილანელი ფიდაები
 რეშთში დაბრუნდნენ. ბახთიარების თეირანისაკენ წამოსვლის ამბავი
 რომ გაიგეს, „ქართველების წასვლით ფრთებშეკვეცილი რეშთელები
 და ყაზვინელები... იმედით აღივსნენ და საჩქაროდ გამოემგზავრნენ
 თეირანისაკენ, სადაც გზაში უნდა შეერთებოდნენ სამსამ-სალოთანეს
 ძმის-სარდარ ასადის რაზმს და შემდეგ ერთად თეირანზე გაელა-
 შქრათ. თითქმის 2500 კაცმა მოიყარა თავი და გასწია დანიშნულ
 ადგილისაკენ ბახთიარებთან შესაერთებლად“²⁹³.

ეს იყო ბახთიარების ისტაპანიდან გამოსვლის მეოთხე დღეს,
 1909 წლის 10 (23) ივნისს²⁹⁴.

ისტაპანელ აჯანყებულთა წინააღმდეგ გაგზავნილი შაჰის ჯარი
 ქაშანში²⁹⁵ იღვა. სარდარ-ასადმა ბახთიარების რაზმები ნუსყანის
 გზით შემოვლით წამოიყვანა და ყუმისკენ²⁹⁶ გამოემართა. 4 თირის
 თვეს (25 ივნისს) იგი უკვე ყუმში მივიდა ყოველგვარი წინააღმდე-
 გობისა და დაბრკოლების გარეშე.

გილანელი ფიდაებისა და ბახთიარების რაზმების თეირანისაკენ
 წამოსვლის ამბავმა ააფორიაქა დედაქალაქი. ჯერ კიდევ ადრე ინ-
 გლისისა და რუსეთის მთავრობები, რომლებიც მათი მორჩილი ყა-
 ჯარების დინასტიის შენარჩუნებითა და ამ საფუძველზე ირანში თა-
 ვიანთი პოლიტიკური მიზნების შეუფერხებლად განხორციელებით

²⁹² Сборник дипломатических документов... с. 193.

²⁹³ „ახალი სხივი“, № 28, 1910 წ., 9 მარტი.

²⁹⁴ ა. ქასრაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 51.

²⁹⁵ ქაშანეჯი (ქაშანი) — თეირანის შაპრესთანის ნარდარის ბაზმის სოფელი. მდებარეობს ქ. რეის სამხრეთ-დასავლეთით 18 კმ-ზე, 6 კმ-ზე ქაპრე ბოზორგის დასავლეთით. ვაკე ადგილია. ცხოვრობენ სპარსელები.

²⁹⁶ ყუმი — შიიტების წმინდა ქალაქი. აქ არის შიიტების მეშვიდე იმამის ქალიშვილის და მერვე იმამის ალი-არ რუხას დის ფატიმა მასუმეს მავზოლეუმი. მდებარეობს თეირანის სამხრეთით 150 კმ-ზე. მცხოვრებლები ძირითადად სპარსელები არიან.



იყვნენ დაინტერესებულო, შაჰის მთავრობას ურჩევდნენ²⁹⁷ აღედგინა კონსტიტუცია და მეჯლისი და ამით შეეჩერებინა სახალხო რევოლუციური მოძრაობა. ყაზვინის აღების მეორე დღეს, 5 მაისს სამეფო რესკრიპტით („დასთრახთი“) შაჰი მოჰამედ ალი დაპირებას იძლეოდა, რომ ახალი მოწვევის მეჯლისის არჩევნებს 1909 წლის 19 ივლისისათვის დანიშნავდა²⁹⁷. მან გადააყენა ძველი და დანიშნა მთავრობის ახალი შემადგენლობა, რომლის მეთაურად იმყამად უცხოეთში მყოფი ნასერ-ოლ-მულქი დანიშნა, ხოლო მის დაბრუნებამდე ამ მოვალეობის შესრულება დაავალა საად-ედ-დოვლეს. მაგრამ ამ მანევრებმა საქმეს ვერ უშველა. 12 (25) ივნისს რევოლუციონერთა და ბახთიართთა რაზმების წინსვლით დამფრთხალი მთავრობის ახალი შემადგენლობაც გადადგა. მოჰამედ ალი შაჰთან მხოლოდ საად-ედ-დოვლეს დარჩა. ა. ქასრაფი ასე ახასიათებს მმართველთა ამ ზრვას, რომლებიც პოლიტიკური ამინდის შესაბამისად მოქმედებდა და ქამელეონის მსგავსად შეფერილობას იცვლიდა: „ისინი ყოველთვის იმის თადარიგში იყვნენ, რომ რამენაირად მოჰამედ ალი მირზასა და მის მამაპაპათა სასახლის გარშემო მოეყარათ თავი. იმ დროს, როცა მოჰამედ ალი მირზამ მეჯლისი დააბომბინა და ქვეყნის მმართველობის სადავეები ლიახოვსა და მის ავან-ჩაფანებს ჩაუგდო ხელში, მათი უმრავლესობა მინისტრების სავარძელში იჯდა, ყოველდღე ბაღე შაჰში (შაჰების რეზიდენცია გ. ჭ.) ლიახოვს შესცივინებდნენ თვალეებში და დამშვიდებული სინდისით უყურებდნენ მირზა ჯაჰანგირ-ხანისა და მალექ ოლ-მოთაქალემინის²⁹⁸ უდანაშაულოდ დასჯილ უსიცოცხლო გვამებს. მათ იმდენი ადამიანობა და ვაჟკაცობაც აღარ შერჩენოდათ, რომ ამ უსამართლობის წინააღმდეგ კრიტიკა დაეძრათ. ასე ისხდნენ ისინი ბაღე შაჰში რამდენიმე დღე ფეხმოუცვლელად და ყველა ამ საზიზღრობის თანამონაწილენი გახდნენ. ახლა კი ეს მედროვენი დაუყოვნებლივ ჩამოცილდნენ სახელმწიფო საქმეებს, თანაც ისე აჩვენებდნენ თავს, რომ, თითქოს, პირი კონსტიტუციური მოძრაობისაკენ იბრუნეს და სასახლის კარს ზურგი შეაქციეს. როგორც ვხედავთ, გარდა თავისი ეგოისტური მიზნებისა, ისინი აღარაფერს არ დაგიდევდნენ, ქვეყანას, ხალხს მასებს და ყველაფერს თავისი საქმის განხორციელების საშუალებად თვლიდნენ. ამიტომ მწარე სიმართლეს თვალეებში უნდა შევხედოთ

²⁹⁷ White book, Persia, № 2, 1909, p. 118.

²⁹⁸ მირზა ჯაჰანგირ ხანი რევოლუციურ გაზეთ „სურე ისრაფილის“ რედაქტორი, ხოლო მალექ ოლ-მოთაქალემინი ცნობილი რევოლუციონერი, ორატორი და მეჯლისის დეპუტატი იყო. ისინი 1908 წლის 24 ივნისს შაჰმა ჩამოახრჩობინა ბაღე შაჰში ყოველგვარი გასამართლების გარეშე.



და ვთქვათ: თუ საად-ედ-დოვლე, ამირ-ბაჰადორი, ეყბალ-ფაქრედინ-
 ლე²⁹⁹ და მათი მსგავსნი ცუდი ღირსების ადამიანები იყვნენ, ისინი
 (მმართველთა ხროვა. გ. ჭ.) კიდევ უფრო ცუდების კატეგორიას
 მიეკუთვნებოდნენ³⁰⁰.

რუსეთისა და ინგლისის იმპერიალისტურ მთავრობათა წარ-
 მომადგენლები, მიუხედავად იმისა, რომ შაჰმა ქვეყანაში ყოველგვა-
 რი მხარდაჭერა და საყრდენი დაკარგა, ყველაფერს აკეთებდნენ იმი-
 სათვის, რათა იგი როგორმე შეენარჩუნებინათ ტახტზე. ინგლისელი
 დიპლომატები ორმაგ თამაშს ეწეოდნენ. ისინი თავს აჩვენებდნენ,
 თითქოს, სიმპათიას იჩენდნენ კონსტიტუციისა და პარლამენტის
 მომხრეებისადმი. სინამდვილეში კი ქვეყანაში თავიანთი ბატონობის
 განმტკიცებისათვის უპირატესობას აძლევდნენ იმას, რომ საქმე
 ჰქონოდათ სუსტ და მორჩილ მონარქთან, ვიდრე პარლამენტურ
 წყობილებასთან. ამიტომ იყო, რომ სიტყვით ისინი ეკეკლუცებოდნენ
 კონსტიტუციურ მოძრაობას, საქმით კი ხელს უწყობდნენ მონარქიის
 შენარჩუნებას. რამდენად დემაგოგიურად ყლერს ამ ფონზე დიდი
 ბრიტანეთის იმპერიალიზმის აგენტის დ. ფრეზერის განცხადება, იმის
 შესახებ, რომ, თითქოს, „არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ კონ-
 სტიტუციური იდეა დიდი ბრიტანეთის თეირანის მისიაში წარმოი-
 შვა“. მისი თქმით, მხოლოდ იმის გამო, რომ ირანელებს მრავალი
 ტანჯვა და დამცირება ჰქონდათ გადატანილი, მათ, თითქოს, არა-
 ჩვეულებრივად იოლად შეითვისეს ეს იდეა³⁰¹. ზემოთ რეალურ ფაქ-
 ტებზე მითითებით უკვე მოხსენებული იყო, თუ საიდან და როგორ
 გავრცელდა ირანში განმათავისუფლებელი იდეები და, რომ ამ საქ-
 მეში მათ დახმარებას უწევდნენ არა ინგლისელი კოლონიზატორები,
 რომლებიც ყოველგვარი პროგრესული იდეების მტრები იყვნენ,
 არამედ რუსი და ამიერკავკასიელი, მათ შორის ქართველი ინტერ-
 ნაციონალისტი რევოლუციონერები.

ორივე იმპერიალისტური ქვეყნის წარმომადგენლებმა ტელეგრა-
 მა გაუგზავნეს თავიანთ კონსულებს ისფაჰანში და დაავალეს, რათა
 პირადად ენახათ სარდარ ასადი და დაეყოლიებინათ იგი, რომ ხელი
 აეღო თეირანზე განზრახულ ლაშქრობაზე. მაგრამ ამ დროს სარდარ
 ასადი უკვე გზაში იყო. ამიტომ მათ მეორე დეპეშა გაუგზავნეს
 კონსულებს, რომელშიც წინადადებას იძლეოდნენ გზაში დაწოდნენ
 მას. 13 (26) ივნისს ორივე კონსული ყუმში ჩავიდა და თავიანთი
 მთავრობების სახელით რჩევა მისცეს სარდარ ასადს უკან დაბრუნე-

²⁹⁹ ესენი სამივე პირწავარდნილი რეაქციონერი და შაჰის ერთგული მსახურები
 იყვნენ.

³⁰⁰ ა. ქასრაევი, დასახ. ნაშრ., გვ. 51.

³⁰¹ O. Frazer, Persia and Turkey in Revolt, London, 1910, p. 270—271.



ბულიყო, მაგრამ სასურველი პასუხი ვერ მიიღეს. მათ საქმის განხილვა მოეხდინათ, მაგრამ თელავის მოვლამ დააბრუნა აცნობეს თავიანთ მთავრობებს და უკან დაბრუნდნენ³⁰².

19 ივნისს (2 ივლისს) მოჰამად ალი შაჰმა თავისთან მიიწვია მეფის რუსეთის და ინგლისის ელჩები მ. საბლინი და ჯ. ბარკლაი. შაჰმა საყვედური გამოთქვა იმის გამო, რომ ინგლისისა და რუსეთის რჩევით მან ხალხს კონსტიტუცია უბოძა, ახალი მოწვევის მეჭლისის არჩევნები დანიშნა და გამოსცა ინსტრუქცია არჩევნების შესახებ. მაგრამ ამით მაინც არაფერი არ გამოვიდა და მისი დინასტია კვლავ საფრთხეში იყო. ამ აღუდიენციამ, როგორც მ. საბლინი წერდა, ელჩებზე „უაღრესად მძიმე, გამოუთქმელად ძნელი და დამალონებელი შთაბეჭდილება მოახდინა“³⁰³.

იმ დროს, როდესაც სარდარ ასადის ბახთიარები ყუმიდან გამოვიდნენ, სეფაჰდარი თავის გილანელთა რაზმებით ყაზვინიდან ინეჩი იმამში მოვიდა და იქ დაბანაკდა. ეფრემ-ხანი იმხანად საბრძოლო იარაღებისა და მასალების მოსამარაგებლად რამდენიმე დღით რეშთში იყო წასული. მისი დაბრუნების შემდეგ შეუდგნენ ლაშქრობისათვის მზადებას. შაჰის ჯარი, რომელშიც სპარსეთის კაზაკთა რაზმები შედიოდა, ქარაჯში იყო გამაგრებული. მათ რუსი ოფიცრები მეთაურობდნენ. ა. ქასრაფი წერს, რომ, როცა კაზაკების მეთაურს რუსეთის მეფის არმიის ოფიცერ ბლაზნოვს შეუთვალეს: მოჭაპიდები თეირანში მიდიან, გზა მოგვეცი და სისხლის ღვრის მიზეზი ნუ გახდები, მან ამყაფ უპასუხა: „მე ჯარისკაცი ვარ და ჯარისკაცის საქმე მხოლოდ ბრძოლა არისო“. გაიმართა ბრძოლა, რაც ერთ საათზე მეტი არ გაგრძელდებულა. „რუსების ოფიცერმა, ასეთი მეომრული ტრაბახის შემდეგ, როგორც კი ოთხი კაცი მოუკლეს, ზარბაზანი ააღებინა და უკან გაბრუნდა“³⁰⁴.

შეტაკება შაჰ აბაღში

20 ივნისს (3 ივლისს) საღამოს რევოლუციონერთა რაზმი, რომელიც კაზაკებს აედევნა, სოფელ შაჰ აბაღს³⁰⁵ მიაღწია. აქ მათ მთებში

³⁰² ა. ქასრაფი, დასახ. ნაშრ., გვ. 51.

³⁰³ Сборник дипломатических документов... с. 224. ინეჩი იმამი — თეირანის შაჰრესთანის ქარაჯის ბახშის ფაშანდის დეპისთასში შემავალი სოფელია, ქარაჯის ჩრდილო-დასავლეთით 28 კმ-ზე მდებარეობს ქარაჯ-ყაზვინის გზაზე. ჭალა ადგილია, ცხოვრობენ სპარსელები და თურქები.

³⁰⁴ ა. ქასრაფი, დასახ. ნაშრ., გვ. 51.

³⁰⁵ შაჰ აბაღი — თეირანის პროვინციის ქანის რაიონის სოფელი. მდებარეობს თეირან-ქარაჯის გზაზე. 9 კმ-ზე ქანის დასავლეთით. მოსახლეობა სპარსელებია.



შენიშნეს წითელპერანგიანი კახაკები და შაჰის მომხრე ბახთიარები³⁰⁶.
 „ეს რაზმი ადრევე გამოეგზავნა კახაკთა უფროსს რეგოლუციონერებთან საბრძოლველად. მას საუკეთესო საფრები დაეჭირა და რეგოლუციონერებს ელოდებოდნენ“³⁰⁷.

შაჰის მომხრე ბახთიარების ამ რაზმს სათავეში ედგა სარდარ მოფაჰემი. მას უთანხმოება ჰქონდა ბახთიართა სხვა ბელადებთან და შაჰის მხარზე თავისი მოქმედებით სურდა შური ეძია თავის მეტოქეებთან და ამავე დროს ირანის მბრძანებლების წყალობაც მიეღო.

რეგოლუციონერებმა შემხვედრი რაზმი გააქციეს და შაჰ აბადი დაიკავეს, მაგრამ კახაკების მთავარი ძალა ჯერ კიდევ უკან იყო. გაიმართა გააფთრებული ბრძოლა. მტერი შედარებით კარგად იყო შეიარაღებული. მას ზარბაზნებიც ჰქონდა. რეგოლუციონერებმა შედგრად შეუტყეს, მაგრამ მოწინააღმდეგემ სძლია³⁰⁸. გილანელთა შორის ბევრი პანიკოროი აღმოჩნდა. მათ პირი იბრუნეს და უკუიქცნენ. მიუხედავად ამისა 300-მდე კაცი, ყველაზე თავდადებული მებრძოლი, მტერს მედგარ წინააღმდეგობას უწევდა, მაგრამ მათ მარჯვენა ფლანგიდან შეუტია კახაკებისა და შაჰის მომხრე ბახთიართა რაზმმა კახაკთა ოფიცრის მეთაურობით და რეგოლუციონერთა ჯგუფი იძულებული გახდა უკან დაეხია. რეგოლუციონერებმა ორი მებრძოლი დაკარგეს, რვა კაცი დაიჭრა³⁰⁹.

გილანელთა ბელადი ხანი მონთასერ-ედ-დოვლე პირველი გაიქცა თავისი რაზმით ბრძოლის ველიდან. მათ სხვებმაც მიბაძეს. ისინი სეფაჰდარს ურჩევდნენ უკან დაბრუნებულიყო. სეფაჰდარი ყოყმანობდა, მაგრამ სარდარ ასადისათვის მიცემული სიტყვის გატეხის ეშინოდა და ისევ წინსვლა არჩია. მან გამოქცეული გილანელები უკან დააბრუნა შაჰ აბადისაკენ. სეფაჰდარი კონტრშეტევის გეგმას აწყობდა. მოწინააღმდეგემ შეიტყო მისი განზრახვა. იმისათვის, რათა რეგოლუციონერებიც შეეტყუებინა, საფრები გამოიცვალა და უკან დაიხია. რეგოლუციონერებიც მიუხედავად მტრის ხრიკებს. წინ აღარ წასულან და სოფელ ყარადალში³¹⁰ გამაგრდნენ³¹¹.

³⁰⁶ როგორც ზემოთ ვნახეთ, ბახთიარების ერთი ნაწილი შაჰის მთავრობის მომხრე და დამცველი იყო.

³⁰⁷ „ახალი სხივი“, № 28, 1910 წ., 9 მარტი.

³⁰⁸ ისმაილ ამირ ზიზი, აზერბაიჯანის აჯანყება და სათარ-ხანი, თეირანი, 1960, გვ. 380 (სპარსულ ენაზე).

³⁰⁹ იქვე.

³¹⁰ ყარადალი — ყაზვინის პროვინციის ზია აბადის რაიონის სოფელი. მდებარეობს ზია აბადიდან ჩრდილოეთით 12 კმ-ზე. ცხოვრობენ ქურთები და სპარსელები.

³¹¹ „ახალი სხივი“, № 28, 1910 წ. 9 მარტი, იხ. აგრეთვე Сборник дипломатических документов.... с. 224.

შპ აბადის ბრძოლა 13 თირის თვეს (1909 წლის 4 ივლისს) მოხდა. შაჰბადში დამარცხებამ გილანელი რევოლუციონერების „ბელად ხანებს“ დაანახვა, რომ კავკასიელი მებრძოლების, კერძოდ, ქართველი ბომბტყორცნელების გარეშე შეუძლებელი იყო ბრძოლაში სერიოზული წარმატების მოპოვება. ამიტომ 22 ივნისს (5 ივლისს) იძულებული გახდნენ ტელეგრამა გაეგზავნათ რეშთში მყოფი ქართველი მებრძოლებისათვის და ეთხოვათ მათთვის უკან დაბრუნებულობა. „მაგრამ წარსულით გულნატკენი გურჯების დათანხმება ადვილი როდი იყო“. მოლაპარაკების შემდეგ ქართველები დათანხმდნენ და 23 ივნისს (6 ივლისს) საბარგულით კვლავ გაემგზავრნენ ყაზვინისაკენ. „მათ გარშემო მთელმა რეშთმა კვლავინდებურად მოიყარა თავი. კოცნა-ხვევით და „იასასუნ გურჯის“ ძახილით კიდევ ერთხელ გააცილეს ქალაქიდან ქართველები... გურჯებმა და ყარაბაღელებმა, რომელთაც ადრევე ჰქონდათ ერთმანეთში კავშირი, ყაზვინში მოიყარეს თავი და გადასწყვიტეს ერთად ებრძოლათ. როგორც ქვევით დავინახავთ, ეს მართლაც ასე მოხდა“³¹².

24 ივნისს (7 ივლისს) ქართველები და ყარაბაღელები რეშთიდან ყაზვინში ჩავიდნენ. იქ შესვენებაც ვერ მოასწრეს, რომ შაჰ აბადში მყოფი მოაზ-ოს-სულთანისა და ეფრემ-ხანისაგან მოვიდა წერილი, რომელშიც რამდენიმე ქართველის სასწრაფოდ იქ მისვლას ითხოვდნენ. „გურჯი სერგოს“ დღიურებში დასმულია კითხვა: „რათ იყო სამი ქართველი საჭირო ორი ათასი რაზმელისათვის, ნუთუ უიმათოთ კი ძნელი იყო მტერზე მისვლა?“ და იქვე გაცემულია პასუხი ამ კითხვაზე: „დიახ, ძნელი იყო. და ეს იმიტომ, რომ იმ სხვებთან შედარებით მცირერიცხოვან გურჯების ჯგუფში, რომელიც ყაზვინში (ბრძოლაში) იღებდა მონაწილეობას, ოცი ისეთი მებრძოლი მოიპოვებოდა, რომ რამდენიმე ას სარბაზს არ გაექცეოდა სიკვდილამდე. გურჯების მედგარი ბრძოლა მთელ სპარსეთში განთქმული იყო და პირველად, სადაც კი შეტაკება უნდა მომხდარიყო, ისინი მიდიოდნენ წინ. მეორეც, ამოდენა ხალხში არცერთი ყუმბარის მსროლელი არ მოიპოვებოდა, გარდა ქართველებისა. თუმცა ორი კარგად გამოცდილი ყუმბარის მსროლელი რუსი იყო, მაგრამ ისინიც გურჯების ჯგუფის წევრებად ითვლებოდნენ“³¹³.

ქართველები და ყარაბაღელები დაუყოვნებლივ გაეშურნენ ბრძოლების ადგილას. 25 ივნისს (9 ივლისს) ჩავიდნენ ყარა თაფ-

³¹² „ახალი სხივი“, № 28, 1910 წ., 9 მარტი.

³¹³ იქვე.



ში³¹⁴, სადაც წინა დღით დაბანაკდა რევოლუციონერთა რაზმი. ში მათ შეეგებნენ „ბელადი ხანები“ და საზეიმო შეხვედრა მოუწვეს შაჰ-აბასის ძველ სასახლეში, რომელიც თეირანის გზის ახლოს არის აშენებული. გარდა რეშიტიდან წამოღებული მათხერებისა, ისინი შეიარაღეს ახალი სამ სასროლიანი თოფებით. აღსანიშნავია, რომ 200-მდე ცალი ასეთი ახალი თოფი რევოლუციონერებს ჩააბარეს ახლო-მახლო სოფლების გლეხებმა, რომლებსაც იარაღი შაჰის მთავრობამ დაურიგა რევოლუციონერების წინააღმდეგ საბრძოლველად³¹⁵. ქართველი და ყარაბაღელი მეომრების ყარა თაფეში ჩამოსვლამდე 6 დღით ადრე, 11 თირის თვეს (1909 წ. 2 ივლისს) სარდარ ასადი, რომლის რაზმები ისფაჰანიდან მოსული ბახთიარების ახალი მხედრებით შეიგსო, ყუმიდან გამოვიდა და ალი აბადში³¹⁶ შეჩერდა. სარდარ ასადის წინააღმდეგ გაგზავნილი შაჰის მომხრე ბახთიარების რაზმი სარდარ მოფაჰემის მეთაურობით ჰასან აბადში³¹⁷ იდგა. სარდარ ასადმა შაჰის მომხრე ბახთიარებს გზა გადაუჭრა და რაბათე ქარიში³¹⁸ მივიდა, იქ დაბანაკდა და აქედან დაამყარა კავშირი სეფაჰდარის ბანაკთან ქარაჯში. ასე, რომ თეირანისაკენ მოლაშქრე ამ ორი ძალის შეერთება და დედაქალაქზე ერთობლივი შეტევის მოწყობა უკვე რეალობად ისახებოდა.

შერიგების ახალი ცდა

ამ დროს, ახლა ეს უკვე მეორედ, ინგლისისა და რუსეთის წარმომადგენლებმა სცადეს თავიდან აეცილებინათ ბახთიარებისა და გილანელების თეირანში შეჭრა. შაჰმა აღადგინა სასახლის რეაქციული ენჯუშენი და ორივე იმპერიალისტური სახელმწიფოს — ინგლისისა და მეფის რუსეთის წარმომადგენლები მიიწვია თათბირზე.

³¹⁴ ყარა თაფე ანუ ყარა თაფა. სავეს პროვინციის შემადგენლობაში შემავალი სოფელია. სავედან დაშორებულია 24 კმ-ით. სავე—ყუმის გზიდან 3 კმ-ზე მდებარეობს. მოსახლეობა სპარსელებია.

³¹⁵ „ახალი სხივი“, № 28, 1910 წ., 9 მარტი.

³¹⁶ ა. ქასრავი, დასახ. ნაშრ., გვ. 53, ალი აბადი — ყაზვინის შაჰრესთანის ავაჯის ბაზმის აღმოსავლეთ ხარყანის დეჰისტანის სოფელი. მდებარეობს ავაჯიდან 33 კმ-ზე. ვაჟი ათაგლია, მოსახლეობა ძირითადად თურქულენოვანია.

³¹⁷ ჰასან აბადი—ყაზვინის შაჰრესთანის ზიბა აბადის ბაზმის დუღანქეს დეჰისტანის სოფელი. მდებარეობს 28 კმ-ზე ზიბა აბადის სამხრეთით და საერთო გზიდან 6 კმ-ზე. მთიანი ადგილია. ცხოვრობენ თურქები და სპარსელები.

³¹⁸ რაბათე ქარიში — თეირანის შაჰრესთანის შაჰრეის ბაზმის დაბა, სოფელი. მდებარეობს თეირან — ყუმის გზაზე, ალიშაჰ ავაჯის სამხრეთით 24 კმ-ზე, ვაკე ადგილია, ცხოვრობენ სპარსელები.



მან ითხოვა შეამდგომლობა სარდარ ასადისა და სეფაპადარის წინაშე. რათა შეეჩერებინათ წინსვლა თეირანისაკენ. 21 ივნისს (4 ივლისს) სეფაპადარის ბანაკში—ქარაჯში გაიგზავნა რუსეთის დიპლომატიური მისიის თარჯიმანი ბარანოვსკი და ინგლისის სამხედრო ატამე მაიორი სტოქსი, ხოლო ბახთიარებს რაბათე ქარიშში ეწვია რუსეთის მისიის მეორე თარჯიმანი რომანოვსკი და ინგლისის საელჩოს მდივანი ჩერჩილი. სეფაპადართან გამართული მოლაპარაკების შესახებ „ცისფერ წიგნში“ აღნიშნულია, რომ მიუხედავად მძიმე ბრძოლები-სა, რაც შაჰ აბაღში გადახდათ, მოჯაჰიდების ბანაკში თავს მხედ გრძნობდნენ და მათ დამარცხების არავითარი ნიშანი არ ეტყობოდათ, მზად იყვნენ განეგრძოთ წინსვლა თეირანისკენ³¹⁹. რაც შეეხება სარდარ ასადს და მის ბანაკს რაბათე ქარიშში, აქ კიდევ უფრო მტკიცე გადაწყვეტილებაზე იდგნენ. როცა რომანოვსკიმ და ჩერჩილმა სარდარ ასადი ცალკე გაიხმეს და ემშვიდობებოდნენ, მან ფრანგულად უპასუხა: „თეირანში მეორედ შეხვედრამდე“³²⁰.

მეფის რუსეთის დიპლომატიური დოკუმენტების კრებულში ამის თაობაზე აღნიშნულია: მიუხედავად ინგლისისა და რუსეთის წარმომადგენელთა მუქარისა, რომ თუ სეფაპადარი და სარდარ ასადი არ შეწყვეტდნენ წინსვლას თეირანისაკენ, მათი მთავრობები მიმართავდნენ იძულებით ღონისძიებებს ვითომდა თავიანთი ქვეშევრდომებისა და ქონების დასაცავად, მათ უპასუხეს, რომ სანამ ხელისუფლების სათავეში რეაქციონერები სხედან, გათელილია ფეხქვეშ ხალხის უფლებები, აქიანურებენ კონსტიტუციის შემოღებასა და მეჯლისის არჩევნებს, გადაწყვეტილი აქვთ მიიღონ ზომები ამ უკანონობის აღსაკვეთად. მათ მოითხოვეს უცხოელთა ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანა ირანიდან³²¹, დემოკრატიული ენჯუმენტების აღდგენა და მათ მიერ მინისტრების არჩევა, აგრეთვე რეაქციონერთა მორავეების გაძევება ქვეყნიდან³²².

ამრიგად, იმპერიალისტური ქვეყნების წარმომადგენლების არც ამ მანევრმა გამოიღო შედეგი.

³¹⁹ იქვე, გვ. 53—54; იხ. აგრეთვე. Blue book, Persia, N 1, 1909. pp. 52—72; Сборник дипломатических документов... с. 232.

³²⁰ ა. ქასრაჯი, დასახ. ნაშრ., გვ. 54.; იხ. აგრეთვე Blue book, Persia, 1909, № 1, pp 52—72; Сборник дипломатических документов... с. 232.

³²¹ ამ დროს გარდა თავრიზისა, სადაც გენერალ სნარკის ჯარი იდგა, რუსეთის ჯარები აპირებდნენ ირანის კასპისპირეთში შეჭრას. ამვე დროს ინგლისელთა ჯარები იდგა სამხრეთ ირანის ნავსადგურებში და შირაზში. ინგლისელები იმუქრებოდნენ აგრეთვე, რომ ჯარებს შეიყვანდნენ ბელუჩისტანსა და ქერმანში.

³²² Сборник дипломатических документов, касающихся событий в Персии, Вып. II, с. 232—233.



როგორც ა. ქასრავი წერს, გილანელმა აჯანყებულებმა შაჰ აბად-ში სპარსელ კაზაკთა და შაჰის მომხრე ბახთიართა ძალებთან კებების დროს განცილილი წარუმატებლობის შემდეგ სხვა ხერხი იხმარეს. მათ მოქმედების ახალი გეგმა შეადგინეს, რომლის თანახმად საჭირო იყო რაც შეიძლება მალე შეეერთებინათ თავისი ძალები ბახთიარებთან და ერთად განეხორციელებინათ შეტევითი ოპერაციები. ამ დროს ბახთიართა რაზმი მათგან მაინცდამაინც შორს არ იმყოფებოდა. ამ ორ ბანაკს შორის ფოსტალიონი მიდი-მოდიოდა და წერილები და ამბები მიჰქონდ-მოჰქონდა. იმის შემდეგ, რაც სეფაზ-დარმა ბანაკი გამოიცვალა და ქარაჯიდან მოჰსარაქში გადავიდა, შეთანხმდნენ, რომ კვლავ გამოეცვალათ ადგილსამყოფელი, ერთმანეთის პირისპირ დაძრულიყვნენ და იაფთ აბადში⁵²³ შეერთებულყვნენ.

მალე სარდარ ასადი ბახთიარი მხედრებით რაბათე ქარიმიდან გამოვიდა, მაგრამ გზაში გაიგო, რომ იაფთ აბადი მთავრობის ჯარის განკარგულებაში იმყოფებოდა და ამიტომ იძულებული იყო ყასემ აბადში³²⁴ შეჩერებულიყო. თავის მხრივ, როგორც ვიცით, სეფაზდარისა და ეფრემ ხანის რაზმები ყარათაფემდე მოვიდა და იქ დაბანაკდა³²⁵. ამის შემდეგ იმპერიალისტური ქვეყნების მთავრობებმა მიმართეს კიდევ ერთ ახალ, რიგით მესამე ცდას, რათა არ დაეშვათ გილანელი ფიდაებისა და ბახთიარი მხედრების შეჭრა თეირანში და ამით როგორმე გადაერჩინათ მოჰამად ალი შაჰი. ისინი სიტყვიერი მუქარიდან მის პრაქტიკულად განხორციელებაზე გადავიდნენ. მეფის რუსეთმა ჯარების ახალი კონტიგენტები შეიყვანა ჩრდილოეთ, ხოლო ინგლისმა სამხრეთ ირანში³²⁶. მაგრამ ამ ჩარევასაც არ მოჰყვა მათთვის სასურველი შედეგი. ამასთან დაკავშირებით „გურჯი სერგოს“ დღიურებში აღნიშნულია: „26 ივნისს (9 ივლისს) თეირანის მთავრობამ, როდესაც გაიგო რევოლუციონერების მოურიდებელი წინსვლა და მათი ძალა, შეფიქრიანდა და მან ხრიკებს მიმართა. რევოლუციონერებს ეწვია 28 ივნისს (11 ივლისს) რუსისა და ინგლისის

³²³ იაფთ აბადი — თეირანის შაჰრესთანის რეის ბაზშის დაბა-სოფელი. თეირანის სამხრეთ-დასავლეთით 6 კმ-ზე მდებარეობს. ყაზენი — რაბათე ქარიმის გზაზე. მოსახლეობა სპარსულ ენაზე ლაპარაკობს.

³²⁴ ყასემ აბადი — თეირანის შაჰრესთანის შაჰრიარის ბაზშის დასახლებული პუნქტი. ალი შაჰავაზის სამხრეთ-აღმოსავლეთით 12 კმ-ზე მდებარეობს. თეირან — რაბათე ქარიმის გზის ჩრდილოეთით 5 კმ-ზე. ცხოვრობენ სპარსელები.

³²⁵ ა. ქასრავი, დასახ. ნაშრ., გვ. 54, ყარა თაფე — თეირანის შაჰრესთანის შაჰრიარის ბაზშის სოფელი. ალი შაჰავაზის აღმოსავლეთით 3 კმ-ზე მდებარეობს: ერთი კმ-ით არის მოშორებული ალი შაჰავაზს — თეირანის გზიდან. მოსახლეობა სპარსელებია.

³²⁶ Сборник дипломатических документов, касающихся событий в Персии. Вып. II, с. 230—234.



გამოგზავნილი კაცები, რომელთაც შაჰისა და თავიანთი სახელმწიფოს სეფაჰდარს სთხოვეს წინსვლა შეეჩერებინა და საშუალება მიეცა შაჰისათვის სისრულეში მოეყვანა რევოლუციონერების ყველა მოთხოვნა. სეფაჰდარიც დათანხმდა, მაგრამ ხანგრძლივი არ იყო მისი შეჩერება“³²⁷.

სეფაჰდარი ჩვეულებრივ კვლავ ყოყმანობდა, მაგრამ რევოლუციის იდეებისადმი ყველაზე ერთგული მეზრძოლები და სარდარ ასადის ბახთიარი მხედრების იმედით საბოლოოდ უარით გაისტუმრა რუსეთისა და ინგლისის შუამავლები. საპასუხოდ ინგლისმა და რუსეთმა სამხედრო დემარშებს მიმართეს. „ყაზვინში ჩამოვიდა რუსეთის ჯარი, რომელიც თავრიზში მიეშურებოდა. თეირანიდანაც შაჰის ჯარი საკმარისი მოდიოდა და სიმაგრეებს იჭერდა. მთელ 25 ვერსის სიგრძეზე, რაც კი თეირანის სიახლოვით სოფლები იყო“³²⁸, ყველა საქსე იყო შაჰის ჯარებით. სეფაჰდარი კარგად ხედავდა შაჰის ელჩების სიცრუეს. მათ სურდათ ესარგებლათ შეჩერებით, რომ ჯარს შეესწრო თეირანში და თუ მაინცდამაინც რევოლუციონერები გაბედავდნენ წინსვლას, მაშინ თეირანის ჯარი შეაკავებდა მათ ჯარის ნაწილების მოსვლამდე... სეფაჰდარმა აღარ მოიცადა და ყველამ წინ გასწია. რაზმმა ღამე სოფელ იავჯობადში³²⁹ გაატარა და დილით კვლავ განაგრძობდა გზას“³³⁰.

ბახთიარებისა და გილანელების შეერთება

გილანისა და ყაზვინის აჯანყებულთა რაზმები და ბახთიარები თანდათან უახლოვდებოდნენ ერთმანეთს. როგორც დღიურებშია აღნიშნული, დაახლოებით დილის 7 საათზე 26 ივნისს (9 ივლისს) რევოლუციონერთა რაზმი დაიძრა ბახთიარებთან შესახვედრად, მაგრამ მათი ზუსტი სადგომი ადგილი ჯერ კიდევ ცნობილი არ იყო. რევოლუციონერებმა რაზმი ორად გაყვეს. ერთი ნაწილი სოფელ ბადამექის³³¹ მიმართულებით წავიდა, ხოლო მეორემ იმამზადე-ყასიმისა-

³²⁷ „ახალი სხივი“, № 28, 1910 წ., 9 მარტი.

³²⁸ ა. ქასრავის ცნობით, იმ დროს შაჰის ჯარების ხელში იყო თეირანის გზის გაყოფებით მდებარე შაჰ აბადი, ჰასან აბადი, ყალე შაჰი, თავფე სეიყი, იაფთე-აბადი და სხვა სოფლები და დასახლებული პუნქტები. იხ. ა. ქასრავი, დასახ. ნაშრომი, გვ. 54.

³²⁹ იავჯობადი (იავჯი) — ყაზვინის პროვინციის მოალემ ქალაიეს რაიონის სოფელი. მდებარეობს 40 კმ-ზე მოალემ ქალაიეს ჩრდილო-დასავლეთით. ცხოვრობენ სპარსელები.

³³⁰ „ახალი სხივი“, № 28, 1910 წ., 9 მარტი.

³³¹ ბადამექი თეირანის პროვინციის შაჰრიარის რაიონს ეკუთვნის. ბაზმის ცენტრიდან დასავლეთით 10 კმ-ზე მდებარეობს. ცხოვრობენ სპარსელები და თურქები.



კენ³³² აიღო გეზი. ამავე დროს, როგორც ა. ქასრავი წერს, სარდარ ასადი თავისი ბანაკიდან, რომელიც სოფელ ყასემ აბადში იმყოფებოდა, ბახთიარ მხედარაჟა ერთი ჯგუფის თანხლებით, მოსალაპარაკებლად სეფაჰდარის ბანაკისაკენ წამოვიდა³³³. ა. ქასრავი, სხვა ცნობების უქონლობის გამო, აღარაფერს იუწყება გზაში მომხდარი გაუგებრობისა და ინციდენტის შესახებ, რაც ბახთიარებსა და გილანელებს შეემთხვათ. სამაგიეროდ „გურჯი სერგოს“ დღიურებში საკმაო სიზუსტითა და დაწვრილებით არის აღწერილი ეს ამბავი. იმამზადე-ყასიმისაკენ მიმავალ გილანელ რევოლუციონერთა ჯგუფს „მალე წინ შეეჩეხა ორმოცამდე ბახთიარი, რომლებიც სეფაჰდართან მოემგზავრებოდნენ თურმე მოსალაპარაკებლად“. გილანელებმა ბახთიარები ვერ იცვენეს. მათ ისინი მოწინააღმდეგე ეგონათ, სროლა აუტეხეს და რამდენიმე ბახთიარი კიდევ მოკლეს. „მაგრამ ბახთიარები იარაღით არ უბასუხებდნენ, ვინაიდან მიხვდნენ ვისთან ჰქონდათ საქმე და იძახდნენ: „სამსამის (იგულისხმება ბახთიარების ბელადი, სარდარ ასადის უფროსი ძმა სამსამ-ოს-სალთანე. გ. ქ.) ხალხი ვართო“, და როცა სიტყვით ვერაფერს გახდნენ, მათაც მიმართეს იარაღს. შეუტიეს გილანელებს. მედგრად დასჭყვივლეს ჩვეულებრივ პირზე, ხელმიფარებული „ოოოო“, იერიშით შეეცივდნენ გილანელების შუაგულში და 500 გილანელი იძულებული გახადეს გაქცეულიყო“³³⁴. გილანელები უთავბოლოდ უკუიქცნენ ყაზვინის გზისკენ. მაგრამ, როცა იმამზადე ყასიმის ბოლოს უწიეს, იქ ისინი საფრებში მყოფმა შაჰის ჯარებმა შენიშნეს, გზა შეუკრეს და ხოცვა-ჟლეტა დაუწყეს.

ამას დაერთო მეორე უბედური შემთხვევა.

გილანელთა ამ რაზმს ეფრემ-ხანმა გაუგზავნა ყუმბარებით სავსე საბარგული, რომელზედაც ქართველი რევოლუციონერი ბომბმტყორცნელი ავადმყოფი პეტრე (ივლიანე) ფოჩხუა იჯდა. გილანელ „ბელადებს“ იგი უბატრონოდ მიეტოვებინათ. ავადმყოფი პეტრე ფოჩხუა საბარგულიდან გადმოხტა და მარტო იბრძოდა. მერე მისი ასავალდასავალი არავის გაუგია³³⁵. ასე გმირულად დაიღუპა უთანასწორო ბრძოლაში კიდევ ერთი ინტერნაციონალისტი ქართველი რევოლუციონერი სამშობლოდან შორს ირანში. ის კიდევ ერთი მსხვერპლი იყო, რომელიც ირანელმა ხალხის განთავისუფლებისათვის ბრძოლას შეეწირა.

³³² იმამზადე ყასიმი თეირანის პროვინციის შირანის რაიონში შედის. მდებარეობს თაჯარისის ჩრდილოეთით 1,5 კმ-ზე. საკმაოდ დიდი სოფელია. ცხოვრობენ სპარსელები.

³³³ ა. ქასრავი, დასახ. ნაშრ., გვ. 54.

³³⁴ „ახალი სხივი“, № 28, 1910 წ., 9 მარტი.

³³⁵ იქვე.

სოფელ იმამზადე ყასიმის მახლობლად მომხდარი ამ შემთხვევითი ჩნცინდენტისა და შემდეგ ამ სოფელში შაჰის ჩასაფრებულთა ქარების მიერ გილანელთა მუხანათური ხოცვა-ჟლეტის მოწყობის დროს ქართველებისა და ყარაბაღელების ჯგუფი, რომელიც რეშითიდან დაბრუნდა, ისევ სოფელ იავჯობადში იმყოფებოდა და მოაზ-ოს-სულთანისაგან ცხენებს ელოდებოდა, რომ ყუმბარებით აღჭურვილი ბრძოლის ველზე გასულიყო. ავღსთაუწყებელი სროლის ხმამ იავჯობადამდეც მიადღწია, მაგრამ ჭაობები უშლიდა მათ ხელს ფეხით გასულიყენენ და დახმარებოდნენ გილანელებს. სროლა სულ უფრო ძლიერდებოდა. მალე მათ წინ ჩამოიჭროლეს გილანელმა „ბელადმა ხანებმა“, რომლებსაც ბრძოლის ველი პირველებს მიეტოვებინათ. ქართველმა და ყარაბაღელებმა სასწრაფოდ მიიღეს ზომები, რომ გამოქცეულები შეეჩერებინათ³³⁶. ისინი დაუყოვნებლივ შეიარაღდნენ ყუმბარებით, რომელიც იქვე საბარგულზე ეწყო და გაემართნენ იქით, სადაც მტერი ეგულებოდათ. რევოლუციონერთა რაზმი გაბედულად წავიდა წინ იავჯობადის ორღობეებისა და ბალ-ვენახების გავლით. სულ წინ მზვერავთა ჯგუფი გაგზავნეს. მზვერავებმა მალე აღმოაჩინეს მტრის ადგილსამყოფელი, რომელზეც ფიცხლად მიიტანეს იერიში ბომბებითა და შაშხანებით. სოფლის ბოლოში ჩასაფრებული მტერი გაიქცა. მან დასტოვა ექვსი მოკლული და 8 შაშხანა³³⁷. რევოლუციონერთა რაზმმა გზა განაგრძო. მალე მათ სოფლის გარეთ ერთ გორაკზე შენიშნეს, რომ შეიარაღებულ მხედართა ჯგუფი იდგა, რომელსაც წითელი დროშა აეფრიალებინა და ზარბაზანს ისროდა დასავლეთის მიმართულებით. ქართველთა და ყარაბაღელთა რაზმი შეჩერდა. გორაკზე მდგარ მხედრებს ორი კაცი გაუგზავნეს და დააბარეს: „ჩვენ, კავკასიელები, წინადადებას გაძლევთ შეგვატყობინოთ თქვენი ვინაობა. წინააღმდეგ შემთხვევაში ყუმბარებით ავაფეთქებთო“. იქიდან უპასუხეს, რომ „თქვენი მომხრე ბახთიარები, სამსამას ხალხი ვართ. თქვენ და თქვენს ჯარს მოველითო“. ბახთიარებმა მეგობრობის დასამტკიცებლად შვრიდი კაცი გამოგზავნეს წითელი დროშით ქართველებთან და ყარაბაღელებთან შესახვედრად. შემდეგ ისინი წინ გაუძღვნენ მათ და გორაკზე მდგარ ბახთიარებამდე მიაცილეს³³⁸.

ასე მოხდა ირანის დედაქალაქზე მოლაშქრეთა ორი ნაკადის შეერთება. აღმოჩნდა, რომ გორაკზე განლაგებული ბახთიარების ჯგუფი, რომელიც გილანელებთან შესაერთებლად და მოსალაპარაკებლად იყო წამოსული, შაჰის ჯარს წაწყდომოდა: მოწინააღმდეგე ლაღვი სულეიმანის ციხეში იყო გამაგრებული. ბახთიარები მას ზარ-

³³⁶ „ახალი სხივი“, № 28, 1910 წ., 9 მარტი.

³³⁷ იქვე.

³³⁸ იქვე.

ბაზანს უშენდნენ. უმაღვე გადაწყდა ციხეში გამაგრებული მტრისა და ჯარზე ერთობლივი იერიშის მიტანა. მაგრამ სულ ორასი ნაბიჯი არ გაველოთ, რომ თავს წააწყდნენ იქვე პატარა ხევში ჩასაფრებული მტრის მოწინავე რაზმს.³³⁹

„გაჩაღდა ბრძოლა — განაგრძობს დღიურების ავტორი — კავკასიელებმა პირველად ნახეს ბახთიარების სივრცე. არც ტყვიას, არც ზარბაზანს არ შეეძლო მათი შეჩერება. ყველა სროლით მიიწვედა წინ. მალე კავკასიელებმა მოაშზადეს მათუხერები (ბახთიარებს მათუხერი არ უყვართ და არც არავის ჰქონდა) ბახთიარებთან ერთად გადავიდნენ მტრის ბანაკში შეტევაზე. გაჩაღდა ხელჩართული ბრძოლა, რომელმაც ორი საათი გასტანა. ამის შემდეგ მტერი გაიქცა ციხისკენ. მტერმა დასტოვა 27 დაჭრილი-დახოცილი, 50 თოფი და შვიდი კაზაკ-ბახთიარი ცოცხლად შეიპყრეს.

რევოლუციონერების მხრივ დაიჭრა და დაიხოცა ოცდათორმეტი ბახთიარები, დასძენს ავტორი — ისე როგორც რევოლუციონერების მომხრე, შაჰის მომხრენიც იყვნენ“³⁴⁰. იმის შემდეგ, რაც ბახთიარებისა და გილანელ-კავკასიელების შეერთება მოხერხდა — წერს ა. ქასრაივი — აჯანყებულთა მეთაურები პირველად დასხდნენ ერთად და მომავალ ერთობლივ ღონისძიებებზე გამართეს საუბარი. აჯანყების მეთაურებმა შეადგინეს საბრძოლო გეგმა, რომლის თანახმად ეფრემ-ხანი წინ წავიდოდა თავისი რაზმებით. ბახთიართა მხედრები მარჯვნიდან შეუტევენ, ხოლო დანარჩენი გილანელები და კავკასიელები მარცხენა ფლანგს დაიკავებდნენ და, ამრიგად, სოლისებური ანუ კუთხური განლაგებით მიიტანდნენ გადამწყვეტ იერიშს. ისინი მეორე დღეს, 10 ივლისს, დაიძრებოდნენ. ეფრემ-ხანის მოწინავე რაზმები სოფელ ბაღამეჭისა და დემოვიზისაკენ³⁴¹ უნდა გაქრილიყვნენ და აქ მყოფი მტრის მთავარი დაჯგუფება უნდა მოესპოთ. ამ მოლაპარაკების დამთავრებისა და დედაქალაქის აღების გენერალური გეგმის შედგენის შემდეგ სარდარ ასადი თავის ბანაკში დაბრუნდა³⁴².

ბენერალური ბრძოლების დაწყება

ბრძოლა დაიწყო შაბათს, 19 თირის თვეს ჰიჯრით (10 ივლისს). იგი ექვს დღეს გაგრძელდა. აქედან სამი დღე ბრძოლები თეირანის მისადგომებზე მიმდინარეობდა, ხოლო მეორე სამი დღე თვითონ ქა-

³³⁹ „ახალი სხივი“, № 28, 1910 წ., 9 მარტი.

³⁴⁰ იქვე.

³⁴¹ დემოვიზი (დემოზ აბადი) — თეირანის პროვინციის ვარამინის რაიონში შედის ვარამინიდან სამხრეთით 8 კმ-ზე მდებარეობს. სოფელში სპარსელები ცხოვრობენ.

³⁴² ა. ქასრაივი, დასახ. ნაშრ., გვ. 54.



ლაქის ქუჩებში. ამ ბრძოლების შესახებ ცნობები მოიპოვება რუსეთისა და ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროების დიპლომატიური დოკუმენტების კრებულებში და იმდროინდელ პრესაში. ამის თაობაზე წერს აგრეთვე დავიდ ფრეზერი³⁴³ წიგნში „სპარსეთი და თურქეთი ჯანყში“. ამ ამბებს ეხებიან სეფაჰდარი და სარდარ ასადი თავის მოგონებებში. როგორც ა. ქასრავი აღნიშნავს, „ეფრემ-ხანის ერთ-ერთ თანამგზავრსაც დაუწერია მოგონებები, რომელიც ხელთა გვაქვს“³⁴⁴. მაგრამ ყველა მათ გარკვეული ნაკლი გააჩნიათ. განსაკუთრებით მათში შეინიშნება ტენდენციურობა და „ბელადი ხანების“ როლის გაზევალება. ჩვენ შევეცდებით ა. ქასრავის ცნობები შეუჯეროთ ამ ამბების დღიურების ავტორისეულ აღწერას.

მოწინააღმდეგის ხაფანგში

ქასრავი წერს, რომ დღით შაბათს, 10 ივლისს, ჯერ კიდევ შზის ამოსვლამდე ეფრემ-ხანის რაზმელები თავისი მამაცი ფიდაებით ყარათაფედან გამოვიდნენ და გეზი ბადამექისაკენ აიღეს. მაგრამ, როცა რამდენიმე კილომეტრი გზა გაიარეს, გზის პირას მდებარე ბაღების უკანაგან მოულოდნელად ტყვიები დააყარეს მათ. ეფრემ-ხანი არ მოელოდა, რომ მტერი ასე ახლოს იქნებოდა. ამ შემთხვევამ იგი საგონებელში ჩააგდო. რაზმი საფრებში განალაგა და წინ მზვერავები გაგზავნა. მათ ახლო-მახლო ადგილები დაათვალიერეს, მაგრამ ვერაფერი აღმოაჩინეს. ეფრემმა ძვიქრა, ალბათ, სარდარ ასადის ბახთიარები არიან სადმე ახლოს, ვერ გვიცვენს და ამიტომ გვესვრიანო. კვლავ აიშალნენ და წინ წავიდნენ. მართლაც, მალე მათ შენიშნეს ბახთიარების დიდი ჯგუფი, რომლებმაც ბათქები მისცეს და მათკენ გამოემართნენ. ბახთიარებს წითელი ბაირალიც ეჭირათ ხელში და ეს გახდა ცთუნების საბაბი. ეფრემმა ფიდაებს განკარგულება მისცა ცხენებიდან ჩამოქვეითებულიყვნენ და გაშლილი მწყობრით წასულიყვნენ წინ. იგი ფიქრობდა, რომ ამასობაში ბახთიარები გონს მოვიდოდნენ, მათ შეიცნობდნენ, ბათქებს შეწყვეტდნენ და მეგობრობის ნიშანს მისცემდნენ. მაგრამ ფიდაები და მათი ხელმძღვანელები

³⁴³ დავიდ ფრეზერი ირანის რევოლუციის დროს, 1909 წელს, ირანში იმყოფებოდა როგორც ინგლისურ გაზეთ „ტაიმსის“ კორესპონდენტი. იგი იმპერიალისტური პოზიციებიდან განიხილავს რევოლუციურ ამბებს. დ. ფრეზერის წიგნი 1910 წელს გამოქვეყნდა ლონდონში. იხ. O. Frazer, *Persia and Turkey in Revolt*, London, 1910, p. 115.

³⁴⁴ სამწუხაროდ, ა. ქასრავი არ ასახელებს, თუ ვინ იყო ეფრემ-ხანის თანამგზავრი, რომელსაც მოგონებები ჰქონია ამ ბრძოლების შესახებ.

გაოცებული დარჩნენ, როცა დაინახეს, რომ ბახთიარი მხედრები გარს შემოერთყნენ მათ და დანებება მოთხოვეს. თანაც ფეხლებს თოფებს ხელიდან გლეჯდნენ. ამ დროს მიხვდა ეფრემ-ხანი, რომ მწარედ მოსტყუვდა და თავი ერთბაშად ძნელ მდგომარეობაში იგრიძნო³⁴⁵.

როგორც შემდეგ გამოირკვა, შაჰის მომხრე ბახთიარების მეთაური ამირ მოფაჰემი მოჯაჰიდებზე თავდასხმის განზრახვით თავისი რაზმით დილით ადრე ყასემ აბაღში მისულიყო. ამ დროს მან შორს მომავალი ეფრემ-ხანის რაზმი შენიშნა. ამირ მოფაჰემმა მომენტი ხელსაყრელად მიიჩნია, გადაწყვიტა, რომ მოხერხებულად გამოეყენებინა იგი და მოჯაჰიდები ტყვედ ჩაეგდო. როგორც ვნახეთ, თავდაპირველად საქმე წარმატებით მიდიოდა და თითქოს კიდევ უნდა აღსრულებულიყო ამირ მოფაჰემის ჩანაფიქრი, მაგრამ ეფრემ-ხანის მოჯაჰიდებმა, როგორც კი გამოიცნეს მტრის განზრახვა, არ დაიბნენ და დაუყოვნებლივ ბრძოლაში ჩაებნენ. რევოლუციონერებმა, წინასწარი კარგი მომზადების წყალობით, საოცარი გმირობისა და ვაჟკაცობის მაგალითი უჩვენეს. ამ შეტაკების დროს ოთხი ფიდაი (ორი მუსლიმანი და ორი სომეხი) დაიღუპა. ეფრემის თანამგზავრის ცნობით, წერს ა. ქასრაევი, ბახთიარებს 70 კაცი და 120 ცხენი მოუკლესო. მაგრამ ეს ცნობა რამდენადმე გაზვიადებულად მიაჩნია მას³⁴⁶.

ბაღამეძის ბრძოლა

მტერი სოფელ ბაღამექში გამაგრდა და თოფსა და ზარბაზანს უშენდა გილანელ აჯანყებულთა რაზმებს. მალე გილანელ მოჯაჰიდებს სარდარ ასადი წამოეშველა თავისი ბახთიარი მხედრებით და ორი ზარბაზნით. ბრძოლა საღამომდე გაგრძელდა. მოჯაჰიდები ნელა მიიწვედნენ წინ. მზის ჩასვლისას მიღწიეს ბაღამექს და დაიკავეს იგი. ეს ბრძოლა ბაღამექის ბრძოლის სახელით არის ცნობილი. ბაღამექის აღების დროს კიდევ ერთი გილანელი ფიდაი მოკლეს. სარდარ ასადის ბახთიარებიდან დაიღუპა 12 და დაიჭრა 20 კაცი. შაჰის ჯარების ოანაკლისის შესახებ ზუსტი ცნობა არ არსებობს — აღნიშნავს ა. ქასრაევი³⁴⁷.

ეს ბრძოლები დღიურებში ასეა დახასიათებული:

³⁴⁵ ა. ქასრაევი, დასახ. ნაშრ., გვ. 55.

³⁴⁶ იქვე.

³⁴⁷ იქვე. ა. ქასრაევი ფიქრობს, რომ ეფრემ-ხანის თანამგზავრის ცნობა მოწინააღმდეგის დანაკლისის შესახებ შეიძლება მთელი დღის ბრძოლის შედეგებს შეეხებოდესო.



„მარცხნივ ფრონტზე, სოფელ დემოვიზში იბრძოდნენ ეფრემი და დანარჩენი გილანელები, რომლებსაც ცუდი დღე დაადგათ და ამ დროსვე დაიღუპნენ. რამდენიმე საუკეთესო დროშაველთან ერთად ეფრემი შაჰის მომხრე ბახთიარებმა მოტყუებით შეიპყრეს. ზოგს იარაღიც აპყარეს და ტყვედ უპირებდნენ წაყვანას. მაგრამ მათ დროზე წამოეშველნენ ამხანაგები. თხუთმეტამდე ბახთიარი დახოცეს და ტყვეები გაანთავისუფლეს, თუმცაღა ზოგნი უიარაღოდ. მათი განთავისუფლების შემდეგ მარცხენა ფრთამ³⁴⁸ ძალა მოიკრიბა და მტერზე ძერიში მიიტანა. მტერი სოფელ ბადამექში გაიქცა და ზარბაზნების სროლა დაიწყო ორივე მხრიდან. მტერმა მინდორში დატოვა ოცამდე მოკლულ-დაჭრილი. რევოლუციონერებს მოუკლეს ოთხი, დაჭრეს ექვსი კაცი და ოთხი ცხენი. ამავე ბრძოლაში მოკლეს საუკეთესო მებრძოლთაგანი დროშაველი ხეჩო“³⁴⁹.

ამის შემდეგ, როგორც „გურჯი სერგოს“ დღიურებიდან ჩანს, შაჰის მთავარ ძალებს ლაღვი სულეიმანძს ციხეში მოუყრიათ თავი. იქ გამაგრებულან და თოფისა და ზარბაზნის სროლა აუტეხიათ. ბახთიარები ზარბაზნის ზუსტი სროლით პასუხობდნენ მათ. მაგრამ ციხის აღება მაინც ვერ მოუხერხებიათ. ამიტომ მათ ციხეზე პირდაპირი იერიშით მისვლა განუზრახავთ. ამასთან ქართველების შემწეობით ბომბების გამოყენებას ფიქრობდნენ, მაგრამ ქართველებს იმ დროს საკმაო ყუმბარებიც არ აღმოჩენიათ და ვინაიდან ეს დიდ მსხვერპლს გამოიწვევდა და სეფაპდარიც ამის წინააღმდეგი იყო, ციხის პირდაპირი იერიშით აღებაზე ხელი აუღლიათ³⁵⁰.

ისევე როგორც სხვა გადახდილ ბრძოლებში, ბადამექის ბრძოლაშიც დღიურების ავტორმა პირადად მიიღო მონაწილეობა. სეფაპდარის რჩევით, ბახთიართა რაზმებთან შეერთების საქმეში მეკავშირეობა მას მიანდევს. ამასთან დაკავშირებით, როგორც თავის ადგილას კიდევ იყო მინიშნებული, იგი წერს: „სეფაპდარმაც გვირჩია ყველანი შევერთებულიყავით და შუაყაცობა გვანდეს მე და სპარსელ მამედ-ალის (ყარაბაღელია). ის იყო გავედით სოფელს, რომ სოფელ ბადამექიდან, რომელიც მხოლოდ ერთი ვერსით არის დაშორებული დემოვიზზე, იქუხა მტრის ზარბაზანმა. ამაზე რევოლუციონერებმაც უპასუხეს. მთელი სამი საათი ზარბაზნების შეუწყვეტელი სამხრები სროლა იყო“³⁵¹. რევოლუციონერთა რაზმი მინდორში განლაგდა და გაშლილი რიგებით იერიში მიიტანა მტერზე. კაზაკები

³⁴⁸ როგორც ცნობილია, მარცხენა ფრთა გილანელებს ეჭირათ.

³⁴⁹ „ახალი სხივი“, № 35, 1910 წლის 11 მარტი.

³⁵⁰ იქვე.

³⁵¹ იქვე.

უკუიქცნენ და ძლივს მოახერხეს ბრძოლის ველიდან ზარბაზნის გა-
ტანა. ამ ბრძოლაში რევოლუციონერებმა ხუთი კაცი და ათასეუ-
ლები დაკარგეს.

მოწინააღმდეგეთა ძალები

სპარსეთის კაზაკთა რაზმებს, რომლებიც თეირანის მისადგომე-
ბთან იდგნენ და ფიდაებისა და ბახთიარების წინააღმდეგ იბრძოდნენ,
სამი რუსი ოფიცერი — კაპიტანი პერებინოსოვი, კაპიტანი ზაპოლ-
სკი და პოლკოვნიკი ბლაზნოვი ედგნენ სათავეში. ისინი, როგორც
პოლკოვნიკი ლიახოვი, შაჰის რეაქციის სამსახურში იდგნენ და
ერთგულად ემსახურებოდნენ მას.

ჯერ კიდევ 1909 წლის ივნისის დამდეგს ორი ათასზე მეტი ბახ-
თიარი მხედარი სარდარ ასადის სარდლობითა და ათასზე მეტი ფი-
დაი სეფაჰდარის მეთაურობით ისფაჰანიდან და ყაზვინიდან თეირანისა-
კენ რომ დაიძრნენ, შაჰის მთავრობა საგონებელში ჩავარდა. იგი აშკა-
რად გრძნობდა თავის უძლურებას მოწინააღმდეგის ძალების წინაშე
რა უნდა დაეპირისპირებინა შაჰს ამ ძლიერი და საკმაოდ გამობრძმე-
დილი სამი ათასზე მეტი მეომრისათვის? სპარსეთის კაზაკთა ბრიგადა,
რომელიც თავისი არსებობის სამ ათეულ წელიწადს ითვლიდა და რუსე-
თის კაზაკთა საჯარისო შენაერთების წაბაძვით იყო შედგენილი და
გაწვრთნილი, ირანის ერთადერთ რეგულარულ და შედარებით ბრძო-
ლისუნარიან სამხედრო ერთეულად ითვლებოდა. შაჰის დანარჩენი
არმია ფაქტიურად არარეგულარულ ბანდებად იყო დაქსაქსული,
სარბაზები, დიდი ხანია აღარ წარმოადგენენ ჯარისკაცებს ამ სიტყვის
ნამდვილი გაგებით. ირანის ეკონომიკური და პოლიტიკური დაცემა-
დაკნინება, რაც იმპერიალისტურ ინგლისსა და მეფის რუსეთზე
დამოკიდებულ ქვეყნად მისი გადაქცევის შედეგი იყო, მკვეთრად,
აისახა შეიარაღებული ძალების მდგომარეობაზეც. გასული საუკუნის
60-იანი წლებიდან მოყოლებული, არმიამ თანდათან დაკარგა საჯარი-
სო შენაერთის ფორმა და შინაარსი. სარბაზების შეიარაღებასა და
წვრთნაზე აღარავინ ზრუნავდა, წლობით არ იღებდნენ ისინი ხელ-
ფასს, ტანსაცმელს და დამშეულ-ჩამოძონძილ მძარცველთა ბრბოდ
გადაიქცნენ. ამიტომ არმია, რომელიც მოწოდებული იყო ხალხის
ინტერესების დამცველი და მისი უშიშროების გუშაგი ყოფილიყო,
პირიქით, საფრთხეს და საშიშროებას უფრო უქმნიდა მის არსებობას.
ამ დროისათვის სპარსეთის კაზაკთა ბრიგადა თავის რიგებში 1500-მდე
მეომარს აერთიანებდა. აქედან 500 კაცი გუბერნატორების, ბანკების,
უცხოეთის დიპლომატიური დაწესებულებების და სხვ. დაცვის სამ-



სახურს ეწეოდა. 400 კაზაკი შაჰის პირად დაცვაში შედიოდა. ლიხსოვის განკარგულებაში 600-მდე კაცი რჩებოდა. ამრიგად, ლიხსოვს მხოლოდ ამ უკანასკნელთა გამოყენება შეეძლო ხუთჯერ მეტი ფიდაისა და ბახთიარის წინააღმდეგ³⁵².

მაშინ, როცა დედაქალაქს რევოლუციონერთა უშუალო საფრთხე დაემუქრა, შაჰმა პოლკოვნიკ ლიხსოვს უბრძანა, რათა თავის განკარგულებაში არსებული მთელი ძალები რევოლუციონერებისა და ბახთიარების შემოტევის უკუსაგდებად გამოეყენებინა. ჯერ კიდევ 12 (25) ივნისს ღამით სასწრაფოდ იქნა შედგენილი კაზაკთა და სარბაზთა ორი შერეული რაზმი, რომლებიც მაშინვე გაემართნენ — ერთი ქარაჯისაკენ, ხოლო მეორე ყუმის გზაზე. პირველ რაზმს რუსი კაპიტანი ზაპოლსკი ჩაუყენეს სათავეში, ხოლო მეორეს — ამირ მოფაჰაში მეთაურობდა. დანარჩენი რაზმები შაჰის რეზინდენცია სალთანაბაღში გაიგზავნა სასახლის კარის დასაცავად.

კოლონიზატორთა ოინეზი. ანტიიმპერიალისტური ბრძოლა

როგორც ვნახეთ, ინგლისისა და მეფის რუსეთის იმპერიალისტური მთავრობები ცდილობდნენ, რათა მოსალოდნელი კატასტროფისაგან გადაერჩინათ შაჰის თვითმპყრობელობა, რომელიც მათი საიმედო მოკავშირე და დასაყრდენი იყო ირანელი ხალხის ძარცვისა და ქვეყანაში კოლონიური პოლიტიკის გატარების საქმეში. ისინი ყველა შესაძლებელს აკეთებდნენ, რათა შეეჩერებინათ და შემდეგ ჩაეხშოთ ირანელი ხალხის ანტიფეოდალური და ანტიიმპერიალისტური ბრძოლა. მათი საელჩოებიდან შუამავლად ზედიზედ გაგზავნეს დიპლომატიური წარმომადგენლები სარდარ ასადისა და სეფაჰდარის ბანაკში.

ყველა ზომებს იღებდნენ, რომ ზეგავლენა მოეხდინათ მათზე, რათა დაეთმოთ პოზიციები და უკან გაბრუნებულიყვნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში იმუქრებოდნენ შეიარაღებული ჩარევით ვითომდა უცხოელთა სიცოცხლისა და ქონების დასაცავად. ინგლისელი იმპერიალისტები თვალთმაქცობდნენ, მებრძოლი ირანელი ხალხის წინაშე დიპლომატიურ თამაშს ეწეოდნენ. ისინი შენიღბულად მოქმედებდნენ და თანაც აქეზებდნენ მეორე მტაცებელს — რუსეთის ცარიზმს, რათა გადამწყვეტი ზომები მიეღო ირანის რევოლუციის ჩასახშობად. ვ. ი. ლენინი მკაცრად ამხილებდა იმპერიალისტურ შეთქმულებას ირანელი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლის წინააღმდეგ. იგი ჯერ

³⁵² «Русское слово», № 138, 18 июля (1 июля) 1909 года.



კიდევ 1908 წლის აგვისტოში გამოქვეყნებულ თავის სტატიის „მთავრობის მასალა მსოფლიო პოლიტიკაში“, განმარტავდა ამ იმპერიალისტური პოლიტიკის შინაარსს, წერდა: „შავრახმელი მემამულეებისა და ვაფიცვებითა თუ სამოქალაქო ომით დამფრთხალ კაპიტალისტების სათავეში მდგომი ნიკოლოზ რომანოვი რომ სპარსელი რევოლუციონერების წინააღმდეგ მძვინვარებს, ეს გასაგებია; საერთაშორისო ვალაუბრების როლი პირველად როდი ხვდება წილად ქრისტიანოვან რუს მხედრებს. ხოლო ინგლისი რომ ფარისევლურად ხელს იბანს და აშკარად მეგობრულ ნეიტრალიტეტს იცავს სპარსელი რევოლუციონერებისა და აბსოლუტიზმის მომხრეების მიმართ — ეს რამდენადმე სხვაგვარი მოვლენაა. საკუთარ ქვეყანაში მუშათა მოძრაობის ზრდით გაბოროტებული და ინდოეთის რევოლუციური ბრძოლის გაძლიერებით დაშინებული ლიბერალური ინგლისელი ბურჟუები სულ უფრო ხშირად, სულ უფრო გულახდილად, სულ უფრო მკვეთრად გვიჩვენებენ, თუ რა მხეცები ხდებიან უაღრესად „ცივილიზებული“, კონსტიტუციონალიზმის უმაღლესი სკოლაგავლილი ევროპელი პოლიტიკური „მოღვაწენი“, როდესაც საქმე ეხება მასების ბრძოლის გაჩაღებას კაპიტალის წინააღმდეგ, კაპიტალისტური კოლონიური სისტემის... წინააღმდეგ³⁵³.

ინგლისისა და მეფის რუსეთის მთავრობები ლონდონსა და პეტერბურგში წინასწარ წყვეტდნენ, თუ ვინ უნდა მჯდარიყო შაჰის ტახტზე, ვის უნდა დაეკავებინა მთავრობის მეთაურის სავარძელი, ან ვის უნდა რგებოდა ამა თუ იმ სამინისტროს პორტფელი. იმ დროს, როდესაც თეირანის მისაღვომებთან გაიმართა უკომპრომისო ბრძოლა და უშუალო საფრთხე შეექმნა შაჰის აბსოლუტიზმს, იმავე ლონდონსა და პეტერბურგში იმართებოდა სასწრაფო თათბირები, რომლებზეც განიხილებოდა საკითხი ირანში ახალი საჯარისო შენაერთების შეყვანის შესახებ. ბურჟუაზიული გაზეთი „რუსსკოე სლოვო“ იმოწმებდა რა თავისი პეტერბურგელი კორესპონდენტის ცნობას, 1909 წლის 12 (25) ივნისს წერდა, რომ რუსეთის დიპლომატიურ წრეებში საგანგაშო განწყობილება სუფევსო ირანელ რევოლუციონერთა თეირანისაკენ მოძრაობის შესახებ მიღებული ცნობის გამო. სასწრაფოდ განიხილავდნენ თავრიზში მყოფი გენერალი სნარსკის რაზმების ირანის მთავრობისათვის დახმარების გასაწევად თეირანში გაგზავნის შესაძლებლობისა და მიზანშეწონილობის საკითხს, ვინაიდან მხოლოდ ერთადერთი გზაკთა ბრიგადას არ შეეძლო წინააღმდეგობა გაეწია შეტევაზე გადასული რევოლუციონერებისათვის³⁵⁴. დიდი ბრიტანეთის მხრივ,

³⁵³ ვ. ი. ლენინი, თხზ., მე-4 გამოც., ტ. 15, გვ. 209—210.

³⁵⁴ «Русское слово», № 133, 12 (25) июня 1909 года.

— წერდა გაზეთი — არა თუ პროტესტს უნდა მოველოდეთ, არამედ მოსალოდნელია, რომ ბრიტანეთის ჯარები ბუშირსა და ბენდერ — აბასს დაიკავენ. ყოველ შემთხვევაში სპარსეთში მდგომარეობა იმდენად სასიფათო შეიქმნა, რომ არც რუსეთსა და არც დიდ ბრიტანეთს არ შეუძლიათ დარჩნენ საქმის გულგრილი მეთვალყურის როლში³⁵⁵.

იმის შემდეგ, რაც 23 ივნისს (6 ივლისს) სეფაჰდაროს ბანაკში შუამავლად გაგზავნილი რუსეთის მისიის თარჯიმანი ბარანოვსკი და ინგლისელი სამხედრო ატაშე მაიორი სტოქსი, ერთი მხრივ, და სარდარ ასადთან მივლინებული დიპლომატები — რუსი რომანოვსკი და ინგლისელი ჩერჩილი, მეორე მხრივ, ხელმოცარული დაბრუნდნენ თეირანში³⁵⁶, ლონდონსა და პეტერბურგში მოიწვიეს საგანგებო თათბირები სპარსეთის საქმეების გამო. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ ბაქოდან ასთარის გზით ირანში ენზელი-თეირანის გზის დასაკავებლად გაეგზავნათ რუსეთის საოკუპაციო ჯარი გენერალ გაბაევის სარდლობით. საკითხის ლონდონთან შეთანხმების შემდეგ, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. პ. ივოლსკიმ ჯერ კიდევ 20 ივნისს (3 ივლისს) უცხოეთში აკრედიტებულ რუსეთის წარმომადგენლებს გაუგზავნა ცირკულარული წერილი ირანში რუსეთის ჯარების ახალი კონტინგენტის შეყვანის გადაწყვეტილების მიღების თაობაზე. იგი ავალბდა მათ, რათა ეუწყებინათ შესაბამისი მთავრობებისათვის ცარიზმის „კეთილი ზრახვები“, რომ, თითქოს, რუსეთის ჯარის შეყვანა ირანში ისახავდა „კეთილშობილურ“ მიზანს — როგორც ენზელი — თეირანის გზის³⁵⁷, ასევე უცხოელთა ქონებისა და სიცოცხლის დაცვას. ამასთან იგი ფარისევლურად აცხადებდა, რომ „რუსეთის პოლიტიკა სპარსეთში კვლავაც უნდა ემყარებოდეს ქვეყნის საშინაო საქმეებში სრული ჩაურევლობის პრინციპს ისევე, როგორც შაჰისა და მის ხალხს შორის ბრძოლაში, როგორც არ უნდა იყოს მისი დასასრული“³⁵⁸. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ხაზს უსვამდა იმ

³⁵⁵ «Русское слово», № 138, 18 июня (1 июля) 1909 года.

³⁵⁶ სარდარ ასადს დიპლომატებმა საუბრეზე მიუხსრეს. ისინი დიდად განცვიფრდნენ, როცა ნახეს, რომ სასაუბრე მაგიდასთან მოწყვეულთა შორის იყო სამშრომლობაში, რომელიც ერთი კვირის წინ შაჰმა სარდარ ასადის წინააღმდეგ საბრძოლველად გაგზავნა. იხ. «Русское слово», № 143, 24 июня (7 июля) 1909 года.

³⁵⁷ 1891 წელს რუსმა კაპიტალისტმა პოლიაკოვმა ირანის მთავრობისაგან მიიღო კონცესია სადაზღვევო და სატრანსპორტო საქმის მოწყობის შესახებ. ამ საფუძველზე შეიქმნა საზოგადოება „ირანის ტრანსპორტების ბიურო“, რომელმაც დაიწყო ენზელის ნავსადგურის მშენებლობა და გაიყვანა გზატკეცილები ჩრდილოეთ ირანში. მათ შორის ერთ-ერთი მთავარი თეირანი — ყაზვინი — ენზელის გზატკეცილი იყო. იგი დედაქალაქს კასპიის ზღვასთან აკავშირებდა და დიდი ეკონომიკური და სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა.

³⁵⁸ Сборник дипломатических документов... Вып. II, СПб., 1911, с. 230.



გარემოებას, რომ სპარსეთის „ერთადერთი ორგანიზებული სამხედრო ძალა — კაზაკთა ბრიგადა — უაღრესად დასუსტდა და საცვებით მოსალოდნელია, რომ მას არ შეეძლება დაამყაროს წესრიგი თეირანში“. აქვე იგი არაორაზროვნად დასძენდა: „ყოველივე ეს ჩვენ გვაკისრებს ზნეობრივ მოვალეობას, რომ მივიღოთ ჩვენს განკარგულებაში არსებული ყველა ზომა, რათა ზემოაღნიშნულ დაწესებულებებს და ქვეშევრდომებს შეეძლოთ თავი იგრძნონ ნამდვილ მფარველობაში და, რომ ყველა შესაძლო შემთხვევის დროს თეირანსა და ენზელს შორის მიმოსვლა თავისუფალი რჩებოდეს“. იტოვებდა რა თავისთვის უფლებას ირანის დედაქალაქში რუსეთის ჯარის მომავალი შესაძლო შეყვანის თაობაზე, იზოლაცი აღნიშნულ ცირკულარში შემდეგ წერდა, რომ მთავრობის გადაწყვეტილებით ბაქოდან ენზელში გაიგზავნებოდა რუსეთის ჯარი, რომლის შემადგენლობაში შევიდოდა კაზაკთა პოლკი, ფეხოსანთა ბატალიონი და ერთი ბატარეა. მისი თქმით, ეს რაზმი ჯერჯერობით არ წავიდოდა ყაზვინის იქით. მაგრამ მისი შემდგომი მოძრაობა დამოკიდებული იქნებოდა ამბების მომავალ მსვლელობაზე და იგი განხორციელდებოდა რუსეთის თეირანის მისიის ბრძანების შესაბამისად და „ზემოაღნიშნებული აზრით, უკიდურესი საშიშროების დადგომის შემთხვევაში“³⁵⁹. ცირკულარში ყოველნაირად ინიღბებოდა ირანში ჯარების შეყვანის იმპერიალისტური მიზნები და ამისათვის მთელ პასუხისმგებლობას აკისრებდნენ ბახთიარებისა და გილანელი რევოლუციონერების მეთაურებს. ამასთან ერთად იზოლაცი, შაჰისა და რეაქციის სხვა იმპერიალისტი მფარველების მსგავსად, ირანელი ხალხის თავისუფლებისათვის ბრძოლების მონაწილე კავკასიელი ინტერნაციონალისტი მეომრებისადმი თავის ზიზღს ვერ ფარავდა და, რათა ჩრდილი მიეყენებინა მათი სახელისათვის, „კავკასიელ ავანტიურისტებს“ უწოდებდა მათ³⁶⁰.

იმავ დღეს ანალოგიური შინაარსის ტელეგრამა გაეგზავნა თეირანში რუსეთის საქმეთა რწმუნებულ მ. საბლინს, რომელმაც 1908 წლის ბოლოს რუსეთის ირანიდან გამოწვეული ელჩი გარტიგვი შეცვალა³⁶¹. 22 ივნისს (5 ივლისს) მ. საბლინი პეტერბურგში გაგზავნილ თავის დეპეშაში სასურველად მიიჩნევდა, რომ რუსი კაზაკების პოლკი, რომელიც ენზელში ჩამოიყვანეს, ფეხოსანთა ბატალიონის მოსვლისათვის არ დაელოდებინათ და დაუყოვნებლივ გაეგზავნათ ყაზვინში³⁶². ყაზვინში კაზაკთა პოლკის გაგზავნის მეორე დღეს, 23

³⁵⁹ Сборник дипломатических документов, касающихся событий в Персии, Вып. II, СПб., 1911, с. 230.

³⁶⁰ იქვე, გვ. 229.

³⁶¹ იქვე, გვ. 231.

³⁶² იქვე, გვ. 232.



იენის (6 ივლისს) აქეთ გაემგზავრა აგრეთვე კავკასიის მსროლელი ბრიგადის ბატალიონი, რომლის შეიარაღებაში შედიოდა ოთხი „მაქსიმის“ საველე ქვემეხი. მასთან ერთად, გაიგზავნა ლაბინსკის კაზაკთა პოლკის ხუთი ასეული და მესანგრეთა რაზმი³⁶³.

მეფის რუსეთის მთავრობა, მიუხედავად დიპლომატიური მიკიბ-მოკიბვისა, და ირანის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის შესახებ ფარისევლური განცხადებებისა, თვითონვე კარგად გრძნობდა, რომ ამგვარი მოქმედებით უხეშად არღვევდა ქვეყნის სუვერენიტეტს. იგი ვარაუდობდა, რომ ეს ირანელი ხალხის აღშფოთებას გამოიწვევდა. ამიტომ ყაზვინში გაგზავნილ რუსეთის ჯარების მეთაურს გენერალ გაბაევს დაევალა, რათა რეშოსა და ყაზვინში ადგილობრივი მოსახლეობისათვის მიემართა მოწოდებით, რომელშიც აეხსნა „რაზმის გაგზავნის მიზანი და ადგილობრივ მკვიდრთა მიმართ მისი მშვიდობიანი ღასიათი“. მოწოდების ტექსტის შედგენა დავალებული ჰქონდა მ. საბლინს და გენერალურ კონსულს რეშოში შტრიტერს³⁶⁴. ამას გარდა, გაბაევს გაეგზავნა მოქმედების ინსტრუქცია, რომლის შინაარსი თავრიზში გენერალ სნარსკისათვის ადრე გაგზავნილი ინსტრუქციის ანალოგიური იყო.

ჩრდილოეთ ირანში რუსეთის ჯარის ნაწილების შესვლის ერთდროულად ბუშირში, ბენდერ-აბასსა და ლინგეში ინგლისელმა იმპერიალისტებმა დესანტები გადმოსხეს, გაანადგურეს დემოკრატიული ენჯუ-მენები და გაუსწორდნენ სახალხო-განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტივისტებს³⁶⁵.

ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრმა ედუარდ გრეიმ, როდესაც რუსეთის რაზმების ყაზვინში შესვლის ამბავი გაიგო, დიდი კმაყოფილება გამოთქვა. მან ბრიტანეთის ელჩს თეირანში ჯორჯ ბარკლაის მითითება მისცა, რომ რუსეთის საქმეთა რწმუნებულ მ. საბლინთან სრული შეთანხმებებით ემოქმედა, ხოლო ინგლისელ კონსერვატორთა ორგანო „ტაიმსი“ საგანგებოდ წერდა: „არ არსებობს მიზეზი, რომ უკმაყოფილო ვიყოთ რუსეთის სრულიად საფუძვლიანი მოქმედებით. ის იძულებული იყო, რათა ასეთი ზომები მიეღო“. მაშინ ინგლისის მმართველ წრეებში რუსეთის ჯარების შეყვანას თავრიზსა და ყაზვინში, არც მეტი არც ნაკლები, რუსი კოლონიზატორების განზრახვის „გულწრფელობის“ დამადასტურებლად აცხადებდნენ³⁶⁶.

³⁶³ Сборник дипломатических документов... с. 365.

³⁶⁴ იქვე, გვ. 234.

³⁶⁵ Новая история стран зарубежной Азии и Африки, М., 1959, с. 496; См. также «Русское слово», № 138. 18 июня (1 июля) 1909 г.

³⁶⁶ Times, 23 June — 6 July 1909.



ასეთ ვითარებაში ევროპის დანარჩენი მთავარი იმპერიალიზმური ქვეყნები — გერმანია, ავსტრო-უნგრეთი, საფრანგეთი და რომლებიც იმპერიალისტურ წინააღმდეგობათა ლაბორინთში იყვნენ გაბმული და უკვე ამ დროისათვის სხვადასხვა ურთიერთსაწინააღმდეგო ბანაკებს აკოწიწებდნენ, მტაცებლის ხარბი თვალთ ზვერავენ ერთმანეთს და მსოფლიოს ხელახალი გადანაწილებისათვის ემზადებოდნენ. ისინი განსაკუთრებულ დამოკიდებულებას იჩენდნენ ირანში რუსეთისა და ინგლისის ინტერვენციისადმი. გერმანია და ავსტრო-უნგრეთი, რომლებიც თუმცა ინგლის — რუსეთის ბლოკის პოტენციური მოწინააღმდეგე იყვნენ, „კეთილგანწყობით უყურებდნენ რუსეთის მოქმედებას სპარსეთში“³⁶⁷. ეს, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ამ იმპერიალისტურ მტაცებლებს აერთიანებდათ სიძულვილი ყოველგვარი პროგრესული, რევოლუციური მოძრაობისადმი, ვინაიდან აღმოსავლეთის ხალხების გამოღვიძება აქტიური პოლიტიკური ცხოვრებისათვის პირველ რიგში იმპერიალიზმის კოლონიური პოლიტიკას სცემდა ლახვარს. და, მეორეც, ირანელი ხალხის განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლაში ინგლისისა და რუსეთის აქტიური ჩაბმა „ხელფეხს უხსნიდა მათ ახლო აღმოსავლეთში“ აქტიური მოქმედებისათვის³⁶⁸.

რაც შეეხება საფრანგეთს, რომელიც ინგლის-რუსეთის კავშირის მომავალი პარტნიორი იყო, მიესალმებოდა რუსეთის ჯარის შეყვანას ირანში და თანაგრძნობით ეკიდებოდა ცარიზმის ამ მოქმედებას. ამასთან იგი ითვალისწინებდა რა საკუთარ გამოცდილებას, ეჭვობდა და აზრს გამოთქვამდა ასეთი ჩარევის შესაძლო სავალალო შედეგებზე. ფრანგული ბურჟუაზიული პრესა შენიშნავდა, რომ რუსეთის გადაწყვეტილება მხარი დაუჭიროს შაჰს, საეჭვოა, რომ რამეს უშველიდეს და გადაარჩინდესო შაჰის თვითმპყრობელობას, ისევე, როგორც საფრანგეთმა მაროკოში ვერ გადაარჩინა თავისი მარიონეტი, არაბოპულარული სულთანი აბდულ-აზიზი. ფრანგული გაზეთები წერდნენ, რომ რუსეთი, რომელიც მხარს უჭერს შაჰს, სპარსეთში თავისთვის მხოლოდ „რუსულ მაროკოს“ შეიქმნისო“³⁶⁹.

ჯერ კიდევ ეწეულ-ყაზინის გზაზე რუსეთის ჯარის შესვლამდე გენერალი სნარსკის არმიის აღვირახსნილი მოქმედება თავრიზსა და ირანის აზერბაიჯანში, აგრეთვე სპარსეთის — კაზაკთა ბრიგადაში რუსი ოფიცრების სამსახურის ფაქტი საყოველთაო-სახალხო აღშფო-

³⁶⁷ «русское слово», № 139, 19 июня (2 июля) 1909 года: Intransigent, 18 June, 1 July, 1909.

³⁶⁸ იქვე.

³⁶⁹ იქვე.



თებას იწვევდა. მ. საბლინის 1909 წლის 19 ივლისის დეპეშაში მელშიც მიმოხილულია 12 დან 19 ივლისამდე ირანში მომხდარი ამბები, აღნიშნულია, რომ თეირანის „სათარის კომიტეტი“ მოუწოდებდა სპარსეთის კაზაკთა ბრიგადის ოფიცრებს არ ებრძოლათ საკუთარ ძმებთან. წინააღმდეგ შემთხვევაში სიკვდილით და ოჯახების განადგურებით ემუქრებოდნენ მათ. „ამასთან ერთად, — აღნიშნულია მ. საბლინის დეპეშაში — აგიტაცია წარმოებს საერთოდ რუსების წინააღმდეგ ბრიგადაში რუსი ოფიცრების ყოფნის გამო. ყაზვინის ენჯუმენი თავის ცირკულარულ ტელეგრამაში, რომელიც რუსეთისა და ინგლისის მისიებს გაუგზავნა, განსაკუთრებით უკმაყოფილებას გამოთქვამდა რუსეთის მიმართ და მას აკისრებდა მთელ პასუხისმგებლობას მომხდარი სისხლისღვრისათვის, აგრეთვე იმისათვის, რომ იგი შაჰს უქერდა მხარს“³⁷⁰.

თუ თეირანთან ბახთიარებისა და რევოლუციონერების ლაშქრის მოახლოებამ რეაქციონერთა ბანაკში პანიკა და არეულობა გამოიწვია, სამაგიეროდ გააქტიურდნენ იაბაკქევშ დემოკრატიული ორგანიზაციები, რომლებიც კონსტიტუციური თავისუფლების მოპოვებისათვის ძირითად პირობად აყენებდნენ უცხოელთა ჯარების გაყვანას ირანიდან და ყოველგვარი უცხოური გავლენისაგან ქვეყნის განთავისუფლებას. ამ მოძრაობას ხელმძღვანელობდა „სათარის კომიტეტი“, რომელიც თავის საქმიანობაში თეირანის საზოგადოების დაბალ, დემოკრატიული ფენებს ეყრდნობოდა.

10 (23) ივნისს გამოვიდა გაზეთ „ნეჯათის“ („ხსნა“) პირველი ნომერი, რომლის რედაქტორი პაჯი მოჰამედ ხორასანი იყო. გაზეთი აკრიტიკებდა შაჰის მთავრობის რეაქციულ პოლიტიკას. რუსოფილ პრემიერ სად-ედ-დოვლეს ბრალად ედებოდა რუს კოლონიზატორებთან თანამშრომლობა. აღნიშნული იყო აგრეთვე, რომ რუსეთის ჯარები ძარცვავდნენ მოსახლეობას თავრიზში, აბუჩად იგდებდნენ მათ, აუბათიურებდნენ ქალებს და სხვა. ამასთან წამოყენებული იყო მოთხოვნა ირანის ტერიტორიიდან უცხოელთა ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანის შესახებ³⁷¹.

დედაქალაქში ანტიიმპერიალისტური განწყობილება იმდენად ძლიერი იყო, რომ მისი გავლენით საად-ედ-დოვლე იძულებული გახდა რუსეთის მისიისათვის მიემართა ორი ნოტიო ირანიდან რუსეთის ჯარების გაყვანის თაობაზე. შეშინებულმა პრემიერ-მინისტრმა, როდესაც ნახა, რომ მისი პოლიტიკა ჩიხში მოექცა, შაჰს წარუდგინა თხოვნა გადადგომის შესახებ³⁷².

³⁷⁰ Сборник дипломатических документов... с. 144.

³⁷¹ იქვე, 33- 242.

³⁷² იქვე.

ივლისის დამდეგს „პეტერბურგის სააგენტო“ იტყობინებოდა, ირანში „ყველგან მიმდინარეობს ძლიერი აგიტაცია რუსეთისადმი ყოველგვარი რუსულის წინააღმდეგ“³⁷³.

იმ დროს, როდესაც რუსეთის ჯარები რეშთში შევიდნენ, რეშთის მოსახლეობამ დიდი ანტირუსული დემონსტრაცია მოაწყო. ყველა ბაზარი დაიკეტა. 27 ივნისს (10 ივლისს) ირანში რუსეთის ჯარის შესვლის წინააღმდეგ საპროტესტო დემონსტრაციები მოეწყო აგრეთვე ყაზვინშიც და სხვა პროვინციულ ქალაქებში. იმავე დღეს თეირანში აკრედიტებულმა უცხოეთის ყველა დიპლომატიურმა წარმომადგენელმა მიიღო გილანის ენჯუმენის შემდეგი შინაარსის პროკლამაცია: „სპარსელი ხალხი იმედოვნებდა, რომ ცივილიზებული ერების (წაიკითხე: მთავრობების) სიტყვა მათ მოქმედებას შეესაბამებოდა. რუსეთს არაერთხელ განუცხადებია, რომ მას არ სურს ჩაერიოს სპარსეთის საშინაო საქმეებში. მაგრამ დაინახა რა, რომ ხალხი კონსტიტუციური თავისუფლებისათვის ბრძოლაში თავის მიზანს აღწევს, დაიწყო მისთვის ხელის შეშლა იმით, რომ კაზაკები შემოიყვანა ქვეყანაში. ეს მოხდა იმის მიუხედავად, რომ გილანში აჯანყების დროს არცერთი უცხოელი არ დაზარალებულა. ახლა სპარსეთი სუსტია და არ შეუძლია, რომ ამ ძალადობაზე პასუხი გასცეს.

ჩვენ მიემართავთ ყველა სახელმწიფოს თხოვნით, რათა მოჰკითხოს რუსეთს მისი სპარსეთის საქმეებში ჩარევის მიზეზების შესახებ.

და თუ რუსეთის მიერ ირანის საქმეებში ჩარევის საპასუხოდ სპარსეთის მხრივ ამას მოჰყვება რუსეთის საქონლის ბოიკოტი, დაე, ამაზე რუსეთი ნულარ დაიჩვილებს“³⁷⁴.

უცხოეთის მისიებს ანალოგიური საპროტესტო დებემები მოდიოდათ თავრიზის, ყაზვინის, მეშჰედის, ისფაჰანის და სხვა ქალაქების დემოკრატიული ენჯუმენებისაგან.

იმდროინდელი გაზეთები ფართოდ წერდნენ იმის შესახებ, რომ ჩრდილოეთ ირანში რუსეთიდან შემოტანილ ყოველგვარ საქონელს მოსახლეობამ ბოიკოტი გამოუცხადა. რეშთელმა ვაჭრებმა ტელეგრამა გაგზავნეს ბაქოში, რომელშიც ისინი უარს აცხადებდნენ მეფის რუსეთში წინათ შეკვეთილი საქონლის მიღებაზე და თხოვდნენ არ გამოეგზავნათ იგი. რეშთში საბაჟოების საწყობებში რუსეთიდან გამოგზავნილი დიდძალი საქონელი ეწყო. ანტირუსული განწყობილება იმდენად ძლიერი იყო, რომ მოსახლეობამ უარი თქვა დაეღია ჩაი იმისათვის, რათა რუსეთიდან შემოტანილი შაქარი არ ეხმარა. პროტესტის

³⁷³ «Русское слово», № 139, 19 июня (2 июля) 1909 года.

³⁷⁴ «Русское слово», № 147, 28 июня (11 июля) 1909 года.

ნიშნად მოსახლეობა ნავთის ლამპების ნაცვლად ყველგან ცხვირის
დუმის ქონით ანთებდა ნათურებს. თვით ქუჩების გასანათებლადაც კი
ქალაქის მუნიციპალიტეტმა ქონის ჩირაღდნები შეუკვეთა. რუსეთის
ჯარების ქალაქზე გავლის დროს ქალაქის ყველა დუქანი დაკეტილი
იყო. ნეჩაფიდან მიღებული უმაღლესი შიიტური სასულიერო პირების
განკარგულებით, მოლებმა რუსეთიდან შემოტანილი ყველა პროდუქ-
ტი და საქონელი უწმინდურად გამოაცხადეს.³⁷⁵

ირანელი ხალხის აქტიურმა ანტიიმპერიალისტურმა გამოსვლებმა
რუსეთისა და ინგლისის მმართველი წრეები სერიოზულად დააფიქრა.
ისინი ახლა უფრო მეტ სიფრთხილეს იჩენდნენ და იძულებული იყ-
ვნენ ანგარიში გაეწიათ მოვლენისადმი. როცა რევოლუციონერები
თეირანის კარიბჭეს მიაღწენენ, ა. იზვოლსკი იმპერატორთან სასწრაფო
მოხსენების წარსადგენად პეტერგოფში ჩავიდა. დღის წესრიგში იდგა
საკითხი იმის შესახებ შეეყვანათ თუ არა რუსეთის ჯარი თეირანში?
ეს ალტერნატივა მწვავედ იდგა პეტერბურგის მმართველი წრეების
წინაშე, ვინაიდან ცხადი იყო, რომ ბახთიარებისა და გილანელი ფი-
დაების დედაქალაქში შესვლას უეჭველად მოჰყვებოდა ირანში ცარი-
ზმის მოკავშირისა და დასაყრდენის შაჰის აბსოლუტიზმის დამხობა.
პეტერბურგელ დიპლომატთა შორის ამ საკითხზე სხვადასხვა აზრი
არსებობდა. ერთნი, რომლებიც უკიდურეს რეაქციულ ბანაკს განეკუ-
თვნებოდნენ, დაუინებით მოითხოვდნენ ენერგიულ ჩარევას, რათა რა-
დაც არ უნდა დაჯდომოდათ, ეხსნათ შაჰის თვითმპყრობელობა. ისინი
იმის მომხრე იყვნენ, რომ გენერლების — სნარსკისა და გაბაევის
საღამსჯელო რაზმებისათვის მიეცათ განკარგულება შესულიყვნენ
თეირანში და ჩაექროთ რევოლუცია ისევე, როგორც ეს სნარსკის
არმიამ თავრიზში მოიმოქმედა. მეორენი, რომლებიც შედარებით უფ-
რო საღად აზროვნებდნენ და ზომიერთა ბანაკს მიეკუთვნებოდნენ,
მოითხოვდნენ, ანგარიში გაეწიათ ვითარებისათვის და ფრთხილად
ემოქმედნათ. ესენი მიუთითებდნენ იმ გარემოებაზე, რომ საზოგა-
დოებრივი აზრი არა მარტო ირანში არამედ ბევრ სხვა ქვეყანაში და
თვით რუსეთში ასეთი მოქმედების წინააღმდეგ იყო მიმართული.
ამასთან ერთად შეიმჩნეოდა, რომ რუსეთის ჯარის შემდგომ წინსვლას
ირანში უნდობლად ეკიდებოდნენ მოკავშირე ინგლისშიც. ყველა ამ
გარემოებამ საბოლოოდ აიძულა ცარიზმი უარი ეთქვა რუსეთის ჯა-
რის თეირანში შეყვანაზე.

³⁷⁵ «Русское слово», № 151, 3 (16) июля 1909 года.

ბადამეჭის ბრძოლა, რომელიც შაბათს 27 ივნისს (10 ივლისს) დაიწყო, ერთ-ერთი დიდი ბრძოლა იყო, რომელიც ერთი მხრივ, შაჰის ჯარსა და, მეორე მხრივ, სეფაპდარ-სარდარ ასადის შეერთებულ ლაშქარს შორის მოხდა. ეს ბრძოლა გაგრძელდა კვირას, 28 ივნისს (11 ივლისს) და საღამომდე არ შეწყვეტილა. მიუხედავად სპარსეთის კაზაკთა ბრიგადის რაზმების შეუპოვარი წინააღმდეგობისა, რასაც თავდაცვისათვის ხელსაყრელი პოზიციებიც დიდად უწყობდა ხელს, რევოლუციონერთა რაზმებმა ამ ბრძოლაში დიდი მამაცობა გამოიჩინეს. ბრძოლის პირველ დღეს ამირ მოფაჰემი, რომელმაც წინა დღეებში შაჰს უღალატა და ახლა კვლავ მის მხარეზე გადავიდა, სარბაზებისა და კაზაკების მცირე რაზმით გილანელი ფიდაებისა და ბახთიარი მხედრების შეერთებულ ლაშქართან ჩაება ბრძოლაში. ბრძოლა დაახლოებით ოთხ საათს გაგრძელდა. ფიდაები ფიცხლად გადავიდნენ შეტევაზე და ამირ მოფაჰემის რაზმი უკუაქციეს. თვით ამირ მოფაჰემმა ბრძოლის ველიდან გაქცევით უშველა თავს. მას რვა კაცი მოუკლეს. მოწინააღმდეგემ მოასწრო დაჭრილების ბრძოლის ველიდან გაყვანა³⁷⁶.

კვირას, 28 ივნისს (11 ივლისს) დაახლოებით დილის 11 საათზე კაპიტან ზაპოლსკის სპარსეთის კაზაკთა პატრული იაფთ აბადის მახლობლად (როგორც ვიცით იაფთ აბადი დემოვიზის მეზობლად მდებარეობს) ბრძოლაში ჩაება რევოლუციონერთა რაზმთან. ზაპოლსკის კაზაკები დემოვიზს მოუახლოვდნენ და იქ დაბანაკებულ რევოლუციონერებს ზარბაზნიდან აუტეხეს სროლა. რევოლუციონერთა ბანაკიდანაც დაიწყეს საპასუხო სროლა. მაგრამ მათი ერთადერთი სამთო ქვემეხიდან ნასროლი ყუმბარა მიზნამდე ვერ აღწევდა, ვინაიდან მოწინააღმდეგეთა შორის მანძილი ორ კილომეტრ ნახევარს აღემატებოდა. ვერც შაშხანის ცეცხლი აყენებდა კაზაკებს ზიანს. ტყვიები მათს პოზიციებამდე ვერ წვდებოდა. სოფელ დემოვიზს გარშემო კიპაროსისა და ალვის ხეების ხშირი ხეივანი ჰქონდა შემოვლებული, შიგნით კი ბაღები იყო გაშენებული. ეს იფარავდა რევოლუციონერებს მტრის თვალთახედვისაგან. კაზაკთა არტილერია განუწყვეტლივ და უწყსრივოდ აყრიდა შრაპნელს სოფელს, მაგრამ რევოლუციონერებს, რომლებსაც საიმედო საფრები ეკავათ, ვნებას ვერ აყენებდა. ზაპოლსკის დასახმარებლად თეირანიდან კაზაკების ახალი რაზმი მოვიდა. შაჰაბადიდან პოლკოვნიკი ბლაზნოვი გამოეშურა დემოვიზისაკენ, რათა პერებიონოსოვისათვის დახმარება აღმოეჩინა. ბლაზნოვმა თავის ძა-

³⁷⁶ «Русское слово», № 148, 30 июня (13 июля) 1909 года.



ლებს მარჯვენა ფლანგზე მოუყარა თავი და ამით რევოლუციონერთა
 ბის ყურადღება მიიპყრო. კაპიტანმა ზაპოლსკიმ ბლაზნოვსკის
 ქვემეხი მიაშველა. თოფ-ზარბაზნის სროლა ნაშუადღევამდე არ
 შეწყვეტილა. ამას მაინც შედეგი არ მოჰყოლია. შაჰის კახაკთა არტი-
 ლერია განუწყვეტლივ ისროდა, მაგრამ ჭურვები მიზანს ვერ ხვდებო-
 და და ფუჭად იკარგებოდა.

პოლკოვნიკმა ბლაზნოვმა დემოვიზის შტურმით აღება სცადა და
 კახაკთა ასეულს შეტევაზე გადასვლა უბრძანა. ასეული მიჯრით მია-
 დგა დემოვიზს, მაგრამ რევოლუციონერთა შეწყობილი და ძლიერი
 ცეცხლის სფეროში მოხვდა, რამდენიმე კაცი დაკარგა და უკან დაი-
 ხია.

სალამოს 6 საათისათვის ბრძოლა ჯერ მინელდა და მალე მთლიან-
 ნად შეწყდა. ზაპოლსკის შეფერთხილი და გაწბილებული სპარსეთის
 კახაკთა რაზმი უკანვე დაბრუნდა იაფთ აბადში³⁷⁷.

იმავე 28 ივნისს (11 ივლისს) და 29 ივნისს (12 ივლისს) ბრძოლე-
 ბი გრძელდებოდა ბადამექის, შაჰ აბადისა და იაფთ აბადის მიდამოებ-
 ში. „რუსსკოე სლოვოს“ კორესპონდენტი მ. კრინსკი³⁷⁸, რომელიც
 მოწინავე პოზიციაზე იყო, 29 ივნისს (12 ივლისს) იტყობინებოდა:
 „თქვენი კორესპონდენტი პერებოინოსოვის რაზმთან იმყოფებოდა
 შაჰ აბადში. აქ ჯერჯერობით სიწყნარეა. ღამით რევოლუციონერებმა
 შეადწიეს სოფელ ქარანში³⁷⁹, რომელიც შაჰ აბადიდან ხუთ ვერსზე
 მდებარეობს. სოფლის მიდამოები დაიკავეს და სიმაგრეების აგებას
 შეუდგნენ. ღამით ახალ ბრძოლას ელიან. სეფაპდარის ძალები ყოველ-
 დღიურად იზრდება“³⁸⁰.

შოახლოებული კატასტროფის მოლოდინში შაჰის მთავრობა და
 ინგლისისა და რუსეთის წარმომადგენლობა თეირანში ვანაგრძობ-
 დნენ ცდას, რათა როგორმე თავიდან აეცილებინათ აჯანყებულთა
 რაზმების თეირანში შესვლა. 27 ივნისს (10 ივლისს) საად-ედ-დოვლემ
 პირადად გაუგზავნა ტელეგრამა სეფაპდარს და სარდარ ასადს. იგი
 წინადადებას სთავაზობდა, რათა თეირანში გამოეგზავნათ თავიანთი
 წარმომადგენლები დაზავების შესახებ მოსალაპარაკებლად. ინგლისი-
 სა და რუსეთის მისიებმაც, თავის მხრივ, ახალ ცდას მიმართეს, რათა
 საქმე მშვიდობიანი შერიგებით დაბოლოებულიყო. საელჩოს თარჯიმ-
 ნები აახლეს შაჰ სალთანთ აბადის საზაფხულო რეზიდენციაში. შაჰმა

³⁷⁷ «Русское слово», № 148, 30 июня (13 июля) 1909 года.

³⁷⁸ სწორედ ეს მ. კრინსკი ჰყავს მოხსენიებული ს. გამდლიშვილს თავის დღიურებ-
 ში. იხ. „ახალი სხივი“, 1910 წლის №№ 17, 35, 23 თებერვალი, 17 მარტი.

³⁷⁹ იქვე.

³⁸⁰ «Русское слово», № 148, 30 июня (13 июля) 1909 года.



წერილობით პირობა მისცა, რომ სასახლიდან გააძევებდა ხალხს საძულველ რამდენიმე პიროვნებას, როგორც კი სარდარ ასადი და სეფაპდარი შეტევას შეწყვეტდნენ. იმოწმებდნენ რა შაჰის დაბრუნებას, მისიებმა თავისი ღოღამების (მსახურები) ხელით აჯანყებულთა მეთაურებს გაუგზავნეს წერილი, რომელშიც წინადადებას აყენებდნენ გამართად მოლაპარაკება დაზავების შესახებ. ღოღამებმა სეფაპდარი სოფელ ბადამეჭში მონახეს. იქვე აღმოჩნდა სარდარ ასადიც. მოლაპარაკებამ ვერც ამჯერად გამოიღო დადებითი შედეგი. ამის შემდეგ ორი დღე შაჰრიარში³⁸¹ კვლავ გრძელდებოდა შაჰის კაზაკების უშედეგო ბრძოლები ფიდაებთან. „თეირანში კიდევ რამდენჯერმე სცადეს მხარეთა დაზავება, მაგრამ შაჰი კვლავ არ თვლიდა საქმეს საბოლოოდ წაგებულად და არ მიდიოდა დათმობაზე“³⁸².

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ აჯანყებულთა ბელადები მიემართებოდნენ რა თეირანში ბურჟაზიულ-კონსტიტუციური თავისუფლების აღდგენის დროშით, თავის სიმპათიას და თანაგრძნობას არ ფარავდნენ შაჰის პიროვნებისადმი. მათ მიიჩნდათ რომ შაჰი თვითონ კეთილი ნების გამომხატველია, მაგრამ მას ხელს უშლიან მის გარშემო მყოფნი იმაში, რომ ხალხს ჰქმნარიტი თავისუფლება უბოძოსო. ყაზვინის ახალმა გუბერნატორმა შარეფ-ედ-დოვლემ, რომელიც სეფაპდარისა და კონსტიტუციის მომხრედ აცხადებდა თავს, „რუსსკოე სლოვოს“ კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა, რომ ფიდაებისა და ბახთიარების „არმიები მოქმედებენ სრულიად სოლიდარულად და მიდიან საომრად არა შაჰთან, არამედ მთავრობასთან, რომლის პოლიტიკამ რუსეთის ჯარი თავრიზში მიიყვანა. რაც შეეხება შაჰის პიროვნებას, ისინი მას ხელს არ ახლებენ. მაგრამ, რა თქმა უნდა. გაუსწორდებიან სასახლის კამარილის, რომელმაც საშუალება არ მისცა შაჰს, რათა თავისი კეთილი ზრახვები თავის დროზე გამოეცლინა და ქვეყანა ასეთ უბედურებამდე არ მიეყვანა“³⁸³. სეფაპდარს სწამდა, რომ შაჰისადმი მისი მრავალრიცხოვანი მიმართებებიდან მხოლოდ მცირეოდენმა მიაღწია თეირანამდე, რომ თითქოს ასეთივე ბედი ეწია მის მოთხოვნებს, რომელიც 21 ივნისს (4 ივლისს) გაუგზავნა შაჰს. მისი აზრით, ეს მოთხოვნები შაჰს კი არ გადასცეს, არამედ პირდაპირ პეტერბურგსა და ლონდონს გადაუგზავნეს³⁸⁴. ასევე მონარქისტულად იყო განწყობილი რეჟიმის ენჯუმენის თავმჯდომარე დოქტორი ისმაილ-ხანი. იგი

³⁸¹ შაჰრიარი — თეირანის შაჰრესთანის (პროვინცია) შაჰრიარის ბაზმის (მაზრა) ცენტრი.

³⁸² Сборник дипломатических документов... с. 259.

³⁸³ «Русское слово», № 141, 21 июня (4 июля) 1909 года.

³⁸⁴ «Русское слово», № 145, 26 июня (9 июля) 1909 года.



1909 წლის ივნის-ივლისში ინგლისში იმყოფებოდა „ინგლისის ნაციონალისტების (ფიდაების) პოლიტიკის გაცნობის მიზნით“³⁸⁵ ინგლისის გაზეთების კორესპონდენტებთან საუბარში განაცხადა: „სპარსეთში არ არსებობს სიძულვილი უცხოელებისადმი. სასურველია მხოლოდ რუსეთის ჯარების გაძევება. წესრიგის დამყარების შემდეგ — ამბობდა იგი — ჩვენ განზრახული ვვაქვს მივიღოთ კონსტიტუცია არა მარტო ქალაღზე, არამედ საქმით. ნაციონალისტები და ბახთიარები ამ ამოცანის შესრულებას ცდილობენ. ისინი მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში იბრძობენ. შაჰის ჩამოგდება არ არის სასურველი. ჩვენ მხოლოდ მისი რეაქციული მრჩევლების მოშორებას მოვიტხოვთ“³⁸⁵.

თეირანის მისადგომებზე შაჰის ჯარებთან ბახთიარ-გილანელების მიერ გამართულმა ბრძოლებმა დაადასტურა, რომ, მიუხედავად სპარსეთის კაზაკთა ბრიგადის რაზმების უკეთესი შეიარაღებისა, რასაც მეფის რუსეთი უწყობდა ხელს, ბახთიარები და ფიდაები ამჟღავნებდნენ მაღალ შეგნებულობას და სიმტკიცეს. ისინი რევოლუციის საქმისათვის თავდადების სწორუბოვარ ნიმუშს უჩვენებდნენ. ამ დროისათვის კონსტიტუციისათვის მებრძოლთა შორის ამიერკავკასიელი და მათ შორის ქართველი მეომრები უკვე თუმცა მცირერიცხოვანი იყვნენ, მაგრამ როგორც ყოველთვის, თავიანთი ვაჟაკობით და შემართებით აღფრთოვანებდნენ და გამარჯვების რწინას უნერგავდნენ რევოლუციონერ მოჯაჰიდ-ფიდაებს და ბახთიარებს. „გურჯი სერგოს“ დღიურებში აღნიშნულია, რომ „ქართველებისა და ყარაბაღელების შეერთებამ მხნეობა შეჰქატა ბახთიარებს. ქართველი ბომბმტყორცნელების მისვლით აღფრთოვანებული ბახთიარების მეზარბაზნე სართიბ-ხანი ზარბაზნის ზუსტი ცეცხლით ანადგურებდა ლაღეი სულეიმანის ციხეში გამაგრებულ შაჰის ჯარს, რომელსაც რუსი ოფიცრები მეთაურობდნენ. ეს ტაშის ცემისა და ყიფის იწვევდა რევოლუციონერებში“³⁸⁶.

ბახთიარებს ძალიან აინტერესებდათ ქართველების ხელნაკეთი სახელგანთქმული ყუმბარები და უნდოდათ საკუთარი თვალით ეხილათ მისი დამანგრეველი ძალა. ამიტომ სთხოვეს ქართველებს გაეცნოთ ყუმბარის ძალა მათთვის. ქართველებმა არ დაახანეს და ბახთიარებს სურვილი აუსრულეს. მანქანის (აპარატის) საშუალებით ცხრა გირვანქიანი ყუმბარა ააფეთქეს კედელში და მან ორი საყენის სიმაღლე კედელი მტვრად აქცია. ბახთიარები დიდ აღტაცებაში მოიყვანა ყუმბარამ. „ოღონდ თქვენ თეირანის კედლები აგვიფეთქეთ, რომ ქალაქში

³⁸⁵ «Русское слово», № 148, 30 июня (13 июля) 1909 года.

³⁸⁶ „ახალი სხივი“, № 35, 1909 წლის 17 მარტი.

შესვლა შეგვეძლოს და მერე ნახეთ რა დღეს დაეყრით ქაჩლებს (ქაჩლებს სარბაზებს ეძახდნენ ისინი)³⁸⁷.

მაგრამ შემდეგში ამბები ისე წარიმართა, რომ თეირანის გალავნის კედლების აფეთქება მათ აღარ დასჭირვებიათ, ისე აიღეს იგი.

შეზრა თეირანში

ა. ქასრავი წერდა, რომ ორშაბათს, 29 ივნისს (12 ივლისს) შორიდან კვლავ ისმოდა თოფ-ზარბაზნის გამაყრუებელი სროლა. კახაკები ყოველ ბორცვსა და გორაკს ეჭიდებოდნენ. ისინი სასწრაფო ვითარებაში ცდილობდნენ თეირანისაკენ არ გაეშვათ ბახთიარებისა და რევოლუციონერების შეერთებული ლაშქარი. იმ საღამოს ბრძოლა მიწყნარდა.

სამშაბათს, 30 ივნისს (13 ივლისს) ღამით — განაგრძობს ა. ქასრავი — სარდარ ასადი, სეფაპდარი, ეფრემ-ხანი და სხვა მეთაურები შეიკრიბნენ და მოითათბირეს მომავალი მოქმედების შესახებ. მათ აწონდაწონეს შექმნილი ვითარება. ითვალისწინებენ იმას, რომ თვითონ შაჰი თეირანში არ იმყოფებოდა. იგი, სალთანათ აბადის საზაფხულო რეზიდენციაში ატარებდა დროს. ამასთან ქალაქში მცველი ჯარი ბევრი აღარ დარჩა. ამიტომ მიიღეს გადაწყვეტილება, რომ სპარსეთის კახაკთა ბრიგადის რაზმები რუსი მეთაური ოფიცრებით და ამირ მოფაჰემი შაჰის მომხრე ბახთიარებით თავიანთ ბანაკებში დაეტოვებინათ ქალაქს გარეთ, თვითონ კი დედაქალაქში შესულიყვნენ³⁸⁸. თეირანზე მიმავალ მოწინავე რაზმში ქართველები და ყარაბაღელებიც შედიოდნენ. თეირანამდე გზა (20 კმ-ზე მეტი) ღამის მარშით უნდა გაეგლოთ. მაგრამ ამისათვის საჭირო საუკეთესო ცხენები საკმაოდ არ აღმოჩნდა. სეფაპდარმა მოაზ-ოს-სულთანს ყარაბაღელებისათვის ცხენების შოვნა დაავალა.

„მაგრამ სულთანმა ისინი ბახთიარებთან მიიწვია და თვითონ, ვითომ ცხენების საშოვნელად, სადღაც მიიმალა. აქაც მოტყუილებამ იჩი-

³⁸⁷ „ახალი სხივი“, № 35, 1909 წლის 17 მარტი.

³⁸⁸ ამასთან დაკავშირებით უნდა შევნიშნოთ, რომ საბლინის 1909 წლის 11 ივლისის დეპეშაში საქმე სხვაგვარად არის წარმოდგენილი. აქ აღნიშნულია, რომ რევოლუციონერებმა და ბახთიარებმა შესაძლებლად ვერ ჩათვალეს ძალით გაეკვლიათ გზა თეირანისაკენ. მათ მოისყიდეს ამირ მოფაჰემი, რომელსაც კახაკებსა და რევოლუციონერებს შორის მდებარე პოზიცია ეკავა. მან გზა დაუთმო მათ და ასე შესძლეს ღამით თეირანთან მისვლა. „რუსსკოე სლოვოს“ კორესპონდენტი კი წერს, თითქოს ამირ მოფაჰემი თავისი 500 კაციანი რაზმით და სამი ქვემეხით შეუერთდა რევოლუციონერებს და შეერთებული რაზმი დაუბრკოლებლად შევიდა თეირანში. იხ. Сборник дипломатических документов... с. 259; «Русское слово», № 151, 3 (16) июля 1909 года.

ნა თავი. ბევრს ელოდნენ ცხენებს, მავრამ ამაოდ. ბახთიარებმა რამდენიმე ცხენი დაუთმეს მათ და თორმეტ საათზე გასწიეს სოფელ მადის მექისაკენ, სადაც შეუერთდნენ სეფაჰდარის ჯარს და თეირანისაკენ გაეშურნენ“. დანარჩენმა ქართველებმა და ყარაბაღელებმა გილანელების ცხენებით „სხვებთან ერთად გასწიეს წინ“³⁸⁹.

ეს მოხდა 30 ივნისს ღამით, ნაშუალამევის ორ საათზე. ა. ქასრავის რევოლუციონერებისა და ბახთიარების ეს მოქმედება ბრწყინვალე ტაქტიკურ მოსაზრებად და ერთ-ერთ გაბედულ და ვაჟაკურ საქმედ მიაჩნია. ამასთან იგი გოცებას გამოთქვამს იმის თაობაზე, თუ რატომ მოხდა, რომ ამ გადამწყვეტი ლაშქრობის დროს ბახთიარებსა და რევოლუციონერებს თავის რაზმებით არ გაჰყოლიან მოაზ-ოს-სულთანი, მონთასერ-ედ-დოვლე და მირზა ალი მოჰამედ ხანი. ა. ქასრავის ცნობით, წინ მიდიოდნენ მხოლოდ სარდარ ასადი ორი ათასი ბახთიარი მხედრით, სეფაჰდარი ორასი მეტრძოლით და ეფრემ-ხანი ასი ფიდაით. ეფრემ-ხანის რაზმში იყვნენ კავკასიელი და ირანელი მუსლიმანები, სომხები და ორი ქართველი³⁹⁰. რამდენიმე ქართველი და ყარაბაღელი უკან ჩამორჩა, ვინაიდან მათთვის დროზე ვერ იშოვეს ცხენები.

„გურჯი სერგოს“ ცნობით, ამ დროისათვის თეირანის მისადგომებზე რევოლუციონერების შეერთებული რაზმი (გილან-ყაზვინელი ფიდაები და ბახთიარები) სულ ხუთი ათას კაცს აღემატებოდა. იგი, სხვა წყაროებისაგან განსხვავებით, დაწერილებით აგვიწერს ღამის ამ გაბედული ლაშქრობის ამბავს: რევოლუციონერი ფიდაების და ბახთიარების შეერთებული რაზმი „ნელა გაჰყვა მინდორ-ბილიკით თეირანის ვაკეს, ასცდა ყველა იმ სოფელს, სადაც შაჰის ჯარები იმყოფებოდა. გათენებისას გადაუხვია მარცხნივ რუსეთის მიერ გაკეთებულ საფოსტო გზას და როდესაც სოფელ აბადს³⁹¹ ჩაუარა, იქ მყოფი ჩასაფრებული კაზაკები მთებში გაიქცნენ. მამაცმა ბახთიარებმა მათ შესაშინებლად მხოლოდ ჰაერში დასცალეს თოფები და კაზაკები ყიყინით მოაცილეს სოფელს.

³⁸⁹ „ახალი სხივი“, № 35, 1909 წლის 17 მარტი. სინამდვილეში ამირ მოფაჰემი გვიან შევიდა თეირანში და რევოლუციონერებს გაუშარბა ბრძოლა. იხ. Сборник дипломатических документов..., с. 259. საგულისხმოა, რომ სხვა წყაროებში მათ შორის „გურჯი სერგოს“ დღიურებსა და ა. ქასრავის ნაშრომში ამის მსგავსი არაფერია თქმული.

³⁹⁰ ა. ქასრავი, დასახ. ნაშრ., გვ. 57. როგორც ჩანს, ამ ორი ქართველიდან ერთი „გურჯი სერგო“ — სერგო გამდღიშვილი უნდა ყოფილიყო.

³⁹¹ სოფელი აბადი (იგივე აქშმათ აბადი) — თეირანის შაჰრესთანის შაჰრიარის რაიონის სოფელი. შაჰრიარის დასავლეთით 10 კმ-ზეა გაშენებული. მოსახლეობა სპარსულად და აზერბაიჯანულად ლაპარაკობს.

5-6 ვერსზე გაფანტული რაზმი ნელა მიიწევდა წინ. იქნებოდა დილის 8 საათი, როდესაც რაზმის მოწინავე ნაწილმა თეირანის გორაკიდან თავზედ გადახედა ამწვანებულ თეირანს³⁹². აქ დადასტურებულია ის აზრი, რომ რევოლუციონერების და ბახთიარის შემტევა რაზმმა გაბედული მანევრით განზე დასტოვა ყველა ის პუნქტი, სადაც შაჰის ჯარები იყვნენ დაბანაკებული და ძილს მისცემოდნენ, ღამით გაიარა გზა თეირანამდე. მაგრამ არაფერია თქმული იმის შესახებ, რომ თითქოს ამირ მოფაჰემის შაჰის მომხრე ბახთიარებმა დაუთმეს მათ გზა. ამ ვერსიას აბათილებს თუნდაც ის ფაქტიც, რომ ამირ მოფაჰემის რაზმი, რომელიც შემდეგ თეირანში შევიდა, თავდაუზოგავად ებრძოდა რევოლუციონერებს.

სხვადასხვა აზრი არსებობს აგრეთვე იმის თაობაზე, თუ თეირანის რომელი ჭიშკრიდან შევიდა ქალაქში რევოლუციონერ-ბახთიართა რაზმი. იმდროინდელი ინგლისური და რუსული გაზეთების კორესპონდენტები იტყობინებოდნენ, რომ ისინი თეირანში იუსუფ აბადის ჭიშკრიდან შევიდნენ³⁹³. ასევეა აღნიშნული ირანის ამბებთან დაკავშირებით გამოცემულ რუსეთის დიპლომატიური მასალების კრებულშიც. მასში ვკითხულობთ: „იმის გამო, რომ წინააღმდეგობას თეირანის სამხრეთ ჭიშკართან ელოდებოდა, შემტევთა რაზმმა დედაქალაქს დასავლეთიდან შემოუარა და შევიდა ჩრდილოეთის იუსუფ აბადის ჭიშკრიდან“³⁹⁴. ეყრდნობა რა ამ ცნობას, ამავე აზრს იზიარებს ცნობილი საბჭოთა ირანისტი, პროფესორი მ. ივანოვი. იგი წერს: „30 ივნისის (13 ივლისის) ღამით ფიდაებისა და ბახთიარების შეერთებულმა რაზმმა გაიარა სპარსული კაზაკებისა და შაჰის ბანდების განლაგების ადგილებს შორის, შემოუარა თეირანს დასავლეთიდან და დედაქალაქში შევიდა ჩრდილოეთის იუსუფ აბადის ჭიშკრის გავლით“³⁹⁵. ა. ქასრაფი კი რევოლუციონერთა და ბახთიართა ქალაქში შესვლის სხვა ადგილს ასახელებს. იგი აღნიშნავს, რომ ლიხთოვმა ყაზვინის, დასავლეთისა და სამხრეთის ჭიშკრები გაამაგრა და თვითოეულ მათგანში მოყარაულეთა რაზმები დააყენა. მოჯაჰიდებმა, ვინაიდან ყოველივე ეს კარგად იცოდნენ, ქალაქს ახლო გზით შემოუარეს და ბაჰათ აბადის ჩრდილოეთი ჭიშკრისაკენ გაემართნენ, დილის ექვსი საათი იქნებოდა, როცა ისინი ამ ჭიშკრის გავლით ქალაქის ფარგლებში შევიდნენ³⁹⁶.

მეორე ირანელი ავტორი, რევოლუციური ამბების მონაწილე

³⁹² „ახალი სხივი“, № 35, 1909 წლის 17 მარტი.
³⁹³ D. Frazer, Persia and Turkey in Revolt, London, 1910, p. 115.
³⁹⁴ Сборник дипломатических документов.... Вып. II. с. 259.
³⁹⁵ М. С. Иванов, указ. труд, с. 387.
³⁹⁶ ა. ქასრაფი, დასახ. ნაშრ., გვ. 58.



ისმაილ ამირ ხაზიც ამ აზრისაა. იგი წერს: სახალხო მოლაშქრის წინა
გამართენ და, როცა თეირანთან მივიდნენ, დილის ექვს საათზე ქა-
ლაქში ბაჰათ აბადის ჭიშკრიდან შევიდნენ და ბრძოლა დაიწყო³⁹⁷.

ახლა საინტერესოა, თუ რას წერს ამის თაობაზე დღიურების ავ-
ტორი, რომელიც, როგორც ცნობილია, თვითონ შევიდა ერთ-ერთი
პირველთაგანი თეირანში. „რაზმი (იგულისხმება ბახთიარებისა და
ფიდაების რაზმი გ. ჭ.) მოურიდებლად მიუახლოვდა ბეჩეთ აბადის³⁹⁸
ალაყაფის ქალაქში შესავალ კარებს, რომელიც ღია დახვდა მას. კა-
რებში თუმცა სამოცამდე კარგად შეიარაღებული შაჰის მომხრე
ბახთიარი იდგა ერთი ზარბაზნით, მაგრამ რაზმის დანახვაზე ისე
აირივნენ, რომ ვერც კი მოასწერეს ლიახოვისათვის ეცნობებინათ რე-
ვოლუციონერების ქალაქში შესვლა. სროლა კი მათი მხრიდან ყოვ-
ლად უსარგებლო იქნებოდა, რადგან ცოცხალი ვერავინ დააღწევდა
თავს.

რაზმი შევიდა ქალაქში (ტყუილია სხვადასხვა გაზეთების ცნობე-
ბი, ვითომ რევოლუციონერები სხვადასხვა მხრიდან შესულიყვნენ ქა-
ლაქში. ყველა ბეჩეთ აბადის კარიდან შევიდა)³⁹⁹ — დასძენს დღიუ-
რების ავტორი.

ამრიგად, რუსული და ინგლისური გაზეთების კორესპონდენტე-
ბი, აგრეთვე რუსი დიპლომატები, რომელთა მოსაზრებას პროფესო-
რი მ. ივანოვიც იზიარებს, აღნიშნავენ რომ თეირანზე შემტევი
ბახთიარებისა და რევოლუციონერ ფიდაების ლაშქარი დედაქალაქში
იუსუფ აბადის ჭიშკარში შევიდაო. რაც შეეხება ირანელ ისტორიკო-
სებს ა. ქასრავის და ი. ამირხიზს აგრეთვე ჩვენი დღიურების ავტორს
„გურჯი სერგოს“, ისინი წერენ, რომ რევოლუციონერთა რაზმები
თეირანში ბაჰათ აბადის ჭიშკრიდან შევიდაო. ამასთან საგულისხმოა
ისაც, რომ, როგორც დღიურებში ვნახეთ, ავტორს შეცდომად მიაჩნია
იმდროინდელი გაზეთების მტკიცება იმის შესახებ, რომ, თითქოს, რე-
ვოლუციონერები სხვადასხვა მხრიდან შესულიყვნენ ქალაქში. ჩვენის
აზრით, ყველა ზემოაღნიშნულ წყაროთა შორის უპირატესობა ამ
უკანასკნელ სამს უნდა მიენიჭოთ, ვინაიდან ა. ქასრავი და ამირ ხი-
ზი ირანელები და აღწერილი ამბის თანამედროვენი არიან, ხოლო
დღიურების ავტორს რევოლუციონერთა რაზმთან ერთად თვითონ
მოუხდა თეირანში შესვლა და ბრძოლებში მონაწილეობის მიღება.

³⁹⁷ ბეჩეთ აბადი გაღმობართლებული ბაჰათ აბადია. ბაჰათ სპარსული სიტყვაა
და ქართულად მხიარულს, ბედნიერს ნიშნავს, აბადი კი დასახლებას აღნიშნავს.

³⁹⁸ „ახალი სხივი“, № 35, 1909 წლის 17 მარტი.

³⁹⁹ იხ. ისმაილ ამირ ხიზი, დასახ. ნაშრ., გვ. 381.

ქართველი მებრძოლების მიერ ნატყორცნა ბომბმა და რამდენიმე
გასროლამ დააფრთხო და გარეკა მოყარაულენი, რომლებიც სულაც
არ ელოდნენ ამ მხრიდან რევოლუციონერების გამოჩენას.

ამ დროისათვის პოლკოვნიკ ლიახოვის განკარგულებაში ქალაქში
ოთხასამდე სპარსელი კაზაკი იყო. რამდენიმე ფეხოსანი და მხედარი
თუფხანეს (არსენალი) მოედნის მიდამოებში გამაგრდა. შაჰის არმიისა
და ქალაქის მილიციის რაზმები ბაჰარესთანის სასახლისა და მასჯედ-ე სე-
ფაჰსალარის შენობების ირგვლივ იყვნენ ჩასაფრებულნი. ისინი ყა-
ჯართა დინასტიის სამეფო საგანძურებს იცავდნენ. მათ აგრეთვე მეჩე-
თების მინარეთები და სახურავები გაემაგრებინათ⁴⁰⁰.

დღიურების ავტორი წერს, რომ პოლკოვნიკ ლიახოვს შაჰის ჯა-
რის მთავარი ძალა ყაზვინის კარებში ჩაეყენებინა. იგი სწორედ აქედან
მოელოდა რევოლუციონერებს. დანარჩენ შესასვლელებთან 60-100
შაჰის მომხრე ბახთიარა და კაზაკი იდგა. „ქალაქის ყველა მთავარ ქუ-
ჩებში, სადაც კი რეაქციონერების სახლები იყო, ბინები სავსე იყო
მტრის ჯარით და თავგზააბნეული რევოლუციონერებს ესროდნენ“⁴⁰¹.

რევოლუციონერთა და ბახთიართა შეერთებულ ლაშქარს ბაჰჯათ-
აბადის შესასვლელთან თეირანელ თავისუფლებისათვის მებრძოლთა
ჯგუფი შეეგება და მიესალმა. სარდარ ასადისა და სეფაზადარის რაზ-
მებმა ინგლისის საელჩოს წინ ჩაიარეს და გეზი ბაჰარესთანის სა-
სახლისაკენ აიღეს. კავკასიელთა მიერ ნასროლი რამდენიმე ბომბის
ხმაზე ბაჰარესთანის მცველი გუშაგები გაიქცნენ. ფიდაების ერთი
ჯგუფი მეჯლისის შენობაში შევიდა და დაიკავა იგი. მათ მეჯლისის
გარშემო ბარიკადები აღმართეს⁴⁰². ქუჩებში სერიოზული შეტაკებები
არ მომხდარა. გარდა ზოგიერთი სარბაზისა, რომლებიც ყაზარმიდან ის-
როდნენ, გზაჯვარედინზე რევოლუციონერებს სხვა არავინ უწევდა წი-
ნაღმდევობას. სროლის დროს მხოლოდ რამდენიმე კაცმა მიიღო მსუ-
ბუქი ჭრილობა. ორიოდ ცხენიც ტყვიამ გააკაწრა. „მოჯაჰიდებმა კი
რამდენიმე სარბაზი მოკლეს — წერს ა. ქასრავი. ბაჰარესთანის წინ
უმნიშვნელო ბრძოლა მოხდა, მთავრობის ჯარებმა სიმაგრეები დასტო-
ვეს და გაიფანტნენ. ეს ადგილები მოჯაჰიდებმა დაიკავეს და გაამაგ-
რეს. მათ ხელთ იგდეს აგრეთვე ქალაქის აღმოსავლეთი და ჩრდი-
ლოეთი ქიშკრები“⁴⁰³.

⁴⁰⁰ ა. ქასრავი, დასახ. ნაშრ., გვ. 58.

⁴⁰¹ „ახალი სხივი“, № 35, 1909 წლის 17 მარტი.

⁴⁰² Сборник дипломатических документов... Вып. II, СПб, 1911, с. 259.

⁴⁰³ ა. ქასრავი, დასახ. ნაშრ., გვ. 58.



„მეჭლისში მისული რაზმი სამად გაიყო: — ვკითხულობთ რებში—ბახთიარები, როგორც „ყოფნა-არყოფნის“ გადამწყვეტი, მთელ ქალაქში უფრო საფრთხილო ალაგებს მოედნენ. ვილანელები მეჭლისის ეზოში დარჩნენ და გალავანში გამაგრდნენ. ეფრემმა რაზმით დაიჭირა ალა-ედ-დოვლეს შუაგული კუთხე ინგლისისა და ოსმალეთის საკონსულოების შუა ალაგას, ვინაიდან მას ლალატისა ან სომხების „პოტრომის“ ეშინოდა. თეირანის სომხობა გახიზნული იყო ინგლისის საკონსულოში⁴⁰⁴.

ალა-ედ-დოვლეს ქუჩის სათავეში შესვლისთანავე იბრძოდნენ ქართველი და მონათლული ურია⁴⁰⁵, რომლებიც ზარბაზნის სროლასაც კი უმაგრდებოდნენ და იერიშის მიმტან სარბაზებს უკუაქცევდნენ⁴⁰⁶.

როგორც ვიცით, ქართველებისა და ყარაბაღელების უმრავლესობა, რომლებიც შემტევთა ლაშქარში შედიოდნენ, მოწინავე რაზმებს უკან ჩამორჩა იმის გამო რომ მოაზ-ოს სულთანმა, რომელმაც მათთვის ცხენების შოვნა ჰქონდა დავალებული, ამ საქმისათვის დროულად არ იზრუნა. 30 ივნისს, (13 ივლისს) როცა რევოლუციონერთა რაზმებმა ბაჰარესთან და მეჭლისი დაიკავეს, ისინი ჯერ კიდევ არსად ჩანდნენ. როგორც შემდეგ გამოირკვა, მათ გზაში თავს დასხმოდნენ კაზაკთა რაზმები, მაგრამ მტერი დაუმარცხებიათ და გაუქცევიათ.

ამასობაში შაჰრიარში მდგარმა კაზაკთა ბრიგადის ნაწილებმა, როცა მოწინააღმდეგის გაცლა და მისი თეირანში შესვლის ამბავი გაიგეს, დაკავებული პოზიციები დასტოვეს და დედაქალაქისაკენ გამოემშურნენ. მათ შორის ოთხასი კაცი კაპიტან ზაპოლსკის მეთაურობით თეირანის დასავლეთით ყაზვინის ქიშკარს მოადგა. აქ ისარგებლეს იმით, რომ ეს შესასვლელი ჯერ კიდევ არ დაეკავებინათ რევოლუციონერებს და ქალაქში შევიდნენ. მათ გაიარეს დაცარიელებული კვარტალები, მიაშურეს თავის ყაზარმებს და პოლკოვნიკ ლიახოვს შეუერთდნენ რაიმე მნიშვნელოვანი წინააღმდეგობის გაწევის გარეშე. მეორე რაზმი, რომელშიც სამასამდე კაცი შედიოდა, კაპიტან პერებინოსოვის თანხლებით, ქალაქის გვერდის ავლით პირდაპირ სალთანათ აბაღში გაემშურა შაჰის დასაცავად. სალამოს სალთანათ აბაღში თავი მოიყარა კაზაკთა ყველა ნაწილმა, რომლებიც შაჰრიარში მოქმე-

⁴⁰⁴ აქ, ეტყობა, შეცდომაა, საკონსულოს ნაცელად საელჩო უნდა იყოს.
⁴⁰⁵ მონათლულ ურიაში ავტორი, შესაძლოა, გულისხმობდეს მიხეილ ბოვდანოვს, რომელიც ამ ბრძოლებში მონაწილეობდა.
⁴⁰⁶ „ახალი სხივი“, № 35, 1909 წლის 17 მარტი.



დებდნენ. აქ მოვიდნენ აგრეთვე ამირ-მოფაჰემი და შაჰის მომხრე მისი
 ბახთიარები⁴⁰⁷.

თეირანის გარეუბან შამირანში, რომელიც უცხოეთის დიპლომა-
 ტიური წარმომადგენლების საგაზაფხულო სააგარაკო ადგილს წარ-
 მოადგენდა, ფიდაების და ბახთიარების შესვლის ცნობამ შეშფოთება
 გამოიწვია. უცხოეთის წარმომადგენლებმა დაუყოვნებლივ გაგზავნეს
 თარჯიმნები, რათა ზომები მიეღოთ თავიანთი ქვეშევრდომების დასა-
 ცავად. რუსეთის იმპერატორის მისიამ იქ ევრეინოვი გაგზავნა. იგი
 ეწვია მეჯლისის შენობაში მყოფ სარდარ ასადს და სეფაჰდარს, რომ-
 ლებისაგანაც მიიღო დაპირება, რომ რუსეთის ქვეშევრდომებსა და
 დაწესებულებებს არავითარი საფრთხე არ მოელოდა⁴⁰⁸. ასეთივე და-
 პირება მიიღო ინგლისის მისიის მოხელემ. ირანის არისტოკრატის ყვე-
 ლაზე რეაქციულმა ნაწილმა: უფლისწულმა ნაიბ-ოს-სალთანემ თავისი
 ორი ვაჟითურთ, უფლისწულმა იზ-ედ-დოვლემ, ცნობილმა მონარქისტმა
 მოჯთაჰიდებმა იმამ ჯუმამ და ზახირ-ოლ-ისლამმა, როგორც კი შეი-
 ტყვეს თეირანში ფიდაების გამოჩენის ამბავი, მაშინვე მეფის რუსე-
 თის მისიას მიაშურეს, იქ ბესთში დაჯდომა და თავშესაფარი ითხო-
 ვეს. მათ სოფელ ზერგენდში⁴⁰⁹ დაიდეს ბინა⁴¹⁰.

30 ივნისს (13 ივლისს) მთელი დღე შედარებით სიმშვიდე იდგა
 თეირანის ქუჩებში. ქალაქში სროლა ისმოდა მხოლოდ კაზაკთა
 ყაზარმების ახლოს და იმ უბნებში სადაც ამირ მოფაჰემის ბახთიარე-
 ბი იდგნენ. ისინი ცდილობდნენ, რომ იქ ფიდაების შეჭრა არ დაემზათ.
 სხვა უბნებში რევოლუციონერები სარბაზებისა და კაზაკებისაგან
 წმენდდნენ ქუჩებს. „ყუმბარის გრიალი არსაიდან მოისმის. სროლას
 ყური შეეჩვია. ცა მოქუშულია, თითქოს რაღაც საშინელებას მოელი-
 სო. თეირანი იბრძვის. თეირანი საესეა დაჭრილ-დახოცილებით“⁴¹¹.
 მოსახლეობა ყველგან სიხარულით და აღფრთოვანებით ხედებოდა
 განმათავისუფლებლებს. მათს გამოჩენაზე ოვაციებს მართავდნენ. იმა-
 ვე 30 ივნისს, საღამოს, როცა ქალაქში ყველგან შეწყდა ბრძოლა,
 ბახთიარებისა და რევოლუციონერების ხელმძღვანელები ადგილობრივ
 კონსტიტუციონალისტებთან ერთად შეიკრიბნენ გულაჰაქში — პირვე-
 ლი მოწვევის მეჯლისის თავმჯდომარის სანი-ედ-დოვლეს ბაღში და
 მომავალი ბრძოლის გეგმების შესახებ თათბირი გამართეს.

⁴⁰⁷ ა. ქასარავი, დასახ. ნაშრ., გვ. 58. Сборник дипломатических докумен-
 тов..... Вып. II, СПб, 1911, с. 260.

⁴⁰⁸ იქვე.

⁴⁰⁹ ზერგენდე — რუსეთის მისიის საზაფხულო რეზიდენცია.

⁴¹⁰ Сборник дипломатических документов.... с. 260.

⁴¹¹ „ახალი სხივი“, № 35, 1909 წლის 17 მარტი.

ქართველი მებრძოლები თეირანში.
შაჰის უკანასკნელი ბაზრძოლება.



1 (14) ივლისს თეირანში შევიდა ქართველი და ყარაბაღელი მებრძოლების ჯგუფი, რომლებიც მოწინავე რაზმს უკან ჩამორჩნენ. „ყუმბარების გრიალი ნიშანია მათი ქალაქში შესვლისა... ბახთიარებმა მტერს წაართვეს ახალი სისტემის ორი საუკეთესო ზარბაზანი, რომლებზეც შაჰის ჯარი დიდ იმედს ამყარებდა. მათ სროლით წაიწიეს წინ კახაკთა ბრიგადის ყაზარმებისაკენ... კიდევ გავარდა ყუმბარა, რომლის გრიალითაც გარშემო მტერს შემორტყმული თვით ქართველ-ყარაბაღელების ხელმძღვანელს ატყობინებენ გამარჯვებას და ხსნას.

ბახთიარების სივაჟაკით ყველას გული მოეცა. მათ გვერდში ამოდგომიან ოთხი გურჯი და თავდავიწყებით ყველა მხარეს ყუმბარებს ისვრიან. ყველას გიჟივით დაუტყუებია თვალები და წინ მიიწიეს. არავინ არ ერიდება არც ტყვიას, არც არავითარ ძალას.

მთელ დღეს სროლაა. თეირანის ქუჩები სისხლით არის მორწყული და შეღებილი. ეს პირველი ივლისი გადამწყვეტია გამარჯვება-დამარცხებისა“ — წერდა „გურჯი სერგო“ თავის დღიურებში⁴¹².

მართლაც, 1 (14) ივლისს უნდა გადაეწყვიტა საბოლოოდ კონსტიტუციისათვის მებრძოლთა დარეაქციონერ მოჰამად ალი შაჰას დამარცხებისა თუ გამარჯვების ბედი. ამას მთელი სიგრძე-სიგანით გრძნობდა თვითონ შაჰი, რომელიც თავის საზაფხულო რეზიდენციაში იმყოფებოდა თეირანის მახლობლად მდებარე სალთანათ აბადში. სწორედ ამ დღეს მოიკრიბა შაჰმა უკანასკნელი ძალ-ღონე და სცადა აეღო თეირანი. ამით სურდა თავის სასარგებლოდ გადაეწყვიტა საბოლოოდ კონსტიტუციონალიზმისა და პარლამენტარიზმის მომხრეებთან გამართული უკანასკნელი ცამეტი თვის შეუზოგარი ბრძოლა. მან ბრძანა, რომ თეირანის მახლობლად მდებარე ყასრე ყაჯარიეს (ყაჯარების ციხე) გორაკზე აეგორებინათ კახაკთა ბრიგადის ზარბაზნები და აქედან დაეშინათ ქვემეხები ქალაქისათვის. მონარქმა თავის განკარგულებაში დარჩენილი ძალები ორ მთავარ ნაწილად გაჰყო. ერთ ჯგუფს სათავეში ჩაუყენა სარდარ არშადი და დაავალა მას, რომ დედაქალაქზე დუშან-თაფეს სიმაღლეებიდან შეეტია. ამირ-მოფაჰემს დაევალა, რომ თავისი ბახთიარებით ალყაში მოექცია ქალაქი და დასავლეთიდან, ბაღეშაჰის მხრიდან დაერთყა⁴¹³.

ბრძოლა დილის შვიდი საათიდან დაიწყო.

ნაშუადღევს სამ საათზე კი ორივე მხარე გააფთრებულად შეეტა-

⁴¹² „ახალი სხივი“, № 35, 1909 წლის 17 მარტი.

⁴¹³ Сборник дипломатических документов... с. 260.



კა ერთმანეთს. ა. ქასრაგი წერდა, რომ მთავრობის ჯარის ნაწილებმა ზარბაზნები გამოავორეს და სამ ადგილას დააყენეს. აქედან მათ ქურდები დააყარეს ქალაქს ბაჰარესთანისა და მასჯედე სეფაჰსალარის მხარეს, სადაც ბახთიარები და ფიდაები იყვნენ გამაგრებული. ისინი ისროდნენ აგრეთვე ყაზაყხანედან (ყაზაკების ყაზარმა), აბას აბადიდან და ღუშან თაფეს ჭიშკარიდან. მზის ჩასვლამდე ზარბაზნების სროლა არ შეწყვეტილა. ქურდების უმრავლესობა მიზნამდე ვერ აღწევდა და ფუჰად იკარგებოდა. ქალაქში მხოლოდ რამდენიმე სახლი დაზიანდა. ეფრემ-ხანის ფიდაები, რომელშიც ქართველი მებრძოლებიც შედიოდნენ მედგრად იბრძოდნენ ყაზაყხანესთან ყაზაკთა რაზმების წინააღმდეგ. ლიახოვი მეტად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა⁴¹⁴.

1 (14) ივლისს მომხდარი ბრძოლის შესახებ რუსეთის საქმეთა რწმუნებულმა ირანში მ. საბლინმა 2 (15) ივლისს პეტერბურგში შემდეგი შინაარსის დეპეშა გაგზავნა: „შაჰის ბრძანებით, გუშინ დილის 7 საათიდან ცეცხლი გაუხსნეს ქალაქს... არტილერიის ქუხილი მკვეთრად აღწევდა ზურგენდეში (სადაც რუსეთის მისია იმყოფებოდა. გ. ჭ.). უცხოელმა წარმომადგენლებმა დაუყოვნებლივ თხოვნით მოგვმართეს მე და ბარკლასი, რომ გავლენა მოგვეხდინა შაჰზე, რათა დაზავება გამოეცხადებინა და უცხოელთა წარმომადგენლები ქალაქიდან გამოსულიყვნენ. დილის 10 საათზე ბარკლაი და მე შაჰთან გავემგზავრეთ. მას განუცხადეთ, რომ დაუყოვნებლივ შეეწყვიტა დაბომბვა და ჩვენი შუამდგომლობით მოლაპარაკება გაემართა რევოლუციონერებთან. შაჰმა ცივი უარი გვითხრა „დაე, აეზავებმა დაჰყარონ იარაღი, თქვა მან, მაშინ მეც შევწყვეტ სროლასო“. მთელი დღე ქალაქში სასტიკი ბრძოლა წარმოებდა. რევოლუციონერების მთავარი ცეცხლი მიმართული იყო ყაზაკთა ბრიგადისაკენ. მიუხედავად იმისა, რომ დღის განმავლობაში არტილერიამ 2000-ზე მეტი ჭურვი გაუშვა, ქალაქი სერიოზულად არ დაზარალებულა. შაჰის ფეხოსნები ცდილობდნენ დაეპყროთ მეჯლისი, მაგრამ მათ ბომბებით შეხვდნენ და აქეთ-იქით გაიფანტნენ. ქალაქთან კავშირი მეტისმეტად სარისკოა. ტელეფონი გადაჭრილია. როგორც ჩვენს, ისე ინგლისისა საზაფხულო რეზიდენციებში ტელეგრაფი არ მუშაობს“⁴¹⁵.

შაჰის ჯარის მეთაურმა სარდარ არშადმა დიდი გაჭირვებით მოახერხა ქალაქში შესვლა, მაგრამ ბარიკადებს წააწყდა და ჩიხში მოექცა. ამ მარცხს ხელი არ შეუშლია მისთვის, რომ შაჰისთვის სალთანათ-აბადში ეცნობებინა თითქოს მან დაანგრია მეჯლისი, სეფაჰსალარის მეჩეთი და დაიპყრო მთელი ქალაქი. ამირ-მოფაჰამის ბახთიარებიც

⁴¹⁴ ა. ქასრაგი, დასახ. ნაშრ., გვ. 58.

⁴¹⁵ Сборник дипломатических документов... с. 237—238.



შეიქონენ ქალაქში და შევიდნენ თავის კვარტალში. საიდანაც უფრო
ზნოდ და დაბნეულად ესროდნენ ყველა გამვლელს.

სალამოსთვის თეირანი ორ ერთმანეთისადმი მტრულ ბანაკად გაი-
ყო. შაჰის მომხრე ჯარებს — კაზაკებსა და სარბაზებს ეკავათ მაშქისა
და თოფხანის ცენტრალური მოედნები, შამსულ-იმარეს შაჰის სასახლე
და ყაზვინის შესასვლელი. ქალაქის დანარჩენი უდიდესი ნაწილი,
ბაჰარესთანის სასახლე, სეფაასალარის მეჩეთი და მეჯლისის შენო-
ბა რევოლუციონერ-ფიდაებისა და სარდარ ასადის ბახთიარების
განკარგულებაში იყო⁴¹⁶.

შუადღისას, როცა ქალაქს ჯარი ზარბაზნებს უშენდა, შაჰის სარ-
ბაზებმა დრო იხელთეს და ქალაქში ძარცვა-გლეჯვა და მაროდრობა
გააჩაღეს. ისინი ტეხავდნენ სავაჭროებს და სახლებს, იტაცებდნენ ყვე-
ლაფერს, რაც ხელში მოხვდებოდათ. რბევამ მიაღწია ალა-ედ-დოვლეს
ქუჩამდე, რომელიც ქალაქის ერთ-ერთ საუკეთესო მაგისტრალად
ითვლებოდა. აქ ძირითადად უცხოელები ცხოვრობდნენ. მათი სულ
ცოტა ათზე მეტი სახლი და დუქანი გაძარცვეს. მთლიანად დააცარიე-
ლეს რუსი ქვეშევრდომების სერვიუგინისა და რუსი-ხანის ფოტო-სა-
ხელოსნოები. გაანადგურეს მთელი ავეჯეულობა ინდო-ევროპის ტე-
ლეგრაფის დირექტორის მისტერ კასის ბინაში. მძარცველები ცდი-
ლობდნენ გაენადგურებინათ აგრეთვე სამი ევროპული სასტუმრო და
რუსეთის სააღრიცხო-საგამსაღებლო ბანკის შენობა მაგრამ მათ
დროზე მიუსწრეს რევოლუციონერებმა და იქიდან სროლით განდევ-
ნეს⁴¹⁷.

ქალაქში და ქალაქგარეთ ყოველგვარი სატელეფონო და სა-
ტელეგრაფო კავშირი გაწყვეტილი იყო.

ლიახოვის არტილერიამ კვლავ სცადა ღამით დაებომბა ქალა-
ქის დასავლეთი ნაწილი, რომელიც რევოლუციონერებს ეკავათ, მაგ-
რამ ამას შედეგი არ მოჰყოლია⁴¹⁸.

უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლები მთელი დღე აქტიუ-
რობდნენ. ისინი ცდილობდნენ მხარეთა დაზავებას და რევოლუციო-
ნერებისა და შაჰის შერიგებას. უცხოელთა სიცოცხლისა და ინტერე-
სების დაცვის საბაბით მოითხოვდნენ, რათა რევოლუციონერებს ცე-
ცხლი შეეწყვიტათ შემტევი კაზაკთა რაზმების წინააღმდეგ. ამასთან
დაკავშირებით დღიურებში აღნიშნულია: „ვიღაცა ტელეფონით ატყო-
ბინებს ინგლისის კონსულს: „ქართველები ქალაქს ყუმბარებს ესე-
რიან. გთხოვთ, მიიღოთ ზომები, რომ შეწყვიტონ სროლა და დაი-“

⁴¹⁶ Сборник дипломатических документов... с. 261.

⁴¹⁷ «Русское слово», № 151, 3 (16) июля 1909 года.

⁴¹⁸ იქვე.



ვან იეროპელთა ინტერესები“. ინგლისისა და ავსტრიის კონსულები მართლა ჩაერივნენ საქმეში. უცხოელებს წინადადება მისცეს ეწინააღმდეგებოდნენ, საკონსულოში ჩამსხდარიყვნენ. შაჰის ჯარს ცალკე გამოუცხადა კონსულმა: თოფი არ გაესროლათ ინგლისის საკონსულოსაკენ (აქ და ზევეთაც საკონსულოს ნაცვლად. ალბათ, საელჩო უნდა იყოს. გ. ქ.). უკანასკნელ შემთხვევაში იძულებული გახდებოდა ზომები მიეღო მის წინააღმდეგ⁴¹⁹. ა. ქასრავის ცნობით, ღამით კვლავ გრძელდებოდა ბრძოლა. მოჯაპიდებმა იერიში მიიტანეს ყაზაყხანზე. ისინი ახლოს მივიდნენ მოწინააღმდეგის პოზიციებთან, ბომბები დააყარეს და დიდი ვნება მიაყენეს კაზაკებს. მეორე დღეს, ხუთშაბათს, 2 (15) ივლისს კვლავ ფიცხელი ბრძოლები გრძელდებოდა ორ მოწინააღმდეგე მხარეს შორის. მთავრობის ჯარი სამი პუნქტიდან უშენდა ზარბაზნის ჭურვებს რევოლუციონერთა პოზიციებს. ყაზაყხანსთანაც გააფრთხილებული ბრძოლები წარმოებდა⁴²⁰. „ბახთიარები თავისას განაგრძობდნენ — წერს „გურჯი სერგო“ — განიერი ჩაშვებული შარვლები ქამრებში აუკრავთ, ჭუჭყიანი პერანგები დაუმკლავებიან და უკანასკნელად, ყუმბარის გრიალში „ოოოო“-ს ძახილით... გადაერივნენ მტრის ჯარში და გაიმარჯვეს“⁴²¹.

ქართველი და კავკასიელი მეომრები თუმცა სულ რამდენიმე კაცი იყო, მაგრამ თავიანთი ერთგულებით ირანელი ხალხის განთავისუფლების საქმისადმი, ბრძოლაში გამოჩენილი გულადობით და მამაცობით აქაც საყოველთაო ყურადღებას იპყრობდნენ და პატივისცემას იმსახურებდნენ. მათ დავალებული ჰქონდათ უცხოელებით დასახლებული ალა-ედ-დოვლეს ქუჩის დაცვა, რათა შაჰის მორალურად გახრწნილი და იდეურად დაცემული ჯარის ნაწილებს პროვოკაცია არ მოეწყობოთ. ბომბებითა და შაშხანებით შეიარაღებული ქართველები შესანიშნავად ასრულებდნენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას და საბრძოლო პოსტს არ ტოვებდნენ, სანამ უკანასკნელი ვაზნა არ შემოეღოდათ. „ჯარის უფროსის ბრძანებით ალა-ედ-დოვლეს ქუჩის სათავეში ჩასაფრებულ ორ გურჯს ორჯერ კიდევ ესროლეს ზარბაზნიდან, მაგრამ ამოდ. ისინი თავისას განაგრძობდნენ და ბრძოლის მესამე დღეს, როდესაც ვაზნები შემოეღიათ, „რუსსკოე სლოვო“-ს კორესპონდენტის კრინსკის დახმარებით თავს უშველეს და ამხანაგებს შეუერთდნენ...“⁴²².

რუსეთის დიპლომატიური წარმომადგენლებიც, რომლებსაც

⁴¹⁹ „ახალი სხივი“, № 35, 1909 წლის 17 მარტი.
⁴²⁰ ა. ქასრა ვ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 58—59.
⁴²¹ „ახალი სხივი“, № 35, 1909 წლის 17 მარტი.
⁴²² იქვე.



ფაქტების გაყალბება და ტენდენციურობა ახასიათებდათ, ხელაგ-
 დნენ რა, რომ მათი მოკავშირე მოჰამად ალი შაჰის საქმე წაგებულნი
 იყო, რამდენადმე მწარე სიმართლით აღწერდნენ ამ დღეების ამბებს.
 მაგალითად, თავის ანგარიშში მ. საბლინი შემდეგს წერდა: „2 ივლი-
 სის დღემ დედაქალაქში ჩაიარა უმიზნო ბრძოლაში ნაციონალისტებ-
 სა (როგორც ვიცით, ნაციონალისტებს რუსი და ინგლისელი იმპე-
 რიალისტები რევოლუციონერებსა და ბახთიარებს უწოდებდნენ.
 გ. ჭ.) და შაჰის ჯარებს შორის. არც ერთი მხარე არ იჩენდა მცირე
 ინიციატივასაც კი. აქა იქ ორ-სამ მამაცს, რომლებიც კუთხეს ან
 ქვების გროვას იყვნენ ამოფარებულნი, დაშინებული ჰყავდათ მთე-
 ლი კვარტალი. კაზაკთა ყაზარმები ღუმდნენ. სარდარ ასადის ბახ-
 თიარები და ქალაქის მღაბიონი სარბაზებს ერეკებოდნენ, განსაკუთ-
 რებით კი მათთვის საძულველ სილახორებს⁴²³. მიათრევდნენ მათ
 მეჯლისში და იქ ხვრეტდნენ. დაიწყო ძარცვა, ქალაქში მთელი დღე
 ზალპი იდგა, რომელიც მხოლოდ ღამით მინელდა“⁴²⁴.

ა. ქასრავის თქმით, იმ სამ დღეს, რაც თეირანში ბრძოლები
 წარმოებდა, დიდი რაოდენობით გაწყდა ხალხი. მათ შორის იყვნენ
 მხედრები, ფეხოსნები და ქალაქის მშვიდობიანი მცხოვრებლები.
 მათი გვამებით მოფენილი იყო ქუჩები. ამ ბრძოლებში დაახლოე-
 ბით სამასი კაცი დაიღუპა⁴²⁵.

შაჰის ჩამოგდება

მოჰამად ალი შაჰმა ბრძოლა საბოლოოდ წაგებულად ჩათვალა
 ჯერ კიდევ წინა დღით, 1 (14) ივლისს, როცა მისი განზრახვა — დაე-
 ბომბა და დაენგრია ქალაქი — წარუმატებლად დამთავრდა. როცა
 შეტევის წარუმატებლობაში დარწმუნდა, შაჰი შეუდგა მზადებას
 ზერგენდში რუსეთის იმპერატორის მისიაში ბესთში გადასასვლე-
 ლად. ღამით იქ ჯერ თავისი ძვირფასეულობა გაგზავნა⁴²⁶. 1 (14)
 ივლისს საღამოს ქალაქში ხმები დაირხა, რომ ლიახოვის კაზაკებმა
 ყაზარმებზე თეთრი ბაირაღები გამოფინეს და დაზავებას ითხოვეს.
 ამ მომენტმაც ჰპოვა ასახვა „გურჯი სერგოს“ დღიურებში. მასში ვკი-
 თხულობთ: „შუადღის ორ საათზე ხმა გავრცელდა შაჰი გაიქცა რუსის

⁴²³ სილანორი — შაჰის შეიარაღებული მეჯინებები, რომლებიც მოსახლეობის
 ძარცვას ეწეოდნენ.
⁴²⁴ Сборник дипломатических документов.... .с. 262.
⁴²⁵ ა. ქასრავი, დასახ. ნაშრ., გვ. 9.
⁴²⁶ Сборник дипломатических документов..... с. 261.



საკონსულოში. ახლა კი აშკარა იყო რევოლუციონერების გამარჯვება სროლამაც იკლო და ჯარის უფროსი (ლიახოვი გ. ჭ.) იწერება: გენერლებით, ჩემს კაზაკებს ხელს ნუ ახლებთო“⁴²⁷.

ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა აგრეთვე ერთი მომენტიც. მხოლოდ იმის შემდეგ, რაც აშკარა გახდა რევოლუციონერების გამარჯვება, თეირანს მოევლინა გილანელების ერთ-ერთი ცნობილი „ბელადი ხანი“ მოაზ ოს-სულთანი (სადარ მოჰი). იგი თავის თანამგზავრებთან ერთად დედაქალაქში მოვიდა ღამით. თან მოიტანა ერთი ზარბაზანი და ტყვია-წამალი ვითომდა რევოლუციონერებზე დასახმარებლად. მან უმაღვე მოქებნა მოჯაზიდების სამყოფელი და შეუერთდა მათ⁴²⁸. მკითხველს ახსოვს, რომ მოაზ-ოს-სულთანი და სხვა გილანელი „ბელადი ხანები“ სწორედ ასევე მოიქცნენ ყაზვინის აღების დროსაც.

3 (16) ივლისს დაახლოებით დილის 8 საათზე შაჰის ენდარუნი (ჯალაბობა) სალთანათაბადიდან რუსეთის მისიას ესტუმრა ზერგენდში. მანამდე მთელი ღამის განმავლობაში სასახლიდან ეზიდებოდნენ შაჰის უამრავ საგანძურს. დაახლოებით ერთი საათის შემდეგ ცხენით აქ მოვიდა თვითონ შაჰი, რომელსაც თან ახლდა ვალიეჰდი (ტახტის მემკვიდრე) მკირეწლოვანი უფლისწული აჰმად მირზა და სასახლის მრავალრიცხოვან მოსამსახურეთა ამაღლა პირწავარდნილ რეაქციონერ ბაჰადორ ჯენგის მეთაურობით. შაჰს მოჰყვა მცველი კაზაკთა რაზმი — დაახლოებით 500 კაცი. „მჭერმეტყველება არ მყოფნის, რათა აღვწერო მომენტის საზეიმო მწუხარება, როცა ფერწასული და ნირწამხდარი, ცხენზე მჯდომარე შაჰი შემოვიდა მისიის ბაღში“. — წერდა მ. საბლინი 3 (16) ივლისს პეტერბურგში გამოგზავნილ დეპეშაში⁴²⁹. რუსეთის საქმეთა რწმუნებული და მისიის წევრები მიესალმნენ მის მაღალკეთილშობილებას. კაზაკთა ყარაული წინ შეეგება მას. შაჰი დაბნეულად შეეპასუხა ყარაულს და რუსულად წარმოთქვა „ზდოროვო“. შემდეგ შესამჩნევი მღელვარებით ჩამოართვა ხელი მ. საბლინს და საელჩოს რეზიდენციაში შევიდა. საელჩოს შენობაზე მყისვე ჩამოკიდეს რუსეთისა და ინგლისის აღმები და საპარადო შესასვლელთან ყარაულში დააყენეს რუსი კაზაკი და ინდოელი სიპაი. თეირანში სასწრაფოდ გაგზავნეს რუსეთისა და ინგლისის საელჩოების თარჯიმნები ბარანოვსკი და ჩერჩილი. მათ დავალებული ჰქონდათ სეფაჰ-პლართან და სარდარ ასადთან შეხვედრა⁴³⁰. თათბირმა ორ საათს

427 „ახალი სხივი“, № 35, 1909 წლის 17 მარტი.
 428 ა. ქასრაფი, დასახ. ნაშრ., გვ. 59.
 429 Сборник дипломатических документов..... .с. 262.
 430 იქვე.



გასტანა. საბოლოოდ შეთანხმდნენ, რომ დაუყოვნებლივ დაედოთ ზავი და შეეწყვიტათ ყოველგვარი სამხედრო მოქმედება. მალე ამის შემდეგ პოლკოვნიკმა ლიახოვმა რუსეთის მისიის რწმუნებულისაგან მიიღო ბარათი, რომელშიც დაზავების შესახებ ხელშეკრულების პირობები იყო ჩამოყალიბებული. ერთ-ერთ პუნქტში, რომელიც კაზაკთა ბრიგადის მომავალს ეხებოდა, ლაპარაკი იყო იმის შესახებ, რომ კაზაკთა ბრიგადა ხელშეუხებელი რჩებოდა, ხოლო მის უფროსად კვლავ პოლკოვნიკ ლიახოვს სტოვებდნენ. თავის ადგილზე რჩებოდნენ აგრეთვე რუსი ოფიცრები, რომლებიც ბრიგადაში მსახურობდნენ და რევოლუციონერებს ებრძოდნენ. ბრიგადის ადგილობრივ სამხედრო მოსამსახურეებს კი, ყოფილი მთავრობის წინაშე მათი დამსახურების გამო, ამინისტრია უნდა გამოცხადებოდათ. პოლკოვნიკი ლიახოვი, როგორც ბრიგადის უფროსი, მხოლოდ ახალი მთავრობის სამხედრო მინისტრს უნდა დამორჩილებოდა⁴³¹.

ამ ბარათის მიღების შემდეგ, დაზავების შედეგებით კმაყოფილმა ლიახოვმა განკარგულება გასცა თეირანის მილიციის განიარაღების თაობაზე. პოლკოვნიკმა ბრძანება გასცა აგრეთვე, რომ აედოთ ქვემეხები და გაეხსნათ ყველა კარები, რომლებიდანაც გზა არსენალის მოედანთან გადიოდა. მან პირადად გამოუცხადა ბრიგადის ყველა სამხედრო მოსამსახურეს, რომ ომი დამთავრდა⁴³².

ჯერ კიდევ დაზავებაზე შეთანხმების მიღწევამდე პოლკოვნიკმა ლიახოვმა წერილობითი შეკითხვით მიმართა „რევოლუციის ბელად ხანებს“ იმის თაობაზე, თუ რა ბედი ელოდა კაზაკთა ბრიგადას განიარაღების შემთხვევაში. სეფაპდარმა და სარდარ ასადმა ამაზე უპასუხეს, რომ კაზაკთა ბრიგადა მისი მამაცობის, დამსახურებისა და საბრძოლო უნარიანობის გამო, რაშიც ისინი პირადად დარწმუნდნენ, საჭირო იქნება განახლებული სახელმწიფოსათვის და თუ ბრიგადა იარაღს დაყრის, ფიდაეები მაშინვე შეუერთდებიან მას. ეს სათაკილო საქმე როდი იქნება⁴³³. იმ დროს, როცა ხელუხლებლად ტოვებდნენ სპარსეთის კაზაკთა ბრიგადას, რომელმაც შაჰისა და ფეოდალური რეაქციის ინტერესების ერთგულება დაადასტურა, ამით „რევოლუციის ბელადი ხანები“ არა მარტო ხარკს უხდიდნენ ყაჯართა ფეოდალურ არისტოკრატიას და მასთან ვარიგებაზე მიდიოდნენ, არამედ სერიოზულად უხრიდნენ ქედს კოლონიზატორებსაც იმით, რომ ხელშეუხებლად უტოვებდნენ მათ ქვეყანაში თავისი ბატონობის განმტკიცების ერთ-ერთ ნაცად და საიმედო იარაღს.

⁴³¹ «Русское слово», № 152, 4 (17) июля 1909 года.

⁴³² იქვე.

⁴³³ იქვე.



იმის შემდეგ, რაც ძალაში შევიდა შეთანხმება დაზავების შესახებ, მეჯლისის შენობაში შედგა საგანგებო უმაღლესი საბჭოს სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ პირველი მეჯლისის დეპუტატები, გადამდგარი მინისტრები, მთავარი მოჯთეჰიდები, პრინციები და მდიდარი ვაჟკრები. სარდარ ასადის ძმამ სალარი ხიშმეთმა სხდომაზე დასასწრებლად საპატიო ესკორტით მოიყვანა პოლკოვნიკი ლიახოვიც. საგანგებო უმაღლესი საბჭოს სხდომა სადამომდე გაგრძელდა. საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება მოჰამედ ალი შაჰის ტახტიდან ჩამოშორებისა და ნემკვიდრედ მცირეწლოვან (14 წლის) სულთან აჰმედ მირზას დანიშვნის შესახებ. მას დროებით რეგენტად დაუნიშნეს უფლისწული აზიდ-ოლ-მულქი. ეს გადაწყვეტილება საყოველთაო ცნობისათვის მეჯლისის შენობის აივნიდან იქნა გამოცხადებული, რასაც იქ თავმოყრილი ხალხი აღფრთოვანებული შეძახილებითა და ტაშისცემით შეხვდა⁴³⁴.

შედგა დროებითი ლიბერალური, მემამულურ-ბურჟუაზიული კოალიციური მთავრობა, რომლის მეთაურის პოსტი თავდაპირველად ვაკანტური დარჩა. სამხედრო მინისტრად და სეფაჰსალარად (მთავარ-სარდლად) სეფაჰდარი დაინიშნა, შინაგან საქმეთა მინისტრი გახდა სარდარ ასადი. შემდეგში საგარეო საქმეთა მინისტრად ნასერ-ოლ-მულქი დაინიშნა, იუსტიციის მინისტრად — პრინცი ფარმან-ფარმა, განათლების მინისტრად — პირველი მეჯლისის ყოფილი თავმჯდომარე ხან-ედ დოვლე, ფოსტისა და ტელეგრაფის მინისტრად — სარდარ მანსური, ფინანსთა მინისტრად — მუსთოფი-ოლ-მამულქი. თეირანის პოლიცემისტრად განწესებულ იქნა ეფრემ დავიდიანცი, ხოლო თეირანის სამხედრო გუბერნატორობა პოლკოვნიკ ლიახოვს ჩაბარდა⁴³⁵.

ამრიგად, მთავრობის შემადგენლობაში შევიდა მსხვილი მემამულეების, ბახთიარი ხანების, ყაჯართა ფეოდალური არისტოკრატის და მსხვილი ბურჟუაზიის წარმომადგენლები. დამხობილ იქნა ყაჯართა აბსოლუტიზმი და იგი შეცვლილ იქნა იმავე ყაჯარების კონსტიტუციური მონარქიით. აღდგენილ იქნა კონსტიტუცია და შემოდგომისათვის დაინიშნა მეორე მოწვევის მეჯლისის (პარლამენტი) არჩევნები. შემდგომი ამბების მსვლელობაში აშკარად გამოიკვეთა ახალი

⁴³⁴ Сборник дипломатических документов..... с. 162.

⁴³⁵ «Русское слово», № 154, 6 (19) июля 1909 года; ი. ა მ ი რ ხ ი ხ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 383—384.



მთავრობის პოლიტიკური მოქმედების მანერა. მას არ მიუღწევია ვადა მჭრელი ზომები რევოლუციის ამ მცირე მონაპოვრის დასაცავად კი. მან უერთგულა თავის ლიბერალურ კურსს და ცვლილებები არ შეუტანია ნახევრადფეოდალურ, შუასაუკუნეობრივ წყობაში. ოდნავადაც არ გაუუმჯობესებია ძირითადი მწარმოებელი კლასების ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური მდგომარეობა. პირიქით, იგი მიმართავდა კონტრრევოლუციურ ღონისძიებებს ფართო მასების ანტიფეოდალური და ანტიიმპერიალისტური გამოსვლების აღსაკვეთად.

რაც შეეხება იმპერიალისტურ ქვეყნებთან დამოკიდებულებას, ახალ მთავრობას ამ მხრივაც არაფერი შეუცვლია. ძალაში დარჩა ყველა კაპიტალისტური კონცესია, ძველ საზღვარგარეთულ სესხებს მიემატა ახალი. ძალა არ დაუკარგავს იმპერიალისტურ გარიგებებს ირანის შესახებ და უცხოელთა მრავალ პრივილეგიას, რაც მათ ირანში წლების მანძილზე შეიძინეს. პირიქით, წინანდელს მათი ახალი პრივილეგიები დაერთო.

„გურჯი სერგოს“ დღიურებში ძირითადად სწორად არის შეფასებული თეირანზე ისტორიული ლაშქრობის მიმდინარეობა და შედეგები, ნაჩვენებია ამ ლაშქრობის ყველა მთავარი ეპიზოდი და მომენტი. ავტორი თავის თხრობას ამთავრებს შემდეგი სიტყვებით: „ამით დამთავრდა სპარსეთის რევოლუცია (თუ კი ამას რევოლუციას დაუძახებთ!). თავიანთი წრიდან ამოირჩიეს... მინისტრები, საჭირო მოხელეები და ვითომ ხალხიც პარლამენტის გახსნის მზადებას შეუდგა“⁴³⁶.

სინამდვილეში ირანის რევოლუცია ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული. ამით მხოლოდ რევოლუციის ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი დამთავრდა. ირანის რევოლუცია ამის შემდეგ კიდევ ორ წელიწადზე მეტ ხანს გრძელდებოდა მანამ, სანამ 1911 წლის დამლევეს შინაგანი და საერთაშორისო რეაქციის ძალებმა არ დათრგუნეს იგი. მაგრამ ირანელ ხალხს არც ამის შემდეგ შეუწყვეტია თავისუფლებისათვის ბრძოლა. ოქტომბრის დიდმა სოციალისტურმა რევოლუციამ, რომლითაც ახალი ერა დაიწყო მთელი კაცობრიობის განვითარების ისტორიაში, ახალი, დიდი და ცხოველმყოფელი გავლენა მოახდინა მეზობელი ირანის ხალხის სოციალურ და ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაზე. საბჭოთა ხალხი, რომელიც კომუნისტური პარტიის ხელძღვანელობით განაგრძობდა და აფართოვებდა წარსული ინტერნაციონალური ძმობის და მეგობრობის ტრადიციებს, წლების მანძილზე დიდ დახმარებას უწევდა მეზობელ ხალხებს და მათ შორის ირანელ ხალხს სოციალური და ეკონომიკური პროგრესისათვის ბრძოლის კეთილშობილურ საქმეში.

⁴³⁶ „ახალი სხივი“, № 35, 1909 წლის 17 მარტი.

СЕРГО ГЕОРГИЕВИЧ ГАМДЛИШВИЛИ («ГУРДЖИ СЕРГО») И ЕГО ИРАНСКИЕ ДНЕВНИКИ

Резюме

Как известно, наивысшим пунктом первой революции Ирана было Тавризское восстание 1908—1909 годов во главе с легендарным народным героем Саттар-Ханом. Против революционного Тавриза тогда ополчились все сугубо реакционные силы страны, за спиной которых находились империалистические державы, прежде всего Британские колонизаторы и царское самодержавие России.

В такой критический момент по просьбе персидских братьев-конституционалистов, пришли на помощь к восставшему иранскому народу воспитанные на славных традициях пролетарского интернационализма закавказские социал-демократы революционеры. Бакинский, Тбилисский и Батумский Комитеты Российской социал-демократической рабочей партии, считавшие деспотический шахский режим династии каджаров главной опорой колониальной политики царского правительства России в Иране, кровожадным угнетателем трудового иранского народа и предателем национальных интересов иранцев, в условиях строгой конспирации посылали в Иран не только оружие и боеприпасы, но и отправляли туда для участия в боях против реакционных сил добровольцев революционеров-интернационалистов.

В конце 1908 года в Гилянскую провинцию Ирана были отправлены новые контингенты бойцов интернационалистов, среди которых значительную часть составляли революционеры социал-демократы грузины из Тбилисской и Батумской организаций. Перед ними стояла задача вместе с иранскими революционерами—конституционалистами освободить город Решт и гилянскую провинцию от приверженцев шахского режима, взять узловой город Казвин и перекрыть дорогу шахским войскам, направлявшимся к восставшему Тавризу из цитадели персидской реакции—столицы Тегеран. Это было необходимо и потому, что черносотенное царское правительство России намеревалось направить свои войска в Иранский Азербайджан и тем самым оказать помощь каджарскому самодержавию в деле подавления Тавризского восстания. Эта задача блестяще была

выполнена прибывшими из Закавказья бойцами интернационалистами и Гилянскими революционерами. В феврале 1909 года они овладели Рештом и вслед за этим очищали от реакционеров гилянскую провинцию. В начале мая отряды революционеров заняли город Казвин, а к середине июля освободили столицу, в результате чего был низвергнут с престола реакционный каджарский шах Мохаммад Али и было создано либеральное буржуазно-помещичье коалиционное правительство.

В связи с этими историческими событиями в грузинской газете социал-демократического направления «Ахали-Схиви» («Новый луч») в февральско-мартовских номерах 1910 года были опубликованы дневники одного из активных участников исторического похода Решт-Казвин-Тегеран «Гурджи Серго» («Грузин Серго») под названием «Из истории персидского движения».

Материалы дневников с новыми, ранее еще неизвестными фактами и подробностями обогащают наше представление об одном из главных исторических этапов иранской буржуазно-демократической революции 1905—1911 годов. Их смело можно поставить рядом с другими ценными первоисточниками истории освободительного движения иранского народа. Кроме того, они имеют неограниченное познавательное и практическое значение для изучения истории интернационалистической деятельности созданной В. И. Лениным Российской Социал-демократической рабочей партии с целью коммунистического воспитания нашего молодого поколения. Рассмотренные в дневниках вопросы тем более имеют важное значение и потому, что, как справедливо отмечают иранские авторы, история рештского восстания и освобождения Гилянской провинции от реакционеров шахского режима недостаточно исследованы по сей день. По словам автора книги «Гилян в конституционном движении», вышедший в свет в Тегеране в 1977 году, множество истин этого исторического движения все еще не вскрыты и люди наших дней о них по существу не много знают... Хотя время от времени появляются достоверные исторические документы и материалы, так или иначе освещающие те или иные события и явления прошлого, о роли Гиляна в продвижении конституционного движения в них или ничего не сказано, или отмечено лишь мимоходом, (см. Ибрахим Фахрай, Гилян в конституционном движении, Тегеран, 1977 с. 6, на персидском языке).

К сожалению, этот заслуживающий большого внимания документ до настоящего времени не только не был известен широким кругам читателей, но и не был достаточно исследован специалистами—иранцами. Более того, не был известен даже его подлинный автор, так как в свое время в газете «Ахали Схиви» дневники были опубликованы под псевдонимом «Гурджи Серго» («Грузин Серго»).

Некоторые наши исследователи и журналисты интересо-



вавшиеся изучением жизни и революционной деятельности Серго (Григория) Константиновича Орджоникидзе, вышеуказанные дневники без каких-либо обоснований приписывали ему, видимо, исходя из того факта, что Серго Орджоникидзе являлся активным участником революционных событий Ирана того времени. Но они не принимали во внимание то основное и главное обстоятельство, что перечисленные в дневниках события имели место до прибытия Серго Орджоникидзе в Иран (как известно, эти события происходили с конца 1908 по июль 1909 года, а Серго Орджоникидзе же прибыл в Иран лишь осенью 1909 года).

Конечно, уже этот факт, не говоря о других, наглядно и убедительно показывает, что автором дневников Серго Орджоникидзе быть не мог. Об этом свидетельствует и то, что повествование в них ведется в первом лице. Следовательно, автор представляется нам как непосредственный и активный участник описываемых в дневниках событий. Иначе редакция газеты «Ахали Схиви» этот труд не назвала бы «Дневниками». При таких обстоятельствах, естественно, и задается вопрос: кто был в самом деле настоящим автором очерков-дневников «Из истории персидского движения?» Кем бы мог быть «Гурджи Серго?»

Это был активный личный участник и непосредственный очевидец излагаемых в дневниках революционных событий Ирана с конца 1908 по июль 1909 года Серго Георгиевич Гамдлишвили, замечательный революционер-интернационалист, казненный царским самодержавием на 28-м году жизни, 18 ноября 1910 года в Екатеринодаре (ныне Краснодар) вместе со своими боевыми товарищами, участниками революционного движения Како Коринтели и Седраком Заридзе. Этот несчастный случай предал забвению имя настоящего автора написанных кровью дневников (Более подробно о принадлежности дневников перу Серго Георгиевича Гамдлишвили и его краткую биографию см. Г. С. Чипашвили. «Из истории интернациональной деятельности Закавказских революционеров в Иране, «Мацне», Серия истории, Тбилиси, 1981, № 4, с. 16—29).

* * *

В историческом очерке — дневниках интернационалиста-революционера С. Г. Гамдлишвили «Из истории персидского движения» дается достоверная оценка характера и специфической особенности революционных боев, имевших место в провинциях Иранского Азербайджана и Гиляна во время первой иранской революции. В них также описываются боевая жизнь и подвиги закавказских и местных воинов-интернационалистов, посвятивших свою жизнь освобождению иранского трудового народа от гнета внутренней феодальной реакции и чужезем-



ных колонизаторов. Автор правдиво и объективно характеризует отдельные моменты боевых действий, показывает высокую идейность, революционную гуманность и марксистско-ленинскую закалку закавказских, в том числе, грузинских революционеров-интернационалистов. В дневниках подчеркивается, что революционное движение в Иранском Азербайджане (главным образом в Тавризе) приняло сравнительно сознательный и при этом общенародный характер. Во главе движения стояли руководители, вышедшие из гуши народных масс. По словам автора очерка—дневников, народно-демократическая направленность революционных событий в Иранском Азербайджане в определенной степени была обусловлена близостью этой провинции с революционным Закавказьем, ее тесным взаимоотношением с Бакинским и Тбилиским пролетариатом. «Азербайджанцы (Иранские Азербайджанцы Г. Ч.)—пишет С. Г. Гамдлишвили—как соседи Закавказья, более или менее знали с кем, для кого и чего должны бороться, какую пользу могла принести победа Персии». Что касается гилянцев, хотя они и жили на севере Ирана, но непосредственно не имели тесных взаимоотношений с революционным Закавказьем. Поэтому русская революция не возымела здесь такого же осязаемого влияния, как в Иранском Азербайджане. Из-за этого не только широкие слои населения гилянской провинции не разобрались достаточно в целях и задачах, стоящих перед революционным движением, но и «сами руководители нередко мало понимали, что именно предвещает их победа». Главным образом, этим и были обусловлены своеобразие и результаты Гилянского восстания. Восстание было подготовлено и проведено по инициативе и с активным участием Закавказских и иранских революционеров, а плодами его воспользовались оппозиционно настроенные в отношении к шахскому правительству «революционеры» ханы. А иранский хан — по справедливому замечанию автора—«в настоящее время является таким же типичным и кроважидным феодалом, как сто лет тому назад».

При этом, говорится в дневниках, в других провинциях и районах Ирана революционное выступление населения не приобрело широкий размах. В большинстве случаев оно было слабым, разрозненным и не могло оказать существенной помощи революционному Тавризу. А Тавризцы, которые вели баррикадную борьбу против шахских войск и феодальных банд, остро нуждались в поддержке и помощи. Тяжелое положение Тавризцев лучше всех понимали революционные организации Закавказья, имевшие огромный опыт освободительной, классовой борьбы. Они первые откликнулись на просьбу иранских конституционалистов оказать братскую помощь окруженным войсками реакционеров Тавризцам. Из Закавказья многие добровольцы-интернационалисты «выехали в Тавриз, Решт и отдали свою жизнь движению».




Большинство прибывших в Гилян из Закавказья революционеров составляли выходцы из Грузии, направленные туда Тбилиским и Батумским комитетами РСДРП. С первых же дней прибытия они испытывали большие трудности из-за малоосведомленности в местных делах и незнания языка местного населения. У них не было в достаточном количестве оружия, боеприпасов, продуктов питания и одежды. Лишь через некоторое время «революционеры» ханы нашли для них пристанище.

В ноябре-декабре 1908 года в Гилян прибыли 22 закавказских добровольцев-интернационалистов. Из них 16 приехали из Грузии. Среди прибывших грузин 11 являлись членами РСДРП, а 5 были беспартийными. До прибытия Закавказских революционеров, местный революционный комитет в Реште в составе четырех человек (2 перса и 2 армянина дашнака) не имел четкого плана действий и не вел никакой практической деятельности. Как указывается в дневниках, работе комитета по существу создавали препятствие представители армянской буржуазно-националистической партии дашнакцутюн, замкнувшейся в узких национальных рамках и не имевшей широкой программы классовой борьбы. В результате принципиального и энергичного действия закавказских революционеров-интернационалистов к концу 1908 года уже был подготовлен единый план проведения восстания. Но для этой цели не было достаточно боевых средств, а денежные средства для их приобретения, оказались разбазаренными некоторыми местными Гилянскими горе-революционерами. При таких условиях, судьба восстания в значительной степени зависела от самодельных бомб и личных боевых качеств грузинских бойцов.

По свидетельству автора дневников, в период подготовки к восстанию закавказские интернационалисты нередко сталкивались с препятствиями, искусственно созданными дашнаками и их лидерами—Ефремом Давидианцем и Нерсесом Нерсисянцем. Ефрем принадлежал к числу тех «революционеров», для которых чужды были подлинные цели народного движения.

26 января (8 февраля) 1909 года небольшая группа отважных революционеров смело напала на дворец губернатора. В эту группу входили всего семь бойцов. Из них шесть были грузины. После условленного сигнального взрыва, к указанной семерке присоединились и остальные революционеры. Они вступили в ожесточенные бои с охраняющими губернатора сарбазами (солдатами). Сожгли дворец, убили губернатора и несколько его сослуживцев. В результате неожиданного и смелого нападения, противник впал в панику и растерялся. Он понес большой урон и сдался. Решт был освобожден. Революционная власть распространилась на всю гилянскую провинцию. В историю иранской революции была вписана блестящая страница. Но победа не обошлась без жертв. При освобождении



Решта погибли два революционера—Шалва Долидзе и Пашиахан. Их похороны в освобожденном Реште превратились в грандиозную демонстрацию братства и революционной, интернациональной солидарности. У гроба Шалвы Долидзе слово произнес знаменитый персидский оратор Кесман. В частности он сказал: «За свободу Ирана пал смертью храбрых сын той нации, о которой мы не много знаем. По сей день мы считали гурджев (грузин) нашими врагами. Но видите ли, кто лежит безжизненно перед нами. Это Гурджи (грузин) Шалва, сын Гурджистана (Грузии). С сегодняшнего дня мы еще и еще раз должны убедиться в том, что несмотря на то, что наша родина Иран со всех сторон окружена врагами, она имеет и довольно много друзей».

Похороны с такими почестями добровольца-интернационалиста грузина на иранской земле вылились в рожденную в общей борьбе блестящую интернациональную демонстрацию дружбы и братства между закавказским и иранским народами.

Однако достигнутая кровью представителей разных национальностей победа не была использована надлежащим образом. Плодами этой победы воспользовались в своих целях представители феодальных и либеральных кругов. Одним из них был гилянский феодал Сепакдар-Азам Танакобени. Он облачился в мантию «революционера» из-за того, что за некоторое время до этого, за военную неудачу, шах отстранил его с поста командующего войсками, воевавшими против революционного Тавриза. С целью свести личные счеты с шахским правительством, Сепакдар выбрал подходящий момент и объявил себя сторонником конституционного движения. Закавказские революционеры хорошо разбирались в классовой сущности Сепакдара. Они понимали, что этот феодал хотел использовать для своих личных корыстных целей пролитую революционерами кровь и поэтому выступали против его прибытия в Решт. Но члены новосозданного военного штаба («Комисиуне дженг»), большинство которых стояло на соглашательских, либеральных позициях, устроили Сепакдару Азаму торжественный прием. На приеме среди других присутствовали и два грузина, как представители закавказских революционеров. Одним из них был сам автор дневников С. Г. Гамдлишвили. По этому поводу он пишет: «Двух хорошо вооруженных и нарядно одетых грузин представителей Сепакдару. Затем меня и еще одного грузина пригласили в богато убранный дворец...

Сепакдар никому из нас не понравился. Он был среднего роста и немного сутуловат. Его беловатые руки и ханское выскомерие вызывали в нас неприязнь. Когда мы вышли оттуда, мой товарищ сказал мне с горечью: «Нет, брат, должно быть, он нехороший человек, его внешность напоминает Ивана Грозного».

В дневниках подчеркивается также то, что на победе ги-



лянских революционеров погнали руки и некоторые авантюристы, которые надевая маску революционеров, занимались провокациями. По словам автора дневников, одним из таких был Федор Панов. Он еще во время русской революции 1905 — 1907 годов опозорил себя тем, что вел диверсионную работу среди участников революционного движения. Затем приехал в Решт и собрал вокруг себя прибывшую из Баку группу бездельников.

Освобождением Решта и установлением революционной власти в Гиляне завершился первый этап исторической борьбы за Решт—Казвину—Тегеран.

После этого на повестку дня встал вопрос об освобождении города Казвина и укреплении Тегеранской дороги. Этот второй этап революционной борьбы был не менее трудным и ответственным.

30 января (12 февраля) 1909 года был сделан первый шаг в этом направлении. Отряд всадников вступил на путь к Казвину. На следующий день отряд дошел до селения Рустамбад, расположенного в 80 верстах от Решта. Местное население устроило торжественную встречу революционерам. В ней приняли участие около 500 крестьян. Затем отряд подошел к селу Рудбар и устроил засаду.

По свидетельству автора, в то время, когда закавказские и местные революционеры проливали кровь и с борьбой продвигались в сторону Казвина, Ф. Панов находился в Реште и продолжал свою непристойную деятельность. Пользуясь поддержкой некоторых влиятельных лиц, он со своей группой совершал всякие беззакония. При этом он внешне показывал себя опытным руководителем революционных дел и издавал бессмысленные распоряжения. Кроме того, он направлял корреспонденции в органы русской социал-демократической прессы, в которых приписывал себе роль активного участника и даже опытного руководителя революционеров и тем самым присваивал плоды успехов, достигнутых в боях с шахским правительством подлинными участниками иранских революционных событий. Решительное, принципиальное выступление Закавказских интернационалистов против провокационных действий Панова принесло свои окончательные результаты. К концу марта 1909 года он был вынужден покинуть Решт и со своей свитой ехал в сторону Астарбада.

18 марта группа революционеров столкнулась с отрядами сына реакционера-феодала Кийаси Низама, генерала Насирхана, который насильственно собрал население местных сел и вооружив его, не сомневался, что легко мог бы расправиться с конституционалистами. Но его постигло разочерование. Малочисленная группа революционеров наголову разбило его полчище у села Юзбаш-чай.

После этого арьергард участников конституционального

движения направился к Казвину. Он занял село Пачинар близ Казвина и в ожидании подкрепления готовился к штурму города.

В дневниках приводятся отдельные детали боев за Казвин. И здесь наблюдалось характерное колебание среди временных спутников революции, неверное, искаженное понимание ими основных задач, стоящих перед революционным движением. Отчасти это объяснялось весьма низкой политической сознательностью значительной части местных участников движения. Разумеется, это было обусловлено самой жизнью, тогдашней действительностью страны, ее экономической, социальной, культурной и политической отсталостью. При этом в дневниках на ярких примерах можно также наблюдать высокую политическую революционную сознательность закавказских вонно-интернационалистов, их глубокое понимание социального содержания и целей революционного движения, симпатии и искреннее сочувствие к угнетенным слоям иранского общества.

Познавательное и при этом воспитательное значение дневников С. Г. Гамдлишвили состоит и в том, что их автор правдиво и достоверно описывая трудные дни борьбы и жизни участников революционного движения в Иране, показывает, что везде и всюду, во время тяжелых боев и побед, воспитанные на гуманных идеях марксистско-ленинского интернационализма, закавказские добровольцы проявляли замечательные свойства человеколюбия, непримиримости ко всякого рода угнетателям. Это красной нитью проходит почти через весь труд.

Далее в дневниках говорится, что Кийаси Низам, которому принадлежало около двухсот деревень и который владел неисчислимым богатством, со своими бандами готовился к бою против прибывших из Гиляна конституционалистов. Он занял почти все дороги, идущие к Казвину. Значительная часть банды Кийаси Низама укрепились в селе Амбу. Необходимо было изгнать противника из Амбу для того, чтобы открыть дорогу к городу.

19 апреля (4 мая) 1909 года после упорных уличных боев революционеры овладели городом Казвином. Отряд отважных бойцов, среди которых основную часть составляли закавказские добровольцы, одержал победу над четырехстами ополченцами шахского правительства. В этой борьбе отряд революционеров потерял несколько человек убитыми и ранеными.

Овладением Казвина был завершён второй этап борьбы гилянских и закавказских революционеров. Шоссейная дорога, связывающая Решт с Казвином полностью оказалась в руках участников конституционального движения. При захвате Казвина, силы революционеров перерезали основную магистраль, соединявшую Тавриз со столицей страны. В сложившейся ситуации самодержавное царское правительство России заступи-

лось за своего политического и классового союзника. Оно, вооружившись, убедилось, что шахский двор оказался бессильным перед натиском своего народа. С целью спасения реакционных сил Ирана от окончательного разгрома, оно еще до овладения революционерами Казвином двинуло свои вооруженные силы под командованием генерала Снарского к Тавризу. В конце апреля части регулярной армии царской России вторглись в Тавриз. Но это не могло спасти шахское самодержавие от неминуемого поражения.

Начался третий, окончательный этап исторической интернациональной борьбы.

Гилянские конституционалисты под руководством Сепехдара Азама Танакобени и бахтиарские всадники под командованием бахтиарского хана Сардара Асада достигли договоренности о совместном выступлении против Тегерана, чтобы низвергнуть шахское правительство и восстановить конституционное правление. Бахтиарский хан Самсам и его брат Асад, который до этого времени жил в Европе, так же, как Сепехдар, были обижены на шахское правительство, которое ограничивало их некоторые привилегии. Они сочли подходящим данный момент для выступления против него. Но подобные временные спутники революционного движения, после удовлетворения своих интересов, как правило, не только отворачивались от революции, но и даже активно выступали против самих революционных масс, благодаря которым они оказались во главе движения.

В конце мая 1909 года, после освобождения Казвина, большинство закавказских добровольцев покинули Иран и через Баку возвратились на родину. Во время начала похода на Тегеран, в Реште все еще находилась их немногочисленная группа.

20 июня из Казвина по направлению Тегерана выехали отряды гиланцев в составе примерно 2500 человек под водительством Сепехдара. У деревни Шах-абад на Тегеранской дороге они попали под артиллерийский огонь правительственных войск. Отряды гиланцев были рассеяны. Это первое поражение для гиланцев и их руководителей оказалось горьким уроком. По свидетельству автора дневников, обстоятельство вынудило их по-новому оценить роль и значение закавказских бойцов. Они убедились в том, что без участия грузинских бомбometчиков нелегко было достигнуть успеха в борьбе с противником. Они немедленно обратились за помощью к находившимся в Реште грузинским революционерам. 24 июня вместе с карабагинскими отрядами, добровольцы-интернационалисты грузины прибыли в Казвин. На следующий день они уже присоединились к гиланцам.

Шахское правительство почувствовало приближение конца своего существования. Оно, подобно русскому царю, приступило к маневрированию. Шах обещал своему народу восстано-

вить конституцию, если прекратят выступления против него. Он послал к Сепакдару английских и русских дипломатических представителей и заверил его, что готов выполнить все требования революционеров. Этот трюк был нацелен на введение в заблуждение революционных сил, притупления их бдительности и накопления энергии для их окончательного разгрома. В результате ухищрений шахского правительства среди определенной части сторонников конституции наблюдалось заметное колебание, но вскоре узнав о шахской уловке, они не поддались провокациям.

27 июня 1909 года отряды бахтиар и гилянцев соединились под Тегераном и начали усиленную подготовку к совместному выступлению.

В дневниках подробно описываются отдельные детали борьбы под Тегераном.

Настал для шахского правительства роковой день 14 июля 1909 года. В этот день соединенные силы Бахтиар и гилянцев вторглись в Тегеран со стороны Бечет-абадских ворот. В течение трех дней продолжались кровопролитные бои на улицах столицы. Шахские войска под командованием генерала Ляхова, «прославившего» себя разгромом здания иранского парламента (меджлиса) первого созыва, понесли позорное поражение. Был низвергнут с престола реакционный шах Махоммад Али. На шахский престол посадили его малолетнего сына Ахмад-Мирзу. Было создано временное коалиционное либеральное помещичье-буржуазное правительство во главе с Сепакдаром. Начальником полиции столицы стал дашнак Ефрем Давидянц.

Так завершился третий, последний этап исторического похода Решт-Казвин-Тегеран, продлившегося с конца 1908 до середины 1909 года.

Здесь кончается и дневники Серго Георгиевича Гамдлишвили («Гурджи Серго»).

Разумеется, нельзя требовать от автора, чтобы он вопросы связанные с персидскими событиями всегда рассматривал на уровне сегодняшнего дня. В дневнике местами наблюдаются некоторые неточности и до известной степени преувеличенная оценка отдельных исторических явлений. Это, прежде всего, бросается в глаза во время общей характеристики специфических свойств гилянцев и бахтиар, когда в первом случае внимание обостряется на чрезмерно отрицательных сторонах, а во втором — на позитивных моментах. Однако подобные недостатки в дневниках носят лишь случайный характер. В целом, на наш взгляд, труд является бесценным источником для изучения славной истории дружбы и интернациональной солидарности между трудовыми слоями народов Закавказья и Ирана.

შ ი ნ ა ა რ ს ი

წინათქმა	3
რუსეთის პირველი რევოლუცია და ირანი	5
ძმური მხარდაჭერა და დახმარება	8
სისხლით დაწერილი სტრიქონები. ვინ იყო ავტორი?	14
სერგო გიორგის ძე გამდლიშვილი	29
ირანელთა გამოღვიძება	33
რეშთის აჯანყების მომზადება	36
აჯანყება	53
სეფაჰადარი	62
რევოლუციის მსხვერპლთა დაკრძალვა	66
რევოლუციური ხელისუფლება. „ბელადი ხანები“	67
თეირანის გზის გამაგრება	70
ფეოლორ პანოვი	75
შოა-ოს-სალთანე	86
მენჯილიდან იუზბაშჩაიმდე	89
პაჩინარი	91
ამბუ	95
ყაზენის ალება	101
ბახთიარები	112
თეირანის წინააღმდეგ დაირაზმა ორი ძალა	118
შეტაკება შაჰ აბაღში	122
ჩართველი მებრძოლების დაბრუნება	124
შერიგების ახალი ცდა	125
ბახთიარებისა და გილანელების შეერთება	128
გენერალური ბრძოლების დაწყება	131
მოწინააღმდეგის ხაფანგში	132
ბადამეჟის ბრძოლა	133
მოწინააღმდეგეთა ძალები	135
კოლონიზატორთა ოინები. ანტიიმპერიალისტური ბრძოლა	136
თეირანის მისადგომებთან	145
შეჭრა თეირანში	149
ქართველი მებრძოლები თეირანში. შაჰის უკანასკნელი გაბრძოლება	156
შაჰის ჩამოგდება	160
ლიბერალური, კონტრრევოლუციური მთავრობის შექმნა	163
Серго Георгиевич Гамдлишвили («Гурджи Серго») и его иранские дневники, Резюме	165



ნ 110 / 1331

Чипашвили Георгий Северьянович

СЕРГО ГАМДЛИШВИЛИ («СЕРГО ГУРДЖИ») И ЕГО ИРАНСКИЕ ДНЕВНИКИ

(на грузинском языке)

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

რეცენზენტები: ისტ. მეცნ. დოქტორი ზ. შარაშენიძე
ისტ. მეცნ. კანდ. ო. გვილაგია
სბ 2213

გამომცემლობის რედაქტორი ი. გაჩეჩილაძე
მხატვრული რედაქტორი გ. ლომიძე
კორექტორი ს. წახნაგია
ტექნიკური ც. ქამუშაძე

გადაეცა წარმოებას 1.1.83; ხელმოწერილია დასაბეჭდად 12.10.83;
ქალაქის ზომა 60×90¹/₁₆; ქალაქი № 1; ნაბეჭდი თაბახი 11,0;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 9,7;
უე 08334; ტირაჟი 2000; შეკვეთა № 721;
ფასი 1 მან. 30 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

